სამეცნიერო ჟურნალი ,,ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია პრაქტიკა)"
Scientific magazine **"AUTHORITY AND SOCIETY"**
(History, Theory, Practice)"
Научный журнал **"ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО"**
(История, Теория, Практика)"

№ 2

2006

saqarTvelos teqnikuri universiteti
ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი
სახელმწიფო მართვისა და საზოგადოებრივი
ურთიერთობების დეპარტამენტის
სამეცნიერო ჟურნალი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
HUMANITARIAN-TECHNICAL FACULTY
Scientific magazine of Department of PUBLIC ADMINISTRATION and PUBLIC RELATIONS
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ
Гуманитарно-технический факультет
Научный журнал департамента Государственного Управления и Общественных связей

EISSN 1512-4029

UDC 3788 (479.22)(051.2)
B - 402

ხელოვნებათმოძღვრება და ცხოვრებისეული

სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე
- მთავარი რედაქტორი

გიორგი ბაღათურია
- მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბაღათურია
- პასუხისმგებელი მდივანი

ნანა აკვალიანი, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), ვახტანგ გურული, თეიმურაზ თოდუა, როინ მეტრეველი, ქეთი ქოქრაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, ოთარ ქოჩორაძე, მაია ჩხეიძე

✲ ✲ ✲ ✲ ✲

ჟურნალი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

მისამართი:

საქართველო, თბილისი 0160 კოსტავას ქ.77, VI კორპუსი IX სართული ტელ. 36.45.14

Kostava st., 0160 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14

Mail: DLPA@gtu.edu.ge

გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია

Jurnalis eleqtronuli versia gamoqveynebulia misamarTze: http://www.gtu.ge/katedrebi/kat124/

სარჩევი

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და ევროპის კავშირთან
მათი ურთიერთობის პერსპექტივები – საერთაშორისო
სიმპოზიუმი საქართველოში---------- 5

ნანა ციხისთავი
ტოლერანტობის მშენებლობის პერსპექტივების
საკითხისათვის XXI საუკუნის საქართველოში---------- 14

როზა გაფრინდაშვილი
სახელმწიფოებრივი აზროვნების კვლევა საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებში---------- 25

ია ხუბაშვილი
კარისკაცის სახე ბალთაზარე კასტილიონეს
„წიგნი კარისკაცზე" და ქეი-ქაუსის
„ყაბუს-ნამეს" მიხედვით---------- 37

შოთა დოღონაძე
მენეჯმენტის თეორიული კონცეფციებისათვის---------- 48

ქეთევან ირემაშვილი
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის
სამართლებრივი რეგულირება---------- 59

გიორგი მჭედლიშვილი
ხევის ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული
ღირშესანიშნაობები დიდი ტურიზმის
მოლოდინში---------- 69

მერაბ ვანიშვილი
გლობალური სასურსათო პრობლემების წარმოშობის
ისტორიული წანამძღვრები და მისი გადაწყვეტის
პერსპექტივები---------- 79

ავთანდილ (ანზორ) ძამაშვილი
კანტის მიერ ფილოსოფიაში განხორციელებული
რევოლუციური გადატრიალების შესახებ----------89
ოთარ ბაღათურია

საქართველოს ევროპელობისა და ევროპის დეფინიციის
საკითხისათვის----------97

ნოდარ გულბანი
მართლმადიდებლური კულტურა და
საკულტო ძეგლები სვანეთში----------116

პაატა ნაცვლიშვილი
ჟურნალიზმები სულხან-საბა ორბელიანის
შემოქმედებაში----------127

მარინა ლომიძე
პრესა – PR - ის ინსტრუმენტი
(ამერიკული მოდელი) ----------150

ოთარ ქოჩორაძე
სივრცეზე კონტროლი----------157

გიორგი ბაღათურია
პოლიტიკური სამყარო - ცნობიერება,
გარემო, სისტემა----------179

სტუდენტური გვერდები----------195-233

ნატო გაგნიძე
ქართველი ემიგრანტები XXს-ის
20-იანი წლების დამდეგს
(ქართველებში საბერძნეთში) ----------195

ალექსანდრე თაბაგარი
ზვიად მელქაძე
მყარი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და გატანის
სისტემური ხარვეზები თბილისში----------203

ირაკლი გურგენიძე
როსტომ-ხანის კომპრომისული სახელმწიფო: პარალელი
დღევანდელობასთან----------227

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და ევროპის კავშირთან მათი ურთიერთობის პერსპექტივები – საერთაშორისო სიმპოზიუმი საქართველოში

ქ. თბილისში 27 - 29 ოქტომბერს მუშაობდა აბრეშუმის გზის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქართველმა, თურქმა, ამერიკელმა, იტალიელმა, ირანელმა, კანადელმა, ჰოლანდიელმა, პორტუგალიელმა, რუმინელმა და სხვა სახელმწიფოთა მეცნიერებმა საფუძვლიანი სამეცნიერო დისკუსიები გამართეს ევროპის კავშირისა და შავი ზღვის რეგიონის თანამშრომლობის მომავლის საკითხებზე. ბევრი საგულისხმო საკითხი გაშუქდა საქართველოს, შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების, საზოგადოდ „აბრეშუმის გზის“ სახელმწიფოთა მომავალზე, ევროპისა და აზიის თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ცივილიზაციათა დიალოგზე თუ გლობალიზებულ მსოფლიოში ქვეყნებისა და ხალხების როლისა და მომავლის თაობაზე.

სიმპოზიუმი ორგანიზებული იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, თურქეთის თანამშრომლობისა და აღორძინების ადმინისტრაციის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ. სიმპოზიუმი ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის ბატონი მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით. საგულისხმოა, რომ ბატონი მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობდა I სიმპოზიუმის მუშაობაში 2003 წლის 25-27 ივნისს.

აბრეშუმის გზის III საერთაშორისო სიმპოზიუმის საპატიო პრეზიდენტი გახლდათ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი, დოქტორი აჰმედ ჩეთინ ჯანი. საორგანიზაციო საკითხების მთელი სიმძიმე სწორედ აღნიშნული უნივერსიტეტის თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა იტვირთა, სიმპოზიუმის სულისჩამდგმელი და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი, დოქტორი ქალბატონი **გიული ალასანია.** დიდი შრომა გასწია სიმპოზიუმის სამდივნომ ქალბატონ **მარინე ყიფიანის** ხელმძღვანელობით.

სიმპოზიუმი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 27 ოქტომბერს „ქორთიარდ მარიოტის“ საკონფერენციო დარბაზში. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, თვალსაჩინო მეცნიერებს, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს თამაზ გამყრელიძეს, სიმპოზიუმის მონაწილეებსა და სტუმრებს გააცნეს საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის სპეციალური მიმართვა სიმპოზიუმისადმი.

სიმპოზიუმი მისასალმებელი სიტყვით გახსნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა მესუთ ბოსკირმა, სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს ვიცეპრემიერი, სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში ბატონი გიორგი ბარამიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი, აკადემიკოსი რამაზ ხუროძე.

გახნის ცერემონიალზე საინტერესო მოხსენებით წარსდგნენ: ფაბრიციო ტასინარი, დოქტორი, ევროპის პოლიტიკური სწავლების ცენტრის მკვლევარი ბრიუსელიდან და ქალბატონი გიული ალასანია.

გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სულ რაღაც 3 წელიწადში. I სიმპოზიუმიდან დღემდე, საქართველომ გიგანტური ნაბიჯები გადადგა, ის უფრო მეტად მიუახლოვდა ევროპას, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უფრო მეტად ღია და ცნობადი გახდა მსოფლიოსათვის.

სიმპოზიუმის სამუშაო სხდომები გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში.

პირველ დღეს მოხსენებებით ორი თემის გარშემო - „ევროპაში ენერგეტიკული უსაფრთხოება; პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონიდან“ და „შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და ევროპული უსაფრთხოება“ გამოვიდნენ პროფესორები ბეჰლულ ოზკანი (აშშ); კარპერ მარკი (აშშ); კორნელი კაკაჩია (საქართველო); გიორგი ბაღათურია (საქართველო); დავით პიპინაშვილი (საქართველო);

სხდომებს თავმჯდომარეობდნენ პროფესორები: ავთანდილ კვიტაშვილი (საქართველო), მოჰამედ ტავაკოლი (ირანი), ზურაბ დავითაშვილი (საქართველო) და ბეჰლულ ოზკანი (აშშ), რომლებმაც საინტერესოდ და ოსტატურად წარმართეს ფართო დისკუსია განხილულ თემებთან დაკავშირებით.

28 ოქტომბერის დღის თემას წარმოადგენდა „ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირება შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით: ორმხრივი მიდგომებიდან რეგიონალურ მიდგომისაკენ“. სხდომის თავმჯდომარეებმა შესძლეს შემჭიდროვებული რეგლამენტის ფარგლებში ყველა გამომსვლელისათვის მიეცათ პრეზენტაციის საშუალება, ამავე დროს ვირტუოზულად წარმართეს კითხვა-პასუხი და დისკუსია. განსაკუთრებულად კონსტრუქციული და პროდუქტიული იყო ამ მხრივ პროფესორი ედუარდ რაუპი (აშშ – საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტის წარმომადგენელი), რომელსაც კარგ დახმარებას უწევდა თანათავმჯდომარე პროფესორი თამარ კიკნაძე (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი).

მომხსენებლებმა, პროფესორებმა: მოჰამედ ტავაკოლმა (ირანი), ქეთევან ლაფაჩმა (საქართველო), აპილ ალი რიამ (თურქეთის რესპუბლიკა), თეიმურაზ გორშკოვმა და გიორგი ბადათურიამ (საქართველო), ლისინა სიმაომ (პორტუგალია), შოთა დოღონაძემ (საქართველო), რიჩარდ რუსომ (კანადა), ჰენრი კუპრაშვილმა (საქართველო), ონანა-ანტონიო კოლიბასნუმ (რუმინეთი), გიორგი ივანიშვილმა (საქართველო), მეცნიერებათა კანდიდატებმა თამერ სეტინმა (თურქეთი) და მეიტინ მერკანმა (თურქეთი) უპასუხეს დამსწრეთა არა ერთ შეკითხვას. სიმპოზიუმის მონაწილეებმა სერიოზულ მეცნიერულ დონეზე იპაექრეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თურქეთის პერსპექტივები ევროკავშირში მიღებასთან დაკავშირებით, აშშ-ის როლი კავკასიის და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში, კონფლიქტები და მათი მოწესრიგების გზები, კულტურათა დაპირისპირება და დიალოგი, რუსეთსაქართველოს ურთიერთობები, საქართველოს ევროპული ორიენტაცია და მისი ადგილი ერთიან ევროპაში, ენერგომატარებლების ტრანზიტისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები და სხვა. სხდომა კონტრუქციული დისკუსიით დასრულდა.

მოხსენებების თემატიკითა და შინაარსით არანაკლებ ნაყოფიერი იყო სიმპოზიუმის დასკვნითი სხდომა, რომელიც 29 ოქტომბერს დღის პირველ ნახევარში გაიმართა. სხდომას უძღვებოდნენ: პროფესორი თამარ შიოშვილი (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და მოჰამედ ტავაკოლი (ირანი). აღნიშნულ სხდომაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა პროფესორმა გიორგი ხუბუამ. წარმოდგენილი იქნა პროფესორების: თამარ კიკნაძის (საქართველო), სელალ სეირის (თურქეთი), ქეთევან სიხარულიძის (საქართველო), ლელა ფირალიშვილის (საქართველო), თორნიკე ალაშვილის (საქართველო), კადირ კანის (თურქეთი), ქეთი როსტიაშვილის (საქართველო) და ასისტენტ ოთარ ბაღათურიას ფრიად საინტერესო, ამავდროულად ბევრ დებულებაში საკამათო მოხსენებები. შესა-ბამისად საკმაოდ მწვავე და საინტერესო დისკუსიაც შედგა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ქალბატონ ქეთი როსტიაშვილის სხარტმა და თემატურად დატვირთულმა მოხსენებამ, რომელმაც ერთგვარად თავი მოუყარა ყველა იმ პრობლემას, რომელზედაც სიმპოზიუმის მონაწილეები მსჯელობდნენ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის მომავალთან დაკავშირებით.

მოკლე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ქალბატონი გიული ალასანია, მან მადლობა გადაუხადა სიმპოზიუმის სტუმრებსა და მონაწილეებს, იმ ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს სიმპოზიუმის წარმატებით ჩატარების საქმეში. სიმპოზიუმს სიტყვით მიმართა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა, დოქტორმა აჰმედ ჩეთინ ჯანმა.

მიღებული იქნა შემაჯამებელი რეზოლუცია, რომელიც დამსწრეთ პროფესორმა ედუარდ რაუპპმა წარუდგინა.

სიმპოზიუმის მონაწილეები მხოლოდ სხდომებითა და მეცნიერული დისკუსებით როდი იყვნენ დაკავებული. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც გაიმართა ქართული წარმოების ღვინოების დეგუსტაცია – საქართველში მოღვაწე ღვინის ყველა წარმატებულმა ომპანიამ სათა -

ნადოდ გაფორმებულ სტენდებზე თავისი ნაწარმი წარუდგინეს საგარეო საქმეთა სამინისტროში სტუმრად მისულ მეცნიერებს. თბილი, მეგობრული შეხვედრები გაიმართა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და დემირელის სახელობის კოლეჯში. სიმპოზიუმის მონაწილეები დაესწრნენ პრემიერას ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, დაესწრნენ მიღებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც უნივერსიტეტის საგამოფენო ცენტრ „უნივერსში“ მოეწყო.

სიმპოზიუმის მონაწილეები გულთბილად გამოეშვიდობნენ ორგანიზატორებს, მომავალი მე-4 სიმპოზიუმი 2008 წლისათვისაა დაგეგმილი.

გაგაცნობთ რეზიუმეებს სიმპოზიუმზე ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელთა გამოსვლებიდან.

გზა ევროპისაკენ – გამოცდილება და პერსპექტივები

საქართველო ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრია!

რა გვაახლოებს და რა გვაშორებს ამ სანუკვარ ფრაზასთან?

ქართულმა სახელმწიფომ დააგროვა მნიშვნელოვანი გამოცდილება ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ამ გამოცდილების გვირგვინი საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლა გახდა. სამწუხაროდ, ეს გამოცდილება არასაკმარისია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციისათვის. ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვისწავლოთ კიდეც ჩვენი პარტნიორებისაგან, უპირველესად მათგან, ვისთანაც BSEC-ის ფარგლებში ვთანამშრომლობთ.

წინააღმდეგობებით აღსავსე კვანძი უნდა გაიჭრას, ეს მოახერხეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, მიზანთან ახლოსაა თურქეთი, ეს უნდა შეძლოს საქართველომ.

ნაშრომის მიზანია პარტნიორთა გამოცდილებისა და წარსულის გაკვეთილების ანლიზით იმაზე ვიმსჯელოთ, თუ მომავალში რა დასკვნებია გამოსატანი ამ გაკვეთილებიდან. რა მოხდება თუ ტრადიციას არ ვუღალატებთ და წარსულის გაკვეთილებიდან არაფერს ვისწავლით. და თუ შევძლებთ დავძლიოთ ეს წინააღმდეგობა რა პერსპექტივები იქნება რეალიზებული.

შოთა დოღონაძე

The Path to Europe - Experience and Outlooks.

Georgia is the plenipotentiary member of European Family!

What makes us close or distant from this wishful phrase?

Georgia has accumulated the important experience on the way to EuroAtlantic integration. As a result Georgia has enrolled in the Council of Europe. But, unfortunately this experience isn't sufficient for the full integration into European structures. We have to study under our partners, especially under the BSEC.

The knot of contradictions should be untied as the majority of the Eastern European countries have done; Turkey is close to the goal. Georgia ought to do the same.

The objective of the article is to discuss and share the gained experience of our partners in order to make the conclusions for the future. What will happen if we don`t break with our traditions and not take into account anything from the past experience. And what prospects we will face if we manage to overcome the difficulties.

Shota Dogonadze

საქართველოს რკინიგზის როლი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის საქმეში

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური პანორამა მკვეთრად შეიცვალა. საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი, შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, აღებულია გეზი ევროკავშირში გაწევრიანებისკენ. ამ ცვლილებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ევროკავშირის პროექტი „ახალი აბრეშუმის გზა, ტრასეკა“. ამ პროექტს უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, საქართველოსთვის იგი აღებს გზას ევროპული ინტეგრაციისკენ.

ტრასეკას ფუნქციონირებაში ერთ-ერთ მთავარ როლს საქართველოს რკინიგზა ასრულებს.

უახლოეს მომავალში საქართველოსა და ევროპას შორის კავშირი უფრო მჭიდრო გახდება ახალი სარკინიგზო ხაზით ყარსი (თურქეთი) – ახალქალაქი (საქართველო). საქართველოს ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და პოლიტიკაში ინტეგრაცია წარმატებით გაგრძელდება.

სტატიაში წარმოდგენილია ტრასეკას, საქართველოს რკინიგზისა და ყარსი-ახალქალაქის ძირითადი ასპექტები და მათი ეკონომიკური როლი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საქმეში.

გიორგი ბაღათურია, თეიმურაზ გორშკოვი

The Role of Georgian Railway for European Integration of Georgia

Lately the world political and economic panorama has changed sharply. Georgia became the member of the European Council, has entered in WTO. The direction on ways to integration in the European Union is taken. One of the most important results of the change is the huge project of the European Union "The New Silk Route, TRACECA”. TRACECA has a very important political and economic function. It has cleared the way for Georgia to European integration.

One of the main roles of TRACECA functioning belongs to Georgian Railway. Long-distance trains connect Asia with Europe via Transport Corridor Europe - Caucasus - Asia. Georgia returns its global historical role; it becomes a connecting crossroads of the West with the East.

For the nearest future the connection between Georgia and Europe via Turkey by the new railway route Kars (Turkey) – Akhalkalaki (Georgia) will make strongly. The integration of Georgia into European transport infrastructure and policy will continue successfully.

The article introduced the main aspects of TRACECA, Georgian Railway and Kars–Akhalkalaki route and their economic role for European integration of Georgia.

Giorgi Bagaturia, Teimuraz Gorshkov

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და ევროპული უსაფრთხოება.

საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ვითარება გამოდის სამთავრობათაშორისი ურთიერთობებიდან და მსოფლიო საზოგადოებრიობის მღელვარების საგანი ხდება. კავკასიაში არსებული ფეთქებადსაშიში მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ასევე ევროპას.

ერთი შეხედვით შექმნილი ვითარების მიზეზები ნათელია და ისინი საყოველთაოდაა ცნობილი. საქართველოს თვალსაზრისით ეს მიზეზებია რუსეთის მტრული პოლიტიკა, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერით გამოიხატება, რუსეთის წყურვილით აღადგინოს ოდინდელი იმპერია და გააფართოვოს სამხედრო ზეგავლენა მეზობელ ქვეყნებზე. რუსეთის თვალსაზრისით ეს მიზეზებია საქართველოს მისწრაფება ევროკავშირისა და ნატოსკენ, აშშ-სა და ნატოს შეიარაღებული ძალების სახიფათო სიახლოვე.

ასეთი სიტუაცია არანორმალურია, რადგანაც საქართველო და რუსეთი ბუნებრივი მოკავშირეებია საერთო მოსალოდნელი საფრთხეების წინაშე.

სტატიაში განხილულია ცივილიზაციათა საერთო საფრთხეები და კიბერნეტიკული მიდგომის გამოყენებით გაკეთებულია მცდელობა იმ გზების ძიებისა, რომლებითაც შესაძლებელია გადაილახოს არსებული სირთულეები.

გიორგი ბაღათურია

Russian-Georgian Relations and European Security

Negative attitude between Russia and Georgia goes away from intergovernmental relations and become the subject of anxiety of world community. The explosive international climate in Caucasus is danger for European security as well.

From the point of the first view the reasons of such situation are clear and they are well known for everybody. From Georgian point of view these reasons are - animosity of Russia that expressed by its explicit supporting of separatist regimes in Abkhazia and Tskinvali region; Russian itch for restoration of the past empire and to extend its military influence. From Russian point of view these reasons are – Georgian aspiration for NATO and EU, hazardous occurrence of military camps of USA or NATO, which are in posse hostile forces to Russia

Such situation is abnormal because of Georgia and Russia are the natural allies against approaching common dangerous of the future. But the enemies of Georgia and Russia “ably” graved damage to Russian-Georgian relations.

The goal of the article is to discuss the common dangers of civilization and made an attempt to find the ways to meet the crisis of mutual distrust between Georgia and Russia in accordance with cybernetic model of management.

Giorgi Bagaturia

საქართველო – ევროპული ქვეყანაა

რა არის ის მთავარი ღირებულებები და შესაძლებლობები რაც საქართველოს ევროპულ ქვეყნად ხდის? უპირველეს ყოვლისა ესაა მთლიანად საქართველოს ისტორია, ქართველთა მისწრაფება ევროპისაკენ, საქართველოსა და ევროპული ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური მენტალიტეტისა და ეკონომიკური სისტემების მსგავსება. მრავალი ისტორიული პროცესი, რაც ევროპის სიამაყეს წარმოადგენს საქართველოში იმავე დროს ან უფრო ადრე ხდებოდა – ქრისტიანობის მიღება, კერძო საკუთრების ინსტიტუტი (რაც ძალიან სერიოზული პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს რუსეთის იმპერიის ეკონომიკურ სისტემაში ჩასართავად), ფეოდალური დაქუცმაცებულობა, რაც მეორე მხრივ თანამედროვე დემოკრატიული წყობილების ერთ-ერთი წყაროა (აბსოლუტური ხელისუფლების შეზღუდვის ტრადიცია, რომელიც მაგნა ქარტაზე ადრე წარმოიქმნა). კულტურული აღორძინების დასაწყისი, ვახტანგ VI-ის კოდექსი, რომელიც იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროგრესული იყო, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომელშიც ქალთა უფლებებიც იყო გათვალისწინებული და ა.შ. ევროპისაკენ მისწრაფების პროცესში ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ „ჩვენ სახელმწიფოებს კი არ ვაერთიანებთ, ჩვენ ხალხებს ვაახლოვებთ ერთმანეთთან" (ჟან მონე).

ოთარ ბაღათურია

Georgia – European Country

What are the main features that make Georgia as a European Country? First of all this is a all Georgian history, the streaming of Georgians towards Europe, likeness of Georgia and European countries both social-political mentality and economic system. Many historical processes that are the subject of proud of Europe have been happened in Georgia earlier or at the same time - to adopt Christianity, the Institute of private property (that was the serious circumstance of including Georgia in the economic system of Russian empire). Feudal division that was at the other side as the source of modern democracy (tradition of limited of absolutely power earlier than Magna Carta) prohibition of capital punishment (XII century), beginning of cultural restoration, the Code of Vakhtang VI, the most progressive one of that time, the constitution of Georgia of 1921 with women rights and etc. We understand that as Jan Mone noted "EU doesn't unify the countries into one nation but chums up peoples with each other". **Otar Baghaturia**

მიღება საგარეო საქმეთა სამინისტროში

ნანა ციხისთავი

ტოლერანტობის მშენებლობის პერსპექტივების საკითხისათვის XXI ს-ის საქართველოში

სადღეისოდ, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრების პირობებში, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ენიჭება საზოგადოების ტოლერანტობის ხარისხს. უდაოა, რომ მულტიკულტურულ და მულტიკონფესიურ სახელმწიფოში მის გარეშე წარმოუდგენელია ნორმალური და ცივილური განვითარება.

XX სუკუნის ბოლოდან მოყოლებული აშკარაა სეკულარიზაციის საწინააღმდეგო ტენდენცია. იგი "რელიგიური აღორძინების" სახელითაა ცნობილი. ეს პროცესი დასავლურ საზოგადოებებშიც გააქტიურდა. აშკარად შეიმჩნევა დასავლური სამყაროს დესეკულარიზაციაც. ეს ტენდენცია თვალშისაცემია არა მხოლოდ დღევანდელ აშშ-ში, აზიურ ან მუსლიმურ სახელმწიფოებში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ და პოსტ–საბჭოთა ქვეყნებშიც. ამავე პერიოდში, პოლიტიკური ნეოლიბერალიზმი, მსოფლმხედველობრივ მატერიალიზმთან და ათეიზმთან ერთად, დისკრედიტირებული აღმოჩნდა პოსტსოციალისტური ქვეყნების მოსახლეობაში.

ერებსა და სახელმწიფოებში, სადაც გაჩნდა "სულიერების დაბრუნების ტენდენცია", პოლიტიკური რეფორმები ლეგიტიმაციას ტრადიციული კონფესიების მონაწილეობით იღებს. ასევე არ არის შემთხვევითი მეორე თვალსაჩინო ტენდენციაც. ახალი რელიგიური მიმდინარეობები, ფაქტობრივად, ყველა ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში სტრატეგიულ ალიანსში ხვდებიან არასამთავრობო სექტორის ძირითად ნაწილთან და ოპოზიციაში უდგებიან ძირძველ, ტრადიციულ კონფესიებს. კონფლიქტის ხაზი აშკარაა.

ისტორიას თუ გადავხედავთ, როგორც საქართველოს, ასევე ზოგადად კავკასიას (კავკასიის ყელს), ევროპისა და აზიის გასაყარზე, უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული ადგილი ეჭირა ყოველთვის. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, იგი ფაქტობრივად ყოველთვის, ცივილიზაციათა და იდეოლოგიათა გადაკვეთის თუ შეჯახების არენას წარმოადგენდა. უდაოა, რომ საუკუნეთა განმავლობაში, ეს რეგიონი, ცივილიზაციათა და იდეოლოგიათა აქტიურ ზეგავლენას განიცდიდა. ყოველივე მეტად საინტერესოდ აისახებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაზე, ტრადიციებსა და თვით იდეოლოგიაზეც. ასე რომ, ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, საუკუნეების განმავლობაში, დიდ ზეგავლენას ახდენდა აქ მცხოვრები ხალხების ჩამოყალიბების პროცესზე. როგორც ჩანს, სწორედ ზემოთჩამოთვლილმა ფაქტორებმა განაპირობა ძველთაგანვე ამ რეგიონის იდეოლოგიური სიჭრელე. ზოროასტრიზმი, ელინური და

ელინისტური კულტები, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი. აი, იმ ტრადიციულ, წიგნიერ რელიგიათა ჩამონათვალი, რომლებიც ადგილობრივი კულტების პარალელურად გავრცელდა და დამკვიდრდა კავკასიის ყელზე.

ორთოდოქსულმა ქრისტიანობამ, სომხურ-გრიგორიანულმა ეკლესიამ, კათოლიკობამ და ისლამმა (ძირითადად სუნიზმმა და შიიზმმა), საუკუნეებს გაუძლო და დღესაც ყველაზე მეტი მიმდევრები ჰყავს კავკასიაში.

XIX-XX სს-ში მრავალრიცხოვან კოლონისტთა მიერ კავკასიაში მოტანილი კონფესიები მართალია, ფართოდ ვერ გავრცელდა და არ ჰყავს დიდი მრევლი, მაგრამ, ფაქტია, რომ ისინი, თუნდაც უმცირესობაში, არსებობენ აქ და ქმნიან იმ ფონს, რომელიც დამახასიათებელია დღევანდელი საქართველოსა და ზოგადად კავკასიის იდეოლოგიური კალეიდოსკოპისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ნამდვილი რელიგიური ბუმი დატრიალდა. მრავალი რელიგიური მიმდინარეობა თუ სექტა შეეცადა ფეხის მოკიდებასა და დამკვიდრებას აქ. ამ პროცესს გარკვეულწილად ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა კომუნისტების მიერ 70 წლის განმავლობაში ფართოდ კულტივირებული ათეიზმის პოლიტიკა. ეს პროცესი რთულად დაიწყო და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს დღესაც. ამ გარემოებებმა გვიკარნახა, შეგვესწავლა პიროვნების, რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები თანამედროვე პირობებში. ეს სფერო ჩვენში დღესდღეობით ნაკლებადაა შესწავლილი. პრობლემის დელიკატურობის გამო, მკვლევართა უმეტესობა, გვერდს უვლის ამ საკითხს. იმავდროულად მას უამრავი ბარიერი ეღობება წინ. ესენია საზოგადოების მენტალობაში დამკვიდრებული ტრადიცია, სტერეოტიპები და იმავდროულად შიში და უნდობლობა სიახლისადმი. უნდა ითქვას, რომ ამ შიშს ზოგიერთი სექტისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი და უდიერი ქმედება კიდევ უფრო აღვივებს. უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პირობებში ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოკვეთილა იდეოლოგიათა ადგილი და როლი ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში. რელიგიებისა და სახელმწიფოს ურთიერთობებიც სერიოზულადაა დასარეგულირებელი.

ალბათ ამის გამო საზოგადოებაში ეს თემა ხშირად ტაბუირებულია და მასზე არ საუბრით, მიჩუმათებით ანდა მიჩქმალვით, ყურადღების არიდებით გვგონია რომ გადავწყვეტთ პრობლემას. არადა ეს თემა და, საერთოდ, ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია დასავლეთის ცივილიზაციაში. ვინაიდან ჩვენი ქვეყანა დასავლეთის ვექტორის გამყარებას აპირებს ე.ი.დასავლური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დანერგვა-განვითარებას ჩვენს საზოგადოებაში და დასავლური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მიღწევების პოპულარიზაციას; პირველ რიგში უნდა დავაკვირდეთ, შევისწავლოთ და

გავითვალისწინოთ, თუ რას აკეთებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები ტოლერანტობის უზრუნველსაყოფად თავიანთ სოციუმებში. ამ პრობლემის გადაწყვეტის ზოგიერთი ხერხი და მიდგომა ალბათ სამომავლოდ ჩვენს საზოგადოებასაც წაადგება. ამიტომ გადავწყვიტეთ ამ კუთხით განვიხილოთ ამერიკული მოდელი და წინა პლანზე წამოვწიოთ ის პრობლემები, რომლებიც აშშ-ში წარმატებულად არის დაბალანსებული, მეტადრე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აშშ დასავლურ სამყაროში ყველაზე რელიგიურ ქვეყნად ითვლება მულტიკულტურულობისა და მულტიკონფესიურობის ფონზე. აქვე დავძენთ ერთს. ჩვენ ვცდილობთ ობიექტურად მივუდგეთ რეალობას და ვიცით, რომ საქართველოს შემთხვევაში საქმე გვაქვს პატრი-არქალური, ტრადიციული ღირებულებების მქონე ერთან, რომლის ფორმირებაშიც უზარმაზარი წილი უდევს მართმადიდებლობას. მაგრამ საქართველოში ქართველების გარდა, მრავალად ცხოვრობენ სხვა ეთნოსები, რომლებიც სულ სხვა აღმსარებობებს მიაგებენ პატივს. ჩვენი ნაშრომის მიზანი ერთია, განვიხილოთ, თუ როგორი ურთიერთობებია რელიგიურ მიმდინარეობებსა და სახელმწიფოს შორის აშშ-ში. როგორ ვითარდება და რეგულირდება ისინი და აქედან გამომდინარე, როგორ ყალიბდება კომპრომისი მათ შორის. ვფიქრობთ, უპირველესი რაციონალური ელემენტი, რომელიც გამოადგება ჩვენს საზოგადოებას, სწორედ კომპრომისია. რეალობაა ის, რომ ქართული საზოგადოება მეტად მტკივნეულად განიცდის კომპრომისის დეფიციტს.

აშშ-ის არსებობის მანძილზე, დროთა განმავლობაში, სამოქალაქო საზოგადოებაში მკაფიოდ გამოიკვეთა სამი ძირითადი მახასიათებელი: მულტირასობრივი, მულტიკულტურული და მულტირელიგიური კომპონენტები, რომლებიც რეგულირდება ნაციონალური (იგულისხმება ამერიკული სოციუმი), ფედერალური, ლოკალური და ეთნიკურკულტურული კორპორატივიზმით. აქ ძირითადი წარმ-მართველია და ფაქტობრივად დომინირებს ანგლოამერიკული ნაცი-ონალური კულტურა.

აშშ-ს სამოქალაქო საზოგადოების იდეოლოგიის ჩამოყალიბება, XVII საუკუნიდან მოყოლებული, პროტესტანტული რელიგიების საფუძველზე ხდებოდა. რელიგიათა სიჭრელე დამახასიათებელი იყო ამ საზოგადოების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზეც, მაგრამ იმ პერიოდში აქ ბატონობდა ერთი – ქრისტიანული რელიგიიდან ამოსული პროტესტანტული მიმდინარეობები. დღესდღეობით კი ვხვდებით სხვადასხვა რელიგიების უამრავ განშტოებებს, მიმდინარეობებსა და სექტებს. ასე რომ რელიგიური სპექტრი ძალზე ჭრელია.

ამერიკული საზოგადოება თავისი გზით ვითარდებოდა. ამ გზაზე იგი ძალაუნებურად ჭრიდა ძველ ღირებულებებთან დამაკავშირებელ ძირითად ძაფებს. ფაქტობრივად ერთადერთი მნიშვნელოვანი ღირებულება, რომელსაც იგი ვერ შეელია, პროტესტანტიზმი იყო. აშშ-სთვის დამახასიათებელია დღენიადაგ ახლის ძიება და სწრაფვა

მისკენ. ასევეა განწყობილი ამ ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებაც. მისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე ახლდება და იცვლება სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და დემოგრაფიული რეალობა. იგივე ითქმის რელიგიების მისამართითაც. უკვე ჩამოყალიბებული, დიდი ტრადიციების მქონე ერებისაგან განსხვავებით, აშშ-ს სოციუმს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება ახასიათებს. მეტად დინამიური ამერიკული საზოგადოების თვალში უფრო პრესტიჟული და პრიორიტეტულია ის რელიგია, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ ახერხებს თვითგამოხატვას და ეფექტურად ეწევა თვითრეკლამას; არ უპირისპირდება სახელმწიფოებრივ ღირებულებებს; ითვალისწინებს მოსახლეობის გემოვნებასა და მოთხოვნებს; აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობ-ლემების განხილვასა და გადაჭრაში; არის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პარტნიორი და ერთგული მხარდამჭერი ახალი პროექტების განხორციელების საქმეში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რელიგიების მოთხოვნებსა და დოგმებს კი არ ეთვისება ეს საზოგადოება, არამედ რელიგიები უთავსებენ საზოგადოებრივ მოთხოვნებს საკუთარ თავს. ვფიქრობთ, ეს განპირობებულია "სამომხმარებლო საზოგადოებასთან" სპეციფიური დამოკიდებულებით, ვინაიდან სწორედ ასეთია ძირითადად საზოგადოება აშშ-ში.

აშშ-ს რეალობაში რელიგიური მრავალფეროვნება ერთ მიზანს ემსახურება. აქ, მძლავრი კონკურენციის საფუძველზე, რელიგიების გავლენა და პოპულარობა ან ძლიერდება და პარალელურად უფრო ფართო მასებზე ვრცელდება, ანდა პირიქით, სუსტდება და კარგავს მრევლს. ეს არის ძლიერი რელიგიების გადარჩევის საუკეთესო საშუალება. იგი ეხმარება სახელმწიფოს, კიდევ უფრო ვიწრო წრეში გააკეთოს არჩევანი, თუ რომელი კონფესია, რელიგია არის მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ აღიარებული და როგორ ეთავსება ესა თუ ის რელიგია, კონფესია სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რამდენ ხანს გაძლებს იგი – რელიგია ფავორიტის როლში და მომავალში შეინარჩუნებს თუ არა იგი პოპულარობას; რამდენად შეუძლია ამა თუ იმ რელიგიას მოერგოს სახელმწიფოს ორიენტირებს და შეასრულოს იდეოლოგიის როლი. ასეთ გავლენიან რელიგიებს შორის ვხვდებით როგორც ლიბერალურ, ასევე კონსერვატიული მიმართულების რელიგიებს. მაგალითად ბაპტისტებს, ევანგელისტებს, მორმონებს და მეთოდისტებს. ისინი გამოირჩევიან ძირითადად საზოგადოებრივი–პოლიტიკური აქტიურობით. ისინი რესპუბლიკურ პარტიას უჭერენ მხარს და მთელი თავიანთი მრევლით აქტიურად მონაწილეობდნენ 2000, 2004წ.წ. საპრეზიდენტო და კონგრესის არჩევნებში. ამერიკელების უმეტესობას მოსწონს აქტიური რელიგიები, რომლებიც ყველა საკითხზე თავიანთ პოზიციას გამოხატავენ.

ამერიკელებს "არჩევანის" და "რელიგიური თავისუფლების" გამოხატვის უფლება აქვთ და უნდა ითქვას, რომ აქტიურადაც

იყენებენ მას. საშუალოდ, ამერიკელი მოქალაქე თავის ცხოვრებაში 4–5-ჯერ იცვლის კონფესიას მისი გემოვნების, ცხოვრების წესისა და რელიგიური შეხედულების, ასაკისა თუ სხვა მახასიათებლიდან გამომდინარე. ასე რომ ხშირად ამერიკელები ერთიდან მეორე კონფესიაში გადადიან. ასეთი ქცევა არც ერთ კონფესიაში არ არის დაგმობილი.

ნათლად ჩანს, რომ კონფესიებს მძიმე კონკურენციის პირობებში უხდებათ ცხოვრება. ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან მრავალი მახასიათებლით. მაგალითად: საზოგადოებრივი მდგომარეობით; მთავრობისა და მმართველი პარტიისადმი დამოკიდებულებით; მიდგომებითა და დამოკიდებულებით იმ კონკრეტული პრობლემებისადმი, რომელიც აწუხებს საზოგადოებას და რომელსაც დღის წესრიგში აყენებს ცხოვრება. სწორედ მათი საზოგადოებრივი აქტიურობისა და სამომავლოდ მათი პოპულარობის ხარჯზე, იმ ფასეულობათა ორიენტირების მეშვეობით, რომელთაც ყველაზე მეტად აქტიური და პოპულარული კონფესიები გაუწევენ რეკომენდაციას, უნდა მოხდეს გამოკვეთა მთავარი კრიტერიუმებისა, რასაც სამომავლოდ დაეფუძნება ერთიანი ამერიკული რელიგია-იდეოლოგია.

ამ კუთხით, უპრიანია ვისაუბროთ იმ ბერკეტების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც ამერიკულ საზოგადოებაში გვარდება პრობლემური და აქტუალური საკითხები. გვინდა წინ წამოვწიოთ საზოგადოების შიგნით "შემაკავშირებელი ხიდების" შექმნის ტექნოლოგიები. ეს სიმბოლური ხიდები ერთიანი საზოგადოების შიგნით არსებული სხვადასხვა დიდი ჯგუფების მთავარი შემაკავშირებელი საშუალებებია. მათი აგება შესაძლებელია ძალზედ ღრმა უფსკრულებზე და ფართო მდინარეებზე. სახელმწიფოს ვალია ხელი შეუწყოს მასზე დაუბრკოლებელ ორმხრივი მოძრაობას.

ამჯერად ვისაუბაროთ სიმბოლური ხიდების მშენებლობაზე ამერიკის თანამედროვე რელიგიური შიდა ურთიერთობების რეალობებიდან გამომდინარე. ჩანს, რომ აქტიურად მიმდინარეობს ახალი გზების ძიება, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებენ და შეარბილებენ ამერიკის საზოგადოებაში რელიგიურ დაპირისპირებას. თანდათან ყალიბდება ისეთი ატმოსფერო, სადაც რელიგიური განსხვავებულობა აღქმული იქნება, როგორც დემოკრატიული მოძრაობისა და განვითარების ერთ-ერთი მექანიზმი. ბრუკლინის ხიდიდან ოქროს კარიბჭემდე, სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიური ტოლერანტობის ხიდის მშენებლობა არის უმნიშვნელოვანესი სადღეისო ამოცანა ამერიკის სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ხიდების გადებისა და მასზე თავისუფალი მოძრაობის გარეშე, აშშ-ს სამოქალაქო საზოგადოება რეალურად დანაწევრებული იქნება განსხვავებულ, ზოგჯერ დაპირისპირებულ რელიგიათა, ეთნიკურ ჯგუფთა და კულტურათა ანკლავებში.1

პოლიტიკის ბევრი მკვლევარი გვახსენებს, რომ ყველაზე წარმატებული მულტირელიგიური სახელმწიფოები მართულნი იყვნენ მკაცრი და მტკიცე ხელით მძლავრი იმპერიული და ავტორიტარული

რეჟიმების მიერ. ამის ნათელი მაგალითი იყო საბჭოთა კავშირიც, სადაც განსხვავება ეთნიკურობასა და რელიგიაში ერთ სიბრტყეზე იდგა. საფიქრებელია, რომ მისი სწრაფი დაშლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. იქ სადაც ტოლერანტობა იმპერიული პოლიტიკაა, იგი მყისიერად იმსხვრევა, რაც არ უნდა ხიდები აგო. დემოკრატიის პირობებში კი, ტოლერანტობის გარეშე არსებობა შეუძლებელია. სოციუმში ჩნდება კომპრომისი, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობს საზოგადოების მოწინავე, წარმმართველი ნაწილი. საჭირო გამჭრიახი, განათლებული და ენერგიული "ხიდების მშენებლები", რათა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად პლურალისტური საზოგადოება.

აშშ-ს კომპლექსურ სამოქალაქო საზოგადოებას დღესდღეობით კომუნიკაციათა ინფრასტრუქტურა კრავს და აერთიანებს. აქ ტოლერანტობის კლიმატი და პლურალიზმის ბრძოლისუნარიანობა დაცულია არა მხოლოდ ავტორიტარული ცენტრალური რეჟიმისაგან. მას გარკვეულწილად დაცვა ესაჭიროება აგრეთვე როგორც იმიგრანტების, ასევე ძირძველი კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობის მხრიდანაც. ამ შემთხვევაში ალბათ საჭირო შენარჩუნდეს ე.წ. "ოქროს შუალედი". ჩანს, რომ ამის დაბალანსებას ცდილობს თვითონ სამოქალაქო საზოგადოებაც.

რელიგიის მახასიათებლებს ამერიკაში გაუკვირვებიათ მეცნიერები ალექსის ტოკვილიდან მოყოლებული დღემდე. ამ უკანასკნელის გადმოცემით, აშშ-ს ზოგიერთი შტატი, რელიგიურად ნეიტრალური იყო. არადა მან კარგად იცოდა, რომ აშშ–ს სახელმწიფოს ერთ დროს რელიგიურმა უმცირესობებმა (ძირითადად პურიტანებმა) ჩაუყარეს საფუძველი. დღესდღეობით რელიგიური თავისუფლება კვლავ აქტუალური გახდა ამერიკულ სამოქალაქო საზოგადოებაში. გაჩნდა სრულიად ახალი რელიგიური თემები და ასოციაციები. მრავლად შემოვიდნენ ისინი გარედანაც. ამ ემიგრანტი ასოციაციებისათვის დღესდღეობით, როგორც ემიგრაციის ადრეულ ხანებში, მთავარია ხალხი, რომელიც თავისი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური იდენტურობით სოლიდარულია მისდამი.

საქალაქო და სადაბო დასახლებების მასშტაბით ჩვენ ვხვდებით სატაძრო ასოციაციებს და ისლამურ საზოგადოებებს. რეგიონული და მთლიანად – ქვეყნის მასშტაბით კი ჩნდებიან მსხვილი რელიგიური გაერთიანებები. ესენია მაგალითად: ამერიკული ბუდისტური ჯგუფები; ამერიკელ მუსლიმთა კონგრესი; ჩრდილოეთ ამერიკის ზოროასტრული ფედერაცია; ჩრდილოეთ ამერიკის იანის ასოციაციები და სხვა. ესენი ძირითადად არიან ნებაყოფლობითი ანუ მოხალისეთა ასოციაციები. მის მუშაობაში ხალხის ერთი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს, მეორე – არა.

აშშ-ს სამოქალაქო საოგადოებაში არსებობს აზრი, რომ "რელიგიები" არის არამომგებიანი კორპორაციები, და მათ სჭირდებათ დირექტორთა საბჭოები და არჩევნები, საწევრო სიები და ანგარიშები. ეს არგუმენტები, ხელისუფალთა ქმედებები და ფრაგმენტაცია ისე ზღაპრულად ჟღერს ახალი ამერიკული ტაძრებისა და მეჩეთების

ხელმძღვანელობაში, რომ ისინი ხშირად სტრესული და არაკონცენტრირებულია. ნდა ითქვას, რომ ეს ყოველივე მაინც მომდინარეობს ამერიკული სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების წესიდან. ოფიციალურად იგი რელიგიურ თემებს აძლევს არამომგებიანი ორგანიზაციის სტატუსს. სამოქალაქო საზოგადოებისთვის მისი პოზიტიური მხარე შემდეგში მდგომარეობს. რელიგიური თემები არის ადგილი, სადაც ახალი იმიგრანტები ძალდაუტანებლად იკიდებენ ფეხს, იღებენ გამოცდილებასა და პრაქტიკას საერთაშორისო დემოკრატიაში. ადრე ისინი მონაწილეობდნენ, ვთქვათ, სასკოლო საბჭოს არჩევნებში, ახლა კი მათ უნდა იმონაწილეონ ჰინდუს ტაძრის მმართველი ბორდის არჩევნებში. ადრე ისინი მიდიოდნენ და ირჩევდნენ ადგილობრივ და შტატის პოლიტიკურ მმართველობას. ახლა ისინი ასევე ახლოს ეცნობიან საკუთარი რელიგიის, მაგ. სიქხის, ჰინდუსა თუ მუსლიმთა ადგილობრივ პოლიტიკას.

რას ნიშნავს სადღეისოდ იყო ამერიკელი? მაიკლ ვალზერი აღნიშნავს, რომ ამერიკელი მოქალაქეები უპირველეს ყოვლისა იძენენ პოლიტიკურ კომპეტენციას თავიანთ ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ ასოციაციების შიგნით. ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოება არის დემოკრატიული პოლიტიკის სასათბურე გარემო. 2

ხიდების მშენებლობის ყველაზე პროგრესული და მნიშვნელოვანი შედეგი არის პოზიტიური პლურალიზმის ხელშეწყობა. იგი სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული რელიგიური და ეთნიკური განსხვავებების სრულუფლებიანი არსებობის წინაპირობას ქმნის. პარალელურად უკანა პლანზე გადადის აგრესია და იგნორირება. ამ მიზნით, ქალაქ ჩიკაგოში, 1993 წელს გაიმართა რელიგიური პარლამენტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ეს დღესასწაული მოამზადეს ამერიკელმა ქრისტიანებმა, რეფორ-მირებულმა იუდეველებმა და უნიტარიანელებმა, ისინი რელიგიური უნივერსალიზმის იდეის გარშემო გაერთიანდნენ. მათ რელიგიურ პარლამენტს "XX საუკუნის დილის ვარსკვლავი" შეარქვეს. 10 000 სტუმარი ჩავიდა ჩიკაგოში მთელი მსოფლიოდან, მათ შორის რელიგიური ლიდერებიც.

XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ჩიკაგოს მსგავსი ქალაქები იქცნენ გლობალური, ერთიანი სოფლის ნაწილებად. მათ განიცადეს იმიგრაციის უპრეცენდენტო მოზღვავება. სწორედ მათ წიაღში მოხდა ტრანსნაციონალური მოძრაობების განვითარება. ასე შექმნა წარმოუდგენელად დიდი კოსმოპოლიტური ურბანული არიალები3

ჩიკაგოში რელიგიური პარლამენტის მონაწილეები მივიდნენ ასეთ ერთიან დასკვნამდე. ისინი, მართალია, არ იცნობდნენ ერთიმეორეს, მაგრამ საოცრად უნდოდათ ერთმანეთთან საუბარი. ერთი თვის შემდეგ კი რელიგიურ პარლამენტთან ჩამოყალიბდა 14 "ადგილობრივი კომიტეტი", რომელშიც შედიოდა ჰინდუს, ბუდას, მუსლიმთა, ზოროასტრელთა და სხვა კომიტეტები. საყურადღებოა, რომ ყოველი

მათგანი პარალელურად მონაწილეობდა საერთაშორისო დელეგაციებში. თუკი 100 წლის წინ ზემოხსენებული ტრადიციების მატარებელი დელეგაციები სტუმრობდნენ ახლად დაარსებულ პარლამენტს, ახლა ჩიკაგოში განთავსებული იმიგრანტები იყვნენ მასპინძლები. 1993 წელს შეკრებილი პარლამენტის მთავარი გზავნილი ასეთი იყო: – "ჩვენ ყველანი აქ ვართ და ერთად ვართ". საყურადღებოა, რომ რელიგიური მოღვაწეები ჩამოვიდნენ არა მხოლოდ თავიანთი მშობლიური ქვეყნებიდან და ასევე ამ რელიგიების გავრცელების არიალებიდან, არამედ აშშ-ს სხვადასხვა შტატიდან და დიდი ქალაქებიდან (მეგაპოლისებიდან). იმავდროულად ეს ფაქტი ასევე ლოკალური მნიშვნელობისაც იყო. რამდენიმე დღის მანძილზე, მსჯელობის თემად იქცა "გლობალური ეთიკა". ეს დისკუსია მდიდარი და ენერგეტიკული იმპულსებით აღსავსე იყო. რელიგიათა მესვეურები, რა თქმა უნდა, არ შეთანხმდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ რელიგიური ბაზა ეყრდნობა მარტოოდენ ისეთ ეთიკურ დირექტივას, როგორიცაა "არა კაც ჰკლა". დისკუსიის მონაწილენი რამოდენიმე დღის მანძილზე ეძებდნენ არა განმასხვავებელ ნიშნებს მათ შორის, მაგ. რაც ეხებოდა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემას, არამედ იმ ზოგად სტანდარტებს, რაც შეიძლება იყოს გამაერთიანებელი. საბოლოოდ "გლობალური ეთიკა" გაფორმდა, როგორც საბაზო ნათელი პრინციპების თავმოყრა, რაც ყველა რელიგიას შეკრავს და ერთ პოზიციაზე დააყენებს კონკრეტული გლობალური პრობლემების გადასაჭრელად. იგი შეიძლება, ერთი შეხედვით, ძალზედ უმნიშვნელოდ გამოიყურებოდეს, მაგრამ თუკი ხალხი მას ჭეშმარიტად გაითავისებს, სამყარო მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ხიდების მშენებლობის საკითხს. "ვფიქრობთ, ალბათ უნდა მოიძებნოს რაღაც ხერხი თუ საშუალება, თუნდაც, "მრგვალი მაგიდა", სადაც ჩვენ შეგვეძლება გულწრფელად გავუზიაროთ ერთიმეორეს ჩვენივე შეხედულებები რწმენაზე და ილუზიების გარეშე ვისაუბროთ განსხვავებებზე". – ნათქვამია ერთ-ერთ დადგენილებაში. "რელიგიური პარლამენტის მიზანი არაა, გამოიძებნოს ან შეიქმნას საერთო რწმენა, რომელიც ყველას მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, ანდა რწმენის ერთი ნაირგვარობის დაკნინება და მეორის აღზევება. მიზანი გაცილებით სხვაა: ესაა თავმოყრა სხვადასხვა რწმენისა სახეცვალებად და მშენებარე საზოგადოებაში როგორც კეთილი მეზობლებისა და არა ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული კონფესიებისა".

ამ პირობებში ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება რელიგიათა მრავალფეროვნება ემსახუროს მრავალრიცხოვანი თემების ინტერესებს? ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი, რომელიც აშშ-ში წარმატებულად მოქმედებს, არის ინტერრელიგიური საბჭოების შექმნა და მუდმივი კონტაქტი და დიალოგის ფორმის ურთიერთობა მათ შორის. ამავე დროს რელიგიური ორგანიზაციებისა და კონფესიების დიალოგი აუცილობელია თვით საზოგადოებასთან. აშშ-ში აქ წინ

არის წამოწეული ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა რელიგიური ტრადიციები და მათი დაცვა, რელიგია და განათლების სისტემა, შიდსის პრობლემა, ტოქსიკომანია, ძალადობა, შიმ-შილის პრობლემა, უსახლკაროთა პრობლემა, იარაღის კონტ-როლი საზოგადოებაში, რასობრივი და ეთნიკური პოლა-რიზაცია. ყველაზე მეტად პოპულარული აქტივობა არის ყო-ველწლიური ინტერრელიგიური მუსიკალური ფესტივალი, სა-დაც ყველა კონფესია მონაწილეობს. იგი საბოლოოდ საყოველ-თაო ზეიმად იქცევა ხოლმე. ფესტივალი გრანდიოზულ მასშ-ტაბებს იძენს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია როგორც კონფე-სიათაშორის ურთიერთობებში, ასევე კონფესიებისა და საზოგა-დოების ერთიანობისათვის. იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ საზოგადოების ტოლერანტობის უმაღლეს ხარისხს.

სადღეისოდ ასეთია აშშ-ს სამოქალაქო საზოგადოების მულტიკულტურული და მულტიკონფესიური სახე. იგი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა ამერიკული სახელმწიფოს ისტორიაში. საუკუნეების განმავლობაში ასე ჩამოყა-ლიბდა პოზიტიური მულტირელიგიური საზოგადოება შოვინიზმისა და რელიგიური ტრიუმფალიზმის გარეშე. იგი იქცა საზოგადოების ისტორიის უმნიშვნელოვანეს შემად-გენელ ნაწილად. უნდა ითქვას, რომ ახალი მულტიკონფესიური ამერიკის ისტორია ჯერაც დაუსრუ-ლებელია თავისი ნაციონალურ და გლობალურ ჩარჩოებში. სწორედ იგი კრავს ერთ მუშტად ამერიკელებს და განაპირობებს მათ ნაციონალურ ერთობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Edwin Gaustad, Leigh Schmidt, The Religious History Of America, San Francisco, 2002, p 255-257; 299-301; 398-400;
2. Rodney Stark and William Sims Bainbridge, The Future of Religion, Un-ty of C-a, Berkley and L-a, 1985, p 394; 427-429; 506-507;
3. Diana L.Eck, A New Religious America, San Francisco, 2001, p 335-337; 340-342;

Summery
Nana Thsixistavi
To a question of prospects of construction of tolerance in Georgia in XXI century

Nowadays, when we are building democratic state and liberal values, it is very important the degree of tolerance, because without this in the multicultural and multiconfessional state it is impossible to achieve the normal and civil development. If we revise the historical dynamic of the states, which were located on Caucasus, it would not be strange for us the ideological diversity of this region since old times.

The Orthodox Christianity, Armeno-Grigorian Church, Catholic Church and Islam had very strong base in Caucasus and they had endured very many difficulties through centuries. That's why these religions have many followers in Caucasus nowadays.

As a result of Russia Empire's politics in Caucasus, in Georgia had been existed the settlements of Lutheran and Mennonite Germans, Malakhan and Dukhobor Russians. Later, at the beginning of XX-th century, here, in Caucasus existed the Baptists and the representatives of different confessions.

In XIX-XX centuries, in Caucasus the religions, which were brought by the colonists, in a fact, were not very popular and had not a big influence on local population, but they are officially existent and are creating the ford, which is characterizing the ideological diversity of Caucasus.

Thus, in contemporary times, in Caucasus, and concretely in Georgia it is very important to foresee our historical heritage and modern situation. We should realize those circumstances, that multiculturalism and the religious diversity needs very much the tolerance and the freedom of choice in society.

The evoluating of American society since XVII century was formed on the base of protestant religions. The diversity of religions was characterased to earli periods of formulating this society. But in those times here dominated the several protestant denominations, which was rised from one Christian religion. Nowadays there are different religions and denominations. Thas, the religious quantity is very diverse. Several times passed and in American civil society had been clearly selected three main characteristics: multiracial, multicultural and multireligious components, which are regulated by national(American nation), federal, local and ethno-cultural corporativizm. Here - the main and dominant condition has the Anglo-American national culture.

The American society worked out s.c."bridge-building" technologies for approximate religions and the existence of dialogue between them. The duty of state is to stimulate the mutual traffic on these kind of bridgies withought obstruction. Nowadays it is actively currents to search the new ways, which would diminish very much and soften the religious oppose in American society. Step by step it has been formulating the atmosphere, where the religious differences would be adopted as a mechanism of democratic movement and development.

Резюме

Нана Цихистави

К вопросу перспектив стройтельства толерантности в Грузиии в XXI веке

Сегодня, когда мы строим демократическое государство и либеральные ценности, важную функцию имеет степен толерантности социума. Безспорно, что в мултикультурном и мультиконфесиональном государстве, без толерантности, невозможно нормальное и цивилизованное развитие. Если мы перелистаем историю государств, которые образовались на

территории Кавказа, для нас будет наглядным с давних времён идеологическая пёстрота этого региона.

Православная христианство, Армяно-григорианская церьковь, Католичество и ислам (как суннизм, также шиизм) устояли в веках и сегодня у них много приверженцев.

Из за Кавказской политики Российской Империи, в Грузии появились немецкие лютераны и менониты, русские малаканы, духоборы и староверы. Позже, в начале XX века, здесь появились бабтисты и представители других конфесии.

В XIX-XX веках, многие принесённые религии на Кавказе, не были широко распространены и никогда не имели много приверженцев, но факт, что они - будучи в меньшенстве - сегодня существуют и создают тот фон, что характеризует сегодняшную Грузию и вообще - кавказский идеологический калейдоскоп.

Думаем, что на сегодня на Кавказе и в частности, в Грузии, нужно учесть нашу историческую потомственность и сегодняшную ситуацию. Нужно учесть также, что в условиях мультикультурности и религиозной пёстроты объязательно нужно внедрять в обществе толерантность и свободу выбора.

Формирования общества США с XVII века происходила на почве протестантских религии. Пёстрота религии была характерной чертой в становлении этого общества с ранних времён. Надо отметить, что в тот период там были господствующими конкретное число протестантских религии, которые появились из одной - христианской веры. Сегодня в США мы встречаемся с разными религиями и их ответвлениями. Так, что религиозный спектр здесь очень пёстр. В обществе США выделились три главных штриха: мультирассовые, мультикультурные и мультирелигиозные компоненты, которые регулируются национальным, федеральным, локальным и етно-культурным корпоративизмом. Здесь главный локомотив _ англо-американская национальная культура.

Американское гражданское общество для того, чтобы религии были близки друг с другом и был бы диалог между ними, сконструировала т. н. “Воссоединение при помощи мостов” т. е. технологии стройтельства. Долг государства, приложить усилия, чтобы на этих мостах существовало двухстороннее движение. Сегодня активно ведётся пойск новых путей, которые по большому счёту сократят и смягчат в Американском обществе религиозное противостание. Постепенно складывается та атмосфера, где религиозное различие будет восприниматся, как механизм развития и демократического движения.

როზა გაფრინდაშვილი

სახელმწიფოებრივი აზროვნების კვლევა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებში

კვლევაში მონაწილეობდნენ ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების კათედრასთან არსებული სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომლები: ვანო ჭიაურელი, ბუდუ დეკანოიძე, სერგო ლომინაძე, დათო თაქთაქიშვილი, ანზორ ძამაშვილი, ნოდარ გულბანი, როზა გაფრინდაშვილი;

ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურული წინსვლა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, აზროვნებს თუ არა სახელმწიფოებრივად საზოგადოება, განსაკუთრებით კი მომავალი თაობა, ანუ რამდენად აქვთ მათ გაიგივებული საკუთარი და სახელმწიფო ინტერესები; ამიტომ, კვლევის ძირითადი აქცენტი ამ მიმართულებით იქნა წარმართული.

სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ნაკლი ისიც იყო, რომ არ მოხდა საზოგადოების მიერ საკუთარი და სახელმწიფო ინტერესების გაიგივება-გათავისება. უმრავლესობისთვის უცხო იყო სახელმწიფო ინტერესები, რის გამოც მოქალაქეები იოლად ურიგდებოდნენ ისეთ მანკიერებებს, როგორიც მექრთამეობა-კორუფცია, გამომძალველობა, გამფლანგველობა და სხვა, განვითარების დამამუხრუჭებელი ფაქტორებია. ყოველივე ამან, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული სიდუხჭირე.

ამიტომ დავისახეთ მიზნად სტუდენტთა სახელმწიფოებრივი აზროვნების კვლევა; მივიჩნიეთ, რომ მისი სოციოლოგიური შესწავლა, მხოლოდ კითხვების დასმითაც კი, ხელს შეუწყობს ჯანსაღი პოზიციის ჩამოყალიბებას; მასზე ზემოქმედების რაციონალური მეთოდების შემუშავება კი მომავალი სახელმწიფოს ძლიერებას შეუწყობს ხელს.

რამდენად აცნობიერებენ სახელმწიფოსა და საკუთარი ინტერესების ერთიანობას ჩვენი სტუდენტები, რა ინტერესები და მიზნები აქვთ, როგორ ხედავენ თავიანთ ადგილს საზოგადოებაში, აპირებენ თუ არა სახელმწიფოს სამსახურში ჩადგომას, არიან თუ არა მზად პოლიტიკური აქტიურობისათვის, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვისათვის; ფიქრობენ თუ არა განვითარების პროცესში წვლილის შეტანას და ა.შ.?

ეს იმ კითხვების ნაწილია, რაზე პასუხიც ერთგვარ წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენი შვილებისა და ქვეყნის მომავალზე. ასევე ჩვენს რეალურ როლზე მათ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში.

კვლევა ჩატარდა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის პირველ, მეორე და მესამე კურსებზე, საბანკო საქმის, სახელმწიფო მართვის,

მთარგმნელ-რეფერენტის, სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის, ტექნიკური რეჟისურის, სამართალმცოდნეობის, რეპორტიორის, კონფლიქტოლოგიის, ჟურნალისტიკის, საზოგადოებრივი ურთიერთობების და ქალაქის მენეჯერის სპეციალობებზე.
მიღებული შედეგები ასეთია:

1. პირველ რიგში ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მოსაზრებით აირჩიეს სტუდენტებმა თავიანთი სპეციალობა; ამ კითხვაზე პასუხი ჩვენ წარმოდგენას გვიქმნის მათ დამოკიდებულებაზე თავისი მომავალი ცხოვრების დაგეგმვის მიმართ.

აღმოჩნდა, რომ სტუდენტების უმრავლესობას (84,6%) სპეციალობა საინტერესოობის მიხედვით აურჩევია.
უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ახალგაზრდებს მომავალი მოღვაწეობისათვის, გარეფაქტორების ხელშეწყობის შემთხვევაში, წარმატების დიდი შანსი ექნებათ, რამდენადაც მათ საამისოდ აუცილებელი შინაგანი სტიმული – საქმის ინტერესი და მაშასადამე სიყვარულიც გააჩნიათ.

ქვეყნის საჭიროებაზე კი მხოლოდ მათ 6,5 პროცენტს უფიქრია.

სტუდენტთა კიდევ უფრო მცირე ნაწილს აურჩევია სპეციალობა პრესტიჟისა (5%) და სარფიანობის (5,7%) მიხედვით.

თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, თანამედროვე ახალგაზრდები, ნებისმიერი არჩევანისას (მათ შორის სპეციალობისაც), უფრო პრაგმატულები ანუ შედეგებზე ორიენტირებულები არიან (იხ. ამერიკელი სოციალ-ფსიქოლოგის, დევიდ მაიერსის „სოციალური ფსიქოლოგია” 1998). ამის გამო, მიღებული მაჩვენებელი (5,7%) ეჭვს იწვევს; ან ჩვენი ახალგაზრდები არიან ნაკლებ პრაგმატულები თავიანთ დასავლეთელ თანატოლებთან შედარებით, ან ნაკლებად გულწრფელები. ასეთ შემთხვევაში მათი არაგულწრფელობა ძველი მენტალიტეტით შეიძლება აიხსნას, რაკი სოციალისტური იდეოლოგიის მიხედვით მოგება-სარფიანობაზე ორიენტირებული არჩევანი, ყველა შემთხვევაში მანკიერებად მიიჩნეოდა.

რაც შეეხება სპეციალობის პრესტიჟულობის მიხედვით არჩევის დაბალ პროცენტს (5%), აქ დაეჭვების საფუძველი ნაკლებად არსებობს, მითუმეტეს, რომ წინა წლების გამოკვლევების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მან მნიშვნელოვნად დაიკლო (ძველი გამოკვლევის მიხედვით ეს მაჩვენებელი 55,4% იყო).

აღნიშნული დინამიკა ჩვენ დადებით ტენდენციად მივიჩნიეთ, რაკი პრესტიჟულობის მიხედვით მომავლის დაგეგმვა ჩვენს ღატაკ ეკონომიკას ნაკლებად წაადგება; თუმცა, წარმატებები და სულიერი კმაყოფილება არც ასეთი სტიმულების შემთხვევაშია გამორიცხული. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ არჩეული სპეციალობა „მოდაში” იყოს. საკმარისია მის მიმართ ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესი შენელდეს, რომ კადრების სამოღვაწეო სტიმულებს და მაშასადამე

წარმატებებსა და სულიერ სიმშვიდე-კმაყოფილებასაც საფრთხე დაემუქროს.

ასე დაემართა, მაგალითად სამედიცინო პერსონალის ან უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების უმრავლესობას; როგორც კი ქვეყანაში ამ სპეციალობებმა დაბალი ანაზღაურების გამო პრესტიჟულობა დაკარგა, ბევრი იმათგანი მატერიალურთან ერთად სულიერ კრიზისშიც აღმოჩნდა.

იგივე შეიძლება ითქვას „ჩემთვის საინტერესოას" მოტივაციაზეც.

ზოგი ჩვენთაგანის აზრით, „პირადი შემეცნებითი" ინტერესებით მოღვაწეობის ეკონომიკური ეფექტი ფრიად შორეული მომავლის პერსპექტივაში ჩანს; ამ „ფუფუნების" უფლება კი ქართველ ახალგაზრდებს, ჯერჯერობით ნამდვილად არააქვს. ეს მაშინ, თუ „პირად ინტერესებში" მატერიალური დაინტერესება ანუ სარგებლიანობა არ იგულისხმება (რაც, სამწუხაროდ, ჩვენ არ დაგვიზუსტებია). საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელის გარეშე პიროვნების თვითმყოფადობა-თავისუფლება შეუძლებელია, რაკი მისი არსებობისათვის აუცილებელი პირო-ბები სხვაზე (მშობლებზე, ნათესავ-მეგობრებზე, სხვადასხვა ჰუმანიტარულ ღონისძიებებზე და ა.შ.) არის დამოკიდებული. „სხვისი მოიმედეობა" კი პიროვნების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას და დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს.

ინდუსტრიული საზოგადოება სპეციალისტის პროფესიონალიზმს შრომის ისეთი ანაზღაურებით აღწევს, რითაც მუშაკი არსებობას მაინც შეძლებს. ამიტომ, სპეციალობის არჩევისას შემოსავლიანობით (ანუ „სარგებლიანობით") დაინტერესება „იქ" არავის უკვირს. ჩვენს გამოკვლევებში კი, შრომის ანაზრაურების, ანუ ცხოვრების საშუალებებისადმი ახალგაზრდების „დაუინტერესებლობაში" ჯერ კიდევ იგრძნობა სოციალიზმის დროინდელი „სიმორცხვე". სამწუხაროდ, სოციალისტური იდეოლოგია ეკონომიკაზე ორიენტირებული მხოლოდ თეორიულად (სიტყვით) იყო. რეალურად კი ქვეყანა მორალიზებისა და ენთუზიაზმის იმედად იყო მიტოვებული.

ამიტომ, ვფიქრობთ, თანამედროვე სიდუხჭირეში სტუდენტთა უმრავლესობას მომავალი ცხოვრების ეკონომიკური დაგეგმვა თუ არ აინტერესებს, ეს შეიძლება მათი უდარდელობით ან ძველი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი აზროვნების ინერციით (გადმონაშთით) აიხსნას. უფრო დიდი ალბათობა კი გამოკითხულთა არაგულწრფელობა უნდა იყოს.

2. შემდეგი კითხვა, რაზეც რესპოდენტებს პასუხი უნდა გაეცათ, იმის გარკვევა იყო, თუ რას აპირებენ ისინი სწავლის დასრულების შემდეგ.

შეკითხვა ასე იყო ფორმულირებული; – აპირებთ თუ არა სახელმწიფო სამსახურში ჩადგომას და რატომ? (თავისი შესაძლო პასუხებით).

აღმოჩნდა, რომ სტუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი (35,5%) მზადაა ჩადგეს სახელმწიფო სამსახურში, „რადგან შემიძლია ქვეყანას სარგებლობა მოვუტანო".

ამგვარი პასუხები დამაიმედებლად მივიჩნიეთ; მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ე.წ. „ცრუ ოპტიმიზმი", იგი მაინც მისასალმენელია, რაკი მასში ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვის პათოსი იგრძნობა. ხოლო რაკი სახელმწიფო სამსახურებში ჯერ კიდევ დაბალი ხელფასებია, ამ ახალგაზრდებს გამდიდრებაზე ოცნებას ნამდვილად ვერ დავწამებთ.

შრომის დაბალი ანაზღაურების გამო იქ სამსახურისგან თავს მხოლოდ 1,8% იკავებს. „თავშეკავებულთა" კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ იასინიც, ვინც სახელმწიფო სამსახურში „მხოლოდ მაშინ ჩადგება, თუ სხვა გზა არ ექნა" (9,6%).

მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ოპტიმიზმი „ცრუ", ტენდენცია – ემსახუროს ქვეყანას შრომის თუნდაც ძალზე მცირე ანაზღაურებით, მაინც მისასალმებელია.

ცუდი ისაა, რომ მესამე კურსელ სტუდენტთა უმრავლესობამ (53,1%) „ჯერ არ იცის რას გააკეთებს სწავლის დამთავრების შემდეგ".

სოციოლოგიური გამოკვლევა, რა მცირე ოდენობის რესპოდენტზეც არ უნდა ჩატარდეს, მაინც მთელი საზოგადოების სურათს უჩვენებს ისევე, როგორც „ერთი წვეთი წყლის ანალიზი მთელი ავზი წყლის შემადგენლობას". ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევთ სავალალოდ შევაფასოთ ჩვენი სტუდენტი-ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილის დაუდევარი (თუ უპასუხისმგებლო"?) დამოკიდებულება თავისი მომავალი ცხოვრების მიმართ. ამერიკელი სოციოლოგების აზრით, ამგვარი „სიმშვიდე" თუ „სოციალური ძილი" აღმოსავლური, კოლექტივისტური კულტურის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

ვფიქრობთ, ამ კატეგორიის ახალგაზრდები მშობლების ან სხვა ახლობლების მოიმედეთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ როცა ეს უცხოელი სოციოლოგები ინდუსტრიული, ინდივიდუალისტური კულტურის ქვეყნების მატერიალურ-ტექნიკურ პროგრესზე და აღმოსავლური, კოლექტივისტური კულტურის ქვეყნების ამ მხრივ ჩამორჩენაზე საუბრობენ, მიზეზად ფსიქიკურ ფაქტორს – „სხვის მოიმედეობას" ასახელებენ.

აქედან გამოდის დასკვნა – თუ რევოლუციური ცვლილებები ადამიანის ფსიქიკაში არ მოხდა, პროგრესი, როგორც მატერიალური ისე სულიერი, უსათუოდ ნელდება და სულაც წყდება, როგორც ეს სოციალისტურ ქვეყნებს დაემართათ.

აქედან გამომდინარე, ჩვენი გამოკვლევების შედეგად გაკეთებულ რეკომენდაციებში პროპაგანდაც უნდა გაეწიოს „საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის აღების ტრადიციას" და არც ის უარყოფითი შედეგები მივჩქმალოთ, რაც ამ კულტურებს ინდივიდუალისტურმა ცხოვრების წესმა მოუტანა; იგულისხმება მარტოობის, მიუსაფრობისა და სასოწარკვეთის განცდები, რამაც მკვეთრად გაზარდა

თვითმკვლელობების რიცხვი (დევიდ მაიერსი, „სოციალური ფსიქოლოგია").

3. დიდი პოლიტიკური აქტივობა უჩვენა პასუხმა კითხვაზე – წახვალთ თუ არა არჩევნებზე, თუ დარწმუნებული იქნებით რომ თქვენს ხმას მნიშვნელობა არააქვს?

ამ კითხვაზე დადებითად 99 პროცენტმა უპასუხა, მაგრამ ამათგან 12,1 პროცენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს მასში მონაწილეობის მიღებას, თუ რომელიმე პარტიის პროგრამა „სასარგებლო იქნება ჩემი გეგმებისთვისო"; 1,5 პროცენტი კი იმ შემთხვევაში, თუ იქ „ვინმე ჩემიანი იყრის კენჭსო".

ამ ახალგაზრდების „ანგარებიანობას" თუ არ გამოვეკიდებით, მოსაწონიც კია სტუდენტთა ამ ნაწილის პოლიტიკურ განწყობაში გარკვეული გეგმებისა და აქტივობისათვის მზაობა.

მაგრამ სტუდენტების გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა (70%) „ყველა შემთხვევაში, აუცილებლად..." მზადაა არჩევნებში პოლიტიკური აქტივობის გამოსაჩენად.

4. სახელმწიფოებრივი აზროვნების მაჩვენებლად მივიჩნიეთ კითხვა – წახვიდოდით თუ არა სამხედრო სამსახურში, თუკი გეცოდინებოდათ, რომ იქ ცუდი პირობებია?

პასუხების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეროვნული არმიის გაწვრთნისა და მის მიმართ ხელისუფლების ყურადღების გაძლიერების მიუხედავად, ახალგაზრდების სოციალიზმის დროუნდელ „პატრიოტულ შეგნებაში" ბევრი არაფერი შეცვლილა. მხოლოდ მათი 31,9 პროცენტი არის მზად სამხედრო სამსახურისთვის, რათა „მე და ჩემისთანებმა ქვეყნის თავდაცვა გავაძლიეროთო". დანარჩენი 68 პროცენტი ამ უმცირესობის ენთუზიაზმს არ იზიარებს. ამათგან, 36,2 პროცენტი, იქაური „ცუდი პირობების" ატანას „უსარგებლოდ" და „უაზრობად" მიიჩნევს. მხოლოდ 31,9 პროცენტი არის მზად სამხედრო სამსახურისთვის, რათა „მე და ჩემისთანებმა ქვეყნის თავდაცვა გავაძლიეროთო".

ასევე, 31,9 პროცენტმა არ იცის როგორ მოიქცეოდა; სტუდენტთა ეს კატეგორია ფიქრობს, რომ „ალბათ ამ საკითხის გადაწყვეტას მე არ შემეკითხებიანო".

ამ ერთი შეხედვით მორჩილებაში ფარული პროტესტი იგრძნობა და რომ არა სახელმწიფოებრივი იძულება, მათი დიდი ნაწილი, საკუთარი ნებით, სამხედრო სამსახურში არ წავიდოდა. ეს პასუხები მიგვანიშნებს, რომ „ურა პატრიოტიზმს" გაბატონებული მდგომარეობა არ უკავია ახალგაზრდობის ცნობიერებაში.

არავის ეეჭვება, ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე სამხედრო სამსახურის სასარგებლოდ ამ განწყობის შეცვლა რომ აუცილებელია; არც სტუდენტებთან ურთიერთობისას მათთვის ამ მოვალეობის შეხსენება და პროპაგანდის საჭიროებაა ზედმეტი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სპეციალისტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში

თავისი ადგილი ამ საკითხმაც უნდა დაიჭიროს. ცხადია არც ის უნდა დაგვავიწყდეს, „ცარიელი ენთუზიაზმის" მექანიზმი თანამედროვე ახალგაზრდებთან რომ არ „მუშაობს"; სანამ სამხედრო სამსახურისადმი ყურადღება და საყოველთაო პატივისცემა არ დაინერგება, არც პატრიოტული აღტყინება გაიზრდება.

5. სახელმწიფოებრივი აზროვნების გამოვლენად მივიჩნიეთ ისეთ კითხვაზე პასუხების გაანალიზება, როგორიცაა – თქვენ როგორ გაანაწილებდით კორუმპირებულებისაგან ამოღებულ თანხას?

ყველაზე დამაიმედებელ პასუხად მივიჩნიეთ რესპოდენტთა 58,5 პროცენტის პასუხი – რომელიმე მსხვილ საწარმოს ავამუშავებდი, სადაც ხალხი დასაქმდებოდაო. რადგან, თუნდაც ერთი გაუქმებული საწარმოს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, კადრების გადამზადება და საწყისი კაპიტალით უზრუნველყოფა, ბევრ სასიკეთო ცვლილებას გამოიწვევდა, ხალხის დასაქმებით დაწყებული, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხებით დამთავრებული.

ასეთი ოპტიმისტური ვარაუდები გამოიიწვია „რომელიმე მსხვილი საწარმოს ამუშავების" იდეამ.

რესპოდენტთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ (34,2%) უპასუხა – პენსიებს, ხელფასებს და დახმარებებს გავზრდიდიო... რამაც სევდისმომგვრელი ფიქრები იმის გამო გამოიწვია, რომ ისეთი ერთჯერადი ღონისძიებებით, როგორიც კორუმპირებულებისაგან ჩამორთმეული ქონებაა, პენსიების, ხელფასებისა და დახმარებების გაზრდა შეუძლებელია.

სტუდენტთა ერთ ნაწილს კი (6,7%) ამ საკითხზე საერთოდ არ უფიქრია. რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს ეს მაჩვენებელი, მაინც დასანანია, რადგან დიდი საქმეების განსახორციელებლად „მცირე" ენერგიის დაკარგვაც დასანანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ადამიანურ რესურსს ეხება.

6. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მრავალი მიზეზის გამო ჩვენი საზოგადოება სახელმწიფოსგან გაუცხოვებულია. ამის ერთერთი გამოხატულება სახელმწიფოსთვის გადასახადების დამალვის მანკიერებაა. არადა ყველამ იცის, რომ სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საგადასახადო მოსაკრებლებია.

ამ მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლის მიუხედავად (მოულოდნელი შემოწმებები, ჯარიმები, დახურვები და სხვა), არა და არ კლებულობს მსგავსი მანკიერებები. სოციოლოგების აზრითამგვარ იძულებით ზემოქმედებაზე უფრო ეფექტური, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის გაზრდა, სახელმწიფოს ინტერესების გათავისება და მის წინაშე პასუხისმგებლობის გაზრდაა. ამ მიმართულებით ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდი მომავალი გადამხდელების განწყობის შეცვლაა.

რამდენად სახელმწიფოებრივად აზროვნებენ ისინი და რას უნდა ველოდეთ მათგან, როცა თავად იქნებიან „მსხვილი" თუ „წვრილი" გადამხდელები?

ამის გასარკვევად ანკეტაში შემდეგი კითხვა შევიტანეთ: – თუ კერძო ბიზნესი გექნებათ, შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა სახელმწიფოსთვის შემოსავლების დამალვა, გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით?

შედეგები არცთუ მაინცდამაინც საგანგაშო აღმოჩნდა, რამდენადაც, გამოკითხულთა 50,3 პროცენტი კატეგორიულად უარყოფს მსგავს ქმედებას („არავითარ შემთხვევაშიო").

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ეს ახალგაზრდები რამდენიმე წლის შემდეგ უსათუოდ მოახერხებენ თავიანთი ახალგაზრდული იდეალების მიხედვით ცხოვრებას, მაგრამ მათი წინასწარი განწყობა მაინც დამაიმედებელია.

გამოკვლევამ მომავალ გადამხდელთა „მერყევი კატეგორიაც" გამოავლინა – 14,7 პროცენტი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. „თუ გამოძრომის შანსი მექნა, რატომაც არა! წერენ ისინი, რაც ფაქტიურად გადასახადების მომავალ დამმალველებს ნიშნავს. თუ მათ იმ 5,4 პროცენტსაც დავამატებთ, ვინც დღესვე აცხადებს „შესაძლებლად მიმაჩნიაო", მომავალ „ურჩ გადამხდელთა" მაჩვენებელი 20 პროცენტამდე იზრდება. მაგრამ თუ იმ 29,6 პროცენტსაც გავითვალისწინებთ, ვინც აცხადებს „ჯერ არ ვიცი, ან კი, ან არაო", მაშინ ეს მაჩვენებელი 49,7 პროცენტამდე გაიზრდება.

არც ისაა გამორიცხული, რომ მომავალი „ურჩი გადამხდელებიც" პატიოსან გადამხდელთა რიგებს შეუერთდნენ, მაგრამ სახელმწიფოსა და პიროვნების ინტერესების ერთიანობის სასარგებლოდ მათს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-მორალურ შეგნებაზე ზემოქნედება, სათანადოდ დახვეწილ-დამუშავებული მეთოდებით, საქმეს უტუოდ სასიკეთოდ წაადგება.

7. გამფლანგველობა, მექრთამეობა (კორუფცია), სახელმწიფო ქონების დატაცება-ქურდობა, გამოძალვა, ყაჩაღობა, ჩვენი საზოგადოების განუყოფელ და განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. მასთან ბრძოლა მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ერთ-ერთი სიძნელეთაგანი ამ მანკიერებებთან ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის შემწყნარებლური დამოკიდებულებაა.

სოციალიზმის დროიდან მოყოლებული, როცა სახელმწიფო საკუთრების განიავება, ადამიანის მიერ საკუთარი დოვლათის ხელყოფად არ განიცდებოდა (რაც ისევ და ისევ ადამიანის სახელმწიფოსგან გაუცხოვების სინდრომი იყო), ეს მანკიერებები, ზოგ შემთხვევაში საქებარ საქმედაც კი მიიჩნეოდა. ყველამ იცოდა ვინ იყო მექრთამე, გამომძალველი, გამფლამგველი თუ სახრლმწიფო ქონების დამტაცებელი, მაგრამ მათთან ურთიერთობას არავინ გაურბოდა, პირიქით, ზოგჯერ ხოტბასაც კი ასხამდნენ და აშკარად თუ მალულად, „მოხერხებულ", „მარიფათიან", „შანსიან" ადამიანებსაც კი

უწოდებდნენ. ასეთი დამოკიდებულება დღემდე გრზელდება, რაც ამ მანკიერებების შენარჩუნებას, მხარდაჭერას და ერთნვარ წაქეზებასაც კი ნიშნავს. ის ცალკეული შემთხვევები, როცა მოქალაქე (ე.წ. ჩამშვები) ცდილობს დანაშაულში (ქრთამის აღებაში) ამხილოს ჩინოვნიკი თუ არაჩინოვნიკი გამიმძალველი, არათუ სიმპატიას, არამედ ზიზღსაც კი იმსახურებს.

თუ ასეთ შემთხვევებს ვინმე შეისწავლის, აღმოჩნდება, რომ „ჩამშვებისადმი" მასას ზიზღი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეუფლება, როცა „ჩამშვები-დაზარალებული" საეჭვოდ გამდიდრებულ-გაქსუებული ადამიანია. „გამომძალველის" მიმართ კი თანაგრძნობა უჩნდება და „გამოძალვის" (კორუფციის) ფაქტი სამართლიანადაც კი მიაჩნია.

მაგრამ თუ ვინმე პენსიონერს ან უმუშევარს ვინმე რაიმეს სძალავს ანუ ქრთამს სთხოვს (მკურნალობისთვის, პენსიის ტავის დროზე მიღებისთვის, სამსახურის შოვნისთვის და სხვა), საზოგადოება მხოლოდ ამ შემთხვევაში გმობს ამ ოვლენას.
ამგვარად, გამოდის, რომ უკანონო გამდიდრება და მისი დაუსჯელობა შობს გამომძალვველს, რათა თავადაც უკანონოდ გამდიდრდს. ამიტომ იმსახურებს ზიზღს „დაზარალებული-ჩამშვები" და არა გამომძალველი. ის ერთეული შემთხვევები კი, როცა თვითონ გამოძალვის ფაქტი აღიქმება უსამართლობად და ხალხის ზიზღს იმსახურებს, როგორც იტყვიან ამინდს ვერ ქმნის.

„უკანონო გამდიდრება" სხვა მანკიერებებსაც კვებავს. ხალხი უკანონოდ გამდიდრებულებისათვის არამარტო გამოძალვას, არამედ მათს გაქურდვასაც და დაყაჩაღებასაც სამართლიანად მიიჩნევს და მხარს უჭერს, რითაც თავადაც დამნაშავეთა სამყაროს უერთდება. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ ძველ დროში გამოკვეთილა, რაც ნათლად ჩანს ქართულ ანდაზაში – ქურდის ქურდი ცხონდაო. ამიტომაა, რომ ზოგჯერ იმ „დანაშაულებრივ სამყაროს" ეპირფერებიან და ეტმასნებიან კიდეც (პირადი გამორჩენის ან უსაფრთხოების მიზნით).

საქმეს არ შველის ცალკეული მოწოდებები და დიდაქტიკური შეგონებები. ალბათ ისეთი მეთოდების დაძებნაც საჭიროა, რაც არ დაუშვებს ქვეყანაში „მანკიერი კანონების" არსებობას, უკანონო გამდიდრების წყაროებს გადაკეტავს და ადამიანში ადრეული ბავშვობიდანვე ჩანერგავს სხვისი დოვლათის მისაკუთრებისადმი ზიზღსა და შეუწყნარებლობას, მასებს კი საკუთარი შრომით გამდიდრების საშუალებას შეუქმნის.

მაგრამ, სანამ ეს მოხდება, მანამ ვეცადოთ გავარკვიოთთ რა დამოკიდებულება აქვს ჩვენს სტუდენტებს კორუმპირებული, ანუ მექრთამე სახელმწიფო მოხელის ან ე.წ. „კანონიერი ქურდების" მიმართ.

ამის გასარკვევად ანკეტაში შევიტანეთ კითხვა – მიმართავდით თუ არა დახმარებისათვის ცნობილ კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეს ან ე.წ. „კანონიერ ქურდს"? რაზეც არც თუ დამაიმედებელი პასუხი მივიღეთ:

გამოკითხულთა 10,3 პროცენტმა უპასუხა – „რატომაც არა! არანაირი შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვაო", 16 პროცენტმა – „თუ მიჭირს მივმართავ აბა რააო!", ხოლო 40,8 პროცენტმა – „წინასწარ არ ვიციო"; გამოდის, რომ რესპოდენტების 67 პროცენტი უარს არ ამბობს დამნაშავეთა სამყაროსთან მეგობრულ ურთიერთობაზე და „გაჭირვების შემთხვევაში" მათი დახმარების იმედიც კი აქვს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „გაჭირვება" ფრიად შეფარდებითი ცნებაა, გასაგები გახდება რატომ „უჭირთ" ჩვენში ყველას – მხოლოდ ლუკმაპურისამარა დარჩენილ პენსიონერსაც, დაბალხელფასიან პროფესორსაც და მაღალანაზღაურაბად ჩინოვნიკსაც. ტელეეკრანიდან ყველას გვინახავს როგორ წუწუნებენ ჩვენი ხელისუფლების მაღალხელფასიანი ჩინოვნიკები თავიანთ „გაჭირვებაზე" და ხშირად თავს გვაცოდებენ – მეგობრები მეხმარებიანო...

მაგრამ ვინ არიან „მეგობრები?" ცხადია მათივე ხელშეწყობით, უკანონოდ ან მანკიერი კანონიების წყალობით გამდიდრებული დამნაშავეები და კორუმპირებულ-გამომძალველიმოხელეები, რაკი, სამწუხაროდ, არც იმდენი მდიდარი ბიზნესმენი გვყავს, ჩინოვნიკებისა და ახლობელ-ნათესავების მთელი არმია შეინახოს.

გამოკითხულთა მხოლოდ 32,8 პროცენტი ამბობს – ვფიქრობ, ასეთი ადამიანის დახმარებაზე ყველამ უარი უნდა თქვასო;

როგორც ჩანს, ასეთი სიციალური განწყობის პირობებში, ამ მანკიერებებს, ქვეყნის „გამდიდრების" შემთხვევაშიც კიდევ დიდხანს არ ეშველება, რამეთუ „სიმდიდრეც" ისეთივე შეფარდებითი ცნებაა, როგორც „სიღარიბე".

ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ ჩვენს რეკომენდაციებში შევიტანოთ უმცროსი სასკოლო ასაკიდან ამ მანკიერებებისადმი შეუწყნარებლობის აღზრდა, რასაც ზემოქმედების მეთოდების სათანადოდ დამუშავების მიზნით სპეციალური პროექტების შედგენა, დაფინანსება და კვლევა დასჭირდება.

დასკვნა: ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა სახელმწიფოებრივ დონეზე აზროვნებს, რაც უკეთესი მომავლის გარანტად შეიძლება მივიჩნიოთ.

მაგრამ ისეთი ტენდენციებიც გამოიკვეთა, რაც კორექციას საჭიროებს.

კერძოდ, გამოკითხულთა დიდი რაოდენობა (84,6%) სპეციალობის არჩევის მოტივად „პირად ინტერესს" ასახელებს, რაც ზოგიერთი ჩვენთაგანის აზრით შემეცნებით ინტერესებს გულისხმობს, ხოლო „სარფიანობას" (შემოსავლებს) მხოლოდ მათი 5,4 პროცენტი.

რაკი პრაქტიკულ სარგებლიანობაზე არაორიენტირებულმა მეცნიერებამ სიციალისტურ წყობილებას სასურველი მატერიალური

სიუხვე ვერ შეუქმნა, მდიდარი ქვეყნების მიბაძვით, ჩვენს რეკომენდაციებში მოზარდი თაობისთვის ძველი მენტალიტეტის დაძლევისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებაც შევიტანეთ; მივიჩნიეთ, რომ ახალმა თაობამ საბაზრო ეკონომიკისათვის შესაფერი მომგებიანობა-სარფიანობის თვალთახედვითაც უნდა შეხედოს თავიანთ მომავალ საქმიანობას, რაკი „მოგება" და „სარფა" მხოლოდ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეებს ახლავს.

არასასურველ და თანამედროვეობისათვის შეუფერებელ ტენდენციად მივიჩნიეთ ისიც, რომ სტუდენტების დიდმა ნაწილმა (33,1%) „ჯერ კიდევ" არ იცის, რას გააკეთება სწავლის დამთავრების შემდეგ (ისიც აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა მესამეკურსელია), რაც იმის ეჭვს ბადებს, რომ სტუდენტების ეს კატეგორია, სხვის მოიმედეთა" რიგებს ეკუთვნის, რაც, ცხადია სასურველი არაა.

ამიტომ, აღმზრდელობით ღონისძიებებში მომავალი თაობისათვის თავიანთ მომავალ ცხოვრებეზე ასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავების ეთოდების შემუშავებაც შევიტანეთ.

სტუდენტები არც სამხედრო - სავალდებულო სამსახურისადმი მაღალი მოვალეობით გამოირჩევიან. მათი უმრავლესობა (68,3%) ამ მოვალეობის მოხდას „უსარგებლოდ" და „უაზრობად" მიიჩნევს. ხოლოდ 31,9 პროცენტი არის მზად ამ სამსახურისთვის. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არაა საკმარისი სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი ზრუნვა და ყურადღება, რათა ახალგაზრდებში პატრიოტული აღტყინება გაიზარდოს; ხელისუფლებას ამ მხრივაც ყურადღების გამახვილება მოუწევს – მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყა-ლიბების მიზნით ახალი აღმზრდელობითი ღონისძიებების მიფიქრება და მისი ცხოვრებაში გატარება არც ამ მხრივ იქნება ზედმეტი.

არაჯანსაღი დამოკიდებულება გამომჟღავნდა სახელმწიფო გადასახადების მიმართ; მართალია გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (50,3%) კატეგირიულად უარყოფს შემოსავლების დამალვას გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, მაგრამ ისინიც საკმაოდ ბევრნი არიან, ვინც ამას აპირებს (49,7%) ანუ ამ აზრისაა გამიკითხულთა თითქმის ნახევარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი, სავარაუდოდ, თავიანთი შემოსავლების მომავალი დამმალველები არიან.

რამდენადაც საგადასახადო მოსაკრებლები სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, მისი დამალვა კი დანასაულად ითვლება, ჩვენს რეკომენდაციებში ახალგაზრდების ახალგაზრდების სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე ზემოქმედების ღონისძიებებიც შევიტანეთ, რაც, ალბათ პედაგოგებისა და ფსიქო-

ლოგების მიერ მოფიქრებული, სათანადოდ დახვეწილ-დამუშავებული მეთოდით უნდა მოხდეს.

სახელმწიფოებრივი აზროვნების მაჩვენებლად მივიჩნიეთ სტუდენტების შეხედულებები კორუმპირებულთაგან ამოღებული თანხების განაწილებაზე. ჩავთვალეთ, რომ ამ მხრივ ისინი გაცილებით უფრო დამაიმედებელ პოზიციას ამჟღავნებენ, ვიდრე სხვა შემთხვევებში. „რომელიმე მსხვილ საწარმოს ავამუშავებ, სადაც ხალხი დასაქმდებოდაო" წერენ ისინი (58,5%), რაც იმის ალბათობას ზრდის, რომ ქვეყანას მომავალში საკუთარი წარმოება ექნება.

ასევე დამაიმედებელი პასუხები მივიღეთ ისეთ კითხვებზე, რაც ფულით ნაყიდ ცრუ ღირებულებებს (დოკუმენტებს) ეხება. საბედნიეროდ, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (77,8%) კატეგორიულად უარყოფს ქრთამის (ფულის) გაღებით კურსიდან კურსზე გადასვლას, ნიშნის ან დიპლომის მიღებას. ის 22,2 პროცენტი კი, ვინც ამას არ გამორიცხავს, ალბათ დროთაგანმავლობაში, უმრავლესობის გავლენით, ქვეყანაში შექმნილი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ზემოქმედებისა და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების პირობების შექმნასთან ერთად, დანარჩენ უმრავლესობას შეუერთდება.

ამრიგად, ჩვენი ლაბორატორიის მიერ ჩატარებულმა კვლევამ მთელი რიგი ისეთი აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება მოითხოვა, რაც მეცნიერულად დამუშავებულ მეთოდებს საჭიროებს და მას მხოლოდ დეკლარირება არ უშველის. ამიტომ, ვფიქრობთ საჭირო იქნება ისეთი სპეციალური პროგრამის შექმნა-დაფინანსება, რაც ამ მეთოდების დაძებნას და აღმზრდელობით საქმიანობაში მის დანერგვას უზრუნველყოფს.

აღზრდის მეთოდების შეთავაზებისას მთავარი ორიენტირი ალბათ ის უნდა იყოს, რომ არ შეიქმნას ავტორიტარიზმის საფრთხე, რამდენადაც იგი უფლებამოსილ „მცოდნეთა" ანუ უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობას გულისხმობს, რაც დემოკრატიზმთან შეუთავსებელია.

ყოველგვარი ზემოქმედების „ოქროს წესი" არც ავტორიტეტების მიერ თავსმოხვეულ „არჩევანს" გულისხმობს და არც ნებაზე მიშვებული, წინდაუხედავი სვლის უფლებას; ხელმძღვანელის, მოძღვარის ანუ აღმზრდელ-დამრიგებლის ფუნქციაა დაეხმაროს აღსაზრდელს ასარჩევის დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობიერებაში. ძველბერძნული დევიზი – არაფერი ზედმეტი – არსად ისე საჭირო არაა, როგორც აღზრდის პროცესში.

5 – 25. 10. 2005.

Summary
Roza Gaprindashvili
Results of the research of the seance of unity of state and private interests of Georgian Technical University (annotation)

Analyse of results shown that their majority has the healthy atitude toward the execution of obligations before the state (warning of state property, military obligatory service, tax payment, struggle against corruption and etc.).
But the important part of students has not yet considered the unity of state and private interests – they do not exclude to have friendly relations with corruptible officials, to hide the incomes, to avoid from military service, to give bride for their private prosperity and etc.

The recomendations against above-mentioned fallaciousness, offered by the science workers of laboratory, are given in the work.

Резюме
Роза Гаприндашвили
Результаты исследования Государственного мишления студентов ГТУ

Анализ результатов исследования показал, что у студентов ГТУ есть положительное отношение к государственным обязательствам (Службе в армии, уплате налогов, отрицанию корупции и т.д.).
Однако часть студентов все еше не осознала единство государственных и личних интересов. Они считают приемлемим неуплату налогов, уклонение от службы в армии, получение и видача взяток.
В работе даны рекомендации по преодолению такого отношения студентов.

ია ხუბაშვილი

კარისკაცის სახე ბალთაზარე კასტილიონეს „წიგნი კარისკაცზე" და ქეი-ქაუსის „ყაბუს-ნამეს" მიხედვით

XV-XVI საუკუნეებში იტალიაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რამაც თავისებური ასახვა ჰპოვა დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების მმართველობის ფორმებზე. ეს ცვლილებები შეეხო პოლიტიკურ-სამართლებრივ აზროვნებასაც, რომელზეც ძლიერი გავლენა მოახდინა მორალურმა ფილოსოფიამ, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰუმანისტურ მოძღვრებასთან ადამიანის სრულყოფილებაზე და მის გონებრივ შესაძლებლობებზე. ამ საკითხს თავისი ნაშრომები მიუძღვნეს მაკიაველიმ, გვიჩიარდინიმ, მათმა მიმდევრებმა და ოპონენტებმა. ბევრი მათგანი კლასიკურ მემკვიდრეობას ემყარებოდა, პირველ რიგში, არისტოტელეს "პოლიტიკასა" და XV საუკუნის ჰუმანისტებს.

მაკიაველის მიერ შექმნილმა თეორიამ სახელმწიფოს შესახებ საფუძველი დაუდო ახალ პოლიტიკურ მეცნიერებას. სამოქალაქო ჰუმანიზმის იდეები მან ჩამოაყალიბა ტრაქტატში (სახელმწიფოს ინტერესების შესახებ). მასში წარმოდგენილია რენესანსის ეპოქის უძლიერესი მბრძანებლის სახე, რომელიც თავისთავში ერთდროულად აერთიანებდა კონდოტიერისა და ტირანის სახეს და ჰქონდა უდიდესი მიზანი-შეექმნა ძლიერი, ერთიანი სახელმწიფო, რასაც ასე საჭიროებდა იტალია. მაკიაველის მბრძანებელი ადამიანური გზის არჩევით, ქველმოქმედებით მიდის მიზნისკენ, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მას შეუძლია გადაუხვიოს მხეცის ბილიკზე და გახდეს სასტიკი, ცბიერი და დაუნდობელი.

მაკიაველიმ, პოლიტიკოსმა და რეალისტმა, პირველმა ღიად განაცხადა, რომ მმართველობის მეთოდები დამოკიდებულია არა მარტო მმართველის პირად ღირსებებზე, არამედ იმ გარემოცვაზე, რომელშიც ის მოქმედებს. მმართველის სახეს მაკიაველი ქმნიდა იმ მასალისაგან, რომელსაც ეპოქა აძლევდა. ეპოქა, რომელშიც ძველი წეს-ჩვეულებებისა და მორალური ნორმების მსხვრევა კანონდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი დადგენილებებით, რასაც მაკიაველის აზრით, დიქტატურას განსაზღვრავდა, რომელსაც ქველმოქმედება უკვე აღარ სჭირდებოდა, ძლიერი სრულყოფილი პიროვნების სრულიად განსხვავებული სახე დაგვიხატა ბალთაზარე კასტილიონემ წიგნში " " რომელიც 1528წ. ვენეციაში იტალიურ ენაზე ალდო მანუციმ გამოსცა. მალე "წიგნი კარისკაცზე" იმდენად პოპულარული გახდა, რომ იგი რამდენჯერმე გამოიცა იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ და ინგლისურ ენებზე. რუსულ ენაზე წიგნის მხოლოდ

ნაწილია თარგმნილი. ქართულ მედიევისტიკაში კი ამ უდიდესი მოაზროვნის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

უაღრესად განათლებული და ნიჭიერი დიპლომატი, დახვეწილი პოლიტიკოსი ბალთაზარე კასტილიონე (1478-1529) უდიდესი მწერალია. წარმოშობით არისტოკრატმა (დედამისი მანტუის მმართველების-გონზაგების გვარიდან იყო) მთელი ცხოვრება მილანში სფორცებთან გაატარა. იყო მანტუის, ურბინოსა და ფერარას ჰერცოგთა ამალის წევრი. მონაწილეობდა სამხედრო ღონისძიებებში, ასრულებდა დიპლომატიურ დავალებებს საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებთან, ელჩად იყო გაგზავნილი რომსა და მადრიდში. ამგვარად, სხვადასხვა სასახლის კარის ცხოვრებაზე შთაბეჭდილებები კასტილიონეს ბევრი დაუგროვდა, რაც მას შედარების საშუალებას აძლევდა და მაინც ურბინოს კარი, რომელიც განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩეოდა, მკვლევარებს რენესანსული სასახლის კარის მთავარ პროტოტიპად მიაჩნიათ, ისევე, როგორც იდეალური კარისკაცის პროტოტიპად თვითონ კასტილიონე. მით უფრო, რომ ავტორს თხზულების პერსონაჟებად გამოყვანილი ჰყავს ისტორიული პირები, რომლებიც ცხოვრობდნენ ურბინოს ჰერცოგის გვიდობალდოს კარზე 1507-1508 წლებში. სწორედ მაშინ დაიწყო კასტილიონემ მუშაობა თავის წიგნზე რომელმაც მას ადიარება მოუტანა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რენესანსული კარი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, იტალიაში გაცილებით ადრე იწყებს ჩამოყალიბებას, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში და უკვე XV საუკუნეში და მადალი რენესანსის ხანაში აყვავებას მიაღწია. XVI საუკუნისათვის რენესანსულ კარს საუკუნოვანი ტრადიციები გააჩნდა მილანის საჰერცოგოში და ნეაპოლის სამეფოში, უფრო მეტი, ვიდრე ფერარაში, მანტუაში, ურბინოში, პაპის რომში. XVI საუკუნის დასაწყისში სასახლის კარის შემადგენლობის რიცხობრივი მონაცემები ასე გამოიყურებოდა: ურბინოში-350 კაცი, რომში-2000, მანტუაში-800, მაშინ, როცა მილანის საჰერცოგოში XV საუკუნის დასაწყისში (1530წ) შეადგენდა 600. რა თქმა უნდა, სასახლის კარის რიცხვობრივი რაოდენობა ცვალებადი იყო და დამოკიდებული იყო მმართველის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

რენესანსული სასახლის კარის წარმოდგენების ფორმირებაში არა მარტო იტალიელებს, არამედ ევროპელებსაც დიდი დახმარება გაუწია ბალთაზარე კასტილიონეს ცნობილმა ნაშრომმა "წიგნი კარისკაცზე", რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ურბინოს სასახლის კარზე დაიწერა.

ურბინოს საჰერცოგომ (1213 წლიდან მონტეფელტროს საგვარეულოს ფეოდს წარმოადგენდა) განსაკუთრებული პოპულარობა XV-XVI საუკუნეებში მოიპოვა ფედერიკო და მონტეფელტროსა და მისი შვილის გვიდობალდოს დროს. იგი განლაგებული იყო მთიან რელიეფზე და წარმოადგენდა მასიურ ციხე სიმაგრეს, სასახლეს ( ). ჰერცოგის რეზიდენციას კასტილიონემ მოგვიანებით უწოდა „ქალაქი ციხესიმაგრის სახით". ურბინოს კარზე ხშირად

იყრიდნენ თავს იმ დროს გამოჩენილი ადამიანები. აქ მათ ყველაფერთან ერთად იზიდავდათ ჰერცოგის უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ დროის ევროპაში. სასახლის კარზე მოქმედებდა სკრიპტორიუმი, სადაც 30 გადამწერი მუშაობდა ანტიკურ და ჰუმანისტურ მანუსკრიპტებზე. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უზარმაზარ თანხებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქი, რომ ფედერიკო და მონტეფელტრო პროფესიონალი და წარმატებული კონდოტიერი იყო. ურბინოს ატმოსფეროში ყალიბდებოდა ახალგაზრდა რაფაელის ტალანტი, რომელთაგანაც კასტილიონეს მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა (რაფაელი მან რომში გაიცნო, როცა ის ელჩად იყო მივლენილი პაპთან ლეო X-სთან).

ურბინოს ჰერცოგის კარზე მსახურობის პერიოდში კასტილიონე არა მარტო ღირსეულად ასრულებდა სამხედრო და დიპლომატიურ ვალდებულებებს, არამედ აქტიურად იყო ჩართული სასახლის თეატრალურ და და ლიტერატურულ ცხოვრებაში, სადაც ხშირად იმართებოდა თეატრალიზებული კარნავალები. ცნობილია კასტილიონეს ეკლოგი, რომელიც მიძღვნილია ჰერცოგინია ელიზაბეთ გონზაგისადმი. შემოქმედებითი ძიების ატმოსფერომ, რომელიც მეფობდა ურბინოს კარზე და ინტელექტუალური ინტერესების განსხვავებულობამ შთააგონა კასტილიონეს წიგნის დაწერა, რომელმაც მას დიდი აღიარება მოუტანა.

ოთხი ნაწილისაგან შემდგარ წიგნში მოთხრობილია ოთხი საღამო, რომელიც ურბინოს სასახლის საზოგადოებამ გაატარა ჰერცოგინია ელიზაბეთ გონზაგის სალონში 1507 წლის მარტში. აქ იმართებოდა საუბრები კარისკაცთა ღირსებაზე და სასახლის კარის ქალების როლზე, სიყვარულზე, სილამაზეზე, ეტიკეტის წესებზე, მუსიკაზე, თეატრზე, იტალიური ლიტერატურის ენის პრობლემებზე და ა.შ.

კასტილიონეს წიგნი ფორმით დიალოგია, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ რეალური ისტორიული პირები – კასტილიონეს თანამედროვეები და მისი მეგობრები. პირველ წიგნში გრაფი ლოდოვიკო დი კანოსა გვიხატავს სრულყოფილი კარისკაცის სახეს. მეორე წიგნში ფედერიკო – გენუის მომავალი დოჟი მსჯელობს იმაზე, თუ როგორ უნდა გამოავლინოს იდეალურმა კარისკაცმა თავისი ღირსებები. ამ თემას აგრძელებს კარდინალი ბერნარდო ბიბიენა, პაპის ნუნციუსი ვენეციაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ისტორიებს ჰყვება. მესამე წიგნი მიძღვნილია ჯულიანო დეი მედიჩის მიერ მოთხრობილი სეფექალისადმი. მეოთხე წიგნში ოტავინო ფრეგოზო მსჯელობს კარისკაცის დამოკიდებულებაზე თავის მბრძანებელთან. მწერალი პიეტრო ბემბო, რომელიც იმ წლებში ურბინოს ჰერცოგს ემსახურებოდა, პლატონურ სიყვარულზე და სილამაზეზე საუბრობს.

პირველ ორ წიგნში კასტილიონე პლატონისა და არისტოტელეს მიბაძვით (იმ პერიოდში მათი მოძღვრების სინკრეტიზმი ძალიან

გავრცელებული იყო), გვიხატავს უნივერსალური ადამიანის სახეს, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, რომელიც თავის თავში მოიცავს მაღალ სულიერ და ფიზიკურ ღირსებებს. კარისკაცის აუცილებელი თვისება კეთილშობილება და განსწავლულობაა, მთავარი საქმიანობა კი სამხედრო საქმე. კასტილიონეს კარისკაცს, მამაცს, ერთგულსა და ღირსებით სავსეს, უნდა ჰქონდეს ძლიერი ნავარჯიშევი სხეული, შესანიშნავად უნდა ხმარობდეს იარაღს. კარისკაცი ამავე დროს უნდა გამოირჩეოდეს სილამაზით, კარგი მანერებით, ტაქტით, მახვილგონიერებით, მაგრამ პირველ რიგში კარისკაცს უნდა ჰქონდეს დახვეწილი გემოვნება, უნარი სამყაროს მშვენიერების აღქმისა და ტკბობისა.

“მაშ ასე, - წერს კასტილიონე - მე მინდა, რომ კარისკაცს კეთილშობილ წარმოშობასთან ერთად ჰქონდეს ბუნებისაგან მომადლებული არა მარტო ჭკუა, ლამაზი აღნაგობა და სახე, არამედ თავისებური გრაციაც როგორც იტყვიან, ჯიში, რაც მას პირველივე დანახვისთანავე ყველასათვის სასურველს გახდის. დაე, ეს იყოს თუნდაც შელამაზებული, მაგრამ აუცილებლობაა იმისთვის, რომ ეს ადამიანი ღირსი გახდეს ნებისმიერი მთავრისა და საზოგადოების წყალობის. გრაცია ბუნებრივი ნიჭია, ჯიშის ნიშანიც კი, რაც ესთეტიზირებულს ხდის ადამიანის სახესა და საქციელს, მაგრამ თუ ბუნებამ არ დააჯილდოვა ეს ადამიანი ამ ნიჭით სრულიად, მას შეუძლია თავისი დანაკლისი აინაზღაუროს შრომით, ვარჯიშით, სხეულის გაკაჟებითა და სულიერი აღზრდით”. (2. 355)

კასტილიონე კარისკაცზე საუბრისას საგანგებო აქცენტს აკეთებს მის გაწონასწორებულობაზე და საკუთარი თავის მართვის უნარზე: “კარისკაცი მოკრძალებულია, მაგრამ ღირსეულად უჭირავს თავი, ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ ტაქტიანად იქცევა”. (2. 355) ხაზგასმულია სულიერი კეთილშობილების მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი კასტილიონეს ეპოქის სხვა ჰუმანისტებსაც აწუხებდათ. მასზე მსჯელობდნენ ტომას მორი, ერაზმ როტერდამელი და სხვები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი უნივერსალური ადამიანის სახე მხოლოდ აბსტრაქტული სურვილი არ ყოფილა მაშინ. მის მიღწევას ცდილობდნენ და აღწევდნენ კიდევაც. ისტორიკოსების აზრით, იდეალური კარისკაცის პროტოტიპს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თვით კასტილიონე წარმოადგენდა.

იდეალური კარისკაცი, კასტილიონეს აზრით, მთავრის საიმედო დასაყრდენი უნდა იყოს. მას უნდა შეეძლოს სასახლის კარზე სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა, რადგანაც მიწიერი არსებობის დანიშნულება ამქვეყნიური ბედნიერება და ტკბობაა. დამოკიდებულება და -ს შორის ყოველთვის აღელვებდათ ჰუმანისტებს. კასტილიონეს მიაჩნდა რომ უკეთესი იყო ჭვრეტითი, შემოქმედებითი ცხოვრება, შრომის შემდეგ დასვენება, მშვიდობა ომის შემდეგ.

იდეალურ კარისკაცთან პარალელურად, მესამე წიგნში ჩნდება იდეალური კარის ქალის (სეფე ქალის) სახეც, რომელიც უნდა

წარმოადგენდეს ანტიკურობის ცნობილი ქალის ნიმუშს. მას გამოარჩევენ შინაგანი ღირსებით, დახვეწილი მანერებით, განათ-ლებით, ზომიერებითა და მოკრძალებულობით.

ერაზ როტერდამელისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის პირად ღირსებებზე იყო ორიენტირებულიი, კასტილიონეს -ს კეთილშობილებას მხოლოდ წარჩინებული წარმოშობა ანიჭებს, მხოლოდ არისტოკრატს შეუძლია ჰქონდეს ჭეშმარიტი სულის სიდიადე და აქ კასტილიონე შუა საუკუნეების ნორმებს უბრუნდება, რაც ასე დამახასიათებელი იყო XVI საუკუნის იტალიელი ჰუმანისტებისათვის. ამ დროისათვის კვლავ იწყებს გამოცოცხლებას ფეოდალური ურთიერთობები, იზრდება თავადაზნაურული ფენის უფლება მოვალეობა, რასაც თან შესაბამისი ცვლილებები სდევდა იდეოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. კასტილიონე, როგორც ჰუმანისტი, უმღერის ადამიანს, ზეიმობს მისი შესაძლებლობებით, ქადაგებს უნივერსალურ ცოდნასა და ინტერესებს, მაგრამ მისი იდეალური ადამიანი მაინც არისტოკრატად რჩება. ასეთია დასკვნა კარისკაცზე სამი წიგნის გაცნობის შემდეგ.

ისტორიკოსები, როგორც წესი, მთავარ ყურადღებას სწორედ ამ სამ წიგნს უთმობენ. თვლიან, რომ მეოთხე წიგნი ნაკლებად თვითმყოფადია. მასში საუბარია სილამაზეზე და პლატონურ სიყვარულზე. აქ კასტილიონე კიდევ უფრო უახლოვდება არისტოტელეს. კარისკაცის ღირსებაზე საუბარი იწყება საკითხის განხილვით: 1. ხელმწიფემ (მართველმა) არ იცის მდგომარეობის ჭეშმარიტი არსი და 2. რატომაა რომ ხელმწიფისათვის ძნელია სიმართლის ცოდნა(2, 358). კასტილიონე საკითხების გადაჭრას ცდილობს წმინდა წყლის ჰუმანისტური თეზისით: შეცდომების მიზეზები უცოდინრობაშია; სახელმწიფო, რომელსაც მართავს უვიცი – კოლოსია თიხის ფეხებზე. არცოდნა სხვა მანკიერებსაც შობს; ამპარტავნებას, ხელმწიფის გაზვიადებულ წარმოდგენას საკუთარ ღირსებებზე, ბრძნული აზრების უგულვებელყოფას: “თუ ვინმე მოინდომებს მბრძანებლის თვალების ახელას - აღნიშნავს კასტილიონე, მას უყურებენ როგორც ასპიტს, მის საქციელს კი მასხრად აგდებად და სიმდაბლედ თვლიან”(2, 358).

უცოდინრობა, კასტილიონეს აზრით, დაკავშირებულია არასწორ აღზრდასთან. აღზრდას კი, სხვა ჰუმანისტების მსგავსად, ისიც უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს. მიაჩნია, რომ კეთილშობილება (V) არა მარტო ბუნების საჩუქარია, მისი შეძენაც შესაძლებელია ცხოვრების განმავლობაში.

მბრძანებელს მოეთხოვება დიდი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ქვეშევრდომების წინაშე – ამბობს კასტილიონე და აქაც იგრძნობა მასზე არისტოტელეს გავლენა. სიბრძნე, განსწავლულობა, სიკეთე, ღირსება, გაწონასწორებულობა, სამართლიანობა, დიდსულოვნება, სიუხვე, საკუთარი თავის მართვა და რაც მთავარია, სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა – აი, ამ თვისებების მატარებელი უნდა იყოს კასტილიონეს იდეალური მმართველი. მეტი დამაჯერებლობისათვის

ის პლუტარქეს იმოწმებს: “ხელმწიფე იმდენად მაღლა დგას ხალხზე, რომ ყველას თვალი მისდამია მიპყრობილი, ამიტომ ყოველთვის შესაძჩნევია არა მარტო დიდი, არამედ სულ უმნიშვნელო ნაკლიც. ჭეშმარიტი ხელმწიფე სრული ანტიპოდია დესპოტის, ტირანის.”(2, 360).

კასტილიონე, პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელიც შესანიშნავად იცნობდა თავისი ეპოქის მთავრებს, მათ სრულყოფილად ჩამოყალიბების მისიას კარისკაცს აკისრებს. მისი დანიშნულებაა ხელმწიფეს ასწავლოს ქვეყნის ბრძნული მართვა, აზიაროს ჭეშმარიტებას და ასწავლოს კეთილი საქმის კეთება. კარისკაცი ხელმწიფის დამრიგებელია, მისი ხელმძღვანელი, მან თავისი მბრძანებლის სულიერი ღირებულებები წინ უნდა წამოწიოს. კასტილიონე აქვე ახალ აქცენტებზე ამახვილებს ყურადღებას: “მუსიკისა და ცეკვის უცოდინრობა, ცხენზე მოუხერხებლად ჯდომა არავისთვისაა ზიანის მომტანი. . . მაგრამ ხალხის მართვის უუნარობა, ძალიან ბევრ ბოროტებას აღმოაცენებს; სიკვდილს, ნგრევას, ხანძარს და საერთოდ, ყველა უბედურებას, რაც კი ამქვეყნად არსებობს“ (2, 357).

პირადი ინტერესების უგულვებელყოფით, კარისკაცი მთელ თავის ძალღონეს საზოგადოებას ახმარს: “ის ემსახურება არა პირადად ხელმწიფეს, არამედ სახელმწიფოს. საუკეთესო ჯილდო კი ამისათვის არა ვერცხლი და არა ოქროა. რა ძვირფასი ჭურჭელი და ჩასაცმელი, არამედ მისი შრომის ნაყოფი. ყველაზე დიდი ჯილდო კი მისთვის მაინც ისაა, რომ შეძლოს ხელმწიფის სულში სიკეთის სიმების შეხება და ქველმოქმედებისა და ჭვრეტითი ცხოვრების ჩანერგვა”(2. 358).

კასტილიონე ასახავს თავისი ეპოქის ადამიანების სწრაფვას მშვიდობისაკენ, ეპოქის, რომელიც სავსე იყო ურთიერთშორის მტრობითა და ომებით, ამიტომაც ავალდებულებს ხელმწიფეს ბრძნული რჩევების შედეგად გამოსცეს ისეთი კანონები, რომლებიც ხალხს მშვიდობიან ცხოვრებას მოუტანს. აღსანიშნავია ისიც რომ კასტილიონეს საუკეთესო სახელმწიფოებრივ წყობად მმართველობის შერეული ფორმა მიაჩნია. ხელმწიფე ქვეყანას მრჩევლების მეშვეობით მართავს (რაზეც არისტოტელეს მსგავსად, ამდენს ლაპარაკობდნენ ჩინკვეჩენტოს მწერლები: მაკიაველი, პარეტი და ალბერგატი.

კასტილიონეს „წიგნი კარისკაცზე” საინტერესოა აღზრდის მეთოდებითაც. ის რეკომენდაციას იძლევა „კარგი ჩვევების დანერგვისა და ცუდი ჩვევების უკუგდებისა, სწორედ აქ უნდა გამოავლინოს სრულყოფილმა კარისკაცმა თავისი შესაძლებლობები. მან პირველ რიგში კარგად უნდა შეისწავლოს ხელმწიფე, მისი ჩვევები და მიდრეკილებები. მასზე ზემოქმედებისათვის უმჯობესია იმ მეთოდების გამოყენება, რაცმას სიამოვნებას ანიჭებს: მუსიკა, ცეკვა, ლექსები, მოთხრობები სიყვარულზე, თამაშები, სასიამოვნო საუბრები და ხუმრობები. კარისკაცი ვალდებულია მბრძანებლის სული დაატყვევოს ღირსეული სიამტკბილობებით (piaceri onesti). მას

ევალება მოიქცეს ექიმივით, რომელიც ავადმყოფს მწარე წამალს აძლევს იმისათვის, რომ შვება მოაჰგვაროს, მაგრამ ყველგან და ყოველთვის ახსოვდეს თავისი დიდი მისია – ასწავლოს ხელმწიფეს თავისი მოვალეობის შესრულება. იდეალური კარისკაცი გამსჭვალული უნდა იყოს მოქალაქეობრივი მოვალეობებითა და სამშობლოსადმი სიყვარულით. ამგვარად იგი უფრო მეტად ამაღლებული გამოჩნდება, ვიდრე მისი მბრძანებელი“(2.376 – 377)

ამ აზრს ანვითარებს შემდეგი დიალოგი; ერთ-ერთი მოსაუბრე, ჯულიანო დეი მედიჩი წამოიძახებს: „ასეთი კარისკაცი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე თვით ხელმწიფე! პასუხად კი ღებულობს: არისტოტელე იყო სწორედ ასეთი დამრიგებელი ალექსანდრე მაკედონელისთვისო!“. (2. 403)

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კასტილიონესთან სამოქალაქო ჰუმანიზმის იდეები გამყარებულია ანტიკური ეპოქის ავტორიტეტებით და ემსახურებიან არისტოკრატული იდეალის სწავლებას ერთმმართველობის დამკვიდრებისათვის. თავისი უტოპიური ხაზებით კასტილიონეს „წიგნი კარისკაცზე” ძალიან გვაგონებს ერაზმის „ქრისტიანი ხელმწიფის აღზრდას”. მაგრამ მასში არის აგრეთვე ის, რაც ანათესავებს კასტილიონე – პოლიტიკოსს მაკიაველთან – იტალიელი მბრძანებლების, ტირანების რეალისტური შეფასება, რომლებსაც არ შეეძლოთ ქვეყნის აყვავების უზრუნველყოფა. ჩინკვეჩენტოს ჰუმანისტების უმრავლესობისათვის ადამიანი, პირველ რიგში, სოციუმის ნაწილია და ყოველმა მათგანმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი უნდა მოიხადოს. თუმცა ჰუმანისტებს ეს ვალი სხვადასხვაგვარად ესმოდათ და ყოველ მათგანს საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა „უკეთესი” ხელმწიფის ხასიათზე. რესპუბლიკური იდეალების მსხვრევა და სინიორიის დამკვიდრების მოთხოვნილება სახელმწიფოსადმი სამსახურის მოწოდებით გამოიხატებოდა. მაგრამ, ვინაიდან, ეს პროცესები ანტიდესპოტურ განწყობებს ბადებდა, ამიტომ სამყაროს გამოსწორების იმედს ჰუმანისტები აღზრდის მეთოდებზე ამყარებდნენ; არაჩვეულებრივად გაიზარდა მათი ინტერესი ანტიკური ავტორების პოლიტიკური თეორიებისადმი, განსაკუთრებით არისტოტელეს „პოლიტიკისადმი”, რომელიც წარმოადგენდა მოძღვრებას ადამიანის სოციალურ ბუნებაზე და „საუკეთესო ხელმწიფეზე.” მაგრამ ძველი ავტორიტეტებისადმი მიმართვა მათი იდეების უბრალოდ გადაღებას არ ნიშნავდა, ხდებოდა მათი გააზრება და დროის შესაბამისი მოთხოვნილებებისადმი მათი მისადაგება.

ოთხი საუკუნით ადრე ვიდრე კასტილიონე დაწერდა „წიგნს კარისკაცზე,” XII საუკუნის სპარსეთში ქეი-ქაუსი წერს დარიგებათა წიგნს „ყაბუს-ნამე”. ეს წიგნი სპარსული ლიტერატურის საყურადღებო ძეგლია. იგი განეკუთვნება დიდაქტიკურ ჟანრს. მასში მრავალი საინტერესო მასალაა იმდროინდელი სპარსული საზოგადოების შესახებ. ქეი ქაუს იბნ ისქანდერ ყაბუსი, ირანის ისტორიაში ერთ-ერთი ბრწყინვალე გვარის-ზიარიანთა წარმომადგენელი, გორგანის მთავარი იყო. მისი სასახლის კარი განთქმული იყო ირანის

სამეცნიერო-ლიტერატურულ წრეებში. მიუხედავად დიდი განსწავლულობისა, ყაბუსი დესპოტური პიროვნება იყო, რისთვისაც იგი 1014 წელს მოკლეს. ქეი ქაუსს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა გილან-შაჰი, რომელსაც ეს წიგნი უძღვნა. რეზა ყული ხან ჰედაიათის ცნობით, ქეი-ქაუსმა განჯის მმართველი ამირა ბუ-ს-სავართან ერთად გურჯისტანში ილაშქრა და იქვე გარდაიცვალა.(1. 4)

ეს ცნობა მრავალმხრივ არის საყურადღებო. ქეი-ქაუსის მოღვაწეობას რომ საქართველოში ძველთაგანვე იცნობდნენ, მოწმობს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული თამარის ისტორიკოსის ცნობა: „და თამარისა, გონებითა და განზრახვითა ბრძენსა, არ ავიწყდებოდა ყაბოს მწრთუნელი ქექაოს“. ცნობილია ის ფაქტიც, რომ XVIII საუკუნეში აღნიშნული 11 კარი, უთარგმნია მეფე-მწიგნობარს ვახტანგ VI (1. 4).

წიგნის სათაური „ყაბუს-ნამე” სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდაა მიჩნეული, რადგან იგი არც ყაბუსის მიერაა დაწერილი და არც ყაბუსისადმია მიძღვნილი. მიუხედავად ამისა, წიგნის სათაურად მიღებულია „ყაბუს-ნამე.”

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ყაბუსი არის ქეი-ქაუსის არაბიზირებული ფორმა. ამ აზრს ნაწილობრივ იზიარებს 1933წ. თეირანში გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში საიდ ნაფისი. საფიქრებელია, თვითონ გილან-შაჰმა ხომ არ უწოდა ყაბუსის სახელი. თუმცა ეს საკითხი ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს და მასზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართულ ენაზე შესაბამისი წიგნი სპარსულიდან ამირან ლომთაძემ თარგმნა შესაბამისი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

წიგნის შესავალში ქეი-ქაუსი მიმართავს თავის შვილს გილან-შაჰს: „ამ წუთისოფლისგან ჩემი ხვედრი ეს სიტყვებია, ხოლო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არსება შენ ხარ. მე განვემზადე იმ ქვეყნად გასამგზავრებლად, შენ კი გამოგიგზავნე ის, რაც წილად მხვდა.”(1. 5)

„ყაბუს-ნამეს” დარიგებათა წიგნი 44 კარისაგან შედგება და მასში მოცემულია სხვადასხვა სახის დარიგებანი: დედ-მამის პატივისცემისათვის, ღვთისმსახურების აღსრულებისათვის, სიყვარულისათვის, სიმდიდრის დაგროვებისათვის, შვილების აღზრდისათვის, დასჯისა და შენდობისათვის, მეგობრის შერჩევისათვის, ასტროლოგიისათვის და ა.შ. ჩვენი ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა დარიგება მეფეთა სამსახურში მდგომთათვის, რომელსაც ყაბუსი თავისი წიგნის 37-ე კარში ეხება: „საკუთარი თავის ფასი ნუ დაგავიწყდება თუ მეფის ამალის წევრი იქნები და მის სამსახურში ჩადგები – წერს თხზულების ავტორი, მეფეს ნუ შეეკამათები ბატონს ქველმოქმედების გარდა ნურაფერს ურჩევ, რადგან თუ ბოროტებას ჩააგონებ, შენც ბოროტად მოგექცევა. მეფის სამსახურში ღირსება ეძებე და არა სიმდიდრე. სიმდიდრე ღირსებას მოსდევს. ფულის გულისთვის ბატონს ნუ უღალატებ”(1. 148-149). და შემდეგ აგრძელებს: „განდიდებული კაცი უნაყოფო ხეს არ უნდა დაემსგავსოს. დიდებულება გულუხვობას მოითხოვს, ვისგანაც

კაცი ვერც სარგებელს ნახავს და ვერც ზარალს. ქველმოქმედი იყავი და ადამიანებს ადამიანურად მოეპყარი. უზენაესი წინასწარმეტყველი ბრძანებს: ჭეშმარიტი ადამიანია ის, ვისაც ადამიანებისათვის სარგებლობა მოაქვს" (1. 150)

დარიგებათა წიგნში განსაკუთრებით საინტერესოა რჩევები მათთვის, ვისაც სახელმწიფო სამსახურში დაწინაურება სურს: „თუ გინდა, რომ მეფის სამსახურში ფეხი მოიკიდო, ხუთი რჩევა შეითვისე: პირველ რიგში, შენგან სიცრუე არასოდეს მოისმინოს; 2.მის წინაშე კაცს ნურასოდეს დააბეზღებ; 3.მას ნურასოდეს უღალატებ; 4.მის ბრძანებას წინ ნურასოდეს აღუდგები; 5.მის საიდუმლოს ნურავის გაუმხელ:"(1. 150).

რაც შეეხება მეფეთა სამსახურის წესებს, ქეი-ქაუსი შვილს ურჩევს: „შენი კეთილისმყოფელის სამსახურში ნურაფერს დააშავებ. თუ უნებლიედ შესცოდე, აღიარე, რათა არ იფიქროს, რომ დანაშაული განზრახ ჩაიდინე. არცოდნას ცოდვად არავინ ჩაგითვლის, უზრდელობა და ურჩობა კი დანაშაულად ჩაგეთვლება. საქმეს ხელი მანამდე მოკიდე ვიდრე ბატონი გიბრძანებდეს. ისე მოიქეცი, რომ ყოველთვის დასაქმებული გნახოს. მეფის წინაშე შურს ნუ გამოავლენ, მეფის რისხვისა მუდამ გეშინოდეს. მაგრამ ორი რამ არასოდეს ჩათვალო სამარცხვინოდ: ერთი – მეფის რისხვა, მეორე ბრძენთა რჩევა დარიგების მოსმენა. ვისაც ეს სამარცხვინოდ მიაჩნია, თავს შეირცხვენს. ეს არის მეფეთა სამსახურის წესები" (1. 150-151).

რაც შეეხება კონკრეტულად მეფის ნადიმს (თანამეინახეს), ვეზირს, ამასთან დაკავშირებით „ყაბუს-ნამეს" დარიგებანი ძალიან ჰგავს კასტილიონეს სურვილს იდეალურ კარისკაცზე: „თუ მეფის ნადიმი გახდები, მისი წესებიც უნდა იცოდე ვინც მეფის ნადიმობას გასწევს, მას რამდენიმე ღირსება უნდა გააჩნდეს: 1. რაც ნადიმს მოეთხოვება, ის არის, რომ მორჩილი იყოს. 2. ისეთი შესახედაობა ჰქონდეს, რომ მისი ყურება ხალხს ზიზღს არ გვრიდეს და მისი დანახვა მფარველს გუნებას არ უფუჭებდეს; 3. არაბულ-სპარსულად წერა-კითხვა უნდა იცოდეს; 4. ნადიმი პოეტიც რომ არ იყოს, უნდა იცოდეს ლექსები. ნადიმი უნდა ერკვეოდეს მკურნალობასა და ვარსკვლავთმრიცხველობაში. მუსიკაშიც უნდა ერკვეოდეს და დაკვრაც უნდა იცოდეს. უნდა იყოს მთხრობელი და ბევრი ხუმრობა უნდა შეეძლოს. ყურანიც უნდა იცოდეს და წინასწარმეტყველთა ამბებიც. მეფეთა ცხოვრების მატიანესაც კარგად უნდა იცნობდეს. დარბაისელიც უნდა იყოს და მკვირცხლიც, იცოდეს სად და როგორ მოიქცეს. ამასთან ერთად ვაჟკაცობა და რაინდობა უნდა ახასიათებდეს" (1. 152) „ბატონს ნუ გაუთამამდები - მოძღვრავს ქეი-ქაუსი შვილს - სამართლიანი და ალალ-მართალი იყავი ლაშქართანაც და ქვეშევრდომებთანაც. მეფეს ლმობიერების გრძნობა გაუღვიძე. მეზობელი ქვეყნების მეფეთა შესახებაც ყველაფერი უნდა იცოდე. მათი სამთავროების შესახებ ისევე უნდა იყო გათვითცნობიერებული, როგორც შენი სამეფოს შესახებ. არაფრისმქონე და მშიერ კაცს

საქმეს ნუ ანდობ, რადგან ვიდრე თვითონ არ გამდიდრდება, შენს კეთილდღეობაზე არ იზრუნებს" (1. 152)

ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია წიგნის ბოლო სტრიქონები: „შვილო ჩემო... უწყოდე, რომ სიბრძნე ორგვარია: ერთი ჭკუა, მეორე გონება. ჭკუის სწავლა შეიძლება, გონება კი ღვთის წყალობაა და მას ვერც ერთი მასწავლებელი ვერ შეგძენს. თუ ღმერთს შენთვის გონება არ მოუცია, ჭკუას მოუხმე და ჭკუა-გონება ერთმანეთს შეუთანხმე, რათა სრულქმნას მიაღწიო და შენი დროის უწარჩინებულესი კაცი გახდე... თუ გონიერი არ იქნები, უჭკუო მაინც არ იყო... თუ გსურს გონიერი იყო, ბრძნული თქმები შეისწავლე, რადგან ბრძნული სიტყვების შესწავლით გონებას გაივარჯიშებ, არისტოტელეს ჰკითხეს: გონებას რა ასაზრდოებსო. მან უპასუხა: "კაცს ძალას საკვები აძლევს; გონების საკვები კი სიბრძნეაო". (1. 194).

ამგვარად, კასტილიონესა და ქეი-ქაუსის დარიგებანი დაფუძ-ნებულია ადამიანის ფსიქოლოგიური სიღრმეების საფუძვლიან ცოდნაზე და თავის აქტუალობას დღესაც, საუკუნეების შემდეგადაც არ კარგავს, ვინაიდან ისტორიული პროცესების მთავარი მამოძრავებელი ძალა - ადამიანი თავისი გაჩენის დღიდან დღემდე უცვლელი რჩება.

კაცობრიობის ისტორიაც იგივეობის ნიშნითაა აღბეჭდილი. მარკუს ავრელიუსი წერდა: „რაც იყო, იგივე არის და რაც არის, იგივე იქნება მარად." აქედან გამომდინარე, ქეი-ქაუსის, მაკიაველისა და კასტილიონეს ნააზრევი სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაზე და კულისებში მყოფ „ნაცრისფერ კარდინალებზე" დღესაც ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია მათთვის, ვისაც მართვის სადავეები უკავია ხელში.

დაბოლოს, ჩვენს ნაშრომს კვლავ ქეი-ქაუსის ამ ბრძენი ადამიანის სიტყვებით დავამთავრებ: „... ვისაც ღმერთი სვებედნიერად შექმნის, ის მაინც წაიკითხავს, შეისისხლხორცებს და საქმეში გამოიყენებს, რადგან ყველაფერი, რაც მე ვთქვი, ორივე ქვეყანაში სვებედნიერების ნიშანია". (1. 194)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქეი-ქაუსი, ყაბუს-ნამე, თბ., 1978
2. Castiglione B. Il libro del Cortegiano, Firenze, 1894
3. Аристотель, Сочинения 1-4мм. М. 1983-84

Summary
Ia Khubashvili
The ideal courtier by Balthazare Castiglione – "A book about the courtier" and

by Kei-Caus "Kabus-Nameh."

In this work is represented the face of ideal courtier by the works of famous Italian humanist, a clever diplomat and polished politician Balthazar Castiglione (1478-1529) – “A book about the courtier” and an excellent example of the Persian literature of the twelfth century –a distributing book of Kei-Cause “Kabus-Nameh.” The creation of both of them is influenced by the works of Aristotle. The honor, nobles, education, bravery, good appearance, faithfulness and great responsibility towards the country and subjects are important for the civil servants, courtiers and viziers of both authors. Both Castiglione and Kei-Cause wrote their books as they had a deep knowledge of human’s psychological basics, that’s why their thoughts for the governmental servants are too actual and authentic even nowadays.

Р е з ю м е

Ия Хубашвили

Образ придворного по произведениям Бальтассаре Кастильоне „Книга о придворном “ и „Кабус-Наме“ Кеи- Каусса

Общественнои жизни Италии XVI в. однои новои тенденции стал ренессанский двор как социально-политическое явление и средоточие культурнои жизни. формированию представлений о ренессанском дворе не только у итальянцев , но и у других европеицев помогло знаменитое сочинение Бальгфссаре Кастильоне „Книга о придворном “ где воссозданна идеализированная типологическая модель итальянского двора и придворного.

Образ идеального придворного до Кастильоне созданно в Персидскои литературе в XII веке. Автор сочинении „Кабус-Наме“ Кеи- Кфуссю. У оба автора идеальний предворний человек непременно дворянского происхождения и наделен всеми гербами образцового благородства. Он - поборник чести и доблести, отважен, соблюдает вернось в военном деле тому, кому служит.

Оба произведения, очевидно, смогли достичь целиб поставленнои ее авторами: она служила своеобразным эталоном придворних манер, научила этикету и, возможно немало способствовала самоформированию дворян в ихстремлении виделиться на государственной службе.

შოთა დოღონაძე

მენეჯმენტის თეორიული კონცეფციებისათვის

მენეჯმენტი, მენეჯერი, წარმატებული მენეჯერი, სწორი მენეჯმენტი. ეს ტერმინები უფრო და უფრო ხშირად გვესმის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადამიანთა უმრავლესობა ნაკლებად უფიქრდება მათ წარმომავლობას, იღებს, როგორც მოცემულობას, გაიაზრებს ისე, როგორც ხელეწიფება, ხშირად კი ისე, როგორც ხელს აძლევს. ამასთან, არც თუ იშვიათად ამ ინგლისურენოვან ტერმინებს ქართულ ტერმინს - „მართვა“ უპირისპირებენ, რაც უდაოდ, იმის ხაზგასმად შეიძლება მივიჩინოთ, რომ მართვაში მოიაზრება ზოგადად მმართველობითი ფუნქციის განხორციელება, ხოლო სახელდობრ მენეჯმენტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მართველობის ობიექტის ეფექტიანობის მიღწევისათვის გაწეული საქმიანობაა, რომელიც თავისუფლებას, ინიციატივის მაქსიმუმსა და აუცილებლად, პასუხისმგებლობას ეფუძნება. ეფექტიანობის შემადგენლები სქემატურად შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:



თავდაპირველად, ტერმინი მენეჯმენტი მხოლოდ წარმოების სფეროსთან დაკავშირებით გამოიყენებოდა. როდესაც მენეჯმენტის პრინციპებმა და კანონებმა ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროებშიც შეაღწია, შემოღებულ იქნა ტერმინი „არტმენეჯმენტი“ (artmanagmant), რაც იმაზე მიუთითებდა, რომ საქმე გვქონდა არასაწარმოო სფეროსთან (მომსახურეობა, ჯანმრთელობის დაცვა, ხელოვნება, განათლება და სხვ.). ამდენად, თუ მართვა, როგორც პროცესი გულისხმობს ნებისმიერი ორგანიზაციული სისტემის (პარტია, არმია, მეცნიერება, კულტურა და ა. შ.) ფუნქციას, რომელიც მისი ორგანიზაციული სტრუქტურის შენარჩუნების, მოქმედების რეჟიმის მხარდაჭერასა და პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს, **არტმენეჯმენტი** შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ეკონომიკური

ეფექტის მიღების მიზნით სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გაძღოლა საბაზრო ეკონომიკის პირობებში (უმთავრესად არასწარმოო სფეროში).

ინგლისურ ენაში სიტყვა „მენეჯმენტს“ კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს. იმის გარდა, რომ ამ ტერმინით აღნიშნავენ მმართველობით პროცესს, ეს დეფინიცია ადმინისტრაციულ - მმართველობითი პერსონალს (მართვითა და ორგანიზებით ურთიერთდაკავშირებულ სხვადასხვა დონის მენეჯერთა ერთობლიობა) გულისხმობს, ე.ი. გამოიყენება კომერციული ორგანიზაციების სპეციფიური ორგანოს აღსანიშნავად.

ცნება „მენეჯერი“ (ეს ტერმინი გამოიყენება არტმენეჯმენტის სფეროსთან მიმართებითაც) ნიშნავს კონკრეტულ პირს, რომელიც პროფესიულ მმართველობით სფეროს მიეკუთვნება. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის გარემოება, რომ არის პროფესია, რომლიც შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა აითვისოს იმის და მიუხედავად თუ ბუნებით რა ფსიქოფიზიკური მონაცემები გააჩნია; მაგრამ არის პროფესიები, რომლებიც პროფესიულ ცოდნასთან ერთად აუცილებლად საჭიროებენ განსაკუთრებულ პირად თვისებებს. მათ რიცხვს განეკუთვნება მენეჯერის პროფესიაც. ეს ადამიანის საქმიანობის ისეთი სახეა, რომელიც საჭიროებს სპეციფიურ პირად თვისებებს ბუნებით ბოძებულს, ან აღზრდით ჩამოყალიბებულს. ამ თვისებების არსებობა კონკრეტული პირის პროფესიულ ვარგისიანობას, ხოლო არ არსებობა პროფესიულ უვარგისობას განაპირობებს.

ალბათ დროა გავარკვიოთ არის თუ არა ერთი და იგივე ინგლისური სიტყვა „მენეჯერი“ და ქართული „მმართველი“. ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ გვაქვს. კი და არა! ზოგადად პასუხი დადებითია მაგრამ: ამერიკელები „მენეჯერში“ პრაქტიკულად ყოველთვის მოიაზრებენ მართვის სუბიექტს, რომელიც მოქმედებს კონკრეტულ ორგანიზაციაში (კონკრეტულ უბანზე). ზოგადად, მართვის აღსანიშნავად ისინი სარგებლობენ ტერმინით *<u>ადმინისტრირება.</u>*

მენეჯერი – ეს დამოუკიდებელი პროფესიაა, განსაკუთრებული სპეციფიური ინსტრუმენტებითა და უნარებით, გამორჩეული ნებისმიერი სხვა პროფესიისაგან. მხოლოდ მენეჯერი უზრუნველყოფს მთელი ორგანიზაციის შედეგების მიღწევას თანამშრომელთა ერთიანი ძალისხმევით.

შესაბამისად, მენეჯმენტი ქართულად – მართვის ფორმა: ფუნქცია, საქმიანობის სახე სხვადასხვა ორგანიზაციებში ადამიანების ხელმძღვანელობის მიმართულებით

- ცოდნის სფერო, რომელიც საშუალებას იძლევა ამ ფუნქციის შესასრულებლად;
- კრებსითი – მენეჯერთაგან. ადამიანთა გარკვეული კატეგორია, სოციალური ფენა, რომელიც მართვას ახორციელებს.

<u>მენეჯმენტი</u> გამარტივებული გაგებით ნიშნავს - მიაღწიო დასახულ მიზანს სხვა ადამიანების:



ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მენეჯმენტის საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც შრომის დანაწილებისა და სპეციალიზაციის დროს აუცილებელია ცალკეულ სპეციალისტთა საქმიანობის კოორდინაცია. თუ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას ცალკეული ინდივიდი ახორციელებს, მაშინ მენეჯმენტის აუცილებლობა პრაქტიკულად არ არსებობს. როგორც კი წარმოების პროცესი (კინოწარმოება, გამოფენის ორგანიზაცია, საიუველირეო ნაწარმის დამზადება, მოდელური ტანსაცმლის შექმნა თუ სხვ.) მოითხოვს სხვადასხვა სპეციალისტთა ძალისხმევას, საჭირო ხდება მათი საქმიანობის კოორდინაცია ე.ი. მენეჯმენტი. ეს პროცესი იმართება სათანადო უფლებებით აღჭურვილი პირების მიერ, რომლებსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გააჩნიათ სათანადო ცოდნა, გამოცდილება და უნარები. ისინი ახორციელებენ საქმიანობის კოორდინაციას არა მარტო მოცემული ორგანიზაციის ფარგლებში, არამედ ზრუნავენ მის გარე კავშირებზე, მარტივად, რომ ვთქვათ ახორციელებენ ორგანიზაციის კონტაქტს გარე სამყაროსთან. იერარქიულად რაც უფრო მაღალ საფეხურზეა მენეჯერი, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება მას ორგანიზაციის კავშირურთიერთობებზე დაკავშირებულ ჯგუფებთან (მომწოდებლები, სახელმწიფო, მომხმარებლები და ა.შ.). ამდენად, თანამედროვე მენეჯმენტის შემადგენლები ძნელად თუ შეიძლება ქვემოთ მოყვანილი ტრიადის გარეშე წარმოვიდგინოთ:



კარგი რეზულტატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელმძღვანელი სრულად ფლობს საჭირო ცოდნას, ინფორმაციას, შეუძლია კვალიფიციურად და შემოქმედებითად მოაწყოს ორგანიზაციის საქმიანობის პროცესი.

მე-20 საუკუნის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით მენეჯმენტმა გამოიმუშავა მართვის თეორია და პრაქტიკა, შრომის ორგანიზაციის მეთოდებიდან დაწყებული უმსხვილესი კომპანიების ადმინისტრაციული მართვის მოდელირებით დამთავრებული, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების საგრძნობ ზრდასა და საბოლოო ჯამში ეფექტიანობის ამაღლებას. ეროვნული სიმდიდრე მრავალჯერადად გაიზარდა.

უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში, საერთაშორისო მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, მენეჯმენტის განვითარებაში განსაკუთრებული პროცესები განვითარდა. თუ ჩვენს ქვეყანაზე ვიტყვით, აქ ეს საქმიანობა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. დრო, ვითარება, ცხოვრების დინამიკა უბიძგებს მენეჯერებს სისტემატურად იმუშავონ საკუთარ თავზე, ახლებურად გაიაზრონ მიმდინარე პროცესები და მოვლენები. ამ საქმიანობაში ხელიშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მენეჯმენტი ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, რომელსაც გააჩნია თავისი ისტორიული საწყისები და განვითარების ეტაპები. მსოფლიოში არა ერთი სამეცნიერო სკოლაა ცნობილი, რომელიც მენეჯმენტის განვითარებას უწყობს ხელს. ეს სკოლები დღეს არ შექმნილა, მათ თავისი ისტორია და განვითარების ეტაპები გააჩნია.

განიხილავენ რა მართვის პრაქტიკისა და განვითარების საკითხებს ლიტერატურაში გამოყოფენ რამდენიმე პერიოდს.

I პერიოდი – მართვის საფუძვლების ფორმირების ისტორიული წინაპირობის წარმოქმნის პერიოდის ათვლას პირობითად ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX-VII ათასწლეულიდან იწყებენ, იგი თითქმის ჩვენი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნემდე მოდის. კაცობრიობა მისხალ-მისხალ აგროვებდა მართვის სფეროში გამოცდილებას, ვიდრე მას ცოდნის დამოუკიდებელ სფეროდ გამოჰყოფდა.

უხუცესები და ბელადები წარმოადგენდნენ იმდროინდელი ადამიანების საქმიანობის ხელმძღვანელობის სუბიექტებს.

ძვ.წ.აღ. დაახლოებით VI–IV ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში განხორციელდა გადასვლა მწარმოებლურ შრომაზე, რაც გახდა მმართველობით სფეროში გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების ათვლის წერტილი.

ძველ ეგვიპტეში კი დაგროვილ იქნა სახელმწიფოსა და მეურნეობის მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება. ჩამოყალიბდა საკმაოდ განვითარებული სახელმწიფო მმართველობითი აპარატი და მისი მომსახურე ფენა (ჩინოვნიკები, მწიგნობრები და ა. შ.), რაზედაც მეტყველებს ლურსმნული დამწერლობის აღმოჩენილი ნიმუშები,

რომლებიც შეიცავენ ცნობებს კომერციულ გარიგებებზე და ქვეყნის კანონებზე.

ერთერთი პირველი, ვინც მართვის, როგორც საქმიანობის განსაკუთრებული სფეროს დახასიათება მოგვცა ფილოსოფოსი სოკრატე (დაახ. 470-399 წწ. ძვ.წ.აღ.). მან გაანალიზა მართვის სხვადასხვა ფორმები, რის საფუძველზეც მოგვცა უნივერსალური მართვის პრინციპი, ე.ი. სხვადასხვა სფეროებში ეფექტიანობის ამაღლების ერთიანი მიდგომა.

საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელ ელემენტად მიაჩნდა მართველობითი საქმიანობა დიდ მოაზროვნეს პლატონს (428-348 წწ. ძვ.წ.აღ.). მანვე მოგვცა სახელმწიფო მართვის ფორმების კლასიფიკაცია და სცადა გაემიჯნა მართვის ორგანოების ფუნქციები.

არანაკლები ღვაწლი მიუძღვის არისტოტელეს (384-322 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სწავლებას შინამეურნეობის შესახებ (თანამედროვე ეკონომიკის წინამორბედი), რომლის ფარგლებშიც მიუთითებდა ე.წ. „ბატონთა მეცნიერების“ შემუშავების აუცილებლობაზე, რაც საშუალებას შექმნიდა ესწავლებინათ მონათმფლობელებისთვის მონებთან მოპყრობისა და მათი მართვის წესები.

ბუნებრივია, აქ მოყვანილია თარიღებისა და მოვლენების არასრული ჩამონათვალი, რამდენადაც ეს საკითხები ცალკე სამეცნიერო კვლევის საგანია. მიუხედავად ამისა, თუნდაც ასეთ ზოგად ჩამონათვალში გარკვეულწილად ჩვენ ვხედავთ მართვის ხელოვნების ადრეული ეტაპებიდან განვლილ გზას.

II პერიოდი – ინდუსტრიული პერიოდი (1776-1980 წწ.). ამ პერიოდში სახელმწიფო მართვის თაობაზე წარმოდგენის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის შოტლანდიელ მეცნიერს, ეკონომისტსა და ფილოსოფოსს – ა. სმიტს. მენეჯმენტის თანამედროვე მეცნიერული სკოლებისა და მიმართულებების ფორმირებას დიდი ღვაწლი დასდო ინგლისელი სოციალ-უტოპისტის რ. ოუენის სწავლებამ. მისი იდეები წარმოების მართვის ჰუმანიზაციის, მუშათა შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესების სწავლების შესახებ დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

III პერიოდი – სამეცნიერო-პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაციის მონაკვეთია (1856-1960 წწ.). ამ პერიოდში მეცნიერება მართვის შესახებ მუდმივ მოძრაობაში მოვიდა. ჩამოყალიბდა ახალი მიმართულებები, სკოლები, სწავლებები, შეიცვალა და დაიხვეწა სამეცნიერო აპარატი, დაბოლოს შეიცვალნენ თვით მკვლევარები და მათი შეხედულებები. დროთა განმავლობაში მენეჯერებმა შეიცვალეს ორიენტირები, ისინი უფრო საგნობრივად მიუდგნენ მართვის მეთოდების შესწავლას.

ფაქტობრივად, ის, რასაც ჩვენ დღეს მენეჯმენტს ვუწოდებთ, ჩაისახა მე-19 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის პერიოდში. შრომის დანაწილებამ, ფაბრიკა-ქარხნების შექმნამ, ადამიანთა დიდი ჯგუფების შეთანხმებული საქმიანობის მოწესრიგების აუცილებლობამ იმის

საჭიროება შექმნა, რომ ინდივიდუალურ მფლობელებს მოეხმოთ დამხმარეები ეფექტიანი ორგანიზაციისა და კონტროლისათვის. შერჩეულ იქნა საუკეთესო მუშაკები, რომლებმაც დამატებითი სწავლება გაიარეს იმისათვის, რომ ფლობელთა ინტერესები წარმოედგინათ სამუშაო ადგილებზე. ეს ადამიანები შეგვიძლია მივიჩნიოთ პირველ მენეჯერებად.

შემდგომ მეცნიერება მართვის შესახებ ვითარდებოდა და ვითარდება მსოფლიო ეკონომიკის კვალდაკვალ, რასაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის თანმიმდევრულ-პარალელური დომინირების ფონზე, რომელიც ქვემოთმოყვანილ ცხრილში თვალნათლივ ჩანს.

სკოლები/წლები	***1895***	***1920***	***1930***	***1940***	***1950***	***1960***	***2006***
მეცნიერული მართვის სკოლა	■	■					
ადმინისტრა-ციული სკოლა			■	■	■		
ადამ. ურთიერთ. დაფუძნებული სკოლა			■	■	■		
ქცევის მეცნიერებაზე დაფუძნებული სკოლა					■	■	■
რაოდენ. მეთო-დებზე დაფუძნე-ბული სკოლა					■	■	■
პროცესული მიდგომის სკოლა						■	■
სისტემური მიდგომის სკოლა						■	■
სიტუაციური მიდგომის სკოლა						■	■

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილი პირობითია, რამდენადაც სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარ პერიოდიზაციას გვთავაზობს. აქ მოყვანილი ცხრილი შერჩეული და დაზუსტებულია ჩვენი შეხედულებისამებრ.

მენეჯმენტისადმი ინტერესის პირველი აფეთქება უკავშირდება ფ. უ. ტეილორის სახელს, რომელმაც 1911 წელს გამოაქვეყნა თავისი წიგნი „მეცნიერული მართვის პრინციპები". ეს მოვლენა ითვლება მენეჯმენტის მეცნიერებად და დამოუკიდებელი კვლევის სფეროდ ცნობის პერიოდად. ფრედერიკ ტეილორთან, ჰენრი ფორდთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად მეცნიერული მენეჯმენტის ერთერთ ფუძემდებლად მიჩნეულია ანრი ფაიოლი (1841-1925). იგი მუშაობდა მართვის მეცნიერული თეორიის შემუშავებაზე. ბუნებრივია, იმის გაგება, რომ ორგანიზაცია უნდა იმართებოდეს სისტემურად რათა ეფექტიანად იქნეს მიღწეული მისი მიზნები, ერთბაშად არ წარმოქმნილა. ეს კონცეფცია ვითარდებოდა დიდი დროის განმავლობაში მე-19 საუკუნის შუა წლებიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე.

სხვადასხვა მიმართულებებისა და სკოლების წვლილი პრაქტიკული მენეჯმენტის განვითარებაში

სამეცნიერო სკოლა	**წარმომადგენლები**	**წვლილი მმართველობითი აზროვნების განვითარებაში**
სამეცნიერო მართვის სკოლა	ფ. ტეილორი ფ. გილბერტი ლ. გილბერტი გ. გრანტი	➢ სამეცნიერო ანალიზის გამოყენება დასახული ამოცანის შესასრულებლად საჭირო ხერხის განსაზღვრისათვის; ➢ დასახული ამოცანის შესრულებისათვის ყველაზე მეტად გამოსადეგი მუშაკების შერჩევა და მათი სწავლების უზრუნველყოფა; ➢ დასახული ამოცანის ეფექტიანად შესრულებისათვის მუშაკების საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა; ➢ მატერიალური სტიმულირების სისტემატური და სწორი გამოყენება შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის; ➢ საგეგმო და ორგანი-

		ზაციული სამუშაოს გამოცალკევება საწარმოო საქმიანობისაგან.
მართვის კლასიკური სკოლა	ა. ფაიოლი ლ. ურვიკი დ. მუნი ა. რაილი	➢ მართვის პრინციპების განვითარება; ➢ მართვის ფუნქციების აღწერა; ➢ მთელი ორგანიზაციის მართვისადმი სისტემატიზებული და კომპლექსური მიდგომა.
ადამიანური ურთიერთობების სკოლა და ქცევითი მეცნიერებების სკოლა	მ. ფოლეტი ე. მეიო ა. მასლოუ	➢ მუშაკთა დაკმაყოფილების დონის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვის ხერხების გამოყენება; ➢ ადამიანის ქცევის შესახებ მეცნიერების გამოყენება ორგანიზაციის ფორმირებისა და მართვის საქმეში იმგვარად, რომ თითოეული მუშაკი სრულად იქნეს გამოყენებული თავისი შესაძლებლობებისა და პოტენციალის შესაბამისად.
მართვის მეცნიერების სკოლა	ს. ჩერმენი დ. მარჩი გ. საიმონი დ. ფორესტერი ხ. რაიფა	➢ რთული მმართველობითი პროცესების ღრმად გაგება მოდელების (მათ შორის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების) დამუშავებისა და გამოყენების დახმარებით ➢ რაოდენობრივი მეთოდების განვითარება, რაც ეხმარება მენეჯერებს რთულ სიტუაციებში მიიღონ ოპერატიული გადაწყვეტილებები.

მეცნიერთა საქმიანობამ შედეგი გამოიღო. ადმინისტრაციულ მენეჯმენტს აშშ-ში სააფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის დასაწყისში. როგორც აღვნიშნეთ, ამერიკაში მენჯმენტის ფუძემდებელია

ფ.ტეილორი. [იხ. „მეცნიერული მართვის პრინციპები“]. აქვე შეიქმნა მართვის ადმინისტრაციული სკოლა. ადმინისტრაციული მართვის ფექტიანობა იმთავითვე გახდა ყველასათვის ნათელი. კომპანიები, რომლებშიაც ეს სისტემა ინერგებოდა განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევდნენ. ისინი სწრაფად ვითარდებოდნენ და იპყრობდნენ ბაზარს. სწორედ აქ დევს ე.წ. ამერიკული სასწაულის საწყისი. მენეჯმენტის განვითარებამ დიდი როლი შეასრულა იმ სერიოზული და გამაჩანაგებელი ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში, რომელმაც მეორე მსოფლიო ომამდე აშშ მოიცვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დიდმა ბრიტანეთმა მიბაძა ამერიკის შეერთებულ შტატებს. 1947 წელს შეიქმნა „მართვის ბრიტანული ინსტიტუტი“. დაიწყო ადმინისტრაციული მენეჯმენტის ფართო პროპაგანდა. უკვე 1959 წელს ჟენევაში ჩამოყალიბდა „მართვის მეთოდების პროპაგანდის ცენტრების საერთაშორისო ასოციაცია“. ინგლისთან ერთად აქ შევიდნენ: საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბელგია, შვეიცარია, იტალია და სხვა. უმოკლეს ვადაში მიღწეული იქნა ფანტასტიკური შედეგები.

ამავე გზით წავიდნენ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, სინგაპური, ტაივანი. შედეგი – აზიური ეკონომიკური სასწაული.

მე-20 საუკუნის მიწურულს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართო გაქანება მიიღო „საწარმოო დემოკრატიის“ დოქტრინამ, ან როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ „დემოკრატია სამუშაო ადგილებზე“. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაქირავებული შრომა, არის რა ორგანიზაციის კანონიერი „აქციონერი“ უნდა ასრულებდეს განსაკუთრების მნიშვნელოვან როლს წარმოების მართვაში. „საწარმოო დემოკრატია“, ამერიკელი მეცნიერის დ. ნაიტინგეილის აზრით ეს არის მონაწილეობის ფორმა, რომელიც უფლებას აძლევს ყველა დონის მუშაკს მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მის ინტერესებს ეხება.

ასეთი ნოვაციის გამოჩენა ამერიკის მენეჯმენტში შემთხვევითი არ არის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ბევრ ექსპერტსა და მენეჯმენტის თეორეტიკოსებს ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ ორგანიზაციები ხშირად იმიტომ ვერ აღწევენ სათანადო შედეგსა და ეფექტიანობას, რომ ყურადღებას არ უთმობენ სოციალურ პრობლემებსა და წინააღმდეგობებს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ მენეჯმენტი იმის აუცილებლობის წინაშე დადგა, რომ სწრაფი რეაგირება მოეხდინა უამრავ სიგნალზე, რომელიც სწრაფად-ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოდან მოდიოდა. ეს კონცეფცია კვლავაც თავის სრულყოფასა და განვითარებას განიცდის.

კაცობრიობის ისტორიამ გამოიმუშავა მართვის, ე.ი. ადამიანზე ზემოქმედების, პრინციპულად განსხვავებული მხოლოდ სამი ინსტრუმენტი.

პირველი – ეს არის იერარქია, ორგანიზაცია, რომლის დროსაც ზემოქმედების ძირითადი საშუალებაა ძალაუფლება-დამორჩილება, ზეწოლა ადამიანზე ზემოდან, იძულების საშუალებით, მატარიალური კეთილდღეობის განაწილებაზე კონტროლით და. ა.შ.

მეორე – კულტურა, ან საზოგადოების მიერ შექმნილი და აღიარებული სოციალური ნორმები, ღირებულებები, გადაწყვეტილებები, ქცევის შაბლონები, რიტუალი, რომლებიც აიძულებენ ადამიანს იმოქმედოს ასე თუ სხვაგვარად.

მესამე – ბაზარი, საბაზრო ურთიერთობები, ე.ი. თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ჰორიზონტალურად, დამყარებული საქონლისა და მომსახურეობის ყიდვა-გაყიდვაზე, საკუთრებით ურთიერთობებზე, მყიდველისა და გამყიდველის ინტერესების წონასწორობაზე.

საგულისხმოა ვიცოდეთ, რომ იერეარქიული ორგანიზაცია, კულტურა, ბაზარი – რთული მოვლენებია. ეს უბრალოდ „მართვის ინსტრუმენტები“ როდია. რეალურ ცხოვრებაში, ცოცხალ სამეურნეო და რეალურ სოციალურ სისტემებში ისინი თითქმის ყოველთვის არსებობენ. საქმე იმაშია, თუ რას ეძლევა პრიორიტეტი, რაზე კეთდება ძირითადი არჩევანი. სწორედ ეს განსაზღვრავს საზოგადოების ორგანიზაციის არსს.

მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები საშუალებას იძლევა სწორი არჩევანი გაკეთდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მეურნეობრიობის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემა, რომელიც ეკონომიკისა და არა მხოლოდ ეკონომიკის გაუკუღმართებასა და დეგრადაციას იწვევს, საზოგადოებას არადემოკრატიული მმართველობისაკენ უბიძგებს. ძნელი დასასჯერებელია, რომ ქართული საზოგადოება შეეგუება ასეთ შემობრუნებას. იგი გამსჭვალულია რწმენით, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მართვის ფორმებს ალტერნატივა არ აქვს.

სამწუხაროდ, ჩვენს მიერ განხილული კონცეფციები და მენეჯმენტში მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ ვერ პოულობს ასახვას საქართველოს სინამდვილეში. საბაზრო ეკონომიკის სწრაფი განვითარების ფეხდაფეხ ვერ მიდის მენეჯმენტის ახალ ნიადაგზე დაფუძნების პროცესი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ღრმად იქნეს შესწავლილი არსებული თეორიული ბაზისი, გააქტიურდეს კადრების მომზადების პროცესი, რათა თავიდან ავიცილოთ ის შეცდომები, რომელიც წარსულში დაუშვა ბევრმა ორგანიზაციამ. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გარდამავალი პერიოდის ვადები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია – თბ.: რაიზი, 2004.
2. სახელმწიფო მართვის სრულყოფის საკითხები (მეთოდური სახელმძღვანელო), თბ., 2000.

3. ბალცეროვიჩი ლეშეკ - „თავისუფლება და განვითარება სახელმწიფოს გარდამავალ პერიოდში“, გამ., შპს „პდს“., თბილისი 2005.
4. გალდავა ზ. მენეჯმენტის საფუძვლები: (მართვის ხელოვნება, სამეწარმეო საქმიანობა) – თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1991.
5. ქოული ჯ.ა. მენეჯმენტი: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, საგანმ., მთარგმნ., და საგამომც. ცენტრი, 2002.
6. Дафт Р.Л. Менеджмент – СПб.: Издательство «Питер», 2000г.
7. Гладков И.С. Менеджмент: Учебное пособие. -М.: Изд.-торг.корпорация «Дашков и К», 2003.
8. Уткин Э.А. История менеджмента. – М.: Ассоциация авторов и издателей «Тандем»: Издательство ЭКМОС, 1997г.

Summary
Shota Dogonadze
About the theoretical concepts of management

The purpose of the article is to give the basic concepts of management and its place among scientific disciplines.

There are given the basic schools of management, development of management as a science definitions of the purposes and tasks of modern management. The special attention is given to consideration of the process of management formation, as a science. The priority scientific currents and their findings are selected.

In critical plan, there are considered some questions of management introduction in Georgia it is underlined that the importance of management, as a science is vital, its formation at economy market is caused by providing the connection, integration resources of organization and raises the competitiveness.

Резюме
Шота Догонадзе
О теоретических концепциях менеджмента

Статья ставит своей целью дать основные понятия менеджмента и его места среди научных дисциплин.

Рассказано об основных школах менеджмента, развитии менеджмента как науки, даны определения целей и задач современного менеджмента.

Особое внимание уделено рассмотрению процесса становления менеджмента, как науки. Выделены приоритетные научные течения и изыскания.

В критическом плане рассмотрены вопросы внедрения менеджмента в Грузии. Подчеркивается, что важность менеджмента в становлении рыночной экономики обусловлена тем, что именно он обеспечивает связанность, интеграцию всех ресурсов организации, повышает их конкурентоспособность.

ქეთევან ირემაშვილი

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა სადაზღვევო მომსახურების ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს საზღვარგარეთ. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები აზღვევენ თავიანთ სამოქალაქო პასუხისმგებლობას იმ ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება დადგეს მათი პროფესიით მუშაობის პროცესში. უმეტეს ქვეყნებში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო დაზღვევის ფორმით არის ჩამოყალიბებული, ზოგიერთ მათგანში კი ასეთი ტიპის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება მოითხოვება, როგორც კონკრეტული პროფესიით მუშაობის დაწყების (ლიცენზიის მიღებისათვის აუცილებელი) წინაპირობა. ამ ქვეყნებში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულობა განსაზღვრულია არა უშუალოდ შესაბამისი სადაზღვევო კანონმდებლობით, არამედ კონკრეტული პროფესიის მარეგულირებელი ნორმებით. საქართველოში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული არ არის, თუმცა, მისი სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა დაფიქსირებულია თავად ნორმატიულ აქტებში (საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ", მუხლი 9; საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ", მუხლი 46, პუნქტი 2).

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, როგორც ტერმინი, ყველაზე უფრო მიღებულ და გავრცელებულ ვარიანტს წარმოადგენს იმ ალტერნატიულ ფორმულირებებთან შედარებით, რაც ამ კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტის შინაარსის ასახვის მიზნით გამოიყენება. საზღვარგარეთის სადაზღვევო იურიდიული ლიტერატურისა და პრაქტიკის გაცნობისას ვხვდებით ისეთ ტერმინებს, როგორიცაა მაგალითად: პასუხისმგებლობის დაზღვევა საქმისა და საქმოსნებისთვის - Liability Insurance for Businesses and Professionals (შვეიცარიული მოდელი); საქმიდან მომდინარე ზიანის დაზღვევა – Professional Indemnity Insurance (ავსტრალია); სპეციალისტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა – Civil Liability Insurance for Professionals (ბრაზილია). მოყვანილ ფორმულირებათა შორის საუკეთესოს შერჩევა იურიდიული ტექნიკის საკითხია. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ზუსტი და უხარვეზო ცნების ჩამოყალიბებას ვცდილობთ, უნდა შევჩერდეთ ყველაზე მისაღებ ფორმულირებაზე. ჩემი შეხედულებით, სპეციალისტის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მოცემულ ცნებებს შორის საუკეთესო ვარიანტია, როგორც დეფინიციის სრულყოფილებისა და კონკრეტიკის თვალსაზრისით, ისე იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ პროფესიული

პასუხისმგებლობის დაზღვევა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეს წარმოადგენს და ტერმინ „სამოქალაქოს" ფიგურირება ამ დეფინიციაში ზედმეტად არ უნდა მიიჩნეოდეს. თუმცა ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ თუკი რაიმე სახის პასუხისმგებლობაზე შეიძლება იყოს საუბარი დაზღვევის, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების, ფარგლებში – ეს მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს. საქართველოში ეს საკითხი ტერმინ „პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის" სასარგებლოდ გადაწყდა, რადგან როგორც სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში, ისე საკანონმდებლო დონეზე, სწორედ აღნიშნული ტერმინი დამკვიდრდა.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სამართლებრივი ბუნების შესწავლისას შესაძლებელია ოთხი ძირითადი ნიშნის გამოყოფა, რომელთა არსებობაც განმსაზღვრელია ამ კონკრეტული ტიპის დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსისათვის. უფრო ზუსტი იქნება, თუ ამ ნიშნებს მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის სპეციალურ სამართლებრივ საფუძვლებს ვუწოდებთ, კერძოდ:

- ზიანის მიყენების ფაქტი ანუ თავად ზიანის, როგორც ნეგატიური შედეგის, დადგომის აუცილებლობა;

- ზიანის დადგომა სუბიექტთა სპეციალური წრისათვის, ანუ ზიანი უნდა მიადგეს უშუალოდ მომხმარებელს, პაციენტს, კლიენტს;

- მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ე.ი. ზიანი უნდა გამოიწვიოს ზუსტად იმ ტიპისა და დასახელების ქმედებამ (პროფესიული გულგრილობა, პროფესიული წინდაუხედავობა, პროფესიული დაუდევრობა, პროფესიული შეცდომა, პროფესიული გაუფრთხილებლობა), რომელიც განმსაზღვრელია დაზღვევის ამ კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებისათვის, ანუ კონკრეტული სპეციალისტის მიერ საკუთარი პროფესიით მუშაობისას ჩადენილმა ქმედებამ.

დასახელებული ნიშნების თავმოყრას ისეთი სათაურის ქვეშ, როგორიცაა მზღვეველის ვალდებულებების წარმოშობის სპეციალური სამართლებრივი საფუძვლები თავისი მიზეზი და მიზანი გააჩნია. ასეთი კონკრეტიკით, პირველ ყოვლისა, ხდება იმ სპეციფიკის ხაზგასმა, რაც პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტს ახასიათებს, რადგან თვალსაჩინოდ იმიჯნება ერთი-მეორისაგან მზღვეველის ვალდებულებების წარმოშობის ზოგადი და სპეციალური სამართლებრივი საფუძვლები. ასეთი დაყოფა თავისთავად პირობითი, მაგრამ აუცილებელია ისევ და ისევ განსახილველი ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების უკეთ შესწავლისათვის. მზღვეველის ვალდებულებების წარმოშობის ზოგადი

სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის მარეგულირებელი ნორმების შესაბამის ნაწილში, მაგალითად, მუხლი 816 შეეხება პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდას, როგორც მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

ზემოთ მოყვანილი ნიშნების სინთეზის შედეგად შესაძლებელი ხდება, ჩამოვაყალიბოთ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ცნება, რომლის შინაარსიც მსგავსი აქცენტებით მეორდება არაერთი ქვეყნის იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითად, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა არის:

– ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებს იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რომელიც გამოიწვია კონკრეტული პროფესიით მუშაობისას ჩადენილმა ქმედებამ (გერმანია);

– საკუთარი პროფესიის უშუალო გამოყენების შედეგად მესამე პირის წინაშე გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საშუალება (ავსტრია);

– აღნიშნული ინსტიტუტის საშუალებით იფარება კონკრეტული პროფესიის მქონე სპეციალისტის, მისი რწმუნებულის ან დაქირავებულის პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც გამოიწვია კონკრეტული პროფესიით მუშაობის პროცესში ჩადენილმა შეცდომამ ან დაუდევრობამ (საფრანგეთი);

– პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტს ბევრი სპეციალისტი მიმართავს აშშ-ში, რათა მათი პროფესიით მუშაობის პროცესში მესამე პირისათვის (მომხმარებლისთვის) შეცდომით ან წინდაუხედავობით გამოწვეული შესაძლო ზიანის მიყენების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიამ დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შინაარსის შესწავლისას იმ სპეციფიკურ ნიშნებთან ერთად, რაც უშუალოდ ამ ტიპის ხელშეკრულებას ახასიათებს, აუცილებლად მიმაჩნია ზოგადად დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებაც. საზღვარგარეთის ქვეყნების დაზღვევის მარეგულირებელ ნორმათა ანალიზის შედეგად (საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ავსტრია, აშშ, ბულგარეთი, ბელგია, ლუქსემბურგი) შესაძლებელი ხდება იმ ნიშნების ერთად თავმოყრა, რაც მთლიანობაში დაზღვევის სამართლებრივი შინაარსის ბირთვს წარმოადგენს, კერძოდ:

- დაზღვევა არის ურთიერთობა, იურიდიული შეთანხმება, კონტრაქტი;

● დაზღვევის მიზანია კომპენსაცია ზიანისათვის, რაც დამზღვევმა განიცადა;

● მატერიალური ზიანი, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს დაზღვევა, შედეგია განსაზღვრული რისკის რეალიზაციისა. განსაზღვრული ან განსაზღვრადი რისკფაქტორის არსებობა აუცილებელი ელემენტია დაზღვევის ხელშერკრულებისათვის. რისკის რეალიზაცია არ უნდა შედიოდეს დამზღვევის ინტერესებში. რისკის რეალიზაცია უნდა მოხდეს წინასწარგანუსაზღვრელი, განუჭვრეტელი მოვლენით (სადაზღვევო შემთხვევით);

● ნებისმიერი სადაზღვევო გარიგებისათვის აუცილებელი ელემენტია რისკის გადაცემა, ე.წ. „ტრანსფერი";

●სადაზღვევო შემთხვევა უნდა იყოს სათუო, მზღვეველის მიერ არაკონტროლირებადი (მისი გავლენის სფეროში არ უნდა ექცეოდეს);

● ზიანის ანაზღაურება ხდება იმ აქტივიდან, რომელიც მზღვეველს პრემიების სახით შემოსდის. მზღვეველი დამზღვევისაგან იღებს სადაზღვევო პრემიას და სწორედ ამის საპასუხოდ/გათვალისწინებით ახდენს ზიანის ანაზღაურებას სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული რისკის რეალიზაციისას. პრემია არის მყარად დადგენილი ან ცვალებადი.

●დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელი ელემენტია მხარეთა კეთილსინდისიერება და სადაზღვევო ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ცნება შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება არის შეთანხმება მხარეთა შორის, რომლის ძალითაც ერთი მხარე – მზღვეველი მეორე მხარისაგან – დამზღვევისაგან მყარად დადგენილი ან ცვალებადი პრემიის მიღების სანაცვლოდ იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს ის პირადი ან/და ქონებრივი ზიანი, რომელიც შესაძლებელია დადგეს დამზღვევის მიერ საკუთარი პროფესიით მუშაობის პროცესში ჩადენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დარღვევის შედეგად.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საინტერესო სამართლებრივი ინსტიტუტია იმ თავისებურებათა გამო, რაც ცალკეული ქვეყნის სადაზღვევო პრაქტიკას ახასიათებს. საზღვარგარეთის ქვეყნებში დაზღვევის ამ კონკრეტული ტიპის არსებობა სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება აიხსნას, მაგალითად: დახვეწილი სამართლის სისტემა ქვეყნის შიგნით, რაც დაზღვევის სრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებასაც გულისხმობს; სადაზღვევო მომსახურების მრავალფეროვნება ბაზარზე; ძლიერი ეკონომიკა და მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, აშშ, შვეიცარია, შვედეთი, ავსტრალია, ინგლისი, ესპანეთი, ბულგარეთი,

რუმინეთი, საბერძნეთი, ბრაზილია, იაპონია. იაპონიაში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისები პირველად 1963 წელს შემოიღეს, არც ისე გვიან მას შემდეგ, რაც თავად პასუხისმგებლობის დაზღვევა – ე.წ. General Liability Insurance დამკვიდრდა (1958 წ). დღეს იაპონიაში ყველა ე.წ. Non-Life Insurance კომპანიას აქვს უფლება, შესთავაზოს მომხმარებელს აღნიშნული სადაზღვევო მომსახურება. იაპონიაში საერთო (ზოგადი) პასუხისმგებლობის დაზღვევა პასუხისმგებლობის დაზღვევის სხვა სახეებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი არ მოითხოვს კონკრეტული რისკის დადგენას, როგორც მაგალითად საავტომობილო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მრავალფეროვნება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს დაზღვეულ სუბიექტთა ჩამონათვალშიც. იმ პროფესიათა დასახელება, რომელზეც ვრცელდება აღნიშნული ტიპის დაზღვევა, საკმაოდ არაერთგვაროვანი, მაგრამ ზოგიერთ ნაწილში იდენტურია, მაგალითად:

გერმანია – ექიმი, არქიტექტორი, ადვოკატი;
ავსტრია – ექიმი, ადვოკატი, ნოტარიუსი, აუდიტორი;
ვეიცარია – ბიზნესის მენეჯერი (მისი წარმომადგენლები, დაქირავებულები); ბიზნესში დასაქმებული პირები; ექიმი; ადვოკატი; ინჟინერი; ვეტერინარი; დირექტორი, როგორც ხელმძღვანელი თანამდებობა;
შვედეთი – კონსულტანტი (მრჩეველი), ადვოკატი, უძრავი ქონების აგენტი, დირექტორი, როგორც ხელმძღვანელი თანამდებობა;
საფრანგეთი – მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის, ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული სპეციალისტები; უძრავი ქონების აგენტები; ნოტარიუსი; ადვოკატი; ბუხჰალტერი; დაზღვევის აგენტი (ბროკერი);
აშშ – ექიმი, სტომატოლოგი, ადვოკატი, ინჟინერი;
ესპანეთი – ნოტარიუსი (მისი დაქირავებული), უძრავი ქონების აგენტი, დაზღვევის აგენტი (ბროკერი);
რუმინეთი – ბუხჰალტერი, ადვოკატი, ბროკერი;
ბულგარეთი – ნოტარიუსი (მისი დაქირავებული ან ასისტენტი), დაზღვევის აგენტი (ბროკერი), აუდიტორი, არქიტექტორი, დიზაინერი, მშენებლები და მშენებლობის დამოუკიდებელი ზედამხედველები, ადვოკატი, ექიმი, მედპერსონალი;
იაპონია – ადვოკატი, ექიმი, სტომატოლოგი, არქიტექტორი, ბუხჰალტერი, ნოტარიუსი.

ინგლისური სადაზღვევო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთი კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლები, მაგალითად ადვოკატები, ერთი სადაზღვევო კომპანიის მიერ არიან დაზღვეულნი. აღნიშნული სადაზღვევო კომპანია დაზღვევას ავრცელებს ამ პროფესიის ყველა წარმომადგენელზე. საპირისპიროდ, სხვა პროფესიის წარმომადგენლები, მაგალითად ბუხჰალტრები, მათი ზემდგომი პროფესიული ორგანოების მხრიდან ნებადართულნი არიან,

დაეზღვიონ სხვადასხვა მზღვეველთან, რომლებიც დამზღვევის ზემდგომი პროფესიული ორგანოს თანხმობით მათზე გასცემენ სტანდარტულ პოლისს.

ბელგიაში იურისტთა ასოციაციებს თავიანთი ადვოკატებისათვის გათვალისწინებული აქვთ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის კოლექტიური პოლისები. ნოტარიუსებს შექმნილი აქვთ თავიანთი სადაზღვევო კომპანია, რომელიც ფარავს პროფესიულ რისკებს სხვა მზღვეველებთან თანამშრომლობით. ბელგიაში დამკვიდრებული ასეთი სადაზღვევო პრაქტიკა მიანიშნებს იმ ტენდენციაზე, რომ კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლები/მესვეურები თვითონ, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით ზრუნავენ, რომ ჰქონდეთ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დახვეწილი სისტემა.

საქართველოში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლებრივად დარეგულირებული არ არის, თუმცა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობა ადვოკატებთან და ნოტარიუსებთან მიმართებაში ხაზგასმული და გაწერილია თავად ნორმატიულ აქტებში (საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ", მუხლი 9; საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ", მუხლი 46, პუნქტი 2). თუ ყურადღებით გავეცნობით დასახელებული კანონების შინაარსს, აღმოვაჩენთ, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში სერიოზული ხარვეზია, კერძოდ პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9) მიუთითებს, რომ ადვოკატი ვალდებულია, კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ანაზღაურების მიზნით, კანონით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა. ამავე კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაწილში უნდა ამოქმედდეს „ადვოკატის პროფესიული პასუხის-მგებლობის დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქ-მედებასთან ერთად. დასახელებულ კანონში კონკრეტული ვადაც კი არის მითითებული აღნიშნული კანონის მიღებასთან დაკავშირებით. კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ეს ვადა იწურება 2002 წლის 1 ივნისს.

მსგავსი ვალდებულება ეკისრებათ ნოტარიუსებს „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კერძოდ: ნოტარიუსის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით გამოწვეული პირდაპირი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია, დადოს ხელშეკრულება გარანტირებულ პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის. აღნიშნული კანონის 59-ე მუხლი მიუთითებს, რომ ამ კანონის მე-20 მუხლი უნდა ამოქმედდეს „ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს

კანონის ამოქმედებისთანავე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მისაღებად ზუსტი ვადა არ არის განსაზღვრული.

როგორც ვხედავთ, განსახილველი ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირების საკითხი საკმაოდ აქტუალური და პრობლემატურია თანამედროვე ქართულ სინამდვილეში. ასეთი რეალობა შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჯერჯერობით აღნიშნულ პროდუქტზე დიდ მოთხოვნას არ იცნობს და სადაზღვევო კომპანიების მონაცემებით, დღევანდელ პირობებში მხოლოდ რამდენიმე ხელშეკრულებაა გაფორმებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროში. თუმცა ეს არგუმენტი საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად არ გამოდგება. უფრო მეტიც, როგორც საქართველოს სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, საქართველოში დაზღვევის აღნიშნული ინსტიტუტის კანონმდებლობით მოუწესრიგებლობა ხშირად ხელს უწყობს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან მათთან მისული კლიენტებისათვის (ავტორს მხედველობაში ჰყავს მეწარმეები) არათანაბარი, მხოლოდ მზღვეველებისათვის სასარგებლო პირობების შეთავაზებას ან საერთოდ უარის თქმას ასეთი სახის დაზღვევაზე.

თანამედროვე პირობებში, საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვებისა და ჰარმონიზაციის პროცესში, მიზანშეწონილად მიმაჩნია, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა დარეგულირდეს ცალკე კანონით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა აუცილებელი პროფესიის დასახელება. ასეთი პოზიციის არჩევისას არ ვეთანხმები ქართულ სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურაში გამოხატულ პოზიციას პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ სხვადასხვა პროფესიის პირთა ჯგუფისათვის ცალკე კანონების მიღების თაობაზე. ასეთი მიდგომა დასახელებულ წყაროში გამართლებულია ცალკეული პროფესიისათვის დამახასიათებელი კონკრეტული სპეციფიკით. ამასთან საქართველოს კანონმდებლობაში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არასრულყოფილი სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, დღეისათვის არსებულ პირობებში, უფრო მართებულად მიმაჩნია, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ ცალკე კანონის მიღება. მასში გათვალისწინებული იქნება, როგორც აღნიშნული ინსტიტუტის ცნება, ისე მისი ზუსტი შინაარსისათვის განმსაზღვრელი ყველა აუცილებელი ნიშანი ცალკეულ პროფესიათა სპეციფიკის გათვალისწინებით. ვფიქრობ, აღნიშნული კანონის მიღება გადაწყვეტს როგორც პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არასრულ-ყოფილი სამართლებრივი რეგულირების პრობლემას, ისე ცალკეული პროფესიის მქონე სპეციალისტების ლეგიტიმური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ", თბილისი, 1997 წლის 2 მაისი;
2. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ", თბილისი, 2001წლის 20 ივნისი;
3. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ", თბილისი, 1996 წლის 3 მაისი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბილისი 2001;
5. გვარამია ლევან, „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება", საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2002წელი;
6. ჩოხელი ნინო, „უცხოური სადაზღვევო კომპანიების მიერ ფილიალის დაფუძნება საქართველოში („დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა)", ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა" 7/№4-2004;
7. კერესელიძე დავით, „იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება", ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა" 6/№4-2003;
8. ლეჟავა ნათია, „დაზღვევა როგორც მომსახურების ინდუსტრია (აშშ-ის მაგალითზე)", „ამერიკის შესწავლის საკითხები" (მესამე გამოცემა), თბილისი, 2005წ;
9. International Law and Regulation, Germany By Jan Volker Glauber, Glauber Steinberg Stenger Hannemann Uhimannsiek, Hamburg, Germany, Issued February 2002;
10. 10.International Law and Regulation, Austria By Andreas Schmid Wolf Theiss & Partners, Vienna, Austria, Issued November 1999;
11. International Law and Regulation, United States By Daniel R. Brown LeBoeuf, Lamb, Greene & MacRae L.L.P, San Fancisco, California, United States, Issued March 2003;
12. International Law and Regulation, Australia By F.G. Hawke Clayton Utz Melbourne, Victoria, Australia, Issued March 2003;
13. International Law and Regulation, Spain By Miguel Sueiro Seoane and Israel Gomez-Caro Castro, Sueiro & Varela, Madrid, Spain, Issued March 2004;
14. International Law and Regulation, Bulgaria By Antonia Spasova, Spasova & Tzvethova, Sofia, Bulgaria and Milena Rizova, Deloitte & Touche, , Sofia, Bulgaria, Issued December 2003;
15. International Law and Regulation, Belgium By Pia Conseil Oppenheimer, Wolff & Donnelly, Brussels, Belgium, Issued March 2003;
16. International Law and Regulation, Luxembourg By Jean-Paul Kill Avocat a la Cour, Luxembourg, Issued July 2002;

17. International Law and Regulation, Greece By Alkistis Christofilou IKRP Rokas & Partners, Athens, Greece, Issued March 2004;
18. 20.International Law and Regulation, Brazil By Bruno Lardosa Gouvea Vieira, Rio de Janeiro, Brazil, Issued December 2003;
19. International Law and Regulation, Japan By Kazuo Satori, Satori Law office, Tokyo, Japan and Toshiaki Hasegava T. Hasegava & Company, Tokyo, Japan, Issued February 2002;
20. International Law and Regulation, Switzerland By Peter Haas Naegeli & Streichenberg, Zurich and Berne, Switzerland, Issued March 2004;
21. International Law and Regulation, Sweden By Ake J Fors Setterwalls, Stockholm, Sweden, Issued March 2004;
22. International Law and Regulation, Romania By Catalin Baiculescu and Mihaela Baiculescu, Musat & Asociatii, Bucharest, Romania, Issued March 2004;
23. International Law and Regulation, Singapore By Quentin Loh Rajah & Tann, Singapore, Issued March 2004;
24. International Law and Regulation, Venezuela By Gustavo J. Reyna and Ines Morales P. D`Empaire Reyna Bermudez & Asociados, Caracas, Venezuela, Issued March 2001;
25. International Law and Regulation, Malaysia By S. Radhakrishnan Shearn Delamore & Co. Kuala Lumpur, Malaysia, Issued March 2004;
26. International Law and Regulation, Gibraltar By Christian C. Hernandez Isola & Isola. Gibraltar, Issued November1999;
27. International Law and Regulation, Argentina By Juan Achaval Baker & Mckenzie, Buenos Aires, Argentina, Issued November1999;
28. International Law and Regulation, The Bahamas By Brian C. Simms Lennox Paton, Nassau, Bahamas, Issued August 2000.

Summary
Ketevan Iremashvili
Professional Liability Insurance and Georgian Reality

Professional liability insurance is unique legal instrument which is used by a huge number of countries around the world. Professional liability insurance contract covers damages arising from various professional activities as a result of errors and omissions committed by professionals. In most countries professional liability insurance is established as a part of compulsory insurance, whereas in some of them it is considered as a prerequisite for receiving a working license and appropriately there it is regulated not by insurance acts but by specific professional rules.

There’s no legal regulation, neither good practice in this field in Georgia. In terms of harmonization of Georgian legislation to that of international standards it is extremely important to take into account the rules of foreign legislation and best practices of the world. The idea of legal protection behind the professional liability insurance is incorporated in two ways: first, this legal phenomenon protects the legal

interest of insured persons (in these case of professionals) as it guarantees the compensation for damages caused by insured, also it addresses to the so-called third parties (injured) because it provides compensation for damages. Also it is a profit-based relation as it provides insurer with insurance premium and the economic meaning of insurance is not less important. . Insurance market in Georgia is becoming more and more reliable and flexible. Adding new products to the list of insurance services will be useful for insurance market and for the Georgian society as well.

It is desirable for Georgia to adopt a law on Professional liability insurance that will regulate all essential professions and necessary fields.

Резюме
Кетеван Иремашвили
Правовое регулирование страхования профессиональной ответственности

Страхование профессиональной ответственности уникальный и широко распространенный юридический инструмент, используемый во всем мире. Во многих странах мира оно установлено как вид обязательного страхования, так как в некоторых из них страхование профессиональной ответственности является как предпосылка для получения рабочей лицензии в сфере медицины, юриспруденции, строительства и т.д.

В этих странах страхование профессиональной ответственности регулируется не страховым законодательством, а специальными нормамы регулирующими деятельность отдельных профессии.

Законодательство Грузии не регулирует вышеуказанный институт. Однако, необходимость его правового регулирования зафиксирована в нормативных актах (“Закон Грузии о нотариате” и “Закон Грузии об адвокатах”).

На современном этапе, когда страховой рынок в Грузии становится более стабильным и надежным, представляется целесообразным создание и принятие нового закона о страховании профессиональной ответственности, который решит существующую проблему.

Вместе с тем принятие этого закона будет способствовать улучшению процесса гармонизации законодательства Грузии с международными стандартами.

გიორგი მჭედლიშვილი

ხევის ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული ღირშესანიშნაობები დიდი ტურიზმის მოლოდინში

„ხევის პატარძალი“ – ასე უწოდებენ მოხევეები აღმოსავლეთ საქართველოს უმაღლეს მწვერვალს, თოვლ-მყინვარიანი საფარით შემოსილ მყინვარწვერს. იგი ოდითგანვე იპყრობდა ადგილობრივი მოსახლეობის, ალპინისტებისა თუ ტურისტების ყურადღებას. ლეგენდებითა და მითებით გარემოცული, იგი არაერთი პოეტის შთაგონების წყაროდაც ქცეულა. ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში მეორე ისეთი მწვერვალი, რომელსაც უკაშირდებოდეს იმდენი ლეგენდა და ისტორიული ფაქტი, რამდენიც მყინვარწვერს. რით იწვევდა "ხევის პატარძალი" ასეთ დიდ ყურადღებას? რით გამოირჩევა იგი?

მყინვარწვერისადმი ასეთი დიდი დაინტერესება მისი გეოგრაფიული მდებარეობითაც შეიძლება აიხსნას. კავკასიონის მაღალმთიანი ქედის ფარგლებში სწორედ ხევზე, დარიალის ხეობაზე გადიოდა ოდითგანვე ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ერთადერთი გზა. საუკუნეების განმავლობაში ეს გზა მნიშვნელოვან სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებდა. 1990-იან წლებამდე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ გადიოდა საკავშირო მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტიც, აქედან კი მყინვარწვერისაკენ – ტურისტული და ალპინისტური გზები.

ხევი თვალწარმტაცი ბუნების, ჭორომიან-ჩანჩქერებიანი მდინარეების, მინერალური წყაროების, გამოქვაბულების და ბუნების მრავალი სხვა ძეგლის სიმრავლით გამოირჩევა. ბუნებრივი და კულტურული ძეგლების სიუხვის გამო საქართველოში იგი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ტურისტული რეგიონია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სრულყოფილად როდი გამოიყენება მისი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი.

ხევში განსაკუთრებით გამორჩეულია მყინვარწვერი. იგი არაორგანული თუ ნივთიერი კულტურის ძეგლების სიმრავლით ხასიათდება. უთუოდ, ამანაც განაპირობა ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მისადმი გაცხოველებული ყურადღება. თუმცა აქ არის ბუნების ისეთი ღირშესანიშნაობებიც, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი და რომლებსაც არანაკლები ტურისტული მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს.

მყინვარწვერის მასივისა და მისი მიდამოების ტურისტული ღირებულების ბუნებრივი ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია:

- მ. მყინვარწვერი – ალპინიზმის ერთ-ერთი მთავარი კერა საქართველოში.
- ბეთლემისა და სხვა გამოქვაბულები.
- დენუდაციური "მოწმე" – "ბეთლემის ბერი".

- კარკალები ("ქვის ზღვები") და ქვის ნაკადები (კურუმები).
- ღვარცოფების მიერ გადაადგილებული უზარმაზარი ლოდები.
- მინერალური წყლები.
- კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ყაზბეგი.

ისტორიული წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ 1799 წელს *მყინვარწვერზე* ასულა სოფ. ერედვის (გორის რაიონი) მკვიდრი იოსებ მოძღვარი (ფავლენიშვილი), რომელსაც თვით გამოუკვეთავს საყდარი და თითქმის 20 წლის მანძილზე ყაზბეგელ დიმიტრი ფიცხელაურთან ერთად იქ უცხოვრია და უმოღვაწია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს წელი საკმაოდ ახლო დგას თანამედროვე ალპინიზმის დასაბამად მიჩნეულ თარიღთან (1786 წ), როცა ალპების უმაღლეს მწვერვალზე მონბლანზე (4807 მ) ავიდნენ შვეიცარიელი გლეხი ჟ. ბალი და ფრანგი ექიმი მ. პაკარი. თუმცა ადგილობრივი თქმულების მიხედვით იოსებ მოძღვარზე ადრე მყინვარწვერზე ვინმე მამუკა ბერი ასულა. სავარაუდოა, რომ ეს უნდა მომხდარიყო გაცილებით ადრე, არაუგვიანეს 1750 წლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიულ წყაროებში მასზე ასვლის თარიღად მითითებული არ იქნებოდა 1799 წელი. რეალური ფაქტი, ეტყობა, უკვე დავიწყებას ჰქონდა მიცემული და მხოლოდ ლეგენდის სახითღა თუ იყო იგი შემორჩენილი. სხვა ადრეული ცნობები მწვერვალზე ასვლის შესახებ არ მოგვეპოვება.

ცენტრალური კავკასიონი წარმოადგენს რთულ კლასიკურ ტრავერსს, სადაც ერთ-ერთი ყველაზე რთული დასალაშქრი მწვერვალია მყინვარწვერი. 1932 წელს მასზე გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით პირველი ქართული ალპინისტური ასვლა მოეწყო. ამის შემდეგ მთელი ხევი ტურიზმისა და მასობრივი ალპინიზმის ცენტრად იქცა. სწორედ მყინვარწვერზე პირველი ალპინისტური ასვლის დროს იქნა გამოვლენილი "ბროკენის მოვლენა". მაღალი იარუსის ღრუბლებში კრისტალურ ყინულებში ხდება სინათლის სხივის გარდატეხა და არეკვლა, რის შედეგადაც მწვერვალზე მყოფი ადამიანების აჩრდილების, ე.წ. "ბროკენის აჩრდილების" გამოსახვა ღრუბლებში. ეს საინტერესო ოპტიკური მოვლენა პირველად აღწერილი იყო ჰარცის მთების (გერმანია) უმაღლეს მწვერვალზე ბროკენზე (ზ.დ. 1142 მ). სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს.

მყინვარწვერი კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე, ხოხის ქედზე, მდ. თერგის მარცხენა მხარეს, ყაზბეგის რაიონში, ზ.დ. 5033 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ადრე მყინვარწვერი კავკასიის უმაღლეს მწვერვალადაც კი მიაჩნდათ: "უმაღლეს ყოველთა კავკასთა და მარადის ყინულით შეკვერცხილი" (ვახუშტი ბაგრატიონი).

მყინვარწვერი ჩამქრალი ვულკანია. რადიონახშირბადის მეთოდით მეცნიერებმა გამოიანგარიშეს მისი უკანასკნელი ამოფრქვევის დრო (დაახლოებით 5900 წლის წინ). თუმცა შემონახულია ცნობები, რომ იგი ძვ. წ. X-XIII საუკუნეებშიც კი

ბოლავდა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ შეიძლება ის კიდევ ამოიფრქვეს, ამიტომ უწოდებენ მყინვარწვერს "მიძინებულ" ვულკანს.

რელიეფის ვულკანური ფორმებიდან მყინვარწვერის მასივზე მრავლად გვხვდება ლავური კონუსები, კრატერები, ლაკოლითები, ლავური ნაკადები, ტაფობები. აქ რამდენიმე ცენტრალური ვულკანი გვხვდება, რომელთაგან უდიდესია მყინვარწვერი. მისგან რადიალურად სამი ლავური ღვარი (გველეთის, ჩხერის, მნას) ეშვება სხვადასხვა მიმართულებით. ისინი თერგის კალაპოტამდეც აღწევდნენ. მყინვარწვერის ფერდობებზე მდებარეობს მრავალი მყინვარი: მნა, გერგეტი, დევდარაკი, აბანო, დენკარა, ჩათა, სუათისი და სხვ. მათ შორის ყველაზე დაბლა – ზ.დ. 2257 მ სიმაღლემდე დევდარაკის მყინვარის ენა ეშვება.

დევდარაკის მყინვარი იმითაც არის ცნობილი, რომ მისგან ჩამოსულმა ზვავმა XVIII-XIX საუკუნეებში არაერთხელ გამანადგურებლად დააზიანა საქართველოს სამხედრო გზა დარიალის ხეობაში. მძლავრი ჩამოზვავების შედეგად კი აქ არაერთხელ გაჩენილა ღრმა ტბები. მოგვიანებით წყლის ნაკადს გაუნგრევია ბუნებრივი ჯებირი. სწორედ დევდარაკის მყინვარიდან ჩამოსულმა ღვარცოფმა (1832 წ) ჩამოიტანა დარიალის ხეობაში სოფ. ლარსთან (ალანიაში) უზარმაზარი "ერმოლოვის ქვა", რომლის ზომებია 29×15×13 მ, ხოლო წონა – 1500 ტონა. იგი აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი მყინვარული ლოდია. ფირნის ველისა და მყინვარების საერთო ფართობი მყინვარწვერის მასივზე საკმაოდ დიდია და შეადგენს 135 კმ^2-ს.

მყინვარწვერზე ისეთივე მკაცრი კლიმატური პირობებია, როგორც არქტიკულ მარადყინულიან მხარეში. თვის საშუალო ტემპერატურა, ივლის-აგვისტოს გარდა, მთელი წლის განმავლობაში უარყოფითია. ამასთან სწორედ აქ, მის კალთებზე აღინიშნა ჰაერის მინიმალური საშუალო წლიური ტემპერატურა (-6°C) საქართველოს ფარგლებში.

ყურადსაღებია აგრეთვე საქართველოში ყველაზე მაღლა, ზ.დ. 3650 მ სიმაღლეზე მდებარე *ყაზბეგის მეტეოროლოგიური სადგური*, სადაც დაკვირვებები 1934 წლიდან ტარდება. საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე დაბალი ტემპერატურა (-43^{0}C) სწორედ ამ მეტეოსადგურზეა აღრიცხული. სწორედ აქედან, მეტეოსადგურთან ახლოს იწყება რამდენიმე ტურისტული მარშრუტი მყინვარწვერის მასივისაკენ. მაგრამ რთული რელიეფის, კლდოვანი მასივების, მარადი თოვლისა და ნაპრალოვანი ზედაპირის მქონე მყინვარების ფართო გავრცელების გამო ეს მარშრუტები უმეტესწილად მყინვართა ენის ბოლოსთან მთავრდება. ამის შემდეგ გზის გავლა მხოლოდ ალპინისტებისათვისაა ხელმისაწვდომი.

საინტერესოა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია იწინასწარმეტყველოს მოსალოდნელი ამინდი. ნოტიო აღმავალი ჰაერის მასების შედეგად წლის გარკვეულ პერიოდში მწვერვალის თავზე ღრუბლები წარმოიქმნება ხოლმე, ე.წ. "მყინვარწვერის ქუდი", როგორც

მას უწოდებენ მოხევეები. მწვერვალის თავზე მისი გამოჩენა კი, უთუოდ, თოვლის ან წვიმის მოსვლის მაუწყებელია.

კურორტი ყაზბეგი მდებარეობს ზ.დ. 1744 მ სიმაღლეზე, მდ. თერგის მარჯვენა ნაპირზე. კლიმატი ზომიერად რბილი ზამთრით, მდგრადი თოვლის საფარითა და ზომიერად თბილი ზაფხულით ხასიათდება. დამახასიათებელია ხშირი მზიანი ამინდები, სუფთა და მაღალი გამჭვირვალობის ჰაერი, რაც მიზანშეწონილია სასუნთქ ორგანოთა პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ. დაბა ყაზბეგიდან 2 კმ მანძილზე, ს. ფანშეტში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს მინერალური წყლის გამოსავალი. ქიმიური შედგენლობით იგი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ კალციუმიან-ნატრიუმიანია 1,5-2,5 გ/ლ საერთო მინერალიზაციით. იგი გამოიყენება საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სამკურნალოდ.

ოდითგანვე მყინვარწვერისადმი დიდ ინტერესს იჩენდა ადგილობრივი მოსახლეობა. ეს სახელთა სიმრავლეშიც გამოიხატა. მოხევეებმა მას "ხევის პატარძალი", თუშებმა - "ლომი", ფშაველებმა – გერგეტი, ოსებმა – ურსხოხი, ანუ "თოვლიანი მთა", რუსებმა – ყაზბეგი შეარქვეს. ეს უკანასკნელი უკავშირდება XIX საუკუნის რუსეთის იმპერიისდროინდელი სასაზღვრო მეთვალყურეების – ყაზიბეგების სახელწოდებას. მათ ევალებოდათ მტვირთავებითა და სახედრებით მგზავრთა მომსახურება, აგრეთვე გზებისა და ხიდების მდგომარეობის მეთვალყურეობა. საქართველოს სამხედრო გზის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო იმ დროის საქართველოში ეს "თანამდებობა" საკმაოდ პრესტიჟულად ითვლებოდა. სიტყვა "ყაზბეგი" ხევის მოურავ ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის სახელიდან მომდინარეობს. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მას დარიალის დაცვას ავალებდა, რის გამოც მოურავი პრივილეგიებით სარგებლობდა. მოურავის შვილმა გაბრიელ ჩოფიკაშვილმა კი მიიღო-რა აზნაურობა, უარი თქვა თავის გვარზე. ამიერიდან იგი და მისი შთამომავლობა ყაზბეგის გვარით მოიხსენიება.

მყინვარწვერისადმი ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებდა მთიელთა ფანტაზიით შექმნილი მრავალი ლეგენდა თუ მითი. ამისათვის საკმარისია თუნდაც *ბეთლემის გამოქვაბულისა* (მდებარე გერგეტის მყინვარზე) და ილია ჭავჭავაძის "განდეგილის" გახსენებაც. მყინვარწვერის აღმოსავლეთ კალთაზე არაერთი გამოქვაბულია, რომლებიც ერთ დროს (V-VIსს-დან XVIIIს ბოლომდე) ბერთა სადგომები ყოფილა. ეს გამოქვაბულები ადამიანს შორეულ წარსულში ხელოვნურად გაუფართოებია, ამიტომ მეტად ძნელია დღეს ბუნებრივ და ხელოვნურ სიღრუვეებს შორის ზღვარის გავლება. წარსულში აქ მრავალჯერ გადაუშალავთ განძეულობა და ამით იგი უცხო დამპყრობელთაგან გადაურჩენიათ. ხალხური გადმოცემის მიხედვით მონღოლთა შემოსევების დროს მებრძოლ ჭაბუკთა ცხენოსან რაზმს თბილისიდან ბეთლემისაკენ ხურჯინებით სამეფო ხაზინის განძეულობა წაუღიათ. განძის ადგილსამყოფელის საიდუმლოდ შენახვის მიზნით ბეთლემში ჩასვლისას მათ ერთმანეთი გაუგმირავთ. ბეთლემის

გამოქვაბულში ნაპოვნი ნივთიერი კულტურის ძეგლები *ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში* ინახება.

მყინვარწვერის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს 2 მ სიმაღლის კლდოვანი სვეტი, დენუდაციური "მოწმე". დასავლეთის მხრიდან იგი ბერის ფიგურას მოგვაგონებს, ამიტომ მას "ბეთლემის ბერი" შეარქვეს. სვეტი აგებულია ვულკანოგენური ნგრეული ქანებით. ასეთი დენუდაციური ნაშთები არაერთგან გვხვდება ხევში.

კარკალები ("ქვის ზღვები") და *ქვის ნაკადები* (კურუმები) ყინვისმიერი გამოფიტვითა და ეოლური პროცესებით გამომუშავებული ნაყარებია. იგი ხევის მთელ ტერიტორიაზე გვხვდება და ზოგან ფართო მასშტაბებსაც კი აღწევენ – 10-15 კმ²-მდე.

ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე ხევის უმთავრესი სალოცავის – XIV საუკუნის არქიტექტურული ძეგლის – სამების ტაძრის, ანუ გერგეტის სამების (ხევის ერთადერთი გუმბათიანი ტაძრის) არსებობაც. მთის წვერზე აღმართული ეს ტაძარი ყველა მხრიდან მოჩანს. სწორედ ტაძართან იწყება მყინვარწვერისაკენ მიმავალი სამი ალპინისტური მარშრუტი და მეტეოსადგურზე ასასვლელი გზა.

ეს ერთადერთი გუმბათოვანი და, იმავე დროს, ყველაზე დიდი ეკლესიაა ხევში. ხევის მთავარი სალოცავი, ყაზბეგის მახლობლად, სოფელ გერგეტის ზემოთ მთაზე, რაიონული ცენტრის ყაზბეგის დასავლეთით თვალწარმტაცი ხედი იშლება, რომელსაც აგვირგვინებს მუდამ თოვლით შემოსილი მყინვარწვერი. მის წინ მდებარე მაღალი მთის თავზე (ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე) სილუეტად მოჩანს ორი ნაგებობა – ეკლესია და სამრეკლო. ამ ეკლესიას ადგილობრივი მკვიდრნი „წმინდა სამებას" უწოდებენ.

სამებაზე მიმავალმა ყაზბეგიდან თერგი უნდა გადაიაროს და სოფელ გერგეტში შევიდეს. სოფელში აქა-იქ შემორჩენილია ბოლო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კოშკური სახლები. ერთ-ერთი მათგანის კარის თავზე რელიეფურად გამოსახულია ორი გველი, რომელთაც თითქოს ოჯახის მფარველობა ეკისრებათ.

გერგეტის სამების ეკლესიასა და სამრეკლოს ფართო გალავანი შემოუყვება, მას თავდაპირველი სიმაღლე არ შერჩენია, მაგრამ ზოგ ადგილას საკმაო სიმაღლისაა. ეზოში ერთადერთი შესასვლელი სამრეკლოს პირველ სართულზე ყოფილა, რომელიც გვიან ამოუშენებიათ და ახლა იქვე გვერდით გაუკეთებიათ მარტივი კარი.

ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანია და მიეკუთვნება XI საუკუნიდან საქართველოში გავრცელებულ ეკლესიათა ტიპს. ისტორიას არ შემოუნახავს არც ძეგლის აგების თარიღი, არც ხუროთმოძღვართა ვინაობა, მაგრამ არქიტექტურული ფორმებით ტაძრისა და სამრეკლოს აგების თარიღი XIV საუკუნის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. ძეგლი თარიღდება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ძეგლებთან სტილისტიკური სიახლოვის საფუძველზე.

სამების ანსამბლს, რომელიც შედგება ტაძრისა და სამრეკლოსაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირგვლივ დაბალი გალავანი აკრავს.

ტაძრის გარე მასები ქმნის ამ ტიპის ეკლესიებისათვის დამახასიათებელ კომპოზიციას, თლილი ქვით ნაგები კედლები უხვადაა მორთული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ლილვებითა და ჩუქურთმებით მოკაზმული კარ-სარკმელები. მნახველის ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ყველა ფასადის ცენტრალური სარკმლის თავზე აღმართული დეკორატიული ჯვრები, ათწახნაგოვანი გუმბათის ყელი თაღებითაა შემკული.

შიდა ხალვათ სივრცეს არაჩვეულებრივად მაღალი გუმბათი აგვირგვინებს, ამ სივრცის განათება გვერდებიდან და გუმბათის ყელიდან შემოსული სინათლით ხდება. ყურადღებას იპყრობს ტაძრის შიდა კედლების მოპირკეთება კარგად ნაწყობი თლილი ქვით.

ორსართულიანი სამრეკლო მდებარეობს ტაძრის სამხრეთით რამდენიმე ნაბიჯზე. ტაძრის გალავანში შესასვლელი ყოფილა სამრეკლოს პირველ სართულიდან, სადაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში თითო ვიწრო კარი მდებარეობს, სამრეკლოს თლილი ქვით შემოსილი კედლები ნაწილობრივ მორთულია ჩუქურთმებითა და ბარელიეფებით.

სამრეკლოც XIV საუკუნეში უნდა იყოს აგებული.

ლამაზი ბუნების წიაღში მდგარი სამების ანსამბლი იმითაც არის საინტერესო, რომ ასეთი რთული და დიდი ზომის ნაგებობა სხვა არ გაგვაჩნია საქართველოს მთიანეთში.

ხევის სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია:

ყაზბეგი შემორჩენილია კოშკები ზალიეთი და გუგუეთი, ისევე მცირე ბაზილიკური ტიპის ეკლესია, „ქუშეთ ნიში" დარიალში ივანე ნათლისმცემლის ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკური ტიპის ეკლესია, თამარის ციხე.

ცდო შემორჩენილია კვირეს ეკლესიის ნანგრევები და ყოჩის ქანდაკება.

გველეთი შემორჩენილია კოშკის ნანგრევები და სოფლის თავს შუა საუკუნეების ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ფრესკებიც ჰქონია. აქვეა ე.წ. დავითის ციხე.

სნო სნოში შემორჩენილია ადრე ფეოდალური ხანის ზურგიანი კოშკის ნანგრევები და გვიანდელიხანის ციხე-კოშკი, რომელიც ;სნოს ციხის" სახელწოდებითაა ცნობილი.

ქოსელი ქოსელი საყურადღებოა როგორც დასახლების ტიპი, სადაც ასევე შემონახულია ძველი საცხოვრებელი სახლები.

კარკუჩა კარკუჩაში შემორჩენილია ყანანაზის წმ. გიორგის ნიში

ჯუთა შემორჩენილია ძველებური ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები და ნიშნები.

აჩხოტი შემორჩენილია პირამიდული ტიპის კოშკი ნახევრად დანგრეული.

ახალციხე შემორჩენილია IX საუკუნის ბაზილიკური ტიპის ეკლესია, ღალანგურის ნიში. შემორჩენილია აგრეთვე მიწის ზედა აკლდამა.

სიონი შემორჩენილია IX საუკუნის ბაზილიკური ტიპის ეკლესია. სასიგნალო კოშკი და წმ. იორგის სახელობის მცირე ზომის ბაზილიკა ადრე ფეოდალური ხანისა.

გარბანი შემონახულია გარბნის წმ. იორგის სახელობის VIII–IX სს ერთნავიანი ბაზილიკა

არშა არშაში შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხე ე.წ. არსის ციხე და ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები.

გაიბოტენი გაიბოტენი არის შუა საუკუნეების ორი სასიგნალო კოშკი პირამიდული და ზურგიანი, ბაზილიკური ტიპის ეკლესია და ყოჩის ქანდაკება.

თოთი შემორჩენილია ძველი კოშკების ნანგრევები და საფლავიღინჭა ხულელისა, რომელიც იყო ალ. ყაზბეგის მთხრობელი და მისი ნაწარმოების გმირი /ელგუჯა- ხევისბერი გოჩა/.

ფანშეტი შემორჩენილია სამი კოშკი: სამქანეთი, ჩონიეთი და საბაურთ ძველი ნამოსახლარები ე.წ. ძველი ფანშეტი, ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები და მიწის ზედა აკლდამა.

გორისციხე შემორჩენილია ციხე კოშკი და სამლოცველო ე.წ. „მამაწმინდობისა".

ფხელშე შემორჩენილია, ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები და ციხის ნანგრევები, სადაც თურმე დღესასწაულობდნენ ;ქალის ხატობას".

ტყარშეტი შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები, კოშკის ნანგრევები თვით სოფელში, ხოლო სოფლის თავს ქედზე შემორჩენილია ადრე ფეოდალური ხანის ბაზილიკის ტიპის ეკლესია და ძველი ნასახლარები.

ხურთისი შემორჩენილია სასიგნალო-საკონტროლო ხუთსართულიანი ზურგიანი კოშკი და ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები.

ყანობი შემორჩენილია ძველი ბაზილიკური ტიპის მომცრო ეკლესია და გვიანდელი ხანის გუმბათიანი ეკლესია.

კობი შემორჩენილია ფეოდალური ხანის ნანგრევები და გვიანდელი ხანის ბაზილიკა.

ალმასიანი შემორჩენილია გვიანდელი ხანის 8 გუმბათიანი ეკლესია.

ნოგყაუ შემორჩენილია ფეოდალური ხანის ბაზილიკა და გვიანდელი ხანის ქვაგვარი და ეკლესია ბაზილიკა.

მნა შემორჩენილია ძველი კოშკები.

გემო შემორჩენილია ძველი კოშკები, რომლებიც გამოყენებულია საცხოვრებლად და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქვემო ოქროყანა შემორჩენილია ძველი კოშკები.

შევარდენი აქ შემორჩენილია სამრეკლო, ქვაჯვარი და ბაზილიკა „მაცხარ" ანუ მაცხოვარი.

აბანო შემორჩენილია, ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევები და ორი ხუთსართულიანი კოშკი.

კეტრისი კოშკები და ძვ. ამოსახლარები.

დესი შემორჩენილია კოშკები.

სუატისი შემორჩენილია ეკლესია ბაზილიკური რომელსაც თამარის ეპოქას მიაკუთვნებენ, ძველი ციხე-კოშკები და მის მახლობლად ასევე შემორჩენილია ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკა ე.წ. „ყარანგელოზი".

კარათკაუ შემორჩენილია ძველი ნამოსახლარები და 6 დიდი კოშკი.

ცოცოლთა აქ შემონახულია გვიანდელი ბაზილიკური ტიპის ეკლესია.

ბურმასიგი ბურმასიგში შემორჩენილია 2 კოშკი.

გიმარა შემორჩენილია ნიში ;ვაჩილა" და ძველი კოშკების ნანგრევები.

ტეფი კოშკები.

რესი კოშკები.

აღსანიშნავია, აგრეთვე, არშის, დარიალის, სნოს (იგივე ღუდუშაურის) ციხეები. გარდა ამისა, ხევში ბევრია თავდაცვითი დანიშნულების კოშკები. ქვეყნის დაცვას ძირითადად ის ციხე-სიმაგრეები ემსახურებოდა, რომლებიც იდგა საზღვრებზე, მაგისტრალებზე, გზაჯვარედინებზე და საერთოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში. მტრის შემოსევის დროს პირველ დარტყმას ეს ციხეები იღებდნენ. ამიტომ მათში უნდა მდგარიყო გარნიზონი, თორემ დაკისრებულ მოვალეობას ვერ შეასრულებდნენ და მომხდური დაუბრკოლებლად შემოვიდოდა ქვეყნის შიგნით.

ციზესიმაგრე ერთხელ შემუშავებული ფორმითა და კონსტრუქციით როდი იგებოდა. როგორც ცოცხალი ორგანიზმი იგი პასუხობდა თავის ეპოქას. ეპოქების მიხედვით კი ბევრი რამ იცვლებოდა და ყველაფერი ეს უშუალოდ აისახებოდა ნაგებობის საერთო გადაწყვეტასა და დეტალებში.

ხევის უმთავრესი ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობაა - ისტორიულ ხევის ცენტრი – სტეფანწმინდა (ამჟამად რაიონული ცენტრი). როგრც უკვე აღვნიშნეთ, ყაზბეგი მას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეერქვა ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის პატივსაცემად.

ჩოფიკაშვილს ებარა რუსეთ-საქართველოს მაერთებელი მთავარი გზა. ამ მხარეს იგი განაგებდა. მისი სახელი შეერქვა აგრეთვე მყინვარწვერსაც, რომელიც დღეს მსოფლიო მთასვლელთა შორის საყოველთაოდაა აღიარებული. ყაზბეგში არის სასტუმრო და იქვე მახლობლად ტურბაზა.

ყაზბეგის მწვერვალი იშვიათი სანახავია, წლის ყოველ დროს და დღის ყოველ მონაკვეთში. განსაკუთრებით დიდებული და შთამბეჭდავია მზის ამოსვლისას.

ცენტრთან ახლოს დგას ალექსანდრე ყაზბეგის მამისეული სახლი და მათი კარის ეკლესია, აგებული 1809 წელს. ყაზბეგისეულ ორსართულიან სახლში ამჟამად მხარეთმცოდნეობის მუზეუმია. შენობის წინ მწერლის საფლავია ბიუსტით. მუზეუმში წარმოდგენილი მასალებიდან მნახველი ერთი თვალის გადავლებითაც გაეცნობა მოხევეთა ისტორიულ წარსულსა და აწყმოს.

ყაზბეგის ძველ კვარტალში ჯერ კიდევ ბლომადაა შერჩენილი მოხევეთა სახლები – ქვით ნაგები, დაბალი და ჯმუხი. ფეოდალური ხანის ნაგებობებიდან აღსანიშნავია ამავე უბანში მდგარი ორი კოშკი. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ ამ ასიოდე წლის წინათ ოთხი კოშკი ყოფილა.

აღნიშნული ორი კოშკი ერთმანეთს ასიოდე მეტრითაა დაცილებული და ისეთი მსგავსნი არიან, რომ საფიქრებელია ერთი და იმავე ოსტატის მიერ იყოს აგებული. ორივე კოშკს შესასვლელები მაღლა აქვს, ერთმანეთის მოპირდაპირედ. ჩანს, ერთიანი ფრონტი ჰქონიათ.

აღმოსავლეთით მდგარი პირამიდული ფორმის კოშკში პირველი სართული მაღლა იწყება, ქვედა ტანი ნაწილობრივ მასიურია. პირველი სართული მაღალია კამაროვანი გადახურვით. მეორე სართულიდან ნაწილებია შერჩენილი. ორივე სართულის კედლებში სათოფეებია განლაგებული.

დაახლოებით ასეთივე გადაწყვეტისაა მეორე კოშკიც. ორივე კოშკი აგებულია XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე.

ხევი მიეკუთვნება აღმოსავლეთ კავკასიონის საკურორტო-რეკრეაციულ რაიონს. საქართველოს სხვა რაიონებთან (სულ 12) შედარებით მას ერთ-ერთი დაბალი ადგილი უკავია ტურიზმისა და რეკრეაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების, აგრევე უცხოური ტურიზმის ხვედრითი წილის მიხედვით. ამრიგად, იგი ნაკლებად ათვისებული ტურისტულ-რეკრეაციული რაიონია, თუმცა საკმაოდ პერსპექტიული. ამ მხრივ გამორჩეულია ადგილი უკავია მყინვარწვერსა და მის მიდამოებს. წარსულში აღმოსავლეთ კავკასიონის ტურისტულ-რეკრეაციული სპეციალიზაცია ავტოტურიზმითა და სპორტული ტურიზმით განისაზღვრებოდა. ეს უკანასკნელი არსებითი იყო მყინვარწვერის მიდამოებისათვის. ქვეყანაში მიმდინარე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფონზე შეიძლება მისი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ძირითადი ორიენტირების

შეცვლა და მისი წარმართვა შემეცნებითი ტურიზმის, საკონფერენციო და საკონგრესო ტურიზმის, რელიგიური ტურიზმის მიმართულებითაც. ეს პოტენციალი კი მაქსიმალურად სრულყოფილად უნდა იყოს გამოყენებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ითონიშვილი. მოხევეების საოჯახო ყოფა. თბილისი. 1970
2. ვ. ითონიშვილი. ქართლის მთიულთა ყოფა-ცხოვრება. თბილისი. 1974
3. ვ. ითონიშვილი. ხევი ძველად და ახლა. საცხოვრებელი ნაგებობები ძველსა და ახალ ხევში. თბილისი. 1967
4. პ. ზაქარაია. საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები. თბილისი. 1973

РЕЗЮМЕ

Георгий Мчедлишвили

Естественные и историко-культурные памятники Хеви в ожидании большого туризма

В течении истории узкий проход Хеви был одним из главных дорог и мостов культурно-экономической связи не только всего Кавказа, но и Европыи Азии.

Военно-стратегическое значение региона обусловило здесь наличие системы крепостей.

Хеви, высокогорный регион, выделяется среди других регионов Грузии интересным и богатым историческим прошлым.

Небольшой по своему объему Хеви богат хорошо сохранившиемся памятниками материальной культуры, фольклором и грузинскими традициями.

SUMMARY

George Mchedlishvili

Natural and Historical-cultural monuments Khevi in expectation of the large tourism

During a history the narrow pass Khevi was one of the main roads and bridges cultural - economically communications not only all Caucasus, but also Europe and Asia.

The militari-strategic meaning of region has caused here presence of system of fortresses.

Khevi, the high-mountainous region, is allocated among other regions of Georgia with the interesting and rich historical past.

Small on volume Khevi is rich by monuments of material culture, folklore and Georgian traditions.

მერაბ ვანიშვილი

გლობალური სასურსათო პრობლემების წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები და მისი გადაწყვეტის პერსპექტივები

კაცობრიობა ახალ ათასწლეულში შევიდა შიმშილისა და არასაკმარისი კვების სერიოზული საფრთხეებით. ამიტომ უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში აგროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც, გარემოს დაცვის, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებისა და მრავალ სხვა აქტუალურ საკითხთან ერთად, მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

გასაგებია, რომ სურსათი წარმოადგენს ადამიანის სასიცოცხლო საშუალებათა ფონდის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომლის დეფიციტი აღიქმება უბედურებად და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. ისიც ცხადია, რომ სურსათი არის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსი: ვინც მას ფლობს, იგი ბატონობს ეკონომიკასა და პოლიტიკაში; სურსათის იმპორტისაგან ძლიერი დამოკიდებულება კი არსებითად ასუსტებს სახელმწიფოს ეროვნულ ეკონომიკურ და, შესაბამისად, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სასურსათო პრობლემა მეტად მრავალმხრივი და მრავალასპექტიანია. იგი ერთდროულად ბუნებრივი მოვლენაცაა, ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც, რომელიც აისახება საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ პრობლემისადმი მიძღვნილია მდიდარი სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

სადღეისოდ, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულია ადამიანთა კვების სამედიცინო ნორმები და, შესაბამისად, თვით შიმშილისა და არასაკმარისი კვების ცნებები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეფასებით, კვების სამაგალითო ნორმა ერთი ადამიანისათვის შეადგენს 2400-2500 კკალ. დღეღამეში. მკაფიოდ გამოხატული არასაკმარისი კვების მდგომარეობა დგება მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ეცემა 1800 კკალ-ზე ქვემოთ, ხოლო აშკარა შიმშილის მდგომარეობა, – მაშინ, როდესაც ის გადის „კრიტიკულ ზღვარს“ (1000 კკალ დღე-ღამეში). კვება, რომლის დროსაც არასაკმარისია არა მარტო კალორიები, არამედ აგრეთვე ცილები, ცხიმები, ვიტამინები, მიკროელემენტები, იწოდება არასრულფასოვნად. მას ფარულ (ქრონიკულ) შიმშილსაც უწოდებენ.

სასურსათო პრობლემა ახალი არაა. იგი ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის გლობალურ პრობლემათა შორის. შიმშილი, როგორც ამ პრობლემის უკიდურესი გამოვლენა და დიდი სოციალური უბედურება თავს ჰქონდა მოხვეული ადამიანთა ფართო მასებს უძველეს დროშიც, შუა საუკუნეებშიც და ახალი ისტორიის ცალკეულ პერიოდებშიც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ძველი რომის, შუა საუკუნეების ევროპის, ინდოეთის, რუსეთისა და ჩინეთის მაგალითები.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა მიზეზით განპირობებული შიმშილი ყველაზე გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ძველ დროში; ცენტრალური ამერიკის ინდიელების მითოლოგიაში შიმშილის გაღმერთებაც კი არსებობდა. შუა საუკუნეებში მოუსავლიანობის გამო მთელი რიგი რეგიონები და ქვეყნები აღმოჩნდნენ განადგურების ზღვარზე ან გადააბიჯეს კიდეც ამ ზღვარს.

იგივე შეიძლება ითქვას ადრეულ ახალ ისტორიულ პერიოდ-ზეც. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა რუსეთის შიმშილიანი წლების გახსენება მე-16 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში. აღსანიშნავია ისიც, რომ მე-18 საუკუნეში ევროპა იმყოფებოდა „ქრონიკული შიმშილის“ მდგომარეობაში. ამავე საუკუ-ნეში შიმშილმა ინდოეთში გაიყოლა 10 მლნ. ადამიანის სიცოცხლე. მე-19 საუკუნეში ევროპამ კვლავ გადაიტანა კარტოფილის მოუ-სავლიანობით გამოწვეული „დიდი შიმშილი“. ინდოეთში კი ამავე საუ-კუნის უკანასკნელ მეოთხედში შიმშილისაგან დაიღუპა დაახლოებთ 15 მლნ. კაცი.

მთლიანად, მე-20 საუკუნის განმავლობაში რამდენადმე გაუმ-ჯობესდა მსოფლიოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და კვების რაოდენობრივი მაჩვენებლები. თუ 30-იან წლებში საშუალო მოხმარება ერთ კაცზე გაანგარიშებით შეადგენდა 2100 კკალ. დღე-ღამეში, 60-იანი წლების დასაწყისისათვის აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 2300, 70-იანი წლების დასაწყისისათვის – 2450, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისისათვის – 2700 კკალ-მდე დღე-ღამეში[1].

ასეთი ზრდა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. იგი, უწინარეს ყოვლისა, განხორციელდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებად ქვეყნებში მომხდარი „მწვანე რევოლუციისა“ და განვითარებულ ქვეყნებში დაწყებული „ბიოტექნოლოგიური რევოლუ-ციის“ საფუძველზე მარცვლეულის, ხორცისა და ზღვის პროდუქტების მსოფლიო წარმოების შესამჩნევი გადიდებით.

ზემოაღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს გლობალური სასურსათო პრობლემა ამჟამად უკვე გადაჭრილია. პირ-იქით, მოშიმშილეთა რაოდენობა თანამედროვე მსოფლიოში კვლავ უკიდურესად მაღალი რჩება, რაც ახალ საფრთხეს უქადის კაცობ-რიობას მე-3 ათასწლეულის დასაწყისში. შიმშილი, არღვევს რა ადა-მიანთა ჯანსაღი ცხოვრების წესს და ართმევს მათ მომავლის იმე-დებს, დიდ ზარალს აყენებს ქვეყანათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილდღეობის საქმეს.

-ს ერთ-ერთი გამოკვლევის მონაცემების თანახმად, დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 815 მლნ. ადამიანი იტანჯება შიმშილისა და არასრულფასოვანი კვებისაგან, ნაცვლად შიმშილის შემცირებისათვის ბრძოლის საკითხებზე 1996 წლის ნოემბერში გამართულ რომის სამიტზე დაფიქსირებული 800 მლნ-ისა; 1,0 მლრდ-მდე კაცი მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებებს (2150 კკალ. დღე-ღამეში) იკმაყოფილებს და შიმშილის ზღვარზე იმყოფება; 2,0 მლრდ კაცზე მეტი იტანჯება ორგანიზმისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტების (იოდის, რკინის, ვიტამინების და სხვ.) არასაკმარისი მოხმარებით გამოწვეული ე. წ. „შიმშილის ფარული ფორმებისაგან“; მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი (დაახლოებით 3,0 მლრდ. კაცი) განიცდის საკვები ცილების ნაკლებობას, მისი დაახლოებით მეექვსედი ნაწილი კი მოკლებულია უსაფრთხო სასმელი წყლის გამოყენებას[2].

შიმშილის უმთავრესი მიზეზი სურსათის ფიზიკურ უკმარისობაში კი არაა, არამედ იმაში, რომ დედამიწაზე დაახლოებით მლრდ. ადამიანს არ გააჩნია საკმარისი სახსრები პროდუქტთა მინიმალური სამომხმარებლო კალათის შესაძენადაც კი. ამდენად, ცხადი ხდება, რომ შიმშილი და ქრონიკული არასაკმარისი კვება დაკავშირებულია არა იმდენად მიწის კლებადი ნაყოფიერების მალთუსისეულ თეორიასთან, რამდენადაც ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ისეთ საერთო დონესთან, რომლის პირობებშიც მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელია ბაზარზე კონკრეტული ფასებით წარდგენილი სასურსათო პროდუქტები.

პლანეტარული მასშტაბით სასურსათო პრობლემის გადასაწყვეტად არცთუ ძალიან დიდი თანხებია საჭირო. FAO-ს ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში „მაძღრები“ ყოველწლიურად პარფიუმერიაზე ხარჯავენ ბევრად უფრო მეტ ფულს, ვიდრე აუცილებელია ყველა დამშეულის ადექვატური კვების უზრუნველსაყოფად მსოფლიოში.

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო პრობლემის სპეციფიკა განხილულ უნდა იქნას გლობალურ, კონტინენტალურ და ეროვნულ დონეებზე მისი გადაწყვეტის აუცილებლობის გათვალისწინებით. არსებული სასურსათო სიტუაცია მოითხოვს საგანგებო ზომების მიღებას როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა, ასევე მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობის დონეზეც; შიმშილთან და არასრულფასოვან კვებასთან ბრძოლის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, დღის წესრიგში აყენებს მსოფლიო სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი უკვე დამკვიდრებული და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენას.

საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში შეინიშნებოდა სახნავი მიწების სტაბილურად გაფართოების ტენდენცია, რომელმაც ამ დროისათვის 1 მლრდ. ჰა-ს გადააჭარბა. სურსათის და, პირველ რიგში, მარცვლეულის წარმოების მოცულობის ზრდა ძირითადად მიიღწეოდა ექსტენსიური ფაქტორების ამოქმედების

გზით. მაგრამ, უკვე 60-იანი წლების დასაწყისისათვის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, ამოწურეს რა მათ ეს რეზერვი, მთლიანი მოსავლის მატების 80%-ს აღწევდნენ უპირატესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ნათესი ფართობების გაფართოების ტენდენცია კი დამახასიათებელი გახდა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

80-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედება დაიწყო მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების რიგმა შემზღუდავმა ფაქტორებმა: 1. ნათესი ფართობების სტაბილური შემცირება, სახნავი მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ან ეროზიის გამო მათი დიდი ნაწილის სასოფლოსამეურნეო ბრუნვიდან ამოღებასთან დაკავშირებით; 2. სარწყავი მიწების ფართობების შემცირება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი წყლის დეფიციტის წარმოქმნასთან დაკავშირებით; 3. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობათა შემცირება; 4. ხორცისა და რძის ძირითადი მოცულობის მომცემი საძოვრული მეცხოველეობის მასშტაბების შემცირება და მისი პროდუქტიულობის დაცემა; 5. ზღვის პროდუქტების ხარჯზე სურსათის შევსების შესაძლებლობათა შემცირება, მისი რეზერვების ამოურვასთან დაკავშირებით; 6. არასასურველი ეკოლოგიური სიტუაცია, რომელიც აუარესებს საწარმოო საქმიანობის ყველა მხარეს და არ იძლევა სურსათის რესურსების არსებითად მატების შესაძლებლობას 21-ე საუკუნეში.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, შემზღუდავ ფაქტორთა გათ-ვალისწინებით, არ იძლევა სურსათისა და სანედლეულო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესა-ძლებლობას შორეულ პერსპექტივაშიც კი.

FAO-ს ექსპერტთა გაანგარიშებით, სასურსათო რესურსების რამდენადმე ზრდის მიუხედავად, სურსათის მიწოდება მსოფლიო მასშტაბით მაინც არასაკმარისი იქნება. კერძოდ, 2030 წლისათვის მარცვლეულის წარმოება გაიზრდება 20%-ით და მიაღწევს 2150 მლნ. ტონას, ანუ მასზე მოთხოვნის 80%-ს. ხორცის წარმოება გაიზრდება 50 მლნ. ტონით და მიაღწევს 230 მლნ. ტონას (მოთხოვნის 76%-ს). ზღვის პროდუქტების წარმოება შენარჩუნდება 100 მლნ. ტონის დონეზე (მოთხოვნის 60%). ამასთან, საპროგნოზო მაჩვენებლებით დგინდება, რომ თუ 1950-1985 წლებში სასურსათო რესურსების ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 30 მლნ. ტონას, 1985-1995 წლებში კი – 12 მლნ. ტონას, მაშინ 1996-2030 წლებში იგი უკვე 9 მლნ. ტონას არ გადააჭარბებს.

ამავე ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში სურსათზე მოთხოვნა არსებითად გაიზრდება, რამდენადაც პლანეტის მოსახლეობა გაორმაგდება და 2030 წლისათვის მიაღწევს 8,9 მლრდ კაცს. კვების კალორიულობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მისწრაფება კიდევ უფრო გაამწვავებს სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სიტუაციას.

სპეციალისტთა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნულ ზრდასა და კვების თანამედროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი 2030 წლისათვის 526 მლნ. ტონა იქნება, ზღვის პროდუქტების - 68 მლნ. ტონა, ხორცისა კი - 40 მლნ. ტონა[3]. მაშასადამე, სურსათზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა უახლოესი 20-30 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემატური იქნება.

ამ პრობლემის გადაწყვეტა თეორიულად შესაძლებელია შემდეგი სამი ძირითადი მიმართულებით:

- წარმოების მოცულობის ზრდა (მაგრამ ეს, მრავალი ექსპერტის აზრით, განსახილველ პერიოდში არარეალურია შემზღუდავ ფაქტორთა გათვალისწინებით);
- მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება (მაგრამ ამის მიღწევა მოკლე დროის განმავლობაში რაციონალური მეთოდებით შეუძლებელია);
- სურსათის მოხმარების შემცირება (ექსპერტთა ვარაუდით, მოვლენები სწორედ ამ სახით განვითარდება);

რიგი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა თვალსაწიერ მომავალში დიდად იქნება განსაზღვრული სასურსათო პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გამწვავებით. ამგვარი პესიმისტური ვარაუდისათვის ყველა-ნაირი საფუძველი არსებობს:

ჯერ-ერთი, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დაშვებულ შეცდომებთან, აგრეთვე ეკოლოგიური წონას-წორობის დარღვევასთან დაკავშირებით, მსოფლიო შევიდა მოსახლეობის ერთ სულზე სურსათის წარმოების მოცულობის შემცირების გრძელვადიან პერიოდში. მარცვლეულით ყველაზე მაღალი უზრუნველყოფა (345 კგ მოსახლეობის ერთ სულზე) მიღწეულ იქნა 1989 წელს, მაგრამ უკვე 1993 წლისათვის იგი შემცირდა 303 კგ-მდე, 2030 წლისათვის კი მოსალოდნელია მისი დაცემა 240 კგ-მდე, ანუ 1989 წლის დონის 69%-მდე. 2030 წლისათვის ზღვის პროდუქტების მოპოვება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 12 კგ-ს, ნაცვლად 28 კგ-ისა 1990 წელს.

მეორე, სასურსათო რესურსების წარმოების მოცულობისა და სურსათით პლანეტის მოსახლეობის უზრუნველყოფის საერთო შემცირებასთან ერთად გაძლიერდა დისპროპორცია მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით. 1950 წლიდან 1990 წლამდე მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე აშშ-ში გაიზარდა 32 %-ით და შეადგინა 1160 კგ, დასავლეთ ევროპაში – 2-ჯერ (500 კგ-მდე), აფრიკის ქვეყნებში შემცირდა 27 %-ით (118 კგ-მდე). ექსპერტთა ვარაუდით, 2030 წლისათვის მარცვლეულის საშუალოსულადობრივი წარმოება ჩინეთში შეიძლება სანახევროდ (164 კგ-მდე) შემცირდეს, ინდოეთში-15%-ით (158 კგ-მდე), პაკისტანში-30%-ით (90კგ-მდე) და ირანში - 31%-ით (140 კგ-მდე).

მესამე, მცირდება სტაბილურობის დონე სასურსათო ბაზარზე, რომელიც განისაზღვრება კონიუნქტურული რყევების შემარბილებელი და ფასების შემაკავებელი რეზერვების არსებობით. 1987 წელს მსოფლიოში მარცვლეულის მარაგებმა შეადგინა 104 დღე, 1994 წელს კი – მხოლოდ 64 დღე. წარმოების მოცულობათა საპროგნოზო შემცირება კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას სასურსათო ბაზარზე და გააძლიერებს მის კონიუნქტურულ რყევებს.

და ბოლოს, სურსათის ძირითად სახეობებზე მსოფლიო ფასების თანდათანობითი შემცირების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, დაიწყო მათი არსებითი ზრდის პროცესი. თავდაპირველად გაძვირდა ზღვის პროდუქტები, შემდეგ ეს ტენდენცია გავრცელდა სურსათის სხვა სახეობებზეც. მეცნიერთა გაანგარიშებით, მომავალი 20 წლის განმავლობაში ფასი ხორბალზე გაიზრდება 66%-ით, სიმინდზე – 37%-ით და ბრინჯზე – 30%-ით[4].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო თანამე-გობრობის წინაშე დგება სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ყველა ქვეყნისათვის ურთიერთმისაღები პერსპექტივის განსაზ-ღვრის ამოცანა. აქ გასათვალისწინებელია ორი შესაძლო ვარიანტი:

- აშშ-ში მოხმარების მიღწეულ დონეზე ორიენტაცია. შესაძლოა ასეთი იყოს ქვეყანათა უმრავლესობის არჩევანი, მაგრამ ამ შემთხვევაში სასურსათო რესურსები 2030 წლისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ 2,5 მლრდ. კაცისათვის, რაც 3,5-ჯერ ჩამორჩება პლანეტის მცხოვრებთა საერთო რაოდენობას;
- სასურსათო რესურსების ყველაზე თანაბრად გადანაწილება. ამ შემთხვევაში პლანეტის თითოეულ მცხოვრებზე მოვა 450 გრ. მარცვლეული დღე-ღამეში, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც აქვს ამჟამად ინდოეთის მცხოვრებს.

ივარაუდება, რომ გადანაწილება გარდაუვალი იქნება და მას ექნება არა მხოლოდ კომერციული, არამედ აგრეთვე პოლიტიკური ხასიათიც. ეს განპირობებულია იმით, რომ სულ უფრო იზრდება ღარიბი ქვეყნების რიცხვი: 60-იან წლებში ღარიბი და მდიდარი ქვეყნების თანაფარდობა იყო 30:1, 1990 წელს კი მან უკვე შეადგინა 64:1. მაშასადამე, სასურსათო პრობლემა შეიძლება გადაიზარდოს ღრმა საერთაშორისო კრიზისში.

ამ აზრს დღეისათვის ავითარებს მრავალი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. ასე, მაგალითად, -ს ექსპერტები თვლიან, რომ თუ არ მოხდება ტექნოლოგიური გარღვევა სურსათის წარმოებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ზრდაში, მაშინ 2010 წლისათვის დაიწყება უმწვავესი სასურსათო კრიზისი. ამ პერიოდისათვის, ვითარების პესიმისტური სცენარით განვითარების შემთხვევაში, დედამიწის მოსახლეობის 25% იშიმშილებს, რაც აბსოლუტური მაჩვენებლებით 2-ჯერ და მეტად გადააჭარბებს თანამედროვე დონეს და დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს რომის დეკლარაციის ოპტიმისტურ ტონს – 2015 წლისათვის მოშიმშილეთა საერთო რაოდენობის ორჯერ შემ-

ცირების შესახებ[5]. მდგომარეობას კიდევ უფრო დაძაბავს ეკოლოგიური ვითარების გაუარესების საფრთხეც.

ასეთ სიტუაციაში აუცილებელია ერთიანი საერთა-შორისო სტრატეგია, მრავალი ქვეყნის შეთანხმებული მოქმედება და რიგი ვალდებულებების მიღება, რომელთა შესრულება, რა თქმა უნდა, მარტივი საქმე არ იქნება.

ამასთან დაკავშირებით, 1992 წელს მსოფლიოს 1500-ზე მეტმა წამყვანმა მეცნიერმა, მათ შორის ნობელის პრემიის 102 ლაურიატმა ხელი მოაწერა მემორანდუმს („მეცნიერები აფრთხილებენ კაცობრიობას“) რესურსების გამოყენებისადმი და მიწაზე ცხოველქმედების უზრუნველყოფისადმი დამოკიდებულების შეცვლის მოწოდებით.

1994 წელს გაერო-ს ხალხთმოსახლეობის ფონდმა შესთავაზა კაცობრიობას პერსპექტივაში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, მიწის რესურსების ნგრევის აღკვეთისა და 2050 წლისათვის ხალხთმოსახლეობის 7,3 მლრდ. კაცამდე სტაბილიზების გზით. ამ პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო იქნება 61,2 მლრდ. აშშ დოლარი, რომლის დიდი ნაწილი უნდა წარიმართოს სახნავი მიწების დაცვისა და ტყეების აღდგენის ღონისძიებებზე.

1996 წლის ნოემბერში მსოფლიო სამიტის მონაწილეებმა რომში მიიღეს სასურსათო უსაფრთხოების დეკლარაცია და ხელი მოაწერეს მოქმედებათა გეგმას 2015 წლამდე პერიოდისათვის. ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, რომელთა განვითარება განსაკუთრებით დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს გარესამყაროზე, ამ ზარალის კომპენსირება უნდა მოახდინონ თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0,7%-ის გამოყოფის გზით იმ ერების სასურსათო დახმარების მიზნით, რომლებიც ამას საჭიროებენ. აშშ-მა მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას, დაიკავა განსაკუთრებული პოზიცია და განაცხადა, რომ იგი, როგორც ადრე, დახმარებას გაუწევს იმას, ვისაც საჭიროდ ჩათვლის და, იმ მოცულობით, როგორსაც მიიჩნევს მიზანშეწონილად.

ამერიკელი მეცნიერები ლ.ბრაუნი და ხ.კეინი ასაბუთებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში პრიორიტეტები გადავა არა განიარაღების, არამედ სურსათის დეფიციტის დაძლევის პრობლემაზე[6].

საგულისხმოა, რომ თანამედროვე პერიოდში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისადმი სტრატეგიულ მიდგომებში. 70-იან წლებში ითვლებოდა, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის კვალობაზე სასურსათო პრობლემა გადაწყდება გლობალური მასშტაბით, შესაბამისად იგი აღარ იარსებებს ერთვნულ დონეზეც, ე.ი. იგეგმებოდა „ზოგადიდან კერძოსაკენ“ მიდგომა. 1972 წელს თათბირის მონაწილეებმა სტოკჰოლმში განაცხადეს მსოფლიო მასშტაბით სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის განზრახვის შესახებ, რათა უკვე საუკუნის ბოლომდე ბოლო მოედოთ შიმშილისათვის ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიმღებ 170 ქვეყანაში. შემდგომ წლებში გაჩნდა ახალი

მიდგომა, რომლის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებლად ითვლება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო მისი მეშვეობით – გლობალური მასშტაბითაც, ე.ი. პრობლემის გადაწყვეტა მოიაზრება უკვე „კერძოდან ზოგადისაკენ.“ ეს დაკავშირებულია შემზღუდავ ფაქტორთა არსებობასთან, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციებს და არ იძლევიან პერსპექტივაში სასურსათო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესაძლებლობას.

სასურსათო უზრუნველყოფის სასურსათო უსაფრთხოებაში მოდიფიცირებამ მიგვიყვანა არსებით ცვლილებებთან აგრარულ პოლიტიკაში. თუ 70-იან და 80-იან წლებში სურსათით მომარაგება განიხილებოდა მიმდინარე მიზნების მიღწევის საშუალებად, 90-იანი წლებიდან უკვე პრიორიტეტები გადავიდა სტრატეგიულ მიზნებზე; წინა პლანზე წამოიწია აგრარული ეკონომიკის განვითარებისა და მსოფლიო სასურსათო მეურნეობაში ცალკეული ქვეყნების პოზიციების განმტკიცების ამოცანებმა. მაშასადამე, სასურსათო საკითხში გაძლიერდა სტრატეგიული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეულ სახელმწიფოთა მომავალ ეკონომიკურ პოტენციალს და მათ როლს მსოფლიო მეურნეობაში.

თათბირის მონაწილეები რიო-დე-ჟანეიროში 1994 წელს, იხილავდნენ რა მომავალი, 21-ე საუკუნის პრობლემებს, აღნიშნავდნენ, რომ მდგრადი განვითარების გარანტია, სიღარიბესთან ბრძოლა, სასურსათო უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელ-მწიფოთა ვალდებულებას, რომელთა შესრულება უმჯობესია პროგრამების, გეგმებისა და სასურსათო პოლიტიკის შემუშავების გზით. როგორც ვხედავთ, ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმების დოკუმენტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და გადმოიცემა პრინციპით „იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“. მაშასადამე, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უკვე მოიაზრება არა გლობალურ ან კონტინენტალურ მასშტაბებში, არამედ მხოლოდ ეროვნულ დონეზე.

ამრიგად, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარებაში სირთულეების გაღრმავებასთან, სურსათის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფის გართულებასთან დაკავშირებით სასურსათო პრობლემა, მართალია, ნელა, მაგრამ სულ უფრო გამოკვეთილად იძენს უსაფრთხოების პრობლემის ნიშნებს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მსოფლიო თანამეგობრობის შეთანხმებული პოლიტიკისა და ერთობლივი პრაქტიკული საქმიანობის პირობებში. თუმცა, ეს არც თანამედროვე პირობებში და არც უახლოეს პერსპექტივაში გლობალურ დონეზე არ მოიაზრება რეალურად. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველმა ცალკეულმა ქვეყანამ უნდა გადაჭრას საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერისა და გარანტიების შექმნის პირობებში.

საქართველომ, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფომ, საჭიროა, სხვა ქვეყნების მსგავსად, სრულად

გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ვითარება და რეკომენდაციები ეროვნული აგრარული პოლიტიკის გადასინჯვისა და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისას. ამასთან, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს კვების პროდუქტების წარმოების ზრდისა და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის ამაღლების ყველა საკუთარი შესაძლებლობა და რეზერვი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Максаковский В.П., Глобальная продовольственная проблема и его географические аспекты, http://advsoft.1september.ru/19.07.2002.
2. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З., Россия в системе глобальной продовольственной безопасности, Москва, 1999.
3. Ильина З.М., Мирочицкая И.В., Рынки сельскохозяиственного сырья и продовольствия, Минск, 2000.
4. ვანიშვილი მ., საქართველოს სასურსათო უსაფრ-თხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექ-ტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა, თბილისი, 2003.
5. კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ., საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურ-სათო პრობლემის მოგვარებაში, ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1999 №9-10, გვ. 43-46
6. ლესტერ რ. ბრაუნი და სხვები, სასიცოცხლო ნიშნები 1997, ინგლისურიდან თარგმნა ვ. მელიქიძემ, თბილისი, 1998.

Summary
Merab Vanishvili
Historical Preconditions of Emergance of Global Food Problem and Perspectives of its Resolution

In the article is analyzed historical preconditions and nature of emergence of food problem; based on examples from ancient, middle and new ages it is proven, that food security is one of the oldest among global problems.

Based on prospected computations of famous experts and specialists, it is argued, that notwithstanding some improvements achieved in food provision of world population in the twentieth century, global food security is still very problematic; in the worldwide scale, balancing food supply and demand in the nearest 20-30 years will maintain problematic.

Foreseeing limiting factors of agriculture development in the world, alternative directions, possible variations and strategic views of solving food problem are discussed and evaluated. As a result “from specific to general” method is considered as most realistic, according to which, solving food problem is possible only on the level of specific countries, and through this – in global scale too.

Резюме
Мераб Ванищвили
Исторические предпосылки возникновения глобальных продовольственных проблем и перспективы их решения

В статье рассмотрены исторические предпосылки возникновения и суть продовольственных проблем; на примере отдельных периодов древнеиших времен, средних веков и новой истории доказано, что продовольственная проблема – одна из древнеиших глобальных проблем.

На основе расчетов известных экспертов и специалистов высказано соображение о том, что в течение XX столетия, несмотря на некоторое улучшение, острота глобальной проблемы продовольственного обеспечения населения мира не снята. В ближайшие 2-3 десятилетии обеспечение баланса между потребностью в продовольствии и удовлетворением в масштабе планеты все еще остается проблематичным.

С учетом ограниченных факторов развития сельского хозяиства в мире рассмотрены и оценены альтернативные направления, возможные варианты и стратегические подходы решения продовольственной проблемы. Наиболее реальным признан подход «от частного к обшему», согласно которому решение продовольственной проблемы возможно только на уровне отдельных стран, а с их помощъю – в глобальном масштабе.



ავთანდილ (ანზორ) ძამაშვილი

კანტის მიერ ფილოსოფიაში განხორციელებული რევოლუციური გადატრიალების შესახებ

ცნობილია, რომ როდესაც კანტმა პირველად გამოსცა „წმინდა გონების კრიტიკა“ (1781 წ) დოგმატური ფილოსოფიის ყაიდაზე მოაზროვნე ადამიანებისათვის იმდენად რთული და გაუგებარი აღმოჩნდა, რომ კანტი იძულებული გახდა სხვა ნაშრომები გამოექვეყნებია, სადაც იგი უნდა ცდილიყო „წმინდა გონების კრიტიკის“ ძირითადი დებულებების უფრო ნათელყოფას. ამ მიზნით, კანტი აქვეყნებს „პროლეგომენებს“ (1783 წ.) და „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე გამოცემას (1787 წ.)

„წმინდა გონების კრიტიკის“ შინაარსის ნათელყოფას ემსახურება აგრეთვე მისი მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში წამოყენებული დებულება, რომლითაც კანტი თავის შედეგებს კოპერნიკის მიღწევებს ადარებს. აქ მეორდება იგივე, რაც კოპერნიკის თავდაპირველი აზრის თაობაზეო (1. გვ.23).

კანტს შეეძლო, იმავე უფლებით ეს შედარება ჯერ კიდევ „წმინდა გონების კრიტიკის“ პირველ გამოცემაში გაეკეთებინა. მაგრამ, ვინაიდან ამ გამოცემაში იგი უფრო მეტად დაინტერესებულია ნაშრომის „დისკურსიული სიცხადით“ ვიდრე „ინტუიციურის“, ამიტომ იგი აქ ამას არ აკეთებს. მართალია პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში კანტი საგანგებოდ ჩერდება მეცნიერული ნაშრომისათვის სიცხადის აუცილებლობაზე, მაგრამ, ყველაფრიდან ჩანს, რომ წიგნის გამოსვლამდე მას არა აქვს მიზეზი იფიქროს, რომ მისი ნაშრომი, თუნდაც ასეთი „მშრალი“ ფორმით, რაც მთავარია – სპეციალისტებისათვის, გაუგებარი დარჩება. მაგრამ, რადგან წიგნის გამოცემის შემდეგეს სწორედ ასე მოხდა, ამიტომ, მეორე გამოცემაში კანტი უფრო მეტად ზრუნავს ნაშრომის პოპულარობაზე. ამ მიზნით იგი აკეთებს კოპერნიკთან შედარებას, რათა მკითხველმა „ჭვრეტის საშუალებით“ თვალნათლივ წარმოადგინოს მისი თეორიული ფილოსოფიის მთელი არსი. აი ამიტომ, ეს შედარება „წმინდა გონების კრიტიკის“ რომელიმე კონკრეტული მონაკვეთის განმარტება კი არ არის, არამედ კანტი ამ შედარებით, როგორღაც მკითხველს გასაღებს აძლევს მის მთლიან თეორიულ ფილოსოფიაში შესასვლელად. ამიტომ სამართლიანია გ.თევზაძის დებულება – კოპერნიკისებური გადატრიალების სრული შინაარსი კანტის მთელი ფილოსოფია არისო. (2.გვ. 158).

კანტი წინასიტყვაობაშიც აფრთხილებს მკითხველს, რომ მან ნაშრომის კითხვის დროს „ყურადღება მიაქციოს“ (1.გვ.26) იმ ცვლილებებს, რომელსაც თვით კანტი კოპერნიკისებურს უწოდებს.

პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, იქ სადაც კანტი მეცნიერული ნაშრომისათვის სიცხადის და პოპულარობის

აუცილებლობაზე მიუთითებს, იქვე გონაბამხვილურად და ხაზგასმით შენიშნავს: – ზოგიერთი წიგნი ბევრად უფრო ნათელი იქნებოდა, რომ განგებ არ ცდილობდნენ რაც შეიძლება ნათელი გახადონ იგი (1. გვ.18), როგორც ბედის ირონია, მოხდა ისე, რომ მოგვიანებით ეს შენიშვნა კანტის სწორედ იმ წიგნებს („პროლეგომენები“ და „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე გამოცემა) წაუყენეს, რომელთა სიცხადეზე და პოპულარობაზე კანტმა საგანგებოდ იზრუნა. გაჩნდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით აღნიშნული წიგნები ხშირ შემთხვევაში უფრო აბუნდოვნებენ პირველი გამოცემის იდეებს.

რაც შეეხება დებულებას კოპერნიკისებური გადატრიალების შესახებ, მის მიმართაც ხშირად გამოუთქვამთ აზრი, რომელიც აშკარად გულისხმობს მსგავს შენიშვნას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თუ „პროლეგომენების“ და „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე გამოცემის მიმართ ასეთ შენიშვნას შეიძლება მოეძებნოს გარკვეული საფუძველი, დებულების კოპერნიკისებური გადატრიალების შესახებ იგი უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში, ცნობილია ბ. რასელის რეპლიკა კანტის კოპერნიკისებური გადატრიალების მიმართ, რომელიც ასეთი ბრალდების შემცველია. რასელის აზრით, კანტს იმდენად კოპერნიკისებური გადატრიალება არ მოუხდენია, რამდენადაც პტოლომესეული კონტრრევოლუცია (3.გვ.31). სწორედ კონტრ-რევოლუცია, რადგან ბ. რასელის აზრით, ნამდვილი რევოლუციის მოხდენა მართლაც კოპერნიკის სახელთანაა დაკავშირებული. კანტის საქმე კი მისი აღკვეთაა. მისგან უკან დახევაა ძველი, პტოლემეოსის პოზიციისაკენ. მოცემულ შემთხვევაში, რასელი კანტსა და პტოლემეოსს შორის მსგავსებას იმაში ხედავს, რომ კანტმა პტოლემეოსის მსგავსად ადამიანი სამყაროს ცენტრში დააყენა, მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითებენ მკვლევარები, ეს არის კანტისა და პტოლემეოსის საქმეთა შედეგების გარეგნული, ფორმალური მსგავსება, რაც არ იძლევა კანტის კოპერნიკისებური გადატრიალების არსის სწორად გაგების საშუალებას. კანტის მიერ კოპერნიკისებური გადატრიალების არსის სწორი გაგებისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ის სიღრმისეული მოტივები, რის საფუძველზედაც მოხდა ეს გადატრიალება, როგორც კანტთან ისე თვით კოპერნიკთან. კანტისათვის მთავარი ის კი არ იყო, აღნიშნავს გ.თევზაძე, დედამიწა იმოძრავებდა მზის გარშემო თუ პირიქით, არამედ აზროვნების ის მეთოდი, რომელითაც ხელმძღვანელობდა კოპერნიკი (2. გვ.162). კანტისა და კოპერნიკის შედარებაში ბ.რასელი ხედავს წინააღმდეგობას. მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. ბილეკი, ესაა მოჩვენებითი და გარეგნული წინააღმდეგობა. არსებითად კი როგორც კანტი ისე კოპერნიკი საფუძვლად იღებენ პრინციპებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან სწორად გავიგოთ მზის სისტემის სურათი და ადამიანური შემეცნება (4. გვ.27-28).

არსებობს აგრეთვე თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, კოპერნიკისებური გადატრიალების არსი დაახლოებით ასე

გამოითქმება: – როგორც კოპერნიკმა შეაბრუნა პტოლემეოსის დებულება და დედამიწის მოძრაობა დაუქვემდებარა მზეს, ასევე კანტმა შეაბრუნა დოგმატური ფილოსოფიის პოზიცია, რომლის მიხედვით შემეცნება იყო დაქვემდებარებული საგნებისადმი და პირიქით საგნები დაუქვემდებარა შემეცნებას (5. გვ.168-269) ეს შეფასებაც შედეგის პოზიციიდან კეთდება, ამიტომ ვერც იგი იძლევა კოპერნიკისებური გადატრიალების არსში წვდომის საშუალებას. ამით, როგორღაც, კოპერნიკობის მთავარ ნიშნად შემეცნების ინსტანციების შებრუნება და ადგილების შენაცვლება ხდება. საქმე რომ მხოლოდ ამაში მდგომარეობდეს, მაშინ კანტსა და კოპერნიკს შორის პარალელის გავლება გაჭირდებოდა. მართალია კოპერნიკის გარდაქმნებს შედეგად მოჰყვა სისტემის წევრების მიმართებითი თვალსაზრისით, ადგილების შეცვლა მაგრამ პრინციპში კოპერნიკთან სისტემის წევრები (მზე და დედამიწა) იგივენი რჩებიან, რაც იყო პტოლომეოსთა. რაც შეეხება კანტის ფილოსოფიას, იგი ახდენს წინა ფილოსოფიის ინსტანციების არა უბრალოდ ადგილების გადანაცვლებას, არამედ მათ ძირეულ ცვლილებებს. დოგმატური ფილოსოფიის ინსტანციებს (სუბიექტური სუბიექტი და ობიექტური ობიექტი) კანტმა როგორადაც არ უნდა შეუცვალოს ადგილები, ამით იგი ფილოსოფიაში ვერავითარ გადატრიალებას ვერ მოახდენდა. სუბიექტური სუბიექტი დაცლილია ყოველგვარი შინაგანი საკუთარი შემოქმედებითი ძალებისაგან. ამ ძალების გარეშე კი შეუძლებელია მომზადდეს და განხორციელდეს რაიმე გადატრიალება ფილოსოფიაში, რომელსაც სახელად „კოპერნიკისებური“ დაერქმეოდა.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ინსტანციების გადაადგილებით კანტი ვერავითარ გადატრიალებას ვერ მოახდენდა, მას რომ ისინი წინასწარ მთლიანად არ შეცვალა. ამიტომ კანტის კოპერნიკობაში ინსტანციების ასეთ ძირეულ ცვლილებებში უნდა ვეძიოთ და არა მათი ადგილების გადანაცვლება.

კითხვაზე – კანტს რომ თავისი ღონისძიების კოპერნიკთან შედარება თვითონვე არ გაეკეთებინა. მას შემდეგ, თუნდაც მოგვიანებით, მისი კრიტიკოს-კომენტატორები დამოუკიდებლად მოახერხებდნენ თუ არა ამ შედარების გაკეთებას? – არავითარი საფუძველი არაა ვიფიქროთ, რომ ეს სწორედ ასე მოხერხდებოდა. სამაგიეროდ წარმოუდგენელია კვალიფიციურ კრიტიკას, ისტორიული დისტანციის შემდეგ მაინც, გვერდი აევლო და შეუმჩნეველი დატოვება ის გარდაქმნა, რომელიც მიღწეულია კანტის ფილოსოფიაში. მენდელსონმა ხომ კანტს სიცოცხლეშივე ყველაფრის „დამამ-სხვრეველი“ უწოდა. ესაა აქ მნიშვნელოვანი. ამიტომ კანტის კოპერნიკობის გააზრების მომენტში ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. პირველი, – რაში მდგომარეობს კანტის კოპერნიკობა? ესაა საკითხის ფორმალური მხარე. მეორე, – რაში მდგომარეობს კანტის ფილოსოფიის თვისობრივი სიახლე? ეს ამ გადატრიალების არსებითი, შინაარსობრივი მხარეა. ე.ი. ერთი მხრივ თუ გასარკვევია

რატომ ეწოდება ამ გადატრიალებას კოპერნიკისებური, მეორე მხრივ უნდა გაირკვეს თუ რატომ ეწოდება მას საკუთრივ გადატრიალება.

ზემოთ განხილული თვალსაზრისების ძირითადი ნაკლი ისაა, რომ მათთვის ამ გადატრიალების შინაარსობრივი მხარე, როგორღაც უკანა პლანზეა გადატანილი. მათ უფრო აინტერესებთ კოპერნიკისებური გადატრიალება, ვიდრე კოპერნიკისებური გადატრიალება.

რაკი კოპერნიკისებური გადატრიალება კანტის ფილოსოფიის შინაარსობრივ მხარეს ეხება, მართალია პირველ გამოცემაში კანტს ასეთი შედარება არ გაუკეთებია, მაგრამ იქ მას ამის გაკეთების ისეთივე უფლება ჰქონდა, როგორც მეორე გამოცემაში. ამასთანავე, პირველ გამოცემაში, მართალია კოპერნიკი ნახსენები არაა, მაგრამ უშუალოდ იმაზე მსჯელობა, რასაც მეორე გამოცემაში კოპერნიკობა დაერქმევა, უკვე გვხვდება პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში. კანტი ყურადღებას აპყრობს მისი ეპოქისათვის მოდად ქცეულ, ერთ დროს ღედოფლად აღიარებულ ფილოსოფიის აბუჩად აგდებას (1. გვ.14), რის გამოც მეცნიერებაში გაბატონდა „მოყირჭება და სრული ინდიფერენტიზმი“ (1. გვ. 15). აქედან გამომდინარე, ხშირად გავიგონებთ ჩივილს – აღნიშნავს კანტი – ჩვენი დროის აზროვნების წესის ზერელობისა და საფუძვლიანი მეცნიერების დაცემაზე (1. გვ.15). მიუხედავად ამისა, კანტს არ შეუძლია გაიზიაროს, რომ ამ საყვედურს იმსახურებდეს მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (1.გვ.15). მეტიც, შედეგს, რომელიც მიღწეულია მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში, შეეძლო ცოდნის სხვა დარგებშიც(იგულისხმება ფილოსოფიაშიც ა.ძ) გაემარჯვა, ოღონდ თუ უპირველეს ყოვლისა იზრუნებდნენ მათი პრინციპების გაუმჯობესებაზე (1.გვ.15). კანტი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს პრინციპების გაუმჯობესებას, რადგან მოყირჭება და ინდეფერენტიზმი გამოწვეულია არა აზროვნების ზედაპირულობით, არამედ გაუმჯობესებული პრინციპების უქონლობით. კანტს ჰიუმის აზროვნების საფუძვლიანობაში კი არ შეჰქონდა ეჭვი, (სწორედ საფუძვლიანმა აზროვნებამ მიიყვანა ჰიუმი სკეპტიციზმამდე), არამედ იგი ჰიუმს უსაყვედურებს გაუმჯობესებული პრინციპების უქონლობის გამო.

ამრიგად, უკვე პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში კანტი აღიარებს და იცავს მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მაღალ და სანდო ავტორიტეტს და მოითხოვს ფილოსოფიაშიც იმ „სულის“ და „გაუმჯობესებული პრინციპების“ დამკვიდრებას, რასთანაც მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მიღწევებია დაკავშირებული. ესაა უშუალოდ ის ელემენტები, რაც შემდეგ მეორე გამოცემაში კოპერნიკისებური გადატრიალების გამოთქმაში ითარგმნა.

მათემატიკამ, კანტის აზრით, სწორ გზას ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ პერიოდში მიაგნო. თუმცა მისთვის ამ გზის გამომუშავება იოლი არ უნდა ყოფილიყო. პირიქით, მე ვფიქრობ, აცხადებს კანტი, ის დიდხანს ხელის ცეცებით მიიკვლევდა გზას. (1.გვ.21). ბოლოს მიაგნეს სანდო გზას, რომელიც კანტის აზრით დიდი გეოგრაფიული გზის აღმოჩენაზე უფრო მნიშვნელოვანია. რაში მდგომარეობდა ამ გზის

განსაკუთრებულობა. თუ ვიტყვით ზოგადად, იგი „აზროვნების წესის ცვლილებებში“გამოიხატება (1. გვ. 23). კანტი კოპერნიკის ნამდვილ კოპერნიკობასაც სწორედ იმაში ხედავს, რომ მან წამოაყენა ჰიპოთეზა „აზროვნების წესის შეცვლის თაობაზე“ (1.გვ.26), რაც თავის მხრივ, პრინციპების გაუმჯობესებას იწვევს.

მეცნიერების სფეროში ხელის ცეცების პრინციპით მოქმედება მეცნიერულ კვლევაში წინასწარ შედგენილი გეგმის უქონლობის ნიშნავს. ასეთ პირობებში გონება იმ გულუბრყვილო მოსწავლეს გავს, რომელიც, მასალის განურჩევლად, ყველაფერს ისმენს, რასაც კი მასწავლებელი კარნახობს (21. გვ.22). უამრავი მასალიდან გონების არავითარი გეგმაზომიერი შერჩევის საშუალება არა აქვს, რადგან მისთვის არ არსებობს საერთოდ გეგმაზომიერება. ხოლო როცა გეგმა წინასწარ დასახული არ არის და დაკვირვებები ჩატარებულია შემთხვევით, მაშინ ისინი დაკავშირებულნი არ არიან იმ აუცილებელ კანონთან, რომელსაც გონება ეძებს და საჭიროებს (1. გვ.22) ასეთ პირობებში იგი იძულებულია უსიტყვოდ მიიღოს და დაკმაყოფილდეს იმ მასალით, რასაც მას მგრძნობელობა („მასწავლებელი“) აწვდის. ამიტომ აქ გონებისათვის მასალის რაფსოდიულობა გარდუვალია. წინასწარ შეთანხმებული გზის უქონლობა შემეცნებითი მოღვაწეობის სისტემურ მთლიანობას გამორიცხავს, რაც კვლევის მეცნიერულობის შესაძლებლობას არ იძლევა. საჭირო იყო ამ ვითარების დაძლევა. მისი დაძ;ევის გზად მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში განხორ-ციელებული იქნა ცვლილებები აზროვნების წესში.რამაც კვლევის გაუმჯობესებული პრინციპები მოგვცა. იგი კრძალავს ხელის ცეცების მოქმედებას და ხელმძღვანელობს წინასწარ შეთანხმებული გეგმის, რაც მეცნიერულ კვლევას სისტემურ ხასიათს ანიჭებს, მისი მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობას უზრუნველყოფს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კოპერნიკული გადატრიალება ყველაზე ფართო და არსებითი მნიშვნელობით, მეცნიერებისათვის მეცნიერულობის საფუძვლის მოპოვებაში მდგომარეობს. კოპერნიკობა, კანტის აზრით, მეცნიერების მეცნიერულობის ნიშანია, მისი მეთოდოლოგიური საყრდენია.

შეცვლილი აზროვნების წესისა და გაუმჯობესებული პრინციპების პირობებში გონება მოსწავლეს კი არა, ნაფიც მსაჯულს ემსგავსება მოწმეებს რომ აიძულებს მის მიერ დასმულ კითხვებზე უპასუხონ (1. გვ.22). ამით გონება ბუნებას კუდში კი არ მიჩანჩალებს, როგორც ეს ხელის ცეცების პირობებში იყო, როცა პრინციპები გონებას ბუნებიდან ამოყავდა. ეხლა გონება ბუნებასთან ისე მიდის, რომ მას ხელთ უკავია წინასწარ შედგენილი საკუთარი პრინციპები რითაც ბუნებას აიძულებს მის მიერ დასმულ კითხვებზე უპასუხოს (1. გვ. 22). ასეთ პირობებში ბუნება ვეღარ იბატონებს გონებაზე (შემეცნებაზე), პირიქით, თვითონ გონება (შემეცნება) ბატონდება ბუნებაზე (საგანზე). გონება ხდება მაკონტროლებელი და მარეგულირებელი ბუნებისა.

მაგრამ გონება ნაფიც მსაჯულის მისიას მაშინ შესძლებს, როდესაც ბუნება გონების მიერ წინასწარ შედგენილ გეგმის მარეგულირებელ ძალას დაემორჩილება. ხოლო ეს რომ ასე მოხდეს, ამისათვის საჭიროა, რომ ჯერ ერთი, გონებას გააჩნდეს კონსტრუირების უნარი, მეორეც–იგი იყოს ბუნების კონსტრუქტორი და მესამე–ბუნება არ უნდა ეურჩოს, უნდა დაემორჩილოს გონების მაკონსტრუირებელ ძალას. აქედან კანტის საპროგრამო დებულება,–ნივთები შესახებ აპრიორი შევიმეცნებთ მხოლოდ იმას, რასაც ჩვენ მათში ვდებთ. (1.გვ.24). გონება მხოლოდ იმას ხედავს, რასაც თვითონ ჰქმნის წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით (1.გვ.22). კანტის აზრით ეს არაა გონების თვითნებობა ბუნებაზე. არამედ ეს არის ბუნების შესწავლის „საიმედო გზა“. იმიტომ, რომ რასაც თვით გონება ბუნებაში სდებს მის თანახმად ეძებს(და არ თხზავს) იმას, რაც მან ბუნებისაგან უნდა ისწავლოს (1. გვ.22)

წრე, რომელიც მე ფარგლის გარეშე ხელით შემოვხაზე, ცხადია არაა ზუსტი წრე, მაგრამ მე მას განვიხილავ სწორედ როგორც ზუსტ წრეს და გეომეტრიულ ოპერაციასაც მის მიხედვით ვაწარმოებ. მე რომ ეს წრე ისე განმეხილა, როგორიც იგი ფაქტიურად გამოვიდა, მასზე გეგმაზომიერი ოპერაციის წარმოება შეუძლებელი იქნებოდა. მე არ მეცოდინება რის თანახმად ვაწარმოო ოპერაცია, ან რას მივიღებ შედეგად. კრიტერიუმები ქრებიან. ამის გამო იტყვის კანტი თუ მჭვრეტელობა საგანთა თვისებას უნდა შეესაბამებოდეს, მაშინ ვერ გამიგია, როგორ შეიძლება მათ შესახებ რაიმე ა პრიორი ვიცოდე (1. გვ.24) მაგრამ რაკი მე მას ზუსტ წრედ განვიხილავ, ამიტომ მოცემული ემპირული წრის კვლევა წრის აპრიორული განსაზღვრების თანახმად წარიმართება. ამით კვლევა კალაპოტში ექცევა და გეგმაზომიერ მიმართულებას დებულობს.

ხელის ცეცების პრინციპით სარგებლობის პირობებში, განუკითხავად სურვილისა და შესაძლებლობისა გონებას ყველაფრის შემეცნებას ავალებენ. გაუმჯობესებული პრინციპები მოითხოვს ანგარიშის გაწევას იმის მიმართ თუ რისი შემეცნება სურს და აქედან რისი შეუძლია გონებას. და რადგან, გონება მხოლოდ იმას ხედავს, რასაც თვითონ ქმნის წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, ამიტომ გონების შემეცნებითი შესაძლებლობა მის მაკონსტრუირებელ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ამიტომ მაკონსტრუირებელი შესაძლებლობები გონების რა გზით უნდა იქნეს დადგენილი? კოპერნიკისებური გადატრიალების რადიკალიზმი აქაც კონკრეტულ გზაზე მიუთითებს. კანტისწინა ფილოსოფიაში, ყოველგვარი გეგმის გარეშე, ხელის ცეცებით მიღებული იყო შემეცნების ძირითადი ინსტანციები – სუბიექტისა და ობიექტის ცნებები. მერე მათში დიდხანს, სხვადასხვა გზებით და ბოლოს მაინც უშედეგოდ ეძებდნენ იმ უნარებს, რომლებიც გაამართლებდნენ შემეცნების შესაძლებლობას. კოპერნიკისებური გადატრიალების მიერ მოტანილი შეცვლილი აზროვნების წესი და გაუმჯობესებული პრინციპები მოითხოვენ, რომ თვით სუბიექტისა და ობიექტის ცნებები მიღებული

იქნას არა ხელის ცეცებით, არამედ წინასწარ შეთანხმებული გეგმით. ეს გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს წინასწარ დაშვებულ ცოდნასთან და იმ მოთხოვნებთან, რა მოთხოვნებიც შემდგომ ლოგიკურად გაამართლებს წინასწარ დაშვებული ცოდნის შესაძლებლობას. ეს გამოიწვევს რადიკალური ცვლილებების შეტანას სუბიექტისა და ობიექტის ცნებებში და მათ ურთიერთობაში. ამიერიდან ყველაფერი აღარ გამოდგება შემეცნების ობიექტად და რაც გამოდგება ყოველნაირ სუბიექტს არ შეეძლება მისი შემეცნება. ამით შემეცნება მკაცრ საზღვრებში ექცევა. კრიტერიუმები ამოქმედებას იწყებენ, რაც შემეცნების გეგმაზომიერი წარმართვის გარანტიად იქცევა.

კანტს ყურადღებაც კი არ მიუქცევია იმ გარემოებებისათვის, რომ წმინდა კოსმოლოგიური თვალსაზრისით, კოპერნიკის მოძღვრებაში ადამიანი გამოყვანილი იქნა ცენტრიდან, რასაც ასე დიდ მნიშვნელობას აძლევს ბ. რასელი. სამაგიეროდ, იმის მიხედვით, რაც კანტის დიდ ყურადღებას იპყრობს, კოპერნიკის ნააზრევში, ადამიანი არა თუ არ არის გამოყვანილი ცენტრიდან, არამედ იგი უფრო განმტკიცდა, ოღონდ სრულიად ახალი საფუძვლით.

კოპერნიკამდე დაკვირვებადი ხილული მოძრაობანი, გრძნობადობაზე დაყრდნობით, ციურ სხეულებს მიეწერებოდა. კოპერნიკმა „გრძნობათა საწინააღმდეგოდ“, მაგრამ ჭეშმარიტი მეთოდის თანახმად, დაკვირვებადი მოძრაობანი ციურ საგნებში კი არ ეძია, არამედ დამკვირვებელში (1. გვ.26) ე.ი. კოპერნიკმა ციური სხეულების ხილული მოძრაობები თვით ციური სხეულებიდან კი არ ამოიკითხა, არამედ ადამიანებიდან. ადამიანი იქცა ამ მოძრაობის გაგების ცენტრი.

კანტიც თავის ფილოსოფიაში კოპერნიკის „ანალოგიურ“ (1.გვ.26) ღონისძიებას მიმართავს. აქამდე აღიარებდნენ, რომ მთელი ჩვენი შემეცნება საგნებს უნდა შეესაბამებოდესო (1.გვ23). ამ დებულების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კანტისწინა ფილოსოფიაში ცოდნის ობიექტურობის საფუძველს დაჟინებით ობიექტში ეძებდნენ. მაგრამ ამ ძიებამ დასასრული ჰიუმის სკეპტიციზმში ნახა. კოპერნიკის „ანალოგიური“ ღონისძიება უბიძგებს კანტს, რომ „იქნებ უკეთესად გადავწყვიტოთ მეტაფიზიკის ამოცანები. თუ ვაღიარებთ, რომ საგნები უნდა შეესაბამებოდნენ ჩვენს შემეცნება (1.გვ.23) ე.ი. ცოდნის ობიექტურობის საფუძველი ობიექტში კი არ ვეძიოთ არამედ ადამიანში, სუბიექტში. ეს კი კანტის მოძღვრების ანტროპოტენტრისტული ხასიათის განმსაზღვრელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კანტი „წმინდა გონების კრიტიკა” თსუ. 1979წ.

2. გ. თევზაძე. „იმანუელ კანტი”. თსუ. 1974წ.

3. Б. Рассел . Челавечечское познание. М. 1957г.

4. Современные зарубежные исследования филасофии Канта. М 1975г.

5. И. Ремке. Очерки истории филасофии. 1898г.

Summary
Avtandil Dzamashvili
About revolutionary revolution by the Kant in philosophy

Compares the revolutionary revolution in philosophy with revolution of Kopernik, the sense and which essence consists in an establishment of scientific bases of a science. For Kant the scientific character of a science is a methodological basis.

Резюме
Автандил Дзамашвили
О революционном перевороте Канта в философии

Кант сравнивает свой революционный переворот в философии с перовоpотом Коперника, смысл и суть которого состоит в установлении научных основ науки. Для Канта научность науки является методологической основой.



ოთარ ბაღათურია

საქართველოს ევროპელობისა და ევროპის დეფინიციის საკითხისათვის

შესავალი.
ევროპელობის მნიშვნელობა საქართველოსთვის

"მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი" ზურაბ ჟვანიას მიერ საქართველოს ევროსაბჭოში მიღების ცერემონიაზე წარმოთქმული ამ სიტყვებით ამ თემაზე დისკუსია თითქოს უნდა დამთავრებულიყო. რეალური დისკუსია კი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო. დისკუსია იმის თაობაზე თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები და არის თუ არა საქართველო ევროპა, ვართ თუ არა ქართველები ევროპელები. აქვე შეიძლება ითქვას რომ ყოველივე ამას რიგ შემთხვევაში დისკუსიას პირობითად თუ ვუწოდებთ, საკითხისადმი ზედაპირული დამოკიდებულების გამო. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად იმისა ვის მიაჩნია ან არ მიაჩნია საქართველო ევროპად, არსებობს საერთო ეროვნული თანხმობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პროცესი უდავოდ მისასალმებელია (არსებობს სულ ორი საკითხი, რომლის შესახებაც თავისთავად არსებობს ეროვნული თანხმობა, ესაა – დამოუკიდებლობა და ევროინტეგრაცია). ეს გარემოება ერთი მხრივ თითქოს ამარტივებს ქართულ სახელმწიფოებრივ "ზეამოცანას", თითქოს საქართველოს ევროკავშირში შესვლა თვითმიზანი იყოს, სინამდვილეში კი, ფაქტობრივად, ამგვარი თანხმობა მეტად ართულებს რეალური ზეამოცანის დასახვასაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მიღწევაზე. უფრო მეტიც, ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას "ზეპირი თანხმობა", ართულებს კონკრეტული სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრასაც, რადგანაც არსებობს ილუზია, რომ მალე ევროპის სრულფასოვანი წევრი გავხდებით და ყველაფერი თავისით მოგვარდება. სინამდვილეში კი "ევროპა" პროცესია და არა მდგომარეობა, ან მითუმეტეს გეოგრაფიული ან თუნდაც პოლიტიკური ერთეული. ევროპელობა ნიშნავს ევროპულ პროცესებში მონაწილეობას, და არა რაიმე გარკვეული მდგომარეობის (ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის) მიღწევას, შექმნას, ან თუნდაც მდგომარეობაში წარმოშობას, ასეთი პროცესი კი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი ცნობიერებით წარიმართება, ცნობიერებით, რომელიც, ასევე, არაა მუდმივი და უცვლელი. ამავე დროს თუმცა არსებობს ობიექტური ან/და სუბიექტური საფუძვლები და წანამძღვრები, რომლებიც აადვილებენ ან ართულებენ ამ პროცესში ჩართვას.

თავდაპირველად განვსაზღვროთ თუ რას ნიშნავდა ზურაბ ჟვანიას სიტყვები ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის, როგორია ქართულ საზოგადოებაში მათ მიმართ დამოკიდებულება? ბევრისათვის ეს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით წარმოთქმული

ლამაზი სიტყვებია, დამოკიდებულება დაახლოებით შემდეგია – რადგან ევანიამ თქვა, განა მართლაც ევროპელები ვართ? ან – აქამდე არ ვიყავით ევროპელები და რადგან ევროსაბჭოში მიგვიღეს ახლა გავხდით? აღსანიშნავია საქართველოს საზოგადოების ნაწილის ირონიული და ცინიკური დამოკიდებულებაც კი ჩვენი ევროპელობისადმი, სხვა ნაწილს კი ეს პრაგმატიზმად მიაჩნია – ქართველები ევროპელები არ ვართ, უბრალოდ ევროკავშირში შესვლა კარგი იქნებოდა საქართველოსთვის, ზოგის აზრით კი ევროკავშირში შესვლა მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს. აქ რეალურად ორი ფენომენი ემთხვევა ერთმანეთს, რომელთაგან ერთი ზედაპირულია (საკუთარი გარჯისა და თავდადების გარეშე სახელმწიფოებრივი და პიროვნული ცხოვრების მოწყობა, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, თავისუფლება და კეთილდღეობა სხვისი ხელიდან), ხოლო მეორე – სიღრმისეული (ისტორიული სწრაფვა, შინაგანი და გარეგანი ორიენტაცია, ფასეულობათა სისტემა) და ეს უკანასკნელი თითქმის მთლიანადაა დაფარული პირველით, ევროპისაკენ საქართველოს სიღრმისეული სწრაფვა თითქმის არ იგრძნობა.

ამგვარად საკითხის აქტუალობა არათუ არ კლებულობს, არამედ მატულობს კიდეც, მისი აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, რადგანაც მასში სწორედ ევროპული ნიშნები წარმოჩინდა, როგორც ხელისუფლების, ისე პოლიტიკური სპექტრის, მათ შორის ოპოზიციის, და რაც მთავარია, საზოგადოების მხრიდან. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მართვაში არსებულმა სირთულეებმა საზოგადოებაში დიდი დაბნეულობა გამოიწვია, მცირე ნაწილში თავი იჩინა ბელადომანიამ, სხვები ბოლშევიკური იდეებით დაიმუხტნენ, უმეტესობაში კი ნიჰილიზმმა დაისადგურა. ევროპელობა და ევროპისაკენ სწრაფვა უკანა პლანზე ინაცვლებს. რევოლუციური ხელისუფლების ქმედებები, და განსაკუთრებით მისი სტილი მიუხედავად ლიბერალური (რომელიც ხშირად აბსურდულად გადადის კლასიკური ლიბერალიზმიდან კლასიკურ მარქსიზმში, ზოგჯერ კი ბოლშევიზმშიც) რიტორიკისა დიდ ეჭვს ბადებს მათ ფასეულობებთან დაკავშირებით, რაც ყველაზე სამწუხაროა საზოგადოება რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დემოკრატიის, თავისუფლებისა და უფლებებისათვის იბრძოდა დღეს შეპყრობილია ბელადომანიით, დამუხტულია ბოლშევიკური იდეებით, ან ნიჰილიზმშია გადავარდნილი.

დისკუსიები, რომლებიც ზოგჯერ მაინც იმართება სამეცნიერო, პოლიტიკურ თუ ბიზნესწრეებში და საზოგადოების ნაწილში ხასიათდება ქაოტურობითა და უსისტემობით. უფრო მეტიც, იგი ჯერაც ფსევდომეცნიერულსა და ემპირიულს შორის მერყეობს, აქედან გამომდინარე შედეგებით; არაა განსაზღვრული დისკუსიის მიზანი, კვლევის ობიექტი, კრიტერიუმები. არგუმენტაცია იმდენად ქაოტურია, რომ ერთი და იგივე არგუმენტი გამოიყენება როგორც ერთი ისე მეორე მხარის მიერ; არაა განსაზღვრული არც ის, თუ რა არის

ევროპა და არც ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას საქართველოსთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დისკუსია და კვლევა იმისა თუ რა არის ევროპა, რას ნიშნავს ევროპა, როგორია საქართველო მასთან მიმართებაში, როგორი არის და უნდა იყოს მსოფლიოს დამოკიდებულება საქართველოსა და მისი ევროპელობა-არაევროპელობისადმი არათუ აქტუალურია, არამედ საქრთველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობასაც იძენს. არა იმიტომ რომ საქართველოს ევროკავშირში მიღება-არმიღების საკითხი უმეტესად ამაზეა დამოკიდებული (ეს ევროპული რეალპოლიტიკისა და მსოფლიო გეოპოლიტიკის საგანია), არამედ იმიტომ, რომ ევროპული ფასეულობების *გაღვიძება* ქართულ ცნობიერებაში, ევროპული პოლიტიკური თუ ყოფითი კულტურის *აღორძინებამ* (გაღვიძება და აღორძინება და არა დამკვიდრება) კვლავაც უნდა გამოაფხიზლოს ქართველთა შორის მიძინებული ევროპული სული – შემოქმედის, თავდაუზოგავი მშრომელის, ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილისა და სოციალური სოლიდარობის სული.

შინაგანი წესრიგის, თვითდისციპლინის, სამოქალაქო საზოგადოებისა და პასუხისმგებლობის გარეშე საქართველო განწირულია გადაგვარება-გაქრობისათვის (უკეთეს შემთხვევაში პოლიტიკურ ერთეულამდე ევროკავშირში, უარეს შემთხვევაში კი გეოგრაფიულ ტერმინამდე) მიუხედავად იმისა მიიღებენ თუ არა ჩვენს ქვეყანას ევროკავშირში, მითუმეტეს რომ ეს არცთუ ახლო პერსპექტივაა.

ამრიგად, ჩვენი ევროპელობის საკითხი, როგორც უკვე აღინიშნა, პირველყოვლისა მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან ბავრი რამ ჩვენს სოციალურ თუ პოლიტიკურ ქცევაში სწორედ ამაზეა დამოკიდებული. სახელდობრ: თუ ჩვენ ევროპელები ვართ ისეთი ცნებები როგორიცაა პიროვნების თავისუფლება; საზოგადოებრივი წესრიგი; კანონმორჩილება (და არა ჩინმორჩილება); საკუთარი უფლებებისათვის სამართლებრივი საშუალებებით ბრძოლა; ხელისუფლების პასუხისმგებლობა; უმცირესობათა უფლებები და საერთოდ ადამიანის (მათ შორის, ცუდი, სხვანაირი, არასაიმედო, დამნაშავე) უფლებების მთელი პაკეტი ისეთივე სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, როგორც ელექტროენერგია, საყოველთაო საშუალო განათლება, ავტოტრანსპორტი, კანალიზაცია, ტელეკომუნიკაციები, ტელევიზია და ცივილიზაციის სხვა მონაპოვრები რომელთა გარეშეც მშვენივრად ვარსებობდით ათასწლეულების მანძილზე (ისევე როგორც მთელი კაცობრიობა), მაგრამ დღეს მათ გარეშე არსებობა ვერ წარმოგვიდგენია. ხოლო თუ ჩვენ ევროპელები არ ვართ, მაშინ ზემოჩამოთვლილ ცნებებს ჩვენთვის არც არანაირი მნიშვნელობა აქვს გარდა, ვთქვათ, სახელისუფლებო PR-ისა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის არათუ მისაღები, შეიძლება ზედგამოჭრილიც იყოს კოლონიური ან ნახევრად-კოლონიური საკუთარი თუ საგარეო რეჟიმი, ან დიქტატურა (თავსმოხვეული და საკუტარი), ან

მარიონეტული მთავრობა, რომელიც ტკბება ილუზიით რომ ქვეყანას მართავს და ქვეყანაც მას გულმოდგინედ ატყუებს და თავის მხრივ ტკბება თავისუფლების ილუზიით.

ევროპელობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

არსებობს საქართველოს ევროპელობა-არაევროპელობის განსაზღვრის სხვადასხვა არგუმენტაცია, რომელიც შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

- **გეოგრაფიული**; ევროპის საზღვარი გადის ურალის ქედსა და კავკასიონზე, მაშასადამე ჩეჩნეთი და ნოვოროსიისკი ევროპაა, ასევე წოვათუშეთი, პირიქითა ხევსურეთი, უკანა ფშავი და ხევი, ხოლო მთლიანობაში საქართველო ევროპა არაა. აქვე არის უფრო საინტერესო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ევროპის საზღვარი გადის ურალზე, კავკასიონზე იალბუზამდე, შემდეგ კი რიონზე – მაშასადამე აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო და ნახევარი იმერეთი ევროპაა. ზოგი მოსაზრებით – ევროპის საზღვარი ლიხისა და მესხეთის ქედებია და, შესაბამისად, მთლიანად დასავლეთ საქართველო ევროპა, არის კიდევ მოსაზრება რომ საზღვარი ენგურზე გადის. ამგვარად ევროპაში ნახევარი სვანეთი და აფხაზეთი ხვდება. ნათელია ყველა ამ მოსაზრების აბსურდულობა.
- **რელიგიური**; აქ ორი შეხედულება არსებობს. ერთნი მიიჩნევენ რომ საქართველო როგორც ქრისტიანული კულტურის მატარებელი ქვეყანა ევროპაა, მეორენი კი ევროპად კათოლიკურ-პროტესტანტულ სივრცეს თვლიან ხოლო მართლმადიდებლობას – არა (აღმოსავლური ქრისტიანობა, ახლოაღმოსავლური თუ წინააზიური სტილი და მსოფლმხედველობა და სხვ.)
- **ისტორიული**; საქართველოს ევროპელობის სასარგებლოდ მეტყველებს მისი ისტორიული ორიენტაცია და სწრაფვა, თუმცა არავინ ცდილობს იმის ახსნას თუ რით იყო იგი გამოწვეული, თითქოს ამას ახსნა არც სჭირდებოდეს, თითქოს ყველაფერი ნათელია – ერთმორწმუნე მოკავშირე ან მფარველი, მაგრამ რამ განაპირობა ჩვენს მიერ ქრისტიანობის უპრობლემო მიღება-შესისხლხორცება და თავდაუზოგავი ბრძოლა ისლამთან? საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით "Pax Romana" (რომაული სამყარო) და მისი მემკვიდრეობაა ევროპა, შესაბამისად საქართველო ევროპა არაა.
- **კულტურული**; მონოგამია, ღვინო, ქალის თავისუფლება, შემწყნარებლობა და თანასწორობა.

ერთი შეხედვით ძლიერი არგუმენტებია, თუმცა მონოგამია შეიძლება ქრისტიანობას მიეწეროს, ხოლო ალკოჰოლურ სასმელებსაც პრაქტიკულად ყველგან სცემენ პატივს, თვით არაბეთშიც, არა მარტო ისლამის გავრცელებამდე (საერთოდ დისტილაცია არაბებმა მოიგონეს). ქალის ტავისუფლება მთელ რიგ საკითხებში, მაგალითად, როგორიცაა განქორწინება, ისლამურ ქვეყნებში უფრო თავისუფალია ვიდრე საქართველოში. სხვაგანაც ბევრგან ქალი ტრადიციულად უფრო თავისუფალია ვიდრე ტრადიციულ ევროპაში, შემწყნარებლობა და თანასწორობა კი ევროპამ XVIII საუკუნეში აღმოაჩინა და ახლადა მკვიდრდება, თუმცა საკმაოდ სწრაფად. შეუწყნარებლობა და ქსენოფობია კი ევროპის კოლონიებში, მათ შორის არაბულ ქვეყნებში მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს, დეკოლონიზაციის პროცესიდან გამომდინარე.

საბოლოო ჯამში პრობლემა ევროპის დეფინიციაშია. დისკუსია ევროპის რაობაზე თვით ევროპაში მეტად აქტუალურია (თუმცა აკადემიურ წრეებში მეტად პოპულარული ნეომარქსიზმის გავლენით წარმოიშვა ახალი დისკუსია, რომელიც საერთოდ უარყოფს ევროპის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, გარშემო დისკუსიას, მიიჩნევსა რა მას ევროპოცენტრიზმის გაგრძელებად და რასიზმის ნაირსახეობად). აღნიშნული დისკუსიის პოზიციები ცნობილია და მეტ-ნაკლებად ეხმიანება საქართველოს ევროპელობის შესახებ დისკუსიას.

ჩვენი აზრით საქართველოს ევროპელობის საკითხი შეიძლება განისაზღვროს ნაკლებად ცნობილი, შეიძლება ითქვას უსამართლოდ უგულვებელყოფილი "გეოგრაფიული დეტერმინიზმის" თეორიის მეშვეობით (თავის დროზე "გეოგრაფიული დეტერმინიზმის" არასწორი ინტერპრეტაცია რასიზმის საფუძვლად იქნა აღქმული და ამდენად უკუგდებული სამეცნიერო წრეების მიერ).

ადამიანის სოციალური განვითარების გზები და ევროპა

ვიდრე თეორიასა და ევროპაზე ვისაუბრებდეთ ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ზოგადად ადამიანის სოციალურ განვითარებას და გავემიჯნოთ რასიზმს. ყველგან დედამიწის ზურგზე, განურჩევლად კანის ფერისა, თვალის ჭრილისა, რასისა, ენობრივი, ეთნიკური, კულტურული თუ სხვა ერთობისადმი კუთვნილებისა ადამიანმა შემდეგი ფორმაციები განვლო: პრიმიტიული კომუნიზმი, ამ ფორმაციაში დღესაც მრავალი ჯგუფი იმყოფება სუბარქტიკასა თუ ეკვატორულ ჯუნგლებში; შემდეგი საფეხურია ადრეკლასობრივი სამხედრო დემოკრატია, არჩევითი ბელადებით, უხუცესთა საბჭოებითა და სახალხო კრებებით; შემდეგ ადრეკლასობრივი დესპოტია ანუ პროტოფეოდალიზმი, დიდი ბელადების მორჩილებაში მყოფი ბელადებით რომლებიც თავის მხრივ კიდევ სხვებზე ბატონობენ,

გაუქმებული ან ფორმალობამდე დაყვანილი უხუცესთა საბჭოებით, რომელთაც უკეთეს შემთხვევაში რელიგიური რიტუალის წარმართვის ფუნქცია ეკისრებათ, შესაძლოა მათგან ყალიბდება სამღვდელოება და მეხოტბეთა მიტინგად ქცეული სახალხო კრება; ამის შემდეგ კაცობრიობის განვითარებაში სამი გზა იკვეთება, თუმცა ორი მათგანი საერთო შედეგამდე მიდის:

I) ეგვიპტესა თუ ჩინეთში ადრეკლასობრივი დესპოტია აღმოსავლურ დესპოტიად ჩამოყალიბდა. დიდმა ბელადებმა გვერდში მორჩილი ბელადების ყოლაც აღარ ისურვეს და მათი ფუნქციები ადმინისტრატორებს გადააბარეს (მაგალითად ნამარხები ეგვიპტეში). ჩამოყალიბდა ხისტი ვერტიკალური იერარქია და აბსოლუტურად შეუვალი, საკრალიზებული, "ღვთაებრივი", ერთპიროვნული ძალაუფლება, იერარქიის სათავეში იდგა დესპოტი რომელიც განაგებდა ყველას და ყველაფერს, გამოსცემდა ბრძანებებს რომელთაც კანონის ძალა ჰქონდათ, თვითონ კი მათზე მაღლა იყო. შეუძლებელი იყო წინასწარ გცოდნოდა რა იყო კანონიერი და რა არა. ერთსა და იმავე ქმედებაზე, ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს ერთი შეიძლება დამნაშავე ყოფილიყო ხოლო მეორე არა.

II) მედიტერანიაში (ეგვიპტის გამოკლებით) ადრეკლასობრივი დესპოტია შეიცვალა ანტიკური მონათმფლობელური დემოკრატიით, შეიქმნა "ზეპირი კონსტიტუციები", რომლებიც ზოგან შემდგომ ჩაწერილ იქნა, უხუცესთა საბჭოები და სახალხო კრებები ზოგან შენარჩუნებულ იქნა ზოგან კი განვითარდა და ჩამოყალიბდა უფრო დახვეწილ ინსტიტუციებად, ბელადები ზოგან კოლეგიებს ქმნიან, ზოგან ერთპიროვნულად მართავენ მაგრამ კანონით დადგენილი წესით, კანონების შესაბამისად. რაც მთავარია მათ კანონის შეცვალა, დარღვეა და უგულებელყოფა არ შეუძლიათ. თანაც მათ ირჩევენ. ზოგან არიან მემკვიდრეობითი მეფეებიც, მაგრამ მათი ძალაუფლებაც საგრძნობლადაა შეზღუდული სასამართლოების, უხუცესთა საბჭოების, სახალხო კრებების და სხვა ინსტიტუციების, და რაც მთავარია კანონისა თუ კონსტიტუციის მიერ და მეშვეობით. წარმომადგენლობით ორგანოებს მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე მეფეს, ბელადს, თუ ბელადთა კოლეგიას. მკვიდრდება წარმომადგენლობით-კოლეგიალური მმართველობა. ბევრგან ხდება წოდებათა დაკანონება, მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ძირითადი ვექტორი წოდებათა შორის ზღვარის წაშლისკენ, ან სულაც დენონსაციისკენაა. მიუხედავად მონათმფლობელობისა აქ მკაფიოდ შეინიშნება თანამედროვე ლიბერალიზმის საფუძვლები. ძვ.წ.აღ. 401 წელს ათენმა მიაღწია მიჯნას, რომლის გადალახვაც ვერ შეძლო და რომლის გადალახვაც

თანამედროვე ლიბერალურმა დემოკრატიამ მხოლოდ ახლა დაიწყო.

III) ადრეკლასობრივ დესპოტიას სხვაგვარად პროტოფეოდალიზმი ეწოდება და მისი განვითარების მესამე გზაა ფეოდალიზმი. დიდ და მცირე ბელადებს შორის წინააღმდეგობა ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ბელადების წინააღმდეგობა უხუცესთა საბჭოებსა და სახალხო კრებებთან სრულდება კომპრომისით, განსაკუთრებით დაპყრობილ ტერიტორიებზე, სადაც ბელადები და მათი მხედრობა დამპყრობლები არიან, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება დამპყრობლებს რიცხოვნობით, დაპყრობილია. სხვადასხვა გავლენისა და ძალის ბელადები თანხმდებიან ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების წესზე, ხდება სტატუს-ქუოს დაკანონება, რის შედეგადაც ყალიბდება მეტად რთული, ასიმეტრიული, შეიძლება ითქვას ჭრელი სტრუქტურა, რომელიც დაახლოებით შემდეგნაირად გამოიყურება: პირობითი იერარქიის სათავეშია კაიზერი ანუ იმპერატორი; მის ქვემოთ არიან სხვადასხვა რანგის მეფეები – კინგები და კოროლები, ზოგი მათგანი უშუალოდ კაიზერის დაქვემდებარებაშია, ზოგი პირობითად ითვლება მის ვასალად, ხოლო ზოგი სრულად ფლობს სუვერენიტეტს და მხოლოდ რანგითაა კაიზერზე დაბლა; მათ ქვემოთ არიან მთავრები – პრინცები, ჰერცოგები, კონუნგები, კნიაზები; მათ ქვემოთ ერისთავები – დუკები, გრაფები, ვიკინგები, ვოევოდები; შემდეგ თავადები, აზნაურები, რაინდები, მხედრები, მოკლედ თავად-აზნაურობა, დვორიანსტვო, ნობილიტეტი – ნობილები, სერები, ლორდები, ბარონები, კნეხტები, შევალიე-კავალერები, რატნიკები, დრუჟინნიკები. ყველა მათგანი მემკვიდრეობით ფლობს ფეოდს – სხვადსხვა ზომის მიწის ნაკვეთს, მასზე დაბალი რანგის ფეოდალებითა და ყმებით. ფეოდალი საკუთარ ფეოდში სარგებლობს იმუნიტეტით, ან იბრძვის ამისათვის. აღსანიშნავია რომ არ არსებობს ხისტი იერარქია, ძირითადი პრინციპი ცნობილია – "ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის". სახელმწიფო ფუნქციონირებს შერეული კოორდინაცია-სუბორდინაციის, ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით და ჰორიზონტალური დელეგირების პრინციპით. სახელმწიფო სამსახურში დომინირებს წოდებრიობის პრინციპი. ყველგან არის წარმომადგენლობითი, საკონსულტაციო, წოდებრივი ორგანო, რომელშიც წარმოდგენილია ფეოდალური არისტოკრატია და სამღვდელოება, ზოგან მესამე წოდებაც. სამეფო და საეკლესიო სასამართლო პარალელურად ფუნქციონირებს და კონკურენციას უქმნის ერთმანეთს, ზოგან არსებობს დამოუკიდებელი სასამართლოებიც. ფეოდალიზმი ყველგან

განსხვავებული ნეიშნებით ხასიათდება, შეიძლება ითქვას რამდენი ქვეყანაცაა იმდენი ტიპის ფეოდალიზმია, მაგრამ არსებითად ფეოდალიზმი ერთი მოვლენაა, არსებითი ნიშნები – წოდებრიობა, მიწათმფლობელობა, იმუნიტეტი, ბატონყმობა, ინდივიდუალიზმი, პრივილეგიები, თავისუფლება, ყმების უფლებები და მეფის უფლებების თუნდაც პირობითი, მეტ-ნაკლები შეზღუდვები, ან ბრძოლა ამისათვის – საერთოა. ფეოდალიზმი (ზოგან აბსოლუტიზმის გავლით) გზას უთმობს ბურჟუაზიულ კაპიტალიზმსა და შემდეგ ლიბერალურ დემოკრატიას, ხდება ჯერ ბატონყმობის გაუქმება XIII–XIX სს., შემდეგ წოდებრიობის დენონსაცია XV–XX სს.

პირველი გზა ათასწლეულების მანძილზე არ იცვლება, იგი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდა. პირველისგან განსხვავებით მეორე და მესამე გზა მეტად დინამიურია, იგი მუდმივი დუღილის პროცესშია, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს არის მუდმივი ბრძოლა პრივილეგიების გაფართოებისა და პრივილეგირებულთა ფენის გაფართოებისათვის, რომლის საბოლოო წერტილია საყოველთაო უმაღლესი პრივილეგია – თავისუფლება, ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება. მეორე და მესამე გზა ერთი საბოლოო მიზნისკენ მიდის, რომელსაც ევროპა ეწოდება.

ევროპა გეოგრაფიული დეტერმინიზმის მიხედვით

ტერმინი "ევროპა", რომელიც დასავლეთთან ასოცირდება, მიმდინარეობს ასურული სიტყვიდან "ერებ", რაც დასავლეთს ნიშნავს. ამგვარი დამოკიდებულება თავიდან გაზიარებული იყო ელინების მიერაც, რომლებიც სამყაროს ელინებად და ბარბაროსებად დაყოფის გარდა დასავლეთად და აღმოსავლეთად ჰყოფდნენ. ელადა მცირე აზიასთან მიმართებაში მართლაც დასავლეთით მდებარეობს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეგვიპტე, მესოპოტამია, ირანი, ინდოეთი მცირე აზიიდან სამხრეთით მდებარეობენ, ხოლო ევროპის ქვეყნები საბერძნეთიდან ჩრდილოეთით. ძველბერძნულ ფილოსოფიაში ჩვენ ვხვდებით სამყაროს დასავლეთად და აღმოსავლეთად დაყოფის გარდა ჩრდილოეთად და სამხრეთად დაყოფასაც. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას. "გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიის" მიხედვით სამყარო ხუთ სარტყლად შეგვიძლია დავყოთ ეკვატორიდან პოლუსებისკენ, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს სოციალური განვითარების სარტყლებია და არაა წმინდად გეოგრაფიული.

1. ეკვატორულ-ტროპიკული სარტყელი – განუვითარებელი, დაბალეფექტიანი, ექსტენსიური მიწათმოქმედებისა და დაყოვნებული სახელმწიფოებრიობის ზონა.
2. მშრალი ანუ სარწყავი სუბტროპიკი – სარწყავი მიწათმოქმედების, ცენტრალიზებული რედისტრიბუციის, საკრალურ-ავტორიტარული ხელისუფლების, საყოველთაო მონობისა და უუფლებოთა თანასწორობის, არაწოდებრივი

მარადიული სოციალიზმის და აღმოსავლური დესპოტიის ზონა. პირველადი (მოცემულ ადგილას მანამდე ცივილიზაცია არ არსებულა) ცივილიზაციები ევროპულ კოლონიზაციამდე უცვლელად მოღწეული. ეგვიპტე, ასურეთი, ირანი, ინდოეთი, ჩინეთი, აცტეკები, ინკები. თეორიის მიხედვით ***"აზია"***

3. ნოტიო ანუ ურწყავი სუბტროპიკი – ურწყავი მიწათმოქმედების, წარმოების საშუალებებზე, შრომასა და ნაწარმზე კერძო საკუთრებისა და კერძო ინიციატივის, "კონსტიტუციით" განსაზღვრული, უმეტესად არჩევითი ხელისუფლების, "თანასწორთა" თავისუფლების, მეტ-ნაკლებად წოდებრივი, პირველი ციკლის, მონათმფლობელური კაპიტალიზმისა და ანტიკური დემოკრატიის ზონა. ზოგან მეორადი (მოცემულ ადგილას მანამდე სხვა არსებობდა) ცივილიზაციები, უაღრესად დინამიური (ათასწლეულის ფარგლებში ოთხი-ხუთი ფორმაცია გაიარა, პიკით და კრახით), ნოვატორული და მაღალტექნოლოგიური, ცვლილებების ინიციატორები როგორც ტექნოლოგიებში ისე სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. ანტიკური საბერძნეთი, რომი, სეგუნტა, ფინიკია, კართაგენი, გალია (ყველამ საბოლოო ჯამში ერთად მოიყარა თავი Pax Romana –ში), ბიზანტია, ვენეცია. პირველი ციკლის ევროპა

4. ზომიერი სარტყელი – ბევრგან სადრენაჟო მიწათმოქმედების, ანტიკურის მსგავსად კერძო საკუთრებისა და კერძო ინიციატივის, კანონის ჩარჩოებში მოქცეული, ზოგან არჩევითი ხელისუფლების, წოდებრიობისა და ფეოდალიზმის, მეორე ციკლის, ბურჟუაზიული კაპიტალიზმის, ბატონყმობის გაუქმებისა და წოდებრიობის დენონსაციის შემდეგ ლიბერალური დემოკრატიის ზონა. ძირითადად მეორადი (მოცემული სარტყელის ფარგლებში სადაც მანამდე სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა ადგილი აქვს დაყოვნებას და სახელმწიფოებრიობის მქონეთა გავლენას), არსებითად ერთიანი ცივილიზაცია, სუპერდინამიური (ერთნახევარი ათასწლეულის ფარგლებში შვიდი ფორმაცია პერმანენტული აღმასვლით), დინამიზმის სწრაფი მატებით, სუპერნოვატორული და სუპერტექნოლოგიური, ცვლილებების ინიციატორები როგორც ტექნოლოგიებში ისე სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. იყოფა სამ ქვეზონად:

გოლფშტრიმის ზონა (ყველაზე "ევროპული" ევროპა – ნიდერლანდები, ინგლისი, საფრანგეთი); ზომიერად მკაცრი (გერმანია, ბალტიისპირეთი, ცენტრალური ევროპა); და მკაცრად კონტინენტური (რუსეთი, კარპატები, ბალკანეთი). მეორე ციკლის ევროპა. (მესამე და მეოთხე ზონა თავს იყრის ევროკავშირში, ლიბერალური Pax Romana)

5. არქტიკულ-პოლარული არასახელმწიფოებრივი ზონა, არავითარი მიწათმოქმედება, არავითარი ხელისუფლება, კერძო საკუთრება მნიშვნელობის გარეშე, კერძო და საზოგადო საკუთრებას შორის სხვაობა არაა განსაზღვრული, არავითარი სოციო-პოლიტიკური ინსტიტუცია, პრიმიტიული კომუნიზმი. ინტეგრირებულია ევროპასთან უმნიშვნელო დანამატის სახით.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიის თანახმად სხვაობას განაპირობებს არა მერიდიანი არამედ პარალელი, ამდენად ევროპაა არა დასავლეთი არამედ ჩრდილოეთი. ეს ევრაზია-მედიტერანიის სივრცეში. რა მდგომარეობაა სხვა კონტინენტებზე? შეიძლება ითქვას რომ ა.შ.შ, კანადა, არგენტინა, ჩილე, ახალი ზელანდია, ავსტრალია, იაპონია და შესაძლოა სამხრეთ აფრიკა ევროპაა ხოლო მათ შორის მოქცეული სივრცე – აზია. თუ შეადარებთ ევროპასა და აზიას აღმოაჩენთ განსხვავებას არა მარტო განვითარების დონეში, არამედ განვითარების ტემპსა და მიმართულებაში, განსაკუთრებით თვალსაჩინოა განსხვავება სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფლებების განვითარების კუთხით. აქ კი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს მივადექით, სახელდობრ ცნობიერებას. შეუიარაღებელი თვალით ჩანს, რომ ევროპას სწორედ ევროპული ცნობიერება განასხვავებს არაევროპისაგან. ცნობიერება რომელმაც <u>მეხუთე ცდაზე შექმნა</u> ევროპა. ყველაზე საინტერესოა რომ ევროპა სწორედ შეიქმნა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რომ ევროპა პროცესია და არა მდგომარეობა. პროცესია რომელსაც წარმართავს ცნობიერება.

მაგრამ როგორია ეს ცნობიერება? კაცობრიობის სოციალური ისტორიის პროცესში გამოიკვეთა ცნობიერების ორი ტიპი: ერთი მიდრეკილი ძალადობრივ ერთიანობაზე, თავისუფლებისა და ერთიანობის დაპირისპირებაზე, დესპოტიაზე. ხოლო მეორე შეთანხმებით ერთიანობაზე, თავისუფლებისა და ერთიანობის ურთიერთდამოკიდებულებაზე, თავისუფლებაზე. **სწორედ თავისუფლებისაკენ სწრაფვა არის ევროპელობის ძირითადი კრიტერიუმი**, ხოლო თავისუფლების განვრცობა ევროპელობის ტვირთი, რაც იკვეთება ანტიკურ დემოკრატიასა და შუა საუკუნეების ფეოდალიზმში. სხვაობა დასავლურ და აღმოსავლურ, უფრო ზუსტად კი ჩრდილოურ და სამხრეთულ ცნობიერებას შორის ძველმა ცივილიზაციებმაც შენიშნეს. ჯერ კიდევ ელინებმა სხვაობიდან გარკვეული დასკვნებიც გააკეთეს. შემდეგ იყო ალექსანდრე

მაკედონელის ექსპერიმენტი, რომელიც უგულებელყოფდა ელინთა დასკვნებს, ცდილობდა შეუთავსებელის (აზიის და ევროპის) შეერთებას, ელინიზმის სახელით ცნობილმა ექსპერიმენტმა სრული კრახი განიცადა, მიუხედავად 10-20 მლნ. ბერძენი კოლონისტისა აზიას არაფერი დაეტყო, იგი არ შეიცვალა. განსხვავებულ გზას მიმართეს რომაელებმა, მათ სულ რაღაც ორიოდე მილიონი კოლონისტი გაიყვანეს აზიის მიმართულებით, ისიც მხოლოდ ზღვისპირა ზოლში და სამხედრო დასახლებების სახით. მათ არც უცდიათ ეგვიპტის, სირია-პალესტინისა თუ მცირე აზიის რომანიზაცია. სამაგიეროდ მათ ოც მილიონამდე კოლონისტი გაიყვანეს დაკიაში, ესპანეთში, გალიაში და მოახდინეს ამ მხარეთა სრული რომანიზაცია, ის რომ ეს არ იყო შემთხვევითი იქიდანაც ჩანს თუ ვის ანიჭებდნენ რომაელები რომაულ მოქალაქეობას ქრისტიანობის გავრცელებამდე, შეიძლება ითქვას რომ Pax Romana ევროკავშირის პირველი წარმატებული პრეცედენტი გახლდათ.

არსებული ინფორმაციის ჭრილში რა შეიძლება ითქვას საქართველოზე, რა არგუმენტები გაგვაჩნია ჩვენი აზიელობისა თუ ევროპელობის დასამტკიცებლად? ამისათვის უნდა გავიხსენოთ საქართველოს ისტორია, ოღონდ განსხვავებით ისტორიის ტრადიციული კურსისგან ყურადღებას სოციალურ პროცესებზე გავამახვილებთ.

საქართველოს სოციალური ისტორია

საქართველოს სოციალური ისტორიის მოკლე კურსი შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

აზოს მიერ (რომელიც ობიექტურად ერთიანი საქართველოს პირველი მეფეა) ქართლის "დაპყრობაში" და ამით გამოწვეულ საყოველთაო წინააღმდეგობაში ნიშანდობლივია სწორედ აზოს დესპოტიზმით უკმაყოფილება, ფარნავაზი და ქუჯი საყოველთაო უკმაყოფილებით სარგებლობენ, ათავისუფლებენ და აერთიანებენ ქვეყანას და მალევე (ფარნავაზის სიკვდილისთანავე ერისთავების აჯანყება) იწყება გაუთავებელი ბრძოლა მეფესა და სამხედრო ფეოდალურ არისტოკრატიას შორის. რეალურად ეს ბრძოლა ორი საპირისპირო პროექტის, ორი ტენდენციის რეალიზებაა: პირველია მეფეთა ავტორიტარული მისწრაფება, რომლის მიხედვითაც მეფე სრული ბატონპატრონია ქვეყანაზე, მიწასა და ხალხზე, თვითონაა სამხედრო, სასულიერო, საერო, და სამეურნეო ლიდერი (ამის გამო საქართველოში ისევე როგორც სხვაგან ძალაუფლების უძველესი სიმბოლოა ცული), კანონმდებელი, აღმასრულებელი და მოსამართლე, ერისთავები და მოურავები კი ინიშნებიან. ესაა გზა აღმოსავლური დესპოტიისკენ; მეორეა ფეოდალიზაციის პროცესში მყოფი სამხედრო ელიტის ანუ არისტოკრატიის სწრაფვა "თავისუფლებიკენ", რომლის მიხედვითაც მეფე პირველია თანასწორთა შორის, არისტოკრატია მეფესთან ერთად კოლეგიალურად ბატონობს ქვეყანაზე, მიწა და ხალხი კი თითოეული მათგანის (მეფის ჩათვლით) ინდივიდუალურ საკუთრებაშია. წოდება, მდგომარეობა და თანამდებობა

მემკვიდრეობითია, მამული შეუვალი (ანუ იმუნიტეტით სარგებლობს მისი მფლობელი). სასულიერო, საერო, სამხედრო თუ სამეურნეო ლიდერობა არაა ერთპიროვნული, კანონმდებლობითი, აღმასრულებელი თუ სასამართლო საქმიანობა კოლეგიალურია. ესაა გზა ხელისუფლების გაყოფისა და შემდგომი ლიბერალიზაციისკენ, რაც შემდგომში უფრო მკაფიოდ გამოვლინდება.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე როგორც ჩანს მიღწეულია გარკვეული სოციალური მშვიდობა, ამ დროისათვის არსებობს ოთხი სოციალური ფენა გამოკვეთილი წოდებრივი ნიშნებით: უმაღლესი – რომლიდანაც "ირჩევენ" მეფეებს, ამავე წოდებას განეკუთვნებიან ქურუმები, რომლებიც ასევე განაგებენ სასამართლო და საერთაშორისო საქმეებს; მეორე – მხედრები ანუ ნობილიტეტი; მესამე – მეთემენი და მიწის მუშაკნი (ამ დეფინიციიდან ჩანს რომ შესაძლოა დაყმევების პროცესი დაწყებულია); უმდაბლესი – სამეფო მონები (ამ დეფინიციიდან ჩანს საქართველოში არაა ანტიკურის მსგავსი კერძო მონათმფლობელობა და არც ეგვიპტურის მსგავსი საყოველთაო მონობა).

ვახტანგ გორგასლის მეფობის წლებში იკვეთება ერთის მხრივ წოდებრიობის გაფორმება-განმტკიცება, მეორეს მხრივ ნობილიტეტის განშრევება. ამავე დროს მწვავე დაპირისპირება ნობილიტეტსა და მეფეს შორის, რომელიც ვახტანგ გორგასლის უპირატესობით წარიმართება გარკვეულ ეტაპამდე, საბოლოო ჯამში კი (მისი მემკვიდრეების დროს) სამეფოს გაუქმებითა და საერისმთავროს შექმნით სრულდება, რაც იმას ნიშნავს რომ, ქვეყნის ფეოდალიზაცია შედგა, უფრო მეტიც მის სათავეში არჩევითი ლიდერი – ერისთავთმთავარი – თანასწორთა შორის უპირველესი დგას.

ფორმაციული განვითარების კუთხით შემდეგი შეიძლება ითქვას: აზომდელი საქართველო ადრეკლასობრივი სამხედრო დემოკრატიის ფორმაციაშია; აზოსა და ფარნავაზის პერიოდში ყალიბდება ადრეკლასობრივი დესპოტია, ანუ პროტოფეოდალიზმი; შემდგომ პერიოდში, ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლომდე ადგილი აქვს "არჩევანის ძიებას" აღმოსავლურ დესპოტიას, ანტიკურ დემოკრატიასა და ფეოდალიზმს შორის, თანდათან იკვეთება საქართველოს შემდგომი განვითარების ვექტორი, პროტოფეოდალიზმი ტრანსფორმირდება ფეოდალიზმში, რისი გაფორმება და დაკანონებაც ხდება გორგასლის მეფობის დასრულებისთანავე. შემდგომ არც ერთ მეფეს არ უცდია ვექტორის შეცვლა.

VI-XI სს. საქართველოში ყალიბდება შვიდი თვისობრივად განსხვავებული სახელმწიფო, შეიძლება ითქვას ადგილი აქვს შვიდ ექსპერიმენტს, შვიდი პროექტის მოსინჯვას:

I) ქართლის საერისმთავრო – ფეოდალურ-არისტოკრატიული რესპუბლიკა. ქართლის უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატია (ერისთავები) ირჩევს ლიდერს, სახელმწიფოს მეთაურს ერისთავთმთავარის წოდებით, ანუ

პირველს თანასწორთა შორის. სხვა ბევრი არაფერია ცნობილი ამ სახელმწიფოს აგებულებაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია თვით ფაქტი, თუნდაც პირობითი არჩევითობისა და კოლეგიალობისა. აღსანიშნავია რომ წოდება სწრაფად ფართოვდება, ხოლო მათი სამფლობელოები კლებულობს, რაც იმას ნიშნავს რომ პროცესში მონაწილეთა რიცხვი მატულობს ხოლო ცალკეული მათგანის გავლენა კლებულობს, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას რომ პერსპექტივაში გაიზრდება ქალაქების (თუმცა ქალაქების რაოდენობისა და მათი მოსახლეობის სიმცირე მეტყველებს დაყმევების მაღალ ხარისხზე და ამ პერსპექტივის სიშორეზე) და შესაბამისად ბურჟუაზიის მნიშვნელობა, რესპუბლიკური მართველობის პირობებში ეს ლიბერალიზმის შორეული ექო.

II) ფხოვის საერისთავო – ადრეკლასობრივი სამხედრო დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობა (ანტიკური დემოკრატია გარკვეული თვალსაზრისით ინსტიტუციონალიზებული სამხედრო დემოკრატიაა), ხევისბერები, უხუცესთა საბჭოები, სახალხო კრებები ქვედა დონეზე, ზედა დონეზე ხევისბერთა მიერ არჩევითი ერისთავი, ესაა აზომდელი სტრუქტური რეანიმაციისა და მისი ინსტიტუციონალიზაციის მცდელობა. მიუხედავად იმისა რომ იგი უფრო ადრეკლასობრივი დემოკრატიაა ვიდრე ანტიკური იგი რეალურად პერსპექტიულია, მაგ: შვეიცარიის კანტონებმა XI ს.-ში ანალოგიურად დაიწყეს და თანდათან სრულფასოვანი ლიბერალური დემოკრატია ააშენეს.

III) კახეთის საქორეპისკოპოსო – შუალედური გზა ფეოდალურ, თეოკრატიულ და ადრეკლასობრივ რესპუბლიკებს შორის, არსებითად ქორეპისკოპოსი ძალიან დიდი თემის ხევისბერია, მას ხევისბერივით საერო და სასულიერო ძალაუფლება უპყრია. ხევისბერისგან გამოირჩევა იმით რომ მას არ აკონტროლებს და არ აწონასწორებს უხუცესთა საბჭო ან სხვა კოლეგიალური ორგანო, არც სახალხო კრება, მაგრამ მას ირჩევენ (თუნდაც ზოგჯერ პირობითად) ერისთავები და ეპისკოპოსები საერთო კრებაზე, არჩევნები როგორც წესი თითქმის პირობითია – მამის შემდეგ შვილს ირჩევენ, თუმცა ზოგჯერ არიან

განსხვავებული კანდიდატები თავისი დასებით, რომლებიც საკითხს არა არჩევნებში ხმათა უმრავლესობით ჭრიან არამედ საბრძოლო შეტაკებებით, ლიბერალურ დემოკრატიამდე შორია მაგრამ აღმოსავლურ დესპოტიასთან უფსკრული აშორებს.

IV) ჰერეთის სამეფო – ტიპიური, ირანულის მსგავსი აღმოსავლური დესპოტია მცირე სივრცეზე. აღსანიშნავია რომ კახეთ-ჰერეთის გაერთიანებით კახეთის სოციალური სტრუქტურა განივრცო ჰერეთზე რაშიც ასევე ვლინდება საქართველოს ამ ნაწილის "ევროპული" არჩევანი.

V) ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო – ტიპიური ფეოდალური მონარქია (ესპანურის მსგავსი), მეფე ავტორიტარულად მართავს, მაგრამ ფეოდალები სარგებლობენ შეუვალობითა და სხვა პრივილეგიებით, მეფე გამოხატავს მათ მიმართ პატივისცემას და ხაზს უსვამს მათ მიშვნელობას, მათი რჩევების საჭიროებას, თუმცა წყვეტს ერთპიროვნულად, დიდი გავლენა აქვს ეკლესიას.

VI) აფხაზთა სამეფო – შეიძლება ითქვას იმ დროის ფეოდალურ მონარქიათა შორის მოწინავეა, იმყოფება ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის მიჯნაზე, ხაზგასმულია დიდებულების მნიშვნელოვნება (მაგალითად მეფედ კურთხევის ცერემონიაზე სამეფო ნიშნები მთელ დარბაზს მოივლის და დიდებულთაგან მიეწოდება მეფეს, რაც იმას ნიშნავს რომ იგი არა მხოლოდ ღვთის ნებითაა მეფე არამედ დარბაზის დიდებულთა ნებითაც), მოქმედებს წოდებრივი, წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანო – დარბაზი, რომელიც წარმოდგენილია დიდებულებითა და სამღვდელოებით, თუმცა დიდებულებს შორის არიან არა მხოლოდ ძირძველი და გავლენიანი მსხვილი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები, არამედ ფეოდალიზაციის პროცესში მყოფი თავისუფალ მთიელთაგან გამოსული ბელადებიც, რომელთა უკან მთის თავისუფალი თემები დგანან, სწრაფად იზრდება ქალაქების რაოდენობა და მათი მოსახლეობა რაც იმაზე მიუთითებს რომ დაყმევების პროცესი უკვე დასრულდა და ყმობიდან გამოსვლის პროცესი დაიწყო, ან დაყმევების პროცესი შეფერხებულია და დაშლილი თემი უერთდება არა ყმათა, არამედ მოქალაქეთა

ანუ ბურჟუაზიის რიცხვს. ამ პროცესის უკან დგას მეფე რომელიც ანგვარად აბალანსებს დიდებულების გავლენას თუმცა იგი მათ არ უპირისპირდება და ხაზს უსვამს მათთან თანხმობაში მართვას. მეფე ფეოდალურ არისტოკრატიას, თავისუფალ თემს, ქალაქს, ბერძენ სამღვდელოებას და ქართველ სამღვდელოებას ერთმანეთით აბალანსებს, ამგავრად მას ყველა საშუალება აქვს რათა ავტორიტარულად მართვა სცადოს, მაგრამ ეს არ ხდება, ევროპული ცნობიერება აქ უკვე მეფეთა დონეზე ვლინდება, აფხაზთა მეფენი ერიდებიან ავტორიტარულედ მართვას.

VII) თბილისის საამირო – თბილისის საამიროს დაკნინებისა და დასუსტების პროცესში იზრდება საკუთრივ ქალაქის მნიშვნელობა, XI საუკუნის ორმოციანი წლებიდან მოყოლებული ქალაქი უფრო და უფრო მეტ გავლენას იძენს და თანდათან თავის კონტროლს უქვემდებარებს ამირას. ამირა ტოვებს ქალაქს და გადადის დმანისის ციხეში, რათა განთავისუფლდეს ქალაქის გავლენისგან, რეალურად კი ქალაქის თავისუფლების ხარისხი იზრდება და 1083 წელს ქალაქში რესპუბლიკა ყალიბდება, რომელიც იმართება ქალაქის ბერთა (ჰამქრების უხუცესები, ანუ პროფკავშირებისა და გილდიების წინამძღოლები) მიერ. 1083-1123 წლებში თბილისი წარმოადგენს პოლისს, ქალაქსახელმწიფოს, ბურჯუაზიულ რესპუბლიკას ოლიგარქიული წყობით. შემდგომ თამარის მეფობის წლებში თბილისის ბურჟუაზია კიდევ იტყვის თავის სიტყვას (კარავის პროექტი)

ზემოჩამოთვლილთაგან ყველა სტრუქტურა (ჰერეთის გამოკლებით) დამახასიათებელია ევროპისა და უცხოა აზიისათვის. ნიშანდობლივია ასევე საქართველოს გაერთიანების საკითხი, განსაკუთრებით მარუშისძეებისა და ბაღვაშების ფეოდალური საგვარეულოების როლი ამ პროცესში, სადაც ნათლად იკვეთება ინიციატივა ქვევიდან და თავისუფალთა ერთიანობა. აქვე ფეოდალური ეთიკისა და დინასტიური პატრიოტიზმის გარდა იკვეთება ბურჟუაზიული ტიპის ევროპული ნაციონალიზმის ნიშნები. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სამიდან ორი სახელმწიფოს, მონარქიული "კონსტიტუციის" უმთავრესი დებულებების, დინასტიურობისა და მაიორატის გვერდის ავლით, უსისხლო გაერთიანებას, აღმოვაჩენთ რომ საქმე გვაქვს მინიატურულ ევროკავშირთან. მართლაც საქართველო იმ მომენტისათვის მოწინავე ევროპული სახელმწიფოა.

უსისხლო გაერთიანებები სხვაგანაც ყოფილა მაგრამ მხოლოდ მარტივი დინასტიური ქორწინების მეშვეობით, საქართველოში კი, იოანე მარუშისძისა და ლიპარიტ ბაღვაშის ჩაწოდებით აფხაზთა მეფე თეოდოსი უსინათლომ მემკვიდრედ თავისი დისწული ბაგრატი გამოაცხადა, ტაო-კლარჯეთის ქართველთა მეფე დავით კურაპალატმა იგივე ბაგრატი, რომელიც მისი შვილიშვილი იყო, იშვილა და ასევე მემკვიდრედ გამოაცხადა, ხოლო ქარტლის ერისთავებმა იგი ერისმთავრად აირჩიეს. ამგვარად ბაგრატ მესამემ ქვევიდან წამოსული ინიციატივით სამი სახელმწიფო გააერთიანა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეს არ იყო მხოლოდ შვიდიდან სამის გაერთიანება, ფორმალურად ეს ერთიან საქართველოს ნიშნავდა, ვახტანგ გორგასლის შემდეგ დაშლილი საქართველოს სამართალმემკვიდრეს, ვინაიდან სამივე მის მემკვიდრედ მიიჩნეოდა, ხოლო დანარჩენებს საამისო პრეტენზიისათვის არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ. ეს იყო მორალური და სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სრული გაერთიანებისათვის, რაც დავით აღმაშენებლის მეფობის დროს 1123 წელს თბილისის აღებით დამთავრდა, საქართველო ჩამოყალიბდა ძლიერ, ფეოდალურ, მაგრამ აბსოლუტიზმთან მიახლოებულ მონარქიად.

მოულოდნელად დამძიმებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში საბოლოო გაერთიანებისათვის აუცილებელი გახდა ქარიზმატული ლიდერის ავტორიტარული მართველობა. **სოციალური განვითარებისა და ევროპული ცნობიერების კუთხით ეს გარკვეულწილად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, განსაკუთრებით თბილისის რესპუბლიკისათვის, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ საერთოდ საქართველოს (ან თუნდაც ცალკეული საქართველოების) არსებობა დგებოდა.** ძალაუნებურად გვახსენდება ძველი რომი კრიტიკულ ვითარებაში დიქტატორის არჩევის წესით. გარდა ამისა, პარალელურად სოციალურ განვითარებაში არის ასევე აშკარა პროგრესი, მსოფლიოში პირველი "ომბუცმენის ინსტიტუტი" – კარი სააჯო, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების, მოხელეთა შეცდომა-გადაცდომებისა და პატრონების მიერ ყმების, ან ფეოდალების მიერ მეთემეთა უკანონო ან უსამართლო შევიწროების გასაჩივრების საშუალებას იძლეოდა. **ამგვარად საქართველო მოწინავე ევროპულ ქვეყანას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში**.

ამავე კონტექსტში განსახილველად საინტერესოა თამარის მეფობა, მის დროს გაფართოვდა დარბაზის შემადგენლობა და გაიზარდა მისი უფლებები, აიკრძალა სიკვდილით დასჯა და "ასოთა მოკუეთა" ანუ დასახიჩრება, თვალის ამოშანთვა, ხელის მოკვეთა და სხვ. შედარებისათვის აშშ კონსტიტუციის შესწორებათაგან ერთერთ პირველში არის მუხლი რომელიც კრძალავს "სასტიკი ან უჩვეულო სასჯელის გამოყენებას" (ამგვარ პრაქტიკას ინგლისში XVIII საუკუნეშიც ჰქონდა ადგილი). სწორედ ამიტომ გადაურჩა აჯანყებული გიორგი რუსი სიკვდილს, პირველი მარცხის შემდეგ მას განდევნა

აკმარეს. მეორე აჯანყების შემდეგ კი, რათა ეს კვლავ არ განმეორებულიყო, დავით სოსლანმა თამარ-მეფისაგან უჩუმრად მოაკვლევინა იგი.

ყველაზე საინტერესო კი **ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა და "კარავის პროექტია",** რომლის თანახმადაც ისანში, სამეფო სასახლის პირისპირ უნდა "დადგმულიყო" კარავი (რაც ნიშნავს მუდმივმოქმედი ინსტიტუციის დაწესებას), რომელსაც ექნებოდა საკანონმდებლო და უმაღლესი სასმართლო ფუნქცია. ასევე იგი წყვეტდა საკადრო საკითხებს, მეფეს რჩებოდა აღმასრულებელი, საკანონმდებლო ინიციატივისა და წარდგენის ფუნქცია. მეფეს ეკრძალებოდა კარავის სხდომებზე დასწრება, კარავის საქმიანობისთვის ხელის შეშლა და მისი გადაწყვეტილებების უგულებელყოფა. ნიშანდობლივია, რომ აქ აშკარად საქმე გვაქვს **ხელისუფლების შტოებად დაყოფის თეორიულად გამართულ მოთხოვნასთან**. საინტერესოა რომ ანტიკურ ფილოსოფიაში მხოლოდ დემოკრატიის საბოლოო კრახის პირობებში ჩნდება თეორიული მინიშნებები ხელისუფლების შტოებად დაყოფის შესახებ, ხოლო თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ განმანათლებლობის პერიოდში, XVIII საუკუნეში იღებს დასრულებული თეორიული კონსტრუქციის ფორმას, **საქართველოში კი ეს XII-XIII სს მიჯნაზე განხორციელდა**. სავარაუდოდ საქმე ნეოპლატონიზმის, რომლის რეანიმაციაშიც საქართველოს დიდი წვლილი მიუძღვის, გავლენასთან გვაქვს. პროექტი რომ განხორციელებულიყო წოდებრივი, საკონსულტაციო ორგანოს დარბაზის (რომლის მსგავსიც ევროპაში ყველგან იყო, კორტესები ესპანეთში; რაიხსტაგი გერმანიაში; რიკსდაგი შვედეთში, სეიმი პოლონეთში, ხოლო აზიაში არსად) პარალელურად არაწოდებრივი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, საკანონმდებლო-მაკონტროლებელი ორგანო კარავი იარსებებდა და საქართველო იქნებოდა პირველი ქვეყანა "ორპალატიანი პარლამენტით" პოლიტიკურ უფლება რეალიზებული მესამე წოდებით, რაც უკვე ძალიან ახლოსაა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან, ეროვნულ სუვერენიტეტთან, ერ-სახელმწიფოსთან და მიისწრაფვის ლიბერალური დემოკრატიისკენ. თუმცა ეს პროექტი არ განხორციელდა, გამოინახა კომპრომისი, დასელები შევიდნენ დარბაზის შემადგენლობაში, ანუ დარბაზის შემადგენლობა გაფართოვდა წოდებრივად (მესამე წოდება დაემატა), გაფართოვდა დარბაზის უფლებებიც, ჩვენ მივიღეთ საფრანგეთის გენერალური შტატების მსგავსი ორგანო (მასშიც არისტოკრატია სამღვდელოება და მესამე წოდება იყო წარმოდგენილი), **ამ კუთხით მოწინავე ევროპული სახელმწიფოს წოდებას ერთმანეთს მხოლოდ საფრანგეთი და საქართველო ეცილებიან,** ამ დროისაათვის ყველა სხვა უომედოდ ჩამოგვრჩება.

ამ პროცესს შემდგომშიც უნდა ჰქონოდა განვითარება მაგრამ მონღოლების შემოსევის შემდეგ საქართველოს ბუნებვრივი განვითარება შეწყდა, მოწინავე ევროპული სახელმწიფოდან საქართველო იქცა სამხედრო ბანაკად. თურქ-სელჩუკების მიერ

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ საქართველო საერთოდ იზოლაციაში მოექცა, მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობდა ევროპისაკენ გაჭრას, რაშიც **კვლავ იკვეთება ქართული სულის დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, ანუ ევროპული ცნობიერება**. საქართველო მუდმივად განიცდის აღმოსავლური კულტურის მოძალებას, იგი მნიშვნელოვნად აისახება სტილზე, გარეგნულ ფორმაზე, ფასადზე, მაგრამ შინაარსი ყოველთვის ქართულია, ანუ – ევროპული. საბოლოოდ ჩვენმა ევროპულმა გზამ რუსეთზე გაიარა, მაგრამ როგორც კი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ კიდევ ერთხელ გამოვამჟღავნეთ ჩვენი ევროპელობა – დავაარსეთ რა იმ დროისათვის ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო, ერთად-ერთი, სადაც მოქალაქეები თანასწორუფლებიანობით სარგებლობდნენ განურჩევლად სქესისა! რასისა! კანის ფერისა! თვალის ჭრილისა! ეთნიკური კუთვნილებისა! რელიგიური შეხედულებისა! პოლიტიკური მრწამსისა! სოციალური წარმოშობისა! ქონებრივი მდგომარეობისა! **ეს იყო პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ყველა თვრამეტ წლიან ასაკს მიღწეულმა მცხოვრებმა**

დასკვნა

ამრიგად, თავისი ბუნებრივი განვითარებით საქართველო ტიპიური ევროპული ცნობიერების მატარებელი ქვეყანაა. ეს სულაც არ უარყოფს მის უნიკალურობას, უფრო მეტიც, ხაზს უსვამს მას, ევროპა მდიდარია უნიკალურობებით, თავისუფლებისა და თანასწორობის ძალდაუტანებელი ერთობით, ამ კუთხით საქართველო არა თუ ევროპული ქვეყანაა, იგი თავად მცირე ევროპაა. ცნობიერებისა და საზოგადოების სოციალური განვითარების კუთხით მთელი დანარჩენი მსოფლიო უფრო ღარიბი და ერთფეროვანია (თუ ეგზოტიკის მაძიებლები არა ვართ) ვიდრე ევროპა და საქართველო. საქართველოსთვის სოციალურ განვითარებაში არა თუ დამახასიათებელია ის რაც დამახასიათებელია ევროპისათვის, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელიც კია. ჩვენი (საქართველოსა და ევროპის) სოციალური ისტორია ერთია, უნიკალური და განსხვავებული – აღმოსავლურისაგან, ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ და ერთად განვსხვავდებით აზიისაგან. თუ სახელდობრ რა გვაქვს საერთო ამაზე ზემოთ ვრცლად იყო საუბარი, ესაა:

- **ფეოდალიზმი – უფლებებისათვის ბრძოლის დასაწყისი;**
- **ლეგიტიმურობისა და კოლეგიალობისკენ სწრაფვა;**
- **წოდებრივ-წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანო;**
- **ხელისუფლების შტოებად დაყოფის იდეა;**
- **ადამიანის უფლებები;**
- **თავისუფლებები;**
- **თანასწორობის იდეა.**

ყოველივე ეს დამახასიათებელია ჩვენთვის და უცხოა აზიისათვის, რაც იმას ნიშნავს რომ ნებისმიერი ავტორიტარული ხელისუფლება საქართველოში საბოლოო ჯამში განწირულია კრახისათვის. თავისუფლების, თანასწორობისა და ერთობის იდეები თავისთავადი და ფასეულია ჩვენთვის. რა თქმა უნდა მათი საქართველოში რეალიზება ჩვენი თვითმიზანია და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია ამას დიდად შეუწყობს ხელს. ამდენად ევროპა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, ჩვენც უდავოდ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეგვიძლია ერთიან სივრცეში – გარდა იმისა, რომ საქართველო გაამდიდრებს ევროპას, მას შეუძლია ევროპული ფასეულობების გამტარის როლი შეასრულოს კავკასიურ სივრცეში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ევროპისათვის.

Summary
Otar Bagaturia
The issue of Georgia's European Identity and definition of Europe

There is discussed the methods of definition of Europe in the work. As illustrated in the article the existing definition in accordance with geographic, historic, religious and/or cultural features doesn't give a whole insight about Europe, what is Europe and why has Georgia to stream towards Europe. Using the principle of Geographic Determinism and also the author's system of social-political features the whole and comprehensive definition of Europe is done. It is shown that Europe had been created by European Consciousness; Europe isn't any static position but the process, which is managed by the Consciousness. From this point of view Georgia is more than European country, it is Small Europe.

Резюме
Отар Багатурия
К вопросу об Европейской Идентификации Грузии и Дефиниция Европы

В работе рассмотрены методы дефиниции Европы; показано, что существующие определения по географическому, историческому, религиозному и\или культурному признаку не дают полного представления, что такое Европа и почему Грузия стремится к ней. С использоваием принципа географического детерминизма, а также введенным автором комплексом социально-политических признаков, дана полная и всесторонняя дефиниция Европы и показано, что Европу созидает Европейское Сознание, что Европа это не какое либо статичное положение, а процесс управляемый Сознанием. С этой точкой зрения Грузия не только европейская страна, но сама является Малой Европой.

ნოდარ გულბანი

მართლმადიდებლური კულტურა და საკულტო ძეგლები სვანეთში

სვანეთის ყოფაში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, ბევრი ხალხური წეს–ჩვეულება რელიგიურ საფარშია გახვეული. ცნობილია, რომ ქრისტიანობა და სხვა დიდი სახელმწიფო რელიგიები, ასევე წინაქრისტიანული, წარმართული რელიგიები ფართოდ მიმართავდა ხალხურ სულიერ საუნჯეს, მოხერხებულად იყენებდა ხალხურ მოტივებს, საყოფაცხოვრებო ადგილობრივ ნორმებს, გართობა–მოლხენის ფორმებს, მათ შორის ხალხურ–სპორტულ ღონისძიებებსაც რელიგიური რწმენა–წარმოდგენების ერთიან სისტემაში ჩასართავად; გადააქცევდა მათ რელიგიური რიტუალების შემადგენელ ნაწილად, რაც ამ რიტუალების მომზადებას აძლიერებდა. ასე იქმნებოდა სარიტუალო ტრადიციები, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე მოაღწია და შენარჩუნებული თავისი ძლიერი სოციალური ფუნქციის გამო დღესაც აქტიურ ძალას წარმოადგენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია ეთნიკური ტრადიციები საერთო ეროვნული კულტურის ერთ–ერთი ძირითადი ქვაკუთხედი და მაპროფილებელი ნაწილია ამიტომ, იგი აუცილებლობით უკავშირდება ეროვნული კულტურების განვითარებასა და ურთიერთგამდიდრების აქტუალურ პრობლემებს.___ეროვნული კულტურის აყვავება და შემდგომი განვითარება, რაც ხალხთა კულტურების ურთიერთპატივისცემის, ურთიერთდაახლოების და ურთიერთგამდიდრების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს, ქმნის შინაგანი შემოქმედებითი წინსვლის, ეთნიკურ–ეროვნული ტრადიციების რაციონალიზაციის, განვითარება–განმტკიცების, ასევე ახლებური გონივრული გააზრების ხელსაყრელ პირობებს. ყოველივე ეს კი გამორიცხავს ეთნიკურ–ეროვნული კულტურისა და ტრადიციების ინდივიდუალობის წაშლას, მათ ნიველირებას.

კულტურა, როგორადაც არ უნდა იყოს იგი გაგებული–ვიწრო თუ ფართო მნიშვნელობით, ერთხელ მოცემული, ერთჯერადი და უცვლელი რამ არ არის. იგი, როგორც სოციალური მოვლენა, საზოგადოების შემოქმედების ნაყოფია. მას აქვს დროსა და სივრცეში გავრცელების თვისება. დროში გავრცელების უნარი ქრონოლოგიურ ვერტიკალობას წარმოქმნის. მაგალითად, ეთნიკური კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემა ტრადიციების მექანიზმის მეშვეობით. კულტურის სივრცობრივი გავრცელება კი ტერიტორიულ ჰორიზონტურ გადანაცვლებას ნიშნავს. აქიდან გამომდინარე, სვანეთის ყოფაში არსებული კულტურის ისტორიული ძეგლები, რომელთა აბსოლუტური

უმრავლესობა რელიგიური შინაარსისაა და საკულტო ხასიათს ატარებს, არ შეიძლება კარჩაკეტილი, ერთი პატარა კუთხის ან ეთნიკური ჯგუფის შემოქმედების ნაყოფი იყოს მხოლოდ. <u>იგი აუცილებლად დიდი ისტორიული წარსულის მქონე ხალხის შემოქმედების ნაყოფია,</u> რომელსაც ასევე დიდი გეოგრაფიული მასშტაბების არეალი გააჩნდა სამოქმედოდ. ამის დასტურია თვით ამ ძეგლების გაცნობა და მათი ანალიზი.

სვანური ეთნიკური კულტურისა და მისი მრავალრიცხოვანი შინაგანი კომპონენტების კავშირურთიერთობაზე მსჯელობა ქვემოთაა მოცემული. აქ კი წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკური კულტურის გენეზისსა და მის მშენებლობა–განვითარებასაც თავისი კანონზომიერებანი აქვს, რომელთა გამოვლინება–შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულის თანაბრად არქეოლოგიურ კვლევას. სწორედ ასეთი ხანგრძლივად წარმოებული კვლევის შედეგების განზოგადოების საფუძველზე, რომელიც მოიცავს სამეურნეო–საწარმოო, მატერიალური, სულიერი, სოციალური კულტურის ერთმანეთთან დაკავშირებულ სფეროებს (კომპლექსს). გამოთქმულია მეცნიერული აზრი, რომ სვანეთის დღევანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან არსებობს ერთიანი ფართო კულტურული კომპლექსი, რომელსაც უკვე ნათლად გამოკვეთილი სტრუქტურა აქვს და მოიცავს მნიშვნელოვნად დაწინაურებული მრავალდარგოვანი შინახელოსნურ წარმოების დარგებს. მათ შორის მაღალგანვითარებულ მეტალურგიულ, საფეიქრო, ხითხურო-ობას, ქვითხუროობას, ოქრომჭედლობის და სხვა წარმოებას.

ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებით ქართველი ტომები უძველესი დროიდან წარმატებით მისდევდნენ ლითონის დამუშავებას. მოსინიკური სპილენძი, ხალიბური რკინა და სვანური ოქრო იმ დროს საქვეყნოდ იყო ცნობილი[1]. სვანეთის სინამდვილეში სამეურნეო ყოფა, საწარმოო იარაღები და პროცესები, განსახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი კლიმატურ გეოგრაფიულ ვერტიკალურ ზონალობას არის შეფარდებული. ჩამოყალიბებულია ცხოვრების მთის ყოფისათვის დამახასიათებელი წესი; კულტურისა და ყოფის მიკროლოკალური, სპეციფიკა ამავე დროს მონაწილეობს, შინაგანი ფართო სამეურნეო–კულტურული კავშირურთიერთობის საფუძველზე; ერთიანი სვანური ეთნიკური კულტურა მდიდრდება და ვითარდება, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების ქართულ–ეროვნულ კულტურასთან კონტაქტში, ისე კავკასიის და სხვა ხალხების კულტურებთან კონტაქტში. ამასთან, იგი გარკვეულ კეთილ გავლენას ახდენდა და ახდენს სხვა ხალხების კულტურებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია <u>სვანეთის</u> ისტორიული ურთიერთობანი ერთის მხრივ ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, ხოლო მეორეს მხრივ იერუსალიმისა და ევროპის ქვეყნების ქრისტიანულ–რელიგიურ ცენტრებთან, სადაც სვანი მწიგნობრები მოღვაწეობდნენ. მაგრამ, ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეს ურთიერთობანი ერთგვაროვანი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო. ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ეს არის

სხვადასხვა სარწმუნოებისა და ადათ წესების მქონე ხალხთა ურთიერთობა, ხოლო ურთიერთობა იერუსალიმისა და დასავლეთ ევროპის რელიგიურ ცენტრებთან, ეს არის ერთნაირი სარწმუნოების (ქრისტიანული) ხალხთა შორის ურთიერთობა, სადაც საერთო სარწმუნოებრივი, ქრისტიანული რელიგიური პრინციპები ბატონობენ. აქედან გამომდინარე, ეს ურთიერთობა უდიდეს გავლენას ახდენდა ქართულ–ეროვნულ კულტურაზე საერთოდ და ქართულ ქრისტიანულ–რელიგიურ კულტურაზე კერძოდ.

ამდენად, სვანეთში იქმნებოდა რა საკუთარი ეთნიკური ქრისტიანულ–რელიგიური კულტურა, მდიდრდებოდა იგი, ერთის მხრით, საქართველოს სხვა კუთხეების ქართულ – ეროვნული ქრისტიანული კულტურით, ხოლო მეორე მხრივ, სხვა ხალხების კულტურებით. სწორედ ეს გარემოება მიგვაჩნია იმ მტკიცების საფუძვლად, რომ სვანეთში შემონახული მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლები, რომლებიც ქრისტიანული საკულტო ძეგლების სახით გვხვდება არ შეიძლება იყოს კარჩაკეტილი, მხოლოდ ერთი ეთნიკური ჯგუფის კულტურული მიღწევების შედეგი. იგი იქმნებოდა და მდიდრდებოდა საერთო ქრისტიანულ კულტურებთან ურთიერთობაში მისი გავლენით.

სვანების შესახებ წერს თავის წიგნში–„საქართველო გუშინ და დღეს," ვენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაიხშტაინერი. იგი აღნიშნავს, რომ „სვანებზე უკვე ლაპარაკობენ სტრაბონი და რომაელი მწერალი პლინიუსი. ეს იყო ძლიერი მეომარი ხალხი, რომლის სამფლობელო შორს სცილდებოდა მის დღევანდელ სამკვიდროს, საზღვრებს. ისტორიული ცნობები და ქართული ენის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძველ ქართულ (იბერიულ) სამეფოში სვანური ფენა უაღრესად თვალსაჩინო და ძლიერი იყო."[2]

არსებული კულტურის ძეგლებისა და საისტორიო წყაროების შესწავლა, მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სვანეთს მართლაც საკმაოდ მაღალი ადგილი ეკავა ქართველურ ტომთა შორის ქვეყნის განვითარების მთელ მანძილზე, როგორც ადრეფეოდალური, ისე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. იგი არ ჩამოუვარდებოდა საქართველოს ბარს, არც საერთო კულტურით და არც სწავლა–განათლების დონით. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ სწავლა–განათლების კერები სვანეთში ადგილობრივ ეკლესიებთან არსებობდა, თუმცა სვანებისათვის არც განათლების ისეთი კერები იყო უცნობი, როგორიცაა: იყალთოს, გელათისა და პეტრიწის აკადემიები.

ძველი სვანეთის კულტურული ცხოვრების მაღალ დონეზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სვანეთის ეკლესია–მონასტრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ქართულ ეკლესიებთან; ამას ადასტურებს მთელი რიგი ისტორიული წყაროები, მათ შორის მუხერის მთავარანგელოზის ეკლესიის ოთხთავში ტექსტისავე ხელნაწერით შესრულებული ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ეს სახარება გადაუწერია იოანე ქანცხიანის შვილს გრიგოლს. „ხელვყავ აღწერად

წმიდასა მთავარანგელოზს მუხერისა . .. ვითარ იჰკმარებდეთ, ნ\მე და მამა ჩემი იოანე და დედა ირინე მოგვიხსენენ, რათა თქვანც მოგიხსენოს ღმერთმან სასუფეველსა მისსა ამინ“[3] ხელნაწერების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ექ. თაყაიშვილმა დაასკვნა, რომ „ეჭვსგარეშეა, გადამწერი სახარებისა სვანი ყოფილა, მუხერის სოფლიდან და სახარება მას გადაუწერია იერუსალიმში, ქრისტეს ეკლესიაში და გამოუგზავნია ფხოტერის დეკანოზის ხელით, ცხადია აგრეთვე სვანის. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ სვანებსაც, როგორც სხვა ქართველებს ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ იერუსალიმთან და სხვა წმინდა ადგილებთან.“[4]

სვანეთში შემონახულ სახარებათა და სხვა ხელნაწერთა შესწავლის საფუძველზე ნ. მარი ასკვნის: „სვანეთში მრავალი ხელნაწერის არსებობა მარტო გარედან შეტანით როდი აიხსნება, არამედ განათლებულ სვანთა მოღვაწეობით და დაკვეთითაც“[5] ამასთან დაკავშირებით მსგავსს მოსაზრებებს გამოთქვამენ: ალ. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე, ექ. თაყაიშვილი, აკ. შანიძე და სხვები, რომლებიც მიუთითებენ სვან მწიგნობართა დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობის მნიშვნელობაზე.

სვანეთის განვითარებულობისა და ისტორიულად მისი მაღალი კულტურული დონის მაჩვენებელია ეკლესია – მონასტრებთან არსებული ე. წ. „ქალაქები“, რომლებიც სავაჭრო და სახელოსნო დანიშნულებას_ასრულებდნენ. ასეთი ქალაქების (ლაშხეთის, სეთის, მთიულეთის და სხვა) არსებობას შუასაუკუნეების წერილობითი საბუთებიც ადასტურებენ.[6] ქვემო სვანეთის ლაშხეთის თემში, იქ სადაც დარიშხანის გადამმუშავებელი კომბინატი იყო, არის „ნაქალაქალარი.“ ნაქალაქარის ადგილზე, კომბინატიდან ერთ კილომეტრზე, ციხე კოშკია და სახლთა ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი და სახელწოდებაც „ქალაქოლ“ ამ ადგილზე ისტორიულად ქალაქის არსებობაზე მიგვანიშნებს. გადმოცემის მიხედვით „ქალაქოლში“ სხვადასხვა სოფლებიდან უამრავი ხალხი იყრიდა თავს, მათ შორის 100 მარტო თეორჯორიანი მოდიოდა სავაჭროდ.[7] აღნიშნული თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ადრეფეოდალურ, ასევე ფეოდალურ ბატონყმურ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სვანები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ და იმ ეპოქაშიც სვანეთშიც „მძლავრად გიზგიზებდა ქართული კულტურის კერა.“[8]

მაგრამ, ისტორიული ძნელბედობის, გარეშე თუ შინაური მტრების მომძლავრების შედეგად, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის გამო სვანეთის ნორმალური განვითარებაც შეფერხდა ისევე, როგორც საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება; დაქვეითდა ეკონომიკური და კულტურული განვითარებაც. შენელდა ქვეყნის განვითარებულ ცენტრებთან ურთიერთობა, შეწყდა იერუსალიმის ქართულ სამონასტრო კერებთან კავშირი, რამაც გამოიწვია სასულიერო დარგის განათლებულ მსახურთა და მწიგნობართა რიცხვის თანდათანობით შემცირება. ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ

დაკნინებას მოჰყვა ამ კუთხის საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრების დაცემა. როგორც ი. მარგიანი წერს– „სარწმუნოება სიბნელით იმოსებოდა, არეულობა, კაცის კვლა, სისხლის აღება და ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ნამდვილი მღვდლები გაქრნენ და მათი ადგილი „პაპებმა“ დაიჭირეს, რომელთაც ეკუთვნის სვანეთში ქრისტიანობის დაცვის პატივი.“[9]

მდგომარეობა არც სვანეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ყოფილა სახარბიელო. მართალია, სვანეთის საბოლოო შეერთება რუსეთის იმპერიასთან ერთგვარად ნიშნავდა მის ერთ მთელად გაერთიანებას და საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან მისი მჭიდრო ურთიერთობის აღდგენას; მაგრამ ეკონომიური სიდუხჭირე კვლავ ძველებურად ტანჯავდა სვანეთის მოსახლეობას. ამას ემატებოდ სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, რაც რელიგიურ და ყოფით ტრადიციებასაც ეხებოდა. რუსული საეგზარხოსო მმართველობის გავრცელება ქართულ ეკლესიაზე, მისი წეს–ჩვეულებებისა და საკულტო რიტუალის რუსულ ენაზე შესრულების იძულებითი აუცილებლობა და ქართულ–ეროვნულ– ქრისტისტიანული წეს–ჩვეულებების თანდათანობით გამოდევნება ქართულ მართლმადიდებლური კლესიიდან უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენდა სვანი ხალხის ფსიქიკაზე. უბიძგებდა მას მიბრუნებულიყო საუკუნეების უკან მიტოვებულ წარმართული რელიგიური წეს–ჩვეულებებისაკენ, რაც მკვეთრ ასახვას პოულობდა თვით რელიგიურ იდეოლოგიაში. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, და იმ ძნელბედობისა, რაც სვანმა ხალხმა გაიარა, მათი დამოკიდებულება ეროვნულ–ქრისტიანული კულტურის ძეგლებისადმი მაინც უცვლელი დარჩა. კიდევ მეტი, როგორც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1960 წლის, №-7-ში ვკითხულობთ სვანეთი „თვითონ იყო დიდი კერა, საკუთარი სკოლების მქონე ოქრომჭედლობაში, ფერწერაში, ხუროთმოძღვრებაში.“[10] ამის წყალობითაა, რომ სვანეთმა დღემდე შემოგვინახა ანტიკური და შუასაუკუნეების, როგორც ქართული, ისე უცხოური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, ჭედურობის, კედლის მხატვრობის, ხითხურობის, ასევე ქვითხურობის საერო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებული არქიტექტურის მრავალი ძეგლი.

სვანი დურგალ–ხელოსანთა ნახელავი, ავეჯი, სხვადასხვა ნივთი და სახლის მოწყობილობა გამოირჩევა მდიდარი ორნამენტითა და სილამაზით; ამის მაგალითად საკმარისია ჩუკულის მთავარანგელოზის ეკლესიის კარი, რომელიც თბილისში ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმშია ექსპონირებული. იგი ხითხურობის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს.

სვანეთის მაღალგანვითარებული ისტორიულ წარსულსა და მის კულტურაზე მეტყველებს მესტიის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატები. აქ დაცული 4000 ექსპონატიდან 58 ხელნაწერია, 276 ფერწერული და ლითონის ჯვარ–ხატი, 900 უნუკალური ნივთი.“[11]

გარდა ამისა სვანეთის ეკლესიებში ინახება საეკლესიო თუ საერო დანიშნულების უამრავი ნივთი და განძეულობა. მათ შორის 465 ჯვარ–ხატი, 3–ხელნაწერი, 215–სხვადასხვა ნივთი, რომელთაგან ბევრი უნიკალურია.[12] ჯვარ–ხატებისა და სხვა ნივთების დიდი რაოდენობა ადგილობრივი ოსტატების მიერაა შესრულებული. სვან ოქრომჭედელთა ნაწარმოებები მაღალი მხატვრული ღირსებით გამოირჩევიან და მათში ეპოქის წამყვანი პრობლემების გადაჭრაც კი არის.[13]

სულიერი კულტურის უძვირფასესი ნიმუშებია სვანური საგალობელი სიმღერები: „კვირია“, „ლაგუშედა“, „ლილე,“ ცეკვები და ფერხულები. ისინი ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის საგანძურის უძვირფასეს ნიმუშს წარმოადგენენ. აკადემიკოსი დიმიტრი არაყიშვილი აღნიშნავდა, რომ „სვანებმა დაიცვეს ის, რაც მათმა წინაპრებმა შექმნეს. მათი წინაპრები კი უდავოდ დიდ კულტურას ფლობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამხმიან ჰარმონიას, როგორც რთულ მუსიკალურ კომპლექსს, ვერ შექმნიდნენ.“[14] სვანეთში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების სპეციალური შესწავლის საფუძველზე მიუთითებდა ნიკო ბერძენიშვილი სვანი ხალხის განსაკუთრებულ კულტურულ დამსახურებაზე საქართველოს ისტორიაში.[15]

მეცნიერთა შეფასებით ცადაზიდული სვანური კოშკების უმეტესობა, სულ მცირე ათასი წლისანი მაინც არიან. ეს, ერთი შეხედვით, პირქუში მოწმეები, მრავალი თვითმხილველის აღტაცებას იწვევს. ამ მხრივ აღსანიშნავია მწერალი კონსტანტინე სიმონოვის სიტყვები: „სვანეთის კოშკები თავისი დროისათვის ისეთივე მწვერვალია ტექნიკისა და ისეთივე საოცრებაა ადამიანის გენიის, როგორც ჩვენი მეოცე საუკუნისათვის–სულ ახალი და ახალი ნაბიჯები ადამიანისა ზეცაში.[16]

ამჟამად, სვანეთში არის 299 კოშკი და 227 ეკლესია. ამათგან უმეტესობა თავისი პირვანდელი სილამაზითა და სიმშვენიერით არის შემორჩენილი. ამასთან, ეკლესიების უმეტესობა მდიდარია კულტურისა და ხელოვნების უნიკალური ნიმუშებით. ეკლესიებში ინახება 465-მდე ჯვარი და ხატი, რამდენიმე ხელნაწერი და სხვადასხვა ნივთი. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია მესტიისა და ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.

მესტიის მუზეუმის მშვენება და სიამაყეა IX–საუკუნის ხელნაწერი–ადიშის ოთხთავი, რომელიც 1000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ინახებოდა სოფ. ადიშში და „შთამომავლობას გადმოეცა, როგორც ქართული ენისა და კულტურის მარად უჭკნობი საუნჯე.“ ეს ძეგლი დაუფასებელი მიშვნელობისაა ქართველი ერის ისტორიაში. იგი 897 წელს შატბერდის მონასტერში–კლარჯეთშია გადაწერილი და შემკული. ტექსტი სულ 386 ფურცელია და გადაწერილია მსხვილი ლამაზად გამოყვანილი ასომთავრულით. იგი ქართული კალიგრაფიისა და მინიატურის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

ამ ძეგლის შესახებ პირველი ცნობა გახმაურდა 1895 წელს სვანი ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ნიჟარაძის მეშვეობით, ხოლო ძეგლის აღწერილობა მან გამოაქვეყნა 1904 წელს. ამის შემდეგ ამ ძეგლის ენობრივ – პოლიგრაფიულისა და ლიტერატურულ – ტექსტოლოგიურ მონაცემებს იკვლევდნენ სახელმოხვეჭილი ქართველი, რუსი თუ უცხოელი სწავლულები–ბ. ნიჟარაძე, პ. უვაროვა, ა. ხახაშვილი, ექ. თაყაიშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, პ. ინგოროყვა, რ. ბლეიკი, ს. ყაუხჩიშვილი, ი. იმნაიშვილი, თ. გონიაშვილი, ვ. დოჩანაშვილი და სხვები, რომელთა ნაშრომებში გაშუქებულია ძეგლის რედაქციული და ენობრივი თავისებურება, თარიღები, ილუსტრაციები, მინაწერები. ნაჩვენებია მისი ადგილი და მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიაში.

ძეგლი რამოდენიმეჯერ გამოიცა, როგორც ქართველი ისე უცხოელი მეცნიერების მიერ. ა. ხახანაშვილის მიერ დაწყებული ეს დიდი საქმე 1916 წელს დააგვირგვინა ე. თაყაიშვილმა, ხოლო 10 წლის შემდეგ ხელნაწერი სტამბური წესით გამოსცა აშშ–ის ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ პირპონტ ბლეიკმა, რომელმაც ტექსტის უცხოური მეცნიერებისათვის უკეთესად გაგების მიზნით იგი თარგმნა ლათინურ ენაზე. ამ წიგნის უკანასკნელი მეოთხე გამოცემა გამოვიდა 1950 წელს.

1945 წელს „ადიშის ოთხთავი“ ახალი ქართული შრიფტითა და მდიდარი მეცნიერული აპარატით გამოსცა აკ შანიძემ. იგი გამოიცა ჯრუჭის –936 წლისა და პარხალის –973 წლის სახარებების ტექსტების პარალელურად. 1947 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკ. შანიძის რედაქციით გამოიცა შატბერდის მონასტერში გადაწერილი სამივე ძეგლის სრული სიმფონია–ლექსიკონი, შედგენილი ი. იმნაიშვილის მიერ. ადიშის ოთხთავის უფრო ზუსტი თარგმანი გამოსცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პროფესორმა მოლიტორმა. იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ორიენს ხრისტიანუსში.“

მესტიის მუზეუმში ინახება მესტიის სახარება, რომელიც გადაწერილია 1033 წელს ბაგრატ IV-ს მეფობის დროს; აქვეა ლაბსყალდის სახარება 259 ფურცლიანი, გადაწერილი XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში.

ამ მუზეუმში ინახება ასევე დავით ნარინის ნაქონი კოდექსი. მისი პერგამენტის უკანასკნელ გვერდზე მითითებულია, რომ წიგნი გადაწერეს ბერებმა იოანემ და სიმონმა მეფე დავით ნარინის დაკვეთით. ყდა და კვეთილობა კი შესრულებულია იშხანის მონასტრის წინამძღვრის ილარიონ იშხნელის დაკვეთით.

ზემოთხსენებულ უბრწყინვალეს ძეგლებთან ერთად აღსანიშნავია იენაშის სახარება. იგი XIII საუკუნის 20-იან წლებში არის გადაწერილი კათალიკოს ეპიფანეს მოთხოვნით. დამწერლობა შესრულებულია ნუსხურით. ასევე მუზეუმში ინახება ე. წ. ლატალის კანონარი, რომელიც დაწერილია ასომთავრულით. მასში თავმოყრილია VII- საუკუნის იერუსალიმის საეკლესიო წესები და კანონები. იგი

უძვირფასეს ცნობებს შეიცავს იერუსალიმის ისტორიის შესასწავლად. ასევე მასში არის უამრავი ძველი სიტყვა და ტერმინი. კ. კეკელიძემ ეს ძეგლი X–საუკუნის ხელნაწერებს მიაკუთვნა. იგი მე-10 საუკუნის იერუსალიმთან საქართველოს ცხოველი ურთიერთობის დამადასტურებელი და უძველესი ქართული დამწერლობის უძვირფასესი ძეგლია.

ყველა ეს ძეგლი უდიდესი შემეცნებითი ღირებულებისაა. გარდა იმისა, რომ ისინი გვაძლევენ უძვირფასეს ცნობებს საქართველოს ისტორიის შესახებ, სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებისა და მისთვის თავდადადების გრძნობით განაწყობდა ადამიანებს. სწორედ ამან განაპირობა მათი ასე სათუთად მოვლისა და დღემდე შემონახვის ფაქტი სვანეთის ყოფაში.

მუზეუმის დამთვალიერებელს ატყვევებს ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი ხატების სიმრავლე. აქ თავმოყრილია IX–XIV საუკუნეების ჭედური ხელოვნების უბრწყინვალესი ძეგლები, რომლებიც ქართველი და ადგილობრივ სვან ოსტატთა მიერ არის შესრულებული და რომელთა უმრავლესობა გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა. ეს კოლექცია უტყუარი ნიმუშია სვანეთში და საერთოდ საქართველოში ჭედური ხელოვნების განვითარებისა და შემდეგ მისი დაქვეითების მთელი ისტორიისა.

ჭედური ხელოვნების სვანური სკოლის საუკეთესო ნიმუშია XI საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლი–მესტიის ჯვარი. სპეციალისტთა აღიარებით, ეს ჯვარი მიეკუთვნება ქართული ჭედური ხელოვნების იმ ძეგლთა ჯგუფს, რომელიც ჩუბინაშვილის სიტყვებით – „უნიკალურია ევროპის კულტურული წრის ხალხთა შუასაუკუნეების ხელოვნებაში.“ მესტიის ჯვარი ქართული ოქრომჭედლობის იმ ნიმუშთაგანია, რომელიც ოქრომჭედლობის ყველაზე მაღალ და დამთავრებულ სკულპტურულ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება.

მუზეუმში ინახება თამარ მეფის მამის –გიორგის ნაქონი ვერცხლის სურა წარწერით, იმერეთის მეფის ბაგრატისაგან. კახეთის მეფე ალექსანდრე პირველის მიერ შემოწირული ღვინის სასმელი ვერცხლის თასი და სხვა. აქვეა რამოდენიმე მეტად მაღალხარისხოვანი, თუმცა დაზიანებული ფერწერული ხატი. საერთოდ, ასეთი ხატები სვანეთის ეკლესიებშია უფრო მეტად შემონახული. „პატარა სვანურ ბაზილიკებში იმდენი ოქრომჭედლობის და წარსულის კულტურის ძეგლებია დაცული, რომ ისინი მსოფლიოში ყველაზე დიდ მუზეუმებსაც გაავსებდნენ.“[17] მართლაცდა „სვანეთი დიდი, ზოგჯერ მსოფლიო მნიშვნელობის განძეულობით უმდიდრესი მხარეა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.“[18]

ამ თვალსაზრისით, მართლაც, რომ საოცრებაა განძეულობით უმდიდრესი და უძლიერესი სალოცავი–წმინდა კვირიკეს და ივლიტეს ეკლესია „ლაგურკა,“ რომელიც სოფელ კალაშია. აქ დაცულია მთავარანგელოზ მიხეილის დიდი სურათი, რომელიც ჭედური ხელოვნების უბრწყინვალესი ძეგლია. აქვეა მრავალი ფერწერული ხატი და ფრესკა; კედლის მოხატულობის ურიცხვი ძეგლები,

რომლებიც სვანეთის ეკლესიების კედლებს ამშვენებს ქრონოლოგიურად ასახავს X–XVII საუკუნეების სვანური და საერთოდ ქართული ფრესკული ხელოვნების განვითარების ისტორიას. ყოველივე ეს მთელი სიცხადით მოწმობს ისტორიული სვანეთის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალ დონეზე. „ლაგურკა“ ან წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია ამ კულტურის ნამდვილი განხატებაა. ტაძარში ასვენია სვანეთის უდიდესი სიწმინ-დე–„შალიანის“ ხატი. ეს არის ალაგ–ალაგ ტიხრული მინანქრით შესრულებული ხატი–რომელშიც ჩასვენებულია გოლგოთაზე აღმარ-თული ექვსფრთიანი ჯვარი. ეს ხატი მის ტაძართან ერთად ამ კუთხის სული და გულია. მას ეფიცებოდნენ საომრად გამზადებულნი. იგი აკავშირებდა, აძმობილებდა ხალხს და ამშვიდებდა მოშუღართ. ბ. ნიჟარაძის ცნობით 1875 წელს ამ ხატზე დაიფიცეს სვანებმა ერთგულება, რათა დაეცვათ თავისუფლება. შალიანის ხატს ახსოვს განსაცდელი სვანეთისა და მთელი საქართველოსი, ხალდეს აოხრება–1876 წლის 28 აგვისტოს შავრაზმელთა მიერ ამ სოფლის ამოჟლეტა და გაცამტვერება.

1910 წელს სვანეთში იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა; მან მოახერხა ენახა შალიანის ხატი. იგი წერს:–„ყოველ თემს სვანებისას თავისი ეკლესიები აქვს აუარებელის ჯვარ–ხატებითა, რომელიც დიდად სწამთ, მაგრამ არაერთი დიდი ბოროტებისა და დანაშაულობის ჩამდენის აღმოსაჩენად, აღნიშნულ პირებს ამ ხატზე აფიცებდნენ და მაგალითი არ ყოფილა წინა დროში, რომ სვანს, ფიცის დროს, თავისი დანაშაული არ ეღიარებინოს.“ მეცნიერი იქვე შენიშნავს, რომ „ლაგურკა“ და შალიანის ხატი სვანეთისათვის იგივეა, რაც ძველი საბერძნეთისათვის დელფის ტაძარი.

წმინდა კვირიკესა და ივლიტას სალოცავი მე–11 საუკუნის ძეგლია. მთა, რომელზედაც ეს „სამადლობელია“ აგებული წმინდათა წმინდა ადგილია, სადაც მორწმუნე სვანი ერთ წკეპლასაც ვერ მოჭრის და ბოროტს ვერ განიზრახავს.

იგივე რწმენა აკავშირებს სვან ხალხს „ერთობილ სვანეთის“ თავისებური დროშა „ლემ“–ისადმი, რომელიც მესტიის წმინდა გიორგის ეკლესიაშია შემორჩენილი. ეს დროშა საქართველოში შემორჩენილ დროშებს შორის ერთ–ერთი საინტერესოა. იგი წარმოადგენს ხის ტარიან ლომის გამოსახულების აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილ დროშას. ხის ტარის თავზე წამოცმული აქვს მოოქროვილი ვერცხლისაგან დამზადებული შუბის ფორმის ბრტყელი პირი, რომელზედაც გამოსახული არიან ლატალის წმინდა იონა და სეტის წმინდა გიორგი წარწერით. წმინდა გიორგი წარმოდგენილია რომაული საომარი ტანისამოსით, შუბით ფარით და ხმლით. აქვეა სხვადასხვა წმინდანებისა და ანგელოზების გამოსახულებანი. შუბის ამავე პირის მარცხენა მხარეზე გაკეთებულია წარწერა ასომთავრულით: „ქ. უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ხევსა ბედნიერისა სვანეთისასა ლომი და დროშის თავი დროშითურთ ჩემ

დედისა მონასტრისა წინამძღვრისა გრიგოლ კოპასძისაგან მოხ-სენებული.“

როგორც ამ წარწერიდან ჩანს დროშა შეუწირავს გრიგოლ კოპასძეს, რომელიც სეტის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა. ასეთივე გვარს ვხვდებით სოფელ ნესგუნის (ლენჯერის თემის) ეკლესიის წმინდა ილიას ოქროს ხატზე.

ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით ხსენებულ დროშას სვანები დიდ პატივს სცემენ. მიაჩნიათ, რომ ის თამარ მეფის მიერ არის ნაანდერძევი. ჩანს მეფის მოლაშქრე სვანები საერთო ქართული ჯარის შემადგენლობაში ამ დროშით გამოდიოდნენ. ისტორიული სინამდვილეა, სვანების ლაშქარი ყოველთვის იყო აქტიური მონაწილე და მოზიარე დედა სამშობლოს საერთო წარმატებისა. ისინი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ამიტომ შემთხვევითი არც ის იყო, რომ სვანთა ერისთავი ვარდანისძე უშუალოდ მონაწილეობდა თამარ მეფის მეფედ კურთხევის და მისი სამხედრო ძალაუფლებით (ხმლის გადაცემაში) შემოსვაში.

როგორც საისტორიო წყაროები გვამცნობენ მართალია „ლემ“ (ლომი) სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლების ნიშანი იყო, მაგრამ მას საღვთო დანიშნულებაც ჰქონდა. იგი მშვიდობიანობის დროს წელიწადში ერთხელ „ჰულიშობის“ (წმ. ელიას დღეს) დღესასწაულზე გამოჰქონდათ ეკლესიიდან, გადაეცემოდა კარგ მხედარს, რომელიც ცხენოსანთა გუნდთან ერთად სწრაფი ჭენებით ჩაუვლიდა სეტს და თუ დროშა კარგად გაიბერებოდა და ლომის ფორმას მიიღებდა ეს კარგი მოსავლიანობის მომასწავებელი იყო. „ლემ“-ს ემსახურებოდა სპეციალური საპატიო პირი, რომელსაც „მელომე“ ეწოდებოდა. ეს პატივი შუა საუკუნეებში ეკუთვნოდა აზნაურთა წოდებას, მაგრამ შემდგომ არჩევით ხდებოდა „მელომედ“ ღირსეული კაცის დანიშვნა, რომელიც თავისი ღირსებით მამასახლისს, თუ ხევისთავს უტოლდებოდა. იგი სამხედრო ლაშქარს განაგებდა და საერისთაოში მართვა–გამგეობასა და წესრიგის დაცვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა.

ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაქვეითების შედეგად შესუსტდა ხელისუფალთა ძალაუფლება. ამას მოყვა არეულობა ქვეყნის შიგნით, გამეფდა ძალადობა, მკვლელობა და ა. შ. ასეთი პირობებით შეწუხებულმა სვანეთის მოსახლეობამ –„ვარგმან და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედაესმან და უქვედაესმან“ ამ დროშის ქვეშ შეჰფიცეს ერთიმეორეს „რაიცა სახელისა საქმესა უკეთ მოუხდებოდეს, ყველაი იმას ვიჭირვებდეთ.“ ასეთი იყო საერთო სულისკვეთება. „ლემიც“ საუკუნეების მანძილზე ერთიანობის, სამართლიანობის, სამშობლოსათვის თავდადების სიმბოლოდ იქცა და ასეთად დარჩა იგი დღემდე.

სვანეთის კულტურული წარსულისა და ქრისტიანული რელიგიის მსოფლმხედველობრივი როლის საილუსტრაციოდ არა ერთი საკულტო ძეგლის დასახელება შეიძლება, მაგრამ ამჟამად ამით დავკმაყოფილდეთ. დავძენთ მხოლოდ, რომ ქრისტიანულმა რწმენამ

გადაარჩინა და შთამომავლობას შემოუნახა, როგორც ეს უნიკალური საკულტო ძეგლები, ისე თვით ის ადათ–წესები და რელიგიური თუ ყოფითი ტრადიციები, რომელიც სვანეთის საზოგადოებრივი ცხოვრების წესს განსაზღვრავდა. ამ რწმენითაა დღესაც სვანეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომლის იდეურ–მორალური და მსოფლმხედველობრივი მრწამსი განსაზღვრულია მართლმადიდებ-ლური რელიგიითა და მისი საკულტო ძეგლებით.

Summary
Nodar Gulbani
Orthodox culture and monuments in Svaneti

The work deals with the study of the monuments of an orthodox cult in Svaneti their cultural and historical meaning.

The main place in the culture of Sveneti belongs to orthodox monuments of a cult being the basis of the Georgian culture as well.

These monuments are of critical importance to the development of national culture, they promote enrichment and development of national cultures.

Р е з ю м е
Нодар Гулбани
Православная культура и памятники в Сванетии

В работе изучены памятники православного культа в Сванетии их культурное и историческое значение

Показанно их национально етническое иултурное взаимоотношения и взаимовлияние

Главное место в культуре Сванетии принадлежит православным памятникам культа которые в тоже время являются основой Грузинской культуры

Эти памятники играют главную роль в развитии национальной культуры и способствует обогащению и развитию национальных культур.

პაატა ნაცვლიშვილი

ჟურნალიზმები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში

ათწლეულების განმავლობაში ჟურნალისტიკამ თავისი თეორიითა თუ პრაქტიკით ჩამოაყალიბა ყოველივე ის, რაც ჟურნალისტიკას ჟურნალისტიკად აქცევს და რაც დღეს ჟურნალისტიკის რაობად, მის ფილოსოფიად მოიაზრება:

– ჟურნალისტიკის უპირველესი და უმთავრესი მახასიათებელი რეალური სინამდვილის ასახვაა; ჟურნალისტურ ტექსტს (ხელნაწერს, ბეჭდურს, ვიზუალურს, აუდიოსა თუ ვირტუალურს) საფუძვლად ფაქტი უდევს.

– ფაქტი უნდა იყოს ახალი, რადგან ახალი ამბის გარეშე, ჟურნალისტური ტექსტი ისტორიულ ტექსტად იქცევა;

– ახალი ამბავი უნდა იყოს საზოგადოებრივად აქტუალური, თუმცა ჟურნალისტიკას შეუძლია ნებისმიერი ამბავი საზოგადოებრივად აქტუალურ ამბად აქციოს.

– ჟურნალისტიკისათვის აუცილებელია ოპერატიულობა, ანუ რაც შეიძლება მოკლე დისტანცია თავად ფაქტს (ახალ ამბავს), მის ასახვასა და ასახულის პუბლიკაციას შორის.

– ჟურნალისტიკისათვის აუცილებელია ტენდენცია, იდეოლოგია, გნებავთ – ემოცია ამა თუ იმ ფაქტის გადმოცემისას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ტექნიკურ კომუნიკაციად, კავშირგაბმულობის ნაწილად იქცევა.

– ჟურნალისტური ტექსტისათვის აუცილებელია ორიენტაცია მკითხველზე (მსმენელზე, მაყურებელზე, მომხმარებელზე) და ოპერატიულობასთან ერთად ეს არის ის უმთავრესი, რაც განასხვავებს მას მხატვრული შემოქმედებისაგან ერთი მხრივ და მეცნიერებისაგან მეორე მხრივ.

– დაბოლოს, მთავარი: ჟურნალისტიკამ შერჩეული და ასახული ფაქტებითა თუ მათი ჯეროვანი ანალიზით გავლენა უნდა იქონიოს საზოგადოებაზე, თუმცა ამგვარი გავლენის დონე და მასშტაბი არა მხოლოდ ჟურნალისტიკაზე, თავად საზოგადოებაზეც არის დამოკიდებული.

* * *

უკვე ფოტოგრაფიის გავრცელებიდან მოყოლებული, ჟურნალისტიკა სულ უფრო და უფრო სცილდება ლიტერატურას და თუ თავისი არსებობის პირველი საუკუნეების განმავლობაში იგი ლიტერატურის (და – ამდენად – შემოქმედების) ნაწილი იყო, ინფორმაციულ საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო მეტად არის კომუნიკაციის (და – ამდენად – ტექნოლოგიის) ნაწილი; ხოლო ჟურნალისტიკის შემოქმედებითი პოტენციალი ძირითადად გართობის ინდუსტრიაში რეალიზდება. პირველი, ვინც ჟურნალისტიკის ამ არსობრივ ტრანსფორმირებას აღლო აუღო,

ბოლო ათწლეულების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბიზნესმენი, თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი იყო. ბრიტანელი ჟურნალისტის ალან უოტკინსის სიტყვებით, ჯერ კიდევ 1969 წელს, როცა მან გაზეთი „სანი“ იყიდა, მერდოკი ჟურნალისტიკას გართობის ინდუსტრიის ნაწილად თვლიდა; მეორე მხრივ კი, „ვაშინგტონ პოსტმა“ მერდოკს „მსოფლიოს კავშირგაბმულობის მინისტრი“ უწოდა. გართობის ინდუსტრიამ თანამედროვე ჟურნალისტიკა ერთ მხარეს გადაქაჩა, კავშირგაბმულობის ინდუსტრიამ – მეორე მხარეს, ხოლო მისი გადარჩენილი ნაწილი, რომელიც ფორმების ცვალებადობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის უმთავრეს ფუნქციას, ამ ორი ინდუსტრიის აქლემებს შორის იჭყლიტება.

ისტორიულ პერსპექტივაში თუ განვიხილავთ, ტექნოლოგიების თვალსაზრისით, ჟურნალისტიკა ინფორმაციის გავრცელების საშუალებებთანაა დაკავშირებული, მთლიანად არის დამოკიდებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე და მის პარალელურად ვითარდება; შემოქმედებითი თვალსაზრისით კი ჟურნალისტიკა სინამდვილისადმი დამოკიდებულებისა და მისი ასახვის ფორმას წარმოადგენს და შუალედური (გარდამავალი) ადგილი უკავია მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის.

ამა თუ იმ ქვეყანაში თუ ზოგადად მსოფლიოში ჟურნალისტური ტექნოლოგიების (პრესა, რადიო, კინო, ტელევიზია, ინტერნეტი) დასაბამი ძნელი გასარკვევი არ არის. საკმაო სიზუსტით არის ცნობილი, თუ როდის გამოიცა პირველი გაზეთი, როდის შემოვიდა რადიო თუ ტელევიზია, როდის გაჩნდა ინტერნეტი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჟურნალისტიკაზე, როგორც შემოქმედებაზე. ის კი არა, ქათმისა და კვერცხის არ იყოს, ბევრისთვის შეიძლება ისიც საკამათო აღმოჩნდეს, რომელი უფრო ადრე გაჩნდა – ჟურნალისტიკა, როგორც ტექნოლოგია თუ ჟურნალისტიკა, როგორც შემოქმედება.

თუ ჟურნალისტიკა, მეტისმეტად მარტივად რომ ვთქვათ, ახალი ამბების შეკრება-დამუშავება-გავრცელებაა, და ეს ნამდვილად ასეა, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ტექნოლოგია, თუმცა იგი დიდად განაპირობებს ჟურნალისტიკის ამა თუ იმ ფორმის თავისებურებებსა და განვითარებას, მაინც მეორადია. გარდა ამისა, ჟურნალისტური ტექნოლოგიები, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს ჩნდება, თავისი არსით უნივერსალურია, მაშინ როდესაც, ჟურნალისტური შემოქმედება, ჟურნალისტური აზროვნება, სამყაროს ჟურნალისტური აღქმა, ჟურნალისტური მეტყველება, ჟურნალისტური ენა, ჟურნალისტური სტილი, განსაკუთრებით – ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, ყველა ქვეყნისათვის სხვადასხვაა და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით ვლინდება.

ისტორიულად, სრულყოფილი ჟურნალისტური პროდუქტის, ჟურნალისტური ტექსტის ჩამოყალიბებამდე მისი ესა თუ ის ელემენტი მეტნაკლები დოზით თავს იჩენს მონათესავე პროდუქტის, მონათესავე ტექსტის ქსოვილში და რაც უფრო მეტია ეს დოზა, რაც უფრო გამოკვეთილია ჟურნალისტური ტექსტისათვის დამახასიათებელი აზროვნება, ფორმა თუ ენა, მით უფრო მეტი ალბათობით შეიძლება საუბარი ამა თუ იმ

ტექსტის სიახლოვეზე ჟურნალისტიკასთან ან სულაც მის ჟურნალისტურობაზე.

ჟურნალისტური ელემენტების ძიება ჟურნალისტიკამდელ ტექსტებში ღრმა და სერიოზულ კვლევას მოითხოვს და ბევრ შემთხვევაში საკმაოდ მოულოდნელი, ზოგჯერ ერთი შეხედვით არალოგიკური შედეგები მოაქვს. ეს კვლევა-ძიება თავისი ხასიათით, მიზნებითა და შედეგებით გარკვეულწილად არქეოლოგიას შეიძლება შევადაროთ და შედეგად თავისდაუნებურად ჩნდება ახალი ტერმინი: ჟურნალისტიკის არქეოლოგია.

და აქ ახალია არა მხოლოდ ტერმინი, ახალია თავად საგანიც, რასაც ეს ტერმინი ასახავს, ყოველ შემთხვევაში, სრულიად ახალია იგი საქართველოში, ქართული ტექსტების კვლევის თვალსაზრისით. რაც შეეხება ამ ახალ საგანს, მის გასამარტავად კიდევ ერთი ახალი ტერმინი დაგვჭირდება, უფრო ზუსტად – არსებულ ტერმინში ახალი შინაარსის ჩადება მოგვიწევს.

ეს ტერმინი „ჟურნალიზმი“ გახლავთ, რომელიც ამ წერილის სათაურშიცაა გამოტანილი. ძალზე იშვიათად, მაგრამ ეს ტერმინი აქამდეც იხმარებოდა (და იხმარება) ქართულში და ჩვენთვის იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი ვესტერნიზებული ვარიანტია ტერმინისა „ჟურნალისტიკა“. ინგლისურსა და ფრანგულში სწორედ ჟურნალიზმი ჰქვია იმას, რასაც გერმანულისა და რუსულის კვალად ქართული ენა ჟურნალისტიკად უხმობს. გარდა ამისა ახალ ჟურნალიზმად მოიხსენიება გამოკვეთილი აქტუალურობით აღბეჭდილი ნონმეინსტრიმული მიმდინარეობა გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ამერიკულ ლიტერატურაში. სიტყვა „ჟურნალიზმი“ ქართული და დასავლური ჟურნალისტიკის გასამიჯნავად მეც არაერთხელ მიხმარია მაშინ, როცა ჩვენი ჟურნალისტიკა მართლა ისე განსხვავდებოდა დასავლური ჟურნალისტიკისაგან, რომ მათი თუნდაც ნიუანსობრივი ტერმინოლოგიური გამიჯვნა დიახაც უპრიანი ჩანდა. ამჯერად კი ამ ტერმინში სხვაგვარი შინაარსის ჩადება მინდა ვცადო და თუმცა საამისო არგუმენტებსაც აქვე მოვიხმობ, და იმედიც მაქვს, რომ ეს ტერმინი ორგანულად შეითვისებს ახალ შინაარსს, არა მაქვს არავითარი პრეტენზია, რომ იგი ამ შინაარსით სავალდებულო და საყოველთაო გახდეს. საუბარია შინაარსზე, რომელსაც შეიცავს ისეთი ტერმინები, როგორიცაა, ვთქვათ, „პროზაიზმი“, „პოეტიზმი“, „ლათინიზმი“, „გერმანიზმი“, „სპარსიზმი“ და სხვა. ზოგიერთ ცნობილ ენათმეცნიერთან კონსულტაციებისას წარმოიშვა აზრი, რომ იქნებ ამ შინაარსის გადმოსაცემად თუნდაც ნაკლებგავრცელებული, მაგრამ მაინც არსებული ტერმინი კი არ დაგვეტვირთა, ახალი ტერმინი შეგვექმნა, მაგალითად – „ჟურნალისტიზმი“, მაგრამ მაინც „ჟურნალიზმი“ ვამჯობინეთ.

ჟურნალიზმი არის ცალკე აღებული ყველა ის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ჟურნალისტიკისათვის არის დამახასიათებელი და რომელიც ამა თუ იმ ჟურნალისტურ ტექსტშიც ამა თუ იმ ფორმით შეიძლება არსებობდეს. ჟურნალიზმი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ლიტერატურულ (პროზაულ თუ პოეტურ), ისე არალიტერატურულ (კინო, თეატრი) ტექსტებში. ჟურნალიზმები შეიძლება არსებობდეს იმ პერიოდის ტექ-

სტებშიც, როდესაც არც ჟურნალისტური ტექნოლოგიები არსებობდა და არც თავად სიტყვა „ჟურნალისტიკა“ (გნებავთ – „ჟურნალიზმი“). საინტერესოა, რომ „ჟურნალისტიკის მცირე ენციკლოპედიაში“, რომელიც 1982 წელს გამოიცა ბრატისლავაში, რეპორტაჟის ისტორია პლინიუსის იმ ტექტით იწყება, რომელშიც ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევა და პომპეის დაღუპვაა აღწერილი. არ არის გამორიცხული, რომ პლინიუსის ეს ტექსტი ჟურნალისტიკის არქეოლოგიის ქრონოლოგიურად ყველაზე ხანდაზმული მონაპოვარი იყო, ხოლო თავად ჟურნალისტიკის არქეოლოგიის საგანი კი ასე შეიძლება განვსაზღვროთ:

ჟურნალისტიკის არქეოლოგია არის ჟურნალიზმების მოძიება ჟურნალისტიკამდელ ტექსტებში.

ჟურნალისტიკის არქეოლოგიის შემდგომი ეტაპი უკვე ჟურნალისტიკის ისტორიაა, რომელმაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს არქეოლოგიური აღმოჩენებიც. ჟურნალისტიკის არქეოლოგიის გარეშე გაჭირდება ჟურნალისტიკის გენეზისის შესწავლა როგორც საზოგადოდ, ისე ერთ ცალკე აღებულ ქვეყანასა თუ რეგიონში.

რამდენადაც თავისი ჩასახვისას და განვითარების პირველ, საკმაოდ ხანგრძლივ მონაკვეთში ჟურნალისტიკა ლიტერატურის ნაწილი იყო, ჟურნალისტიკის გენეზისის კვლევისას, ჟურნალისტიკის პირველ ნიშნებზე თუ პირველ ნიმუშებზე საუბრისას, აუცილებელია დავადგინოთ ძირითადი განსხვავებანი ლიტერატურასა და ჟურნალისტიკას შორის და სწორედ ამ კუთხით განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო ესა თუ ის ტექსტი.

ამავე დროს, უნდა განვმარტოთ, რომ თუ სხვა გაგება საგანგებოდ არ არის მითითებული, ჩვენი კვლევის საგნიდან და საკვლევი ეპოქიდან გამომდინარე, ტერმინში „ჟურნალისტიკა“, ჩვენ ტექსტუალურ, ხელნაწერ თუ ბეჭდურ, ზოგადი გაგებით – ლიტერატურულ ჟურნალისტიკას ვგულისხმობთ.

ზემოთ ჩამოთვლილ იმ პირობათაგან, რომლებიც ჟურნალისტიკის კვინტესენციად შეიძლება განვიხილოთ, ზოგიერთი ლიტერატურისთვისაც შეიძლება იყოს დამახასიათებელი; მაგალითად, რეალური ფაქტის ასახვა, ამ ფაქტის სიახლე და აქტუალურობა, ოპერატიულობა, ტენდენცია, გავლენა საზოგადოებაზე, მაგრამ თუ ეს ყოველივე ეს ერთად თუ ცალკე აღებული ლიტერატურისთვის შესაძლებელია (ან ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში – სასურველი), ჟურნალისტიკისათვის აუცილებელი პირობა გახლავთ.

განსაკუთრებით აუცილებელია ჟურნალისტიკისათვის (ლიტერატურისაგან განსხვავებით) ორიენტაცია მკითხველზე. ერთი და იმავე ჟანრის ნაწარმოები, დაფუძნებული თუნდაც რეალურ ფაქტებზე, მაგალითად სამოგზაურო დღიურები, შეიძლება იყოს როგორც ლიტერატურული, ისე ჟურნალისტური ნაწარმოები, იმის მიხედვით, გულისხმობს თუ არა ავტორი მკითხველს.

ამავე დროს აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის უმთავრეს განმასხვავებელ თვისებას – ლიტერატურა უპირველესად ავტორის თვითგამოხატვის ფორმა და საშუალებაა, ჟურ-

ნალისტიკა კი – სინამდვილის ასახვისა, რაგინდ მაღალმხატვრული და საავტორო იყოს ეს ჟურნალისტიკა.

აქვე კიდევ ერთხელ კატეგორიულად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ჟურნალისტიკა, როგორც შემოქმედება და ჟურნალისტიკა, როგორც ტექნოლოგია.

გაზეთი და ჟურნალი, თავისთავად ჟურნალისტური ტექნოლოგიებია, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, ყველაფერი, რაც გაზეთსა და ჟურნალში იბეჭდება ჟურნალისტიკა იყოს. ის ფაქტი, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ესა თუ ის რომანი, ან მიხეილ ჯავახიშვილის ესა თუ ის მოთხრობა, ან გალაკტიონ ტაბიძის ესა თუ ლექსი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა, არამც და არამც არ არის იმის საფუძველი, რომ რომელიმე მათგანი ჟურნალისტიკის სფეროს მივაკუთვნოთ. მეორე მხრივ – შეიძლება ტექსტი, რომელიც ჟურნალისტური ტექნოლოგიით არ გავრცელებულა, თავისი არსით სწორედაც ჟურნალისტიკას წარმოადგენდეს.

თანამედროვე პირობებში ჟურნალისტიკისთვის, როგორც შემოქმედებით აქტისათვის, აუცილებელია ადექვატური ტექნოლოგია, თუმცა როდესაც ჟურნალისტიკის გენეზისზე, ჟურნალისტიკის არქეოლოგიაზე ვსაუბრობთ, ეს სულაც არ არის აუცილებელი.

ჟურნალისტიკა, როგორც შემოქმედებითი პროცესი და ჟურნალისტიკა, როგორც ტექნოლოგიური გარემო, თავდაპირველად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნებოდა თუ ვითარდებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული დროითი ინტერვალით იყო ერთმანეთს აცდენილი.

ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად იტალიაში, ეს დროითი ინტერვალი ძალზე მცირე იყო, ჟურნალისტიკა, როგორც შემოქმედება და ჟურნალისტიკა, როგორც ტექნოლოგია, ფაქტობრივად პარალელურად ყალიბდებოდა და ერთი მათგანი გარკვეულწილად განაპირობებდა კიდეც მეორის განვითარებას.

ზოგიერთ სხვა ქვეყანაში კი, მაგალითად, საქართველოში, ეს დროითი ინტერვალი საკმაოდ დიდი იყო, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, გამორიცხავს ჟურნალისტიკა-შემოქმედებისა და ჟურნალისტიკა-ტექნოლოგიის პირდაპირ და უშუალო კავშირს ან თუნდაც მემკვიდრეობითობას.

მკვლევართა მიერ პირველ ჟურნალისტად შერაცხული პიეტრო არეტინოს (1492-1556) წერილები, რომლებშიც პირველად გამოიკვეთა ჟურნალისტიკისათვის, როგორც შემოქმედებისათვის, დამახასიათებელი ნიშნები, ანუ, ჩვენეული დეფინიციით, ჟურნალიზმები, მის სიცოცხლეშივე იქნა რეალიზებული ახალი ტექნოლოგიის – ბეჭდური სიტყვის მიერ; ხოლო სულხან-საბას სამოგზაურო დღიური, რომელშიც არათუ აშკარადაა გამოკვეთილი ჟურნალისტიკის ნიშან-თვისებები, შეიძლება ითქვას, გაჯერებულია ჟურნალიზმებით, ძველი ტექნოლოგიის (ხელნაწერი) ჩარჩოებში დარჩა, რაც, გარდა იმისა, რომ საქართველო ტექნოლოგიურად დიდად ჩამორჩებოდა იტალიას და საერთოდ, ევროპას, იმითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ სულხან-საბა არეტინოსაგან განსხვავებით, დამარცხებული მოღვაწე იყო. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სულხან-საბას ტრადიციები ღირსეულად აღორძინდა და გაგრძელდა ქარ-

თულ სამოგზაურო ლიტერატურაში, რომლის ნიმუშები ქართული სამოგზაურო პროზის, სამოგზაურო ნარკვევისა თუ სამოგზაურო რეპორტაჟის საუკეთესო მაგალითებად გვესახება (ტიმოთე გაბაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, რაფიელ დანიბეგაშვილი...).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამოგზაურო ლიტერატურა, და პირველ ყოვლისა – სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, ეს არის ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკამდე, ეს არის ის ჩოხა თუ ნაბადი, რომლიდანაც მოვლენათა ხელსაყრელი განვითარების შემთხვევაში შეიძლებოდა გამოსულიყო მთელი ქართული ჟურნალისტიკა, მაგრამ როცა ქართულმა ჟურნალისტიკამ ამ ნაბადსა თუ ჩოხას მიაკვლია, თავად რუსულ ლიტერატურასთან და ჟურნალისტიკასთან ერთად უკვე გამოსული იყო რუსული შინელიდან.

* * *

საბას „მოგზაურობის“ ტექსტის ახლებურად წაკითხვისას და მასში ჟურნალიზმების ძიებისას არაერთი ახალი და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო დეტალი იჩენს თავს, რაც მეტისმეტად საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

„მოგზაურობის“ ერთი მთავარი ჟურნალიზმი ზედაპირზე ძევს და ისტორიული ცნობებით დასტურდება: სულხან-საბა, რომლიც თავის თხზულებებზე არათუ თვეობით, წლობით მუშაობს, თავის სამოგზაურო დღიურებს სახელდახელოდ, მოვლენათა კვალზე წერს და როგორც ჩანს, აღარც უბრუნდება. სულხან-საბას მოკლე ბიოგრაფიიდან (Curriculum vitae), რომელიც მის „სიტყვის კონას“ ერთვის, ვგებულობთ, რომ მის მოგზაურობაში, სანამ იგი საქართველოში დაბრუნდებოდა, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა ყოფილა: ოთხწლიანი მოგზაურობის შემდეგ, 1715 წლის 19 იანვარს იგი კონსტანტინეპოლს ჩასულა, ხოლო 1715 წლის 10 აგვისტოდან 1716 წლის 20 იანვრამდე ლექსიკონის ბოლო რედაქციაზე უმუშავია. საკუთრივ მოგზაურობის ტექსტში ბოლო თარიღიანი ჩანაწერი 8 აპრილს გაუკეთებია. მერე წერს, „ჩვიდმეტი თთვე კონსტანტინეპოლეს დავყავ და მაისის ცამეტს წამოვედით“-ო. რა თქმა უნდა, ლაპარაკია მომდევნო წლის მაისზე. არათუ საბასდროინდელ მწერლობაში, XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიაშიც კი იშვიათია შემთხვევა, ასეთი სიზუსტით ვიცოდეთ, როდის დაიწყო და როდის დაამთავრა ამა თუ იმ ავტორმა ამა თუ ნაწარმოებზე მუშაობა. ალბათ სწორედ ამიტომ ჩნდება ერთგვარი უკმარობის გრძნობა იმის გამო, რომ არსადაა დაფიქსირებული, მუშაობდა თუ არა სულხან-საბა კონსტანტინეპოლში მოგზაურობის ტექსტზე. ყოველ შემთხვევაში მას იქ ამისათვის საკმაო დრო ჰქონდა 1715 წლის 19 იანვრიდან 10 აგვისტომდე და 1716 წლის 20 იანვრიდან ივნისამდე, სანამ ის საქართველოში გამოემგზავრებოდა. საქართველოში ჩამოსულ ორბელიანს კი სამოგზაურო დღიურების ტექსტის დასამუშავებლად აღარ ეცალა. საამისო დრო მას მხოლოდ კონსტანტინეპოლში ყოფნისას ჰქონდა. დრო კი ჰქონდა, მაგრამ, როგორც მოგზაურობის ტექ-

სტიდან ირკვევა, იგი თავის დღიურებს აღარ მიბრუნებია, აღარ გადაუწერია.

ამას ადასტურებს საბასავე სიტყვები „მოგზაურობიდან“: „ზემო ფლორენცის ამბავში ერთი ეს დაგვრჩა: შუა ქალაქში მდინარე დიდი ჩამოდის. ოთხს ადგილს ხიდი ძეს, ხუთ-ხუთ, ექვს-ექვსი კამარა. მაგრამ ერთი ხიდი ვაკეთ იყო დახურვილი. კამარის სიმგრგულე ძლივ შეეტყობოდა. განიერი კამარები ჰქონდა. ასე ოსტატობით აეშენებინათ. და კრანდუკას სასახლე მდინარეს იქით ქალაქს გაცილებით იყო. მისი ციხე თავს ადგა. სულ ქალაქი ხელქუეშ ჰქონდა და წალკოტი ქვეშით. და იმ სასახლიდამ ციხეში ასე შევიდოდა კრანდუკა, ვერავინ შეიტყობდა. გზა გვირაბით ჰქონდა. და მდინარეს აქეთ ქალაქში კრანდუკას საუნჯე იყო, ორი მილის სიშორესა. ასე მოერთო კრანდუკას. სასახლიდამ სრულობით ბაზარი წამოეყვანა, ერთს ხიდზე გამოეტარებინა, სალარო-სათვის შემოეყარა ზედ ბაზრის თავზე. ასე გზა მოერთოთ: უნდა ეტლით მოვიდოდა, თუ უნდოდა ქვეითად საუნჯეში შევიდოდა“ (გვ. 112; ფრაგმენტები ციტირებულია „მოგზაურობის“ ტექსტის სოლომონ იორდანიშვილისეული გამოცემიდან; „ფედერაცია“, თბილისი, 1940.).

სულხან-საბას თავის დროზე დავიწყებული ეს აღწერა გადაწერისას შეეძლო თავის ადგილას ჩაესვა, მაგრამ თუ ეს ასე არ გააკეთა, ან გარკვეული ხერხია (ჟურნალისტური?!), რაც ნაკლებსავარაუდოა, ან იმის უტყუარი საბუთი, რომ თავისი დღიურები საბას აღარ გადაუწერია!

დასტურად იმისა, რომ საბა ზოგ რასმე ჰავხელად, მართლა ჟურნალისტისათვის დამახასიათებელი ზედაპირულობით წერს, ქვემორე ციტატა გამოდგება:

„და მას ქვეით დიდი ქალაქი საონა, სად აკეთებენ უმჯობეს ფარფურსა და ჩინურებს. დიდსა გაშლილს ადგილზე დიდი ქალაქი ჩნდა. და ზედ მობმით ქალაქი და ციხეები, ახლო ახლო, კაცისაგან დაუჯერებელი იყო. და ნახვითაც საკვირველი იყო. რამდენიღაც მილი იყო, შემეშალა, მაგრამ მარჩილიდამ ჯენევიამდე, თუ სწორად ივლი, სამასი მილია. ჩვენ პატარას კატარღით ნაპირ-ნაპირ მივიდოდით და უგძე მოხდა. ჯენევიას ვეღარ შევაწიეთ, ღამემ გვისწრა. ჯენევიის ზეიდამ ერთი სოფელი იყო. იქ დავდეგით“ (გვ. 7-8).

სავონადან გენუამდე მანძილი სულხან-საბას თავის დროზე არ დაუთვლია თუ არ უკითხავს ან დაავიწყდა (შემეშალაო, ამბობს) და, რომელიმე თანამედროვე ახალგაზრდა ჟურნალისტისა არ იყოს, თავი აღარ შეუწუხებია კითხვითა თუ დაზუსტებით, თუმცა ეს ძნელი არ უნდა ყოფილიყო – მისი ნებისმიერი მასპინძელი გენუასა თუ მიმდებარე სოფელ-ქალაქებში, ერი თუ ბერი ადვილად უპასუხებდა ამ კითხვას.

აშკარაა, რომ სულხან-საბა თავის ამ დღიურს, რომელსაც არც სათაურს არქმევს და არც სადმე მოიხსენიებს თავის ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებს შორის, პროზად და ზოგადად – ლიტერატურად ნაკლებად მიიჩნევს. ლიტერატურას – პროზას თუ პოეზიას, საკუთარსა თუ თარგმნილს იგი, ჩვეულებრივ, მეტ დროსა და ყურადღებას უთმობს, მეტს მუშაობს ტექსტზე, მის სტილზე, მეტად ხვეწს ფრაზას, ყოველ

შემთხვევაში მის პროზაში თითქმის არ გვხვდება უზმნო წინადადებები, რაც ჭარბადაა მოგზაურობის ტექსტში, თითქოს ავტორმა მხოლოდ ჩაინიშნა სათქმელი და მისი დამუშავება სამომავლოდ გადადო. კი, ასეთი წინადადებები ხშირ შემთხვევაში დინამიურობას, ექსპრესიულობას ანიჭებს ტექსტს, მაგრამ ამავე დროს ეს სწორედ ერთი იმ ნიშან-თვისებათაგანია, რაც „მოგზაურობის“ სტილს საბას პროზის სტილისაგან განასხვავებს და მის ჟურნალისტურობაზე საუბრის საშუალებას გვაძლევს. ალბათ ნიშანდობლივია ისიც, რომ არათუ თავად საბა, არავინ XIX საუკუნის ბოლომდე მასზე და მის თხზულებებზე საუბრისას, „მოგზაურობას“ არ ახსენებს. ჩანს, იმთავითვე ყველა გრძნობდა, რომ ეს არ იყო ლიტერატურა კლასიკური გაგებით, ეს იყო „რაღაც სხვა“.

* * *

ის, რომ „მოგზაურობა ევროპაში“ რეალურ ფაქტს ასახავს, რომ ეს მოგზაურობა უაღრესად აქტუალური იყო იმდროინდელი ქართული (და არა მარტო ქართული) საზოგადოებისათვის და რომ მასში მკვეთრადაა გამოხატული ავტორისეული ტენდენცია, გნებავთ – იდეოლოგია (ბოლოსდაბოლოს, სვეტიცხოვლის ეზოში სწორედ ამ აქტუალურობის, ტენდენციისა და იდეოლოგიისათვის ათრიეს წვერით „მოგზაურობის“ ავტორი!), საეჭვოდ და საკამათოდ არავის არასდროს გაუხდია.

ზემოთ გამოჩნდა და ეს სხვა არგუმენტებითაც დასტურდება, რომ „მოგზაურობა ევროპაში“ მოვლენათა კვალდაკვალ, ცხელ კვალზე იწერება; რომ ფაქტობრივად არ არსებობს დროითი დისტანცია მომხდარ ფაქტსა და სულხან-საბას მიერ მის აღწერას შორის. ავტორი არ არის დისტანცირებული ამბისაგან და უკვე დაწერილს მაშინაც კი არ უბრუნდება, როცა თავად ამჩნევს აშკარა უზუსტობას ან შეუსაბამობას.

ასე რომ, ჟურნალისტიკის არქეოლოგს სულხან-საბას მოგზაურობის ტექსტის კვლევისას ფაქტობრივად ისღა რჩება გასარკვევი, ვისთვის და რისთვის, რა ფუნქციით იწერება ეს თხზულება, გულისხმობს თუ არა ავტორი დღიურის წერისას მკითხველს და თუ გულისხმობს, ვინ არის ეს მკითხველი.

ტექსტის ზერელე გადაკითხვითაც ნთელია, რომ ეს არ არის საბა-დიპლომატის დღიურები, გნებავთ ავტორისთვის სამახსოვროდ, გნებავთ სხვისთვის მოსახსენებლად. საბა-ავტორი თითქოს საბა-დიპლომატს მართლა ჟურნალისტად ახლავს მოგზაურობაში და არასოდეს იხედება (არ ახედებენ!) დახურულ კარს მიღმა, სადაც დიპლომატიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. თუნდაც ძალზე მოკლედ, საბა-ავტორი კონკრეტულად არასოდეს გადმოსცემს, საუბრის შინაარსს, არასოდეს გადმოსცემს დიპლომატიურ დიალოგს, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ ეპიზოდს:

„მე მოვახსენე: წმიდავ მამავ, მეთქი, რა შენმა შვილმა, მტკიცე ქრისტიანმა, თავისი საქმე შენზე მოაგდო, მაშინვე გულსავსე შევიქენ, ყველა გამირიგდება მეთქი. მაგრამ სიგვიანე *ვახტანგ მეფეს* არას არგებს. ავს ალაგს არის მეთქი. მიბრძანა: ჩემი სისხლი რომ მთხოვო

ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ, იმასაც დასაქცევლად მოგცემო. მადლი გარდვიხადე და მოვახსენე: მე ვხედავ, ***ვახტანგის*** მოუსვლელობით ქრისტიანობას დააკლდება ჩემს ქვეყანაში და მოსვლით მართმადიდებლობას მოემატება მეთქი. თუარა მე სხვა საქმე არა მაქვსრა“ (გვ. 20).

აქაც მხოლოდ ის არის ნათქვამი, რასაც დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს სახელმწიფო მოღვაწენი ჟურნალისტებისთვის გამოიმეტებენ ხოლმე. აშკარაა, რომ ჩვენს ხელთ არსებული საბას დღიურები არ არის ის მთავარი ტექსტი, რომელიც მან შესაძლოა მართლა შეადგინა და როგორც თავისი მისიის რამ ანგარიში ვახტანგ მეფეს აახლა. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ სხვა, პარალელური ტექსტი არსებობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, იგი ერთადერთი ეგზემპლარი იქნებოდა, მხოლოდ ადრესატს ჩაბარდებოდა და გადამწერთა ხელში ვერაფრით მოხვდებოდა. ასე რომ, შესაძლებელია ეს დღიურები საბას სათავისო ჩანაწერები იყოს, საჭიროების შემთხვევაში მისი საზღვარგარეთული მისიის ამა თუ იმ დეტალის გასახსენებლად თუ აღსადგენად. შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტიდან ამოღებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ადგილები და რომ თავდაპირველად დღიურებს სულხან-საბა სწორედ ვახტანგისთვის წერდა, რაც მისი მისიიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, თხზულებას ნაკლები კავშირი ექნებოდა ჟურნალისტურ ტექსტთან და იგი, თუნდაც სხვა ჟურნალიზმებით გადაძეძგილი, მაინც სამსახურებრივ ანგარიშად დარჩებოდა.

ასე რომ, ავტორის მიზანდასახულობის და ტექსტის ჟურნალისტურობის ხარისხის დასადგენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პასუხების გაცემა შემდეგ კითხვებზე:

– დღიურების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში საბა მკითხველსაც გულისხმობს, თუ მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერს?

– თუ ტექსტში მკითხველიც იგულისხმება, ვინ არის ეს მკითხველი და რამდენი?

– შეიძლება თუ არა, „მოგზაურობის“ ტექსტი იმთავითვე მკითხველთა მეტ-ნაკლებად ფართო აუდიტორიაზე იყოს გათვლილი?

ტექსტის გამოწვლილვითი ანალიზისას ირკვევა, რომ სულხან-საბა არათუ გულისხმობს მკითხველს, ზოგჯერ პირდაპირ მიმართავს კიდეც მას და ამის დასტურად მოდით, ჯერ ზემოთ უკვე მოხმობილი ეს ფრაგმენტი გავსინჯოთ:

„ხუთს მკათათვეს. წმიდა პაპასთან წამიყვანეს. საზაფხულო სახლებში იდგა. რომის შუა გულობას არის. წმიდა პეტრეს ეკლესია რომის თავს არის. უფრო მოდაბლო ადგილია. და პაპის საზაფხულო სასახლე მაღლა ადგილია. სასახლის ქება მრავალგან სწერია. და ***თქვენც იცით,*** (ხაზგასმა აქაც და ყველგან ჩემია – პ.ნ.) პაპის სასახლე უარესი არავისზე იქნება. რაც სახლი შევიარე სრული წითლის ქამხის ფარდაგები იყო, ოქრომკედის აშიებით ხშირად დაკერებული. და წინ, რიგისრიგისად კარის კაცნი და დარბაისელნი იდგენ და მერმე მღუდელნი და ეპისკო-

პოსნი. მაშინ კარდინალი არავინ იყო, ამისთვის რომ, ხალვად გვნახა, გამოჩვენებით არა გვნახა. შემიყუანეს. მომცროს სახლში იჯდა. ერთი კართან გვათაყუანეს, ერთი შუა სახლში და მერმე ფეხს გვაკოცნინეს. თავზე მომეხვია. დაჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა. ფეხზე დამაყენა. მე ბოლოს ვდგებოდი, გვერდს ახლოს მომიყენა. მომიკითხა, მიალერსა. მე მოვახსენე: წმიდავ მამავ, მეთქი, რა შენმა შვილმა, მტკიცე ქრისტიანმა, თავისი საქმე შენზე მოაგდო, მაშინვე გულსავსე შევიქენ, ყველა გამირიგდება მეთქი. მაგრამ სიგვიანე *ვახტანგ მეფეს* არას არგებს. ავს ალაგს არის მეთქი. მიბრძანა: ჩემი სისხლი რომ მთხოვო *ვახტანგისა* და შენის ქვეყნის სასარგებლოდ, იმასაც დასაქცევლად მოგცემო. მადლი გარდვიხადე და მოვახსენე: მე ვხედავ, *ვახტანგის* მოუსვლელობით ქრისტიანობას დააკლდება ჩემს ქვეყანაში და მოსვლით მართმადიდებლობას მოემატება მეთქი. თუარა მე სხვა საქმე არა მაქვსრა. მოხუცებულს სიმეონსავით გეხვეწები: აწ განმიტევე მეთქი“ (გვ. 19-20).

სიტყვებში „თქვენც იცით“ სულხან-საბა, რა თქმა უნდა, მკითხველს მიმართავს, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ აქ ვახტანგი ნახსენებია არა როგორც ადრესატი, ანუ მეორე პირი, არამედ როგორც მესამე, ტექსტის გარეშე მდგარი განყენებული პირი, ამ ფრაგმენტიდან ძნელი გასარკვევია, სულხან-საბა ერთ კონკრეტულ მკითხველს, კერძოდ – ვახტანგ მეექვსეს მოიაზრებს, თუ მკითხველთა გარკვეულ სიმრავლეს გულისხმობს.

რამდენ მკითხველს მიმართავს ავტორი და გულისხმობს თუ არა თავის მკითხველებში მხოლოდ ვახტანგ მეფეს, არც მეორე ფრაგმენტიდან ჩანს:

„ამას ქვევით, ერთს სოფელში, სადილი ვჭამეთ: თორმეტიოდ კვერცხი, ცოტა ახალი ლობიო. მოგვიტანეს ერთი კიბორჩხალა. ექვს ფლურის თხოვა დაგვიწყეს. ძლივ ხუთს მარჩილს დაგვჯერდენ. ესები ამისთვინ დავსწერე, *შეიტყოთ* ფრანციცის მეფის ხარჯი, თუ ჩემზე რას გაისარჯა, ან როგორ დამიხვდა“ (გვ. 6).

მიმართვა „შეიტყოთ“ თანაბრად შეიძლება გულისხმობდეს როგორც მეფე ვახტანგს, ისე სხვა პიროვნებასა და განუსაზღვრელი რაოდენობის აბსტრაქტულ (პოტენციურ) მკითხველსაც.

და კიდევ ორი ერთმანეთის მსგავსი ფრაგმენტი, სადაც ასევე გაუგებარია, რამდენ და რომელ მკითხველს გულისხმობს ავტორი:

„ეკლესია ჯვარის სახე იყო. და ყველა ამას ცდილა, მე უკეთესი ავაშენოო, მე უფროსი ხარჯი ვქნაო. და მეც მიკვირს: სად გამოვიდა ამდენი უცხო ოსტატი. *სხვას იქაურს უცხოვებს არას დაგიწერ.* სამარტვილეში ჩაგვიყუანეს. როგორც ზეით საყდარი იყო აშენებული, ქვეითაც ისე იყო. მაგრამ, როგორც შავს ქვას, ცუდს ბროლი სჯობს, ისე ზეითს ქვეშეთი სჯობდა“ (გვ. 68).

„მერმე თავის სასახლეში აგვიძღვა. *სასახლისას ვერას დაგიწერ* . ზედ სასახლის ერდოზე ერთი ასეთი ნარინჯის წალკოტი ჰქონდა, გავკვირდი“ (გვ. 136).

და კიდევ ერთი:

...„თვითონ კარდინალი დამდევდა. *თქვენც მოგეხსენებათ* დიდ კაცს მოკრძალება უნდა, მაგრამ კარდინალის სიდიდე *არ გინახავთ* და რით *შეიტყობთ*. იმ შობასი იყო, სულ მრთელი ცოცხალსავით. მარიამ სად ძე მიაწვინა ბაგაში, და ზროხები: ზოგი ხბოიანი, ზოგი სხვარიგი. მაღლა ანგელოსნი მფრინავნი. დიდება მაღალი დაწერილი ეჭირათ. იოსებთ მწყემსთ როგორ ელაპარაკებოდა, ან ანგელოსნი მწყემთ როგორ ეტყოდეს. მწყემსნი ზოგი ცხვარს სწველვიდა, ზოგი უვლიდა, ზოგი მგელს ძაღლს უტევდა, ზოგი ზურნაკს უკრევდა, ზოგი ქრისტეს შობისაკენ მირბოდენ. კრავი მიყვანდათ შესაწირავად. როგორ დაიწერება. სხვაგან მოგვთმოსვლა. იმავ ერთს მხარეს, როგორ მოვიდენ. ჰეროდე როგორ ნახეს, მწიგნობარნი რომ შეყარნა როგორ წამოვიდენ და თაყუანი სცეს. სულ ცოცხალსავით იყო. და რამდენი უცხო. თვითოსა და თვითოსა უცხოს აიღის, მაჩვენის. ერთი ჯვარცმის ხატი მაჩვენა ორი მტკაველი თუ იყო. ზედ ჯვარცმა და, აქ კარგა გასინჯე, რაც ჯვარი იმაზე დაეტეოდა, ქრისტეს გვამს გარდა, ჯვარზე, არა თუ ადგილზე, შავშავად რაღაც აჩნდა. ერთი სათვალე მოიტანა. ჩავხედეთ. მართლა სწორე დაწერილი იყო. მე ხომ სხვას ასოს მეტს არას ვიცნობდი. სამის თავისა სახარებისა, რაც პასექიდამ ამაღლებამდე სწერია, სულ ეწერა. თუ არა, ამისი მოწამე თანა მაქვს დიაღ, რომ მომეწონა და გამიკვირდა ერთი იმისთანა პატარა ხატი მიბოძა. სოლომონის ქება ქებათა სწერია. ეს ნახეთ და იმასაც შეიტყობთ და დაიჯერებთ. რამდენი უანგარიშო სხვა გვაჩვენა. სხვას სახლში რამდენი უცხო ფრინველი. უფროსი ერთი ცოცხლის მსგავსი. თავისის ფრთით, ბურტყლით. სანამდი ხელს არ ახლებდი ვერ შეიტყვი, ცოცხალი არ არისო. ერთი სკივრი თავის ხელით გამოიღო და მაჩვენა. აქატი, იამანები და ეშმი. და ამგვარი თვალები დათლილი. ქლიავი, სხალი, ვაშლი, კომში და მისთანები გარეშემო ეკრა. არ დაიჯერებდი, მართალი ხილი არ ასხიაო. მაგრამ არც სანთლისა იყო, არც შაქრისა, არც ძვლისა, არც გაჯისა. ამ ძვირფასი თვლებისა იყო, ძნელად გასათალი. რამდენი უცხო, ვინ მოსთვლის, თავის ხელით ნამუშაკები: ზოგი ღვინჭილა სხვადასხვა გვარი, ზოგი თავი და უცხო კენჭები. ყვავილოვნად დაეწყო. *ამაზედ ნუ გაიცინებთ.* მისთანა არც ღვინჭილა და არც კენჭი *გინახავთ* და შეწყობა უფრო არა. ჩემს უკან, ღმერთმან ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას“ (გვ.გვ. 35-37).

ამ ფრაგმენტით, რომელშიც ავტორი დიდი ოსტატობით აღწერს ცვილის თუ ხის ფიგურებით საშობაოდ გაწყობილ სცენას, რაც დღემდეა შემორჩენილი კათოლიკურ ქვეყნებში, აშკარავდება, რომ სულხან-საბა თავის მკითხველში არა ზოგადად მკითხველს, არამედ სწორედაც ქართველ მკითხველს, მხოლოდ ქართველ მკითხველს გულისხმობს, მაგრამ აქაც გაუგებარი რჩება ეს მკითხველი ერთია თუ ერთზე მეტი. თუმცა სხვაგან, სხვა ფრაგმენტში, რომელიც, სხვათა შორის, წინ უსწრებს ზემოდმოხმობილ ოთხს და რომელშიც სულხან-საბა ასევე მკითხველს მიმართავს, აშკარაა, რომ „მოგზაურობის“ ტექსტი მკითხველთა სიმრავლეზეა ორიენტირებული და მათ შორის ვახტანგ მეექვსე მხოლოდ ერთ-ერთად შეიძლება იგულისხმებოდეს.

„ადრიან წამოვედით. შვიდი ზარბაზანი კიდევ გასტყორცეს. რამდენსაც ზარბაზანს გასტყორციდნენ, იმდენს ჩვენი მენავენი ვაივარელს დაიძახებდნენ, ზარბაზნის მადლის გარდახდა იყო ქართულად, ასე მოვა: იდად მეფესა! იდად, ***ვინც არ იცით,*** ალხინეო, სიცოცხლეს ჰქვიან. კაი სოფლები და მაგარი ციხეები ჩამოვიარეთ. ათი მილი ვლეთ“ (გვ. 5).

აქ ნათელია, რომ სულხან-საბა ერთზე მეტ მკითხველს მიმართავს: ვინც არ იცითო, ამბობს იგი და გულისხმობს, რომ მის თხზულების პოტენციური მკითხველთაგან ზოგმა იცის, რას ჰქვია „იდად“, ზოგმა კი – არა.

კიდევ ერთი მაგალითი ამის დასტურადვე:

„სამს მკათათვეს. ...შეევდით სასუფეველის მსგავს ეკლესიაში. სამასი ბიჯი სიგრძე აქვს, ორასი ბიჯი განი. [ბიჯი ორის ფეხის გადადგმას ჰქვიან, რომ ხუთი ტერფი გამოვიდეს] შუა დიდის გუმბათის სისწორ წმიდის პეტრეს საფლავია“ (გვ. 18)...

ბიჯის განმარტება უეჭველად მკითხველისთვის არის განკუთვნილი და ეს მკითხველი არამც და არამც არ შეიძლება იყოს ვახტანგი, რომელმაც, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რას ჰქვია ბიჯი.

ის, რომ თავის მკითხველად სულხან-საბა (მხოლოდ) ვახტანგს არ გულისხმობს, იმ ფრაგმენტიდანაც დასტურდება სადაც ავტორი ვახტანგ მეექვსეს სრულიად განყენებულად იხსენიებს.

„კარდინალი საკრიპანტი ვნახე. და სადილს უკან ორი ეპისკოპოსი მოვიდენ ჩემს სადგომს და წამიყუანეს. წავედით. ერთს კაცის სახლში შემიყუანეს. ერთი მარმარილოს საფლავი მაჩვენეს. კარგა გათლილი და სარქვლით. შიგ ერთის კაცის ძვლები ყოფილიყო და ძველი თეთრი და მისთანები. ერთი სხვილი ტილოს ხეში რომ იქნება მისთანა იყო. ორის კაცის სიგძე ვერ იყო. განიც ადლი ექნებოდა. ისიც იმაში დებულიყო. დაუწყეს სანთელს ღვენთება. გალიფეს, მოუკიდეს ცეცხლი. სანთელი სულ ამოიწო. ის ტილო გარეცხილსავით დარჩა. მერმე ნაკვერცხალი დაუყარეს. პატარა საბერველით უბერეს. აეგზნო ნაკვერცხალი და გარეცხილს გვანდა. ცეცხლმა ვერ დააკლო რა. ათასი მარჩილი ეძლია ფრანჩისის კარდინალს და არ მიეცა. მე რით შევიძლებდი სყიდვას, ***თვარა ვახტანგ მეფისათვის კაი ძღვენი იყო*** . ის ფრანჩაგვისაგან არის. ამიანტოს ჰქვიან. წიგნები ქვად არა სწერია. ხედ სწერია. ის ქვაც მინაცავს. ***ყეენს გამოეგზავნა ვახტანგ მეფისათვის***. ამისი ხელსახოცი ეგება მიშოვნო სადმეო“ (გვ. 79).

ცნობილი ჟურნალისტური ხერხია – შენს მკითხველს, შენს მიზნობრივ აუდიტორიას, როგორც დღევანდელი სოციოლოგები იტყოდნენ, მათთვის უცნობი რაიმე მოვლენა თუ ნივთი მათთვის ნაცნობ და ახლობელ, ადვილად გასახსენებელ მოვლენასა თუ ნივთთან შედარებით აღუწერო. სწორედ ასე იქცევა სულხან-საბა ორბელიანი თავისი „მოგზაურობის“ რამდენიმე ეპიზოდში, რაც იმის ნათელი ილუსტრაციაცაა, რომ თავისი დღიურების მკითხველად იგი მკითხველთა კონკრეტულ სიმრავლეს – ქართველობას მოიაზრებს. აი, ზოგიერთი ამ ეპიზოდთაგანი:

„შუა დღეს უკან წაგვიყუანეს წმიდა ჩიჩილას სახლში, რომ ჩვენით წმიდა კიკილა ქალწულ-მოწამეა“ (გვ 43).
„იმ ხატის სისწორ მაღლა კედელში ორი წითელი იაგუნდი ზის. ხახულის ღვთის მშობლის თვალს უფროსი არის და უკეთესიცა“ (გვ. 90).

„ი~ ენკენისთვეს ვლეთ და კაი შენობაები კაი ქალაქები ჩამოვლეთ. დავაკება ადგილი იყო, ოდიშის მსგავსი“ (გვ. 111).
„ამ ქალაქის მეფის ქალს ლოზოლა რქმეოდა. ჩვენის ენით ვარდუად გამოითარგმნება“ (გვ. 118).

ასე და ამგვარად, ჟურნალისტიკის არქეოლოგიამ დაგვანახა, რომ სულხან-საბას თავისი დღიურები პოტენციურ მკითხველზე აქვს გათვლილი და რომ ეს მკითხველი არ არის ერთი კონკრეტული პიროვნება, და რომ ეს მკითხველი ქართველია. ამავე დროს, ტექსტის გამოწვლილვითი ანალიზით ირკვევა ისიც, რომ სულხან საბა განათლებულ მკითხველსაც გულისხმობს, თუმცა ზოგმა მათგანმა შეიძლება არ იცოდეს, ფეხის რამდენი გადადგმაა ბიჯი. თავისთავად, წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი XVIII საუკუნის დასაწყისში უკვე გულისხმობს განათლების საკმაოდ მაღალ დონეს, მაგრამ საბა, როგორც ჩანს, უფრო განათლებული მკითხველიც ეიმედება. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს მისი ასეთი ფრაზა: „სულ სოფიოთ ძირი მოფენილი. და ელენე დედოფლის დაბლა სამწირველო, ***როგორც იერუსალიმს არის***. დიად, მოსაწონი იყო. რომელსაც ეკლესიაში მივედი, უფრო და უფრო გვეუცხოვა“ (გვ.79).

ეს ციტატა მრავალმხრივ არის საინტერესო. ერთი, რომ თავის მკითხველთა შორის სულხან-საბა იმ კატეგორიასაც მოიაზრებს, ვინც იერუსალიმშია ნამყოფი, რაკი რომის ერთ-ერთი მონასტრის ინტერიერის აღწერას იერუსალიმის ტაძართან შედარებით იწყებს და ამთავრებს; მეორე მხრივ, ეს ადგილი გვაფიქრებინებს, რომ სულხან-საბა ორბელიანი შეიძლება თავად იყო იერუსალიმში ნამყოფი და „ჟურნალისტურ“ სიჩქარეში ვერ გაითვალისწინა, რომ მკითხველთა უმეტესობისათვის ასეთი შედარება ერთი უცნობის მეორე უცნობით განმარტება იქნებოდა. რაკი სულხან-საბა ორბელიანის იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, არ არის გამორიცხული, რომ რომისა და იერუსალიმის ეკლესიების პარალელი სულაც იერუსალიმში ნამყოფი რომელიმე გადამწერის ნაკალმარი იყოს. თუმცა ამჯერად ეს არ არის ჩვენი ინტერესის საგანი.
ერთიც უნდა ითქვას: სულხან-საბა ორბელიანი არათუ გულისხმობს მკითხველს, არათუ მიმართავს მას, არამედ მისი ნდობის მოპოვებასაც ესწრაფვის. ამას გვაფიქრებინებს მისი შემდეგი სიტყვები:
„მაგრამ, რომ შეველ მის მონასტერში, გაკვირვება დამეცა. ან ეკლესიის სიკეთე და შემკობა, ან ნაშენობა, ან სიმდიდრე და კანდელი დასასანთლე ნაწილი მგონია შვიდასი ლიტრა ვეცხლი იყო. თოთხმეტი მთელი კაცის ტოლტოლი ვერცხლის წმიდაები. ***მაგრამ ყველას ვერას თავს გაუალ და ამას იტყვით: ყველას ასე სწერს, თურმე ტყუისო.*** სხვა სხვარიგი და წვლილი უანგარიშო. ამას დაგიწერ: წმიდა გრიგოლი საკვირველთ მოქმედის თავი და წმიდა ეგნატი ღმერთშემოსილისა, ისევ ბერძნულის გვირგვინით, ბისონით, ომფორით. ნაწილები კაცის ტოლები და

წმიდა სფირიდონ საკვირველთ მოქმედის მარჯვენა მკლავი იქ იყო. უცხოდ მორთული მონასტერი, მომცრო. გაუწყობელი წალკოტი. შვიდი, რვა შადრევანი. მაგრამ უცხო ქვები და აკატები, ან პარაგონეს ქვები. გამიკვირდა“ (გვ. 65-66).

სულხან-საბა თავადაც კარგად გრძნობს, რომ რომის საოცრებების აღწერისას ხშირად მეორდება, რომ მის ტექსტში აქა-იქ ჩნდება გარკვეული შტამპი, რომ არ არის გამორიცხული, მკითხველმა რაღაც მომენტში აღარ დაუჯეროს მას და თვითონ უსვამს ხაზს ამის საშიშროებას, რითაც გარკვეულწილად თავს იზღვევს.

სულხან-საბა იმასაც ხედავს, რომ სიზუსტისა და დაწვრილებითი ჩამოთვლის გამო სიწმინდეთა, ტაძართა თუ სასახლეთა მისეული აღწერები ხანდახან მოსაწყენი ხდება და ამასაც თავად აღნიშნავს, ეროგვარად ებოდიშება რა მკითხველს:

„სადილს უკან სხვა მალთისელი იყო. ისიც ფრანცისი. იმას უდარბაზე. დია კაი მორთული სახლ-კარი ჰქონდა, ზღვაზე წაკიდებული. მრავალი რამ კაი ვნახეთ მის სახლში. ***მაგრამ გრძელი ამბავი თავის საწყენია***“ (გვ. 131).

ამრიგად, გაირკვა, რომ სულხან-საბას სამოგზაურო დღიურები იმთავითვე ფართო მკითხველზეა ორიენტირებული. შეიძლება საქმე გასარკვევადაც არ ყოფილიყო, ამ ტექსტს სრული სახით რომ მოეღწია ჩვენამდე, რადგან სავარაუდოა, რომ ტექსტის დასაწყისშივე სულხან-საბას ჩამოყალიბებული ექნებოდა თავისი მიზნებიც და ამოცანებიც. იქ ალბათ რაღაც ფორმით, პირდაპირ თუ ირიბად ნათქვამი იქნებოდა ის, რის გამოც სულხან-საბა სვეტიცხოვლის ეზოში წვერით ათრიეს და რაც აშკარად გამოსჭვივის „მოგზაურობის“ მთელი ტექსტიდან: ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ეს ოპუსი სულხან-საბამ კათოლიციზმის პროპაგანდის მიზნით დაწერა და იგი ფართო მკითხველისათვის იყო გამიზნული. მაგრამ თუ მან ადრესატამდე ვერ მიაღწია და ვერც პროპაგანდისტული ფუნქცია შეასრულა, ეს იმ საეკლესიო ცენზურის ბრალია, რომელიც საბას ნაწერებზე მისი ევროპაში ყოფნისას უნდა გავრცელებულიყო საქართველოში. საქმე ის არის, რომ 1713 წელს, სწორედ ევროპაში „გაპარვის“ წინ სულხან-საბა ორბელიანმა გაასრულა თავისი „საქრისტიანო მოძღვრების“ ანუ „სამოთხის კარის“ მეორე ავტორისეული რედაქცია, რომელიც პირველისაგან (1701 წ.) იმით განსხვავდება, რომ თუ ძველ რედაქციაში ოდესღაც „ფარული კათოლიკე“ (ი. ლოლაშვილის სიტყვებია) ფრთხილად უვლის გვერდს სადავო დოგმატებს, მეორეში იგი მათ უკვე კათოლიკური ღვთისმეტყველების პოზიციებიდან განმარტავს. ამ ორი რედაქციის ურთიერთშეჯერება არკვევს სულხან-საბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს საკითხს – თუ როგორი ცვლილება განიცადა მწერალმა რელიგიურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის მხრივ და რატომ სდევნიდნენ მას და მის ნაწერებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურები. „სამოთხის კარს“, სწორედ კათოლიციზმის პროპაგანდის გამო, ანტონ კათალიკოსმა „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ უწოდა. (თუმცა ამ დამოკიდებულების საპირწონედ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი, ვინც ჯერ კიდევ 1880-ნ წლებში სულხან-საბა

ორბელიანის „მოგზაურობის“ ტექსტის ცალკე წიგნად გამოცემისათვის იღვწოდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე ეპისკოპოსი იყო.)

* * *

ახლა – რამდენიმე მაგალითი იმის საჩვენებლად, რომ სულხან-საბა ფაქტობრივად სინქრონულად, იმავდროულად იწერს ყველაფერს, რასაც ნახულობს, რასაც აჩვენებენ, თითქოს თანამედროვე ჟურნალისტი ბლოკნოტ- თუ დიქტოფონმომარჯვებული დადიოდეს რომის ქუჩებში, ტაძრებსა თუ სასახლეებში და ხელთ მის მშობლიურ ენაზე გამოცემული ვეება ილუსტრირებული გზამკვლევი ეპყრას. სხვაგვარად ნანახის ასეთი დაწვრილებითი აღწერა წარმოუდგენელია, რაგინდ მაღალი აზრისა ვიყოთ სულხან-საბას მეხსიერებასა და მისი დაკვირვების უნარზე:

„[...] ყოვლად-წმიდის ეკლესია აუშენებიათ. ქრისტეს აკვანი იქ არის. ბეთლემის ბაგა და ქვაბის ქვები იქ არის. წმიდა ჯერასიმე მთელი იქ არის. წმიდა პიროს პაპა იქ არის მთელი. ოთხი მოწამე ტრაპეზში მთელი სხვა არის. იქით წმიდის ეკატირინე მოწამის – ტრაპეზში. ორი წმიდა შიგ ასაფლავია და მრავალი ნაწილები. ორი დიდი პორფირის სვეტი ექვს-ექვსი ადლი იქნება, სისხო სამი ადლი შემოსწვდება. სხვა წინ ერთი მთელის მარმარილოს ქვის პირამიდი მინდორზე უდგას, ოცდახუთი ადლი მეტი მგონია. ზედ ყოვლადწმიდა დგას. ძირში დიდი წყარო შადრევნად გამოუდის. ეკლესიაში ოთხი პორფირის სვეტი. კაცი მხარს შემოსტევს. ოთხოთხი ადლი სალხინებელს ტრაპეზთან აქვს და კამარა შეკრული. ზედ წმიდების საფლავია. ოთხი პორფირის სვეტი ტრაპეზის მარცხნივ, იმავ ტოლი. ეგრეთვე კამარას ზევით წმიდები ასაფლავია, და მარჯვნივ ოთხი პროფირის მსგავსი მარმარილოს სვეტები იყო. და აგრევ ზედ წმიდათ საფლავები და იმას და ტრაპეზს შუა ერთი ჭრელი ამარტის სვეტი იყო. სამი ადლი სიმაღლე ჰქონდა. ერთი ადლი შემოსწვდებოდა სისხოზედ. ზედ სასანთლე იყო, მაგრამ ის სვეტი ფასდაუდებელი იყო. სხვა რამდენი უცხო ქვები და უცხოთ მრავალ რიგი მარმარილოთ ნაშენი, ან კლდეები, ან იატაკი გასაკვირვალი იყო. სოფიოს კენჭითაც მრავალგან. ზოგი გარედამაც სოფიოთ დახატული იყო. მაგრამ ერთი დახატული ლაზარეს აღდგინება იყო. ყოველი იმ თემის ხელოვანი მხატვარი ცდილობს, რომ მისი მსგავსი დახატოს. ვერავის დაუხატავს. ერთი მარმარილოს ქვა იყო. ოთხი ადლი სიმაღლე, სამი – განი, მთელი. ზედ ყოვლად-წმიდის ამაღლება მოჭრილი, უცხო საკვირველად გათლილი იყო. ცოცხლებს გვანდა. მრავალი საკვირველება ვნახე იქ. ხაში თუ გვერდებში ცა სულ ინდოეთს გაკეთებული იყო. ხათაბანდი ასე რიგი, რომ ჩვენ არ გვინახავს იმგვარი. წმიდის პეტრეს ეკლესიაშიც მრავალგან იყო. იქიდამ წამიყვანეს. კოსტანტინე მეფეს რომ პირველი ეკლესია აუშენებია, შევედით. სვეტები ოთხჯერ ექვსი იყო, ხუთ კამარად შეკრული. სვეტები მრთელი არ იყო, ნაგები და სქელი. სვეტები სულ თეთრი მარმარილო, სვეტებიცა და კედლებიცა. შუა კამარის სვეტებზე თვითო დიდი თეთრი მარმარილოს მოციქული გათლილი იდგა. ტრაპეზს წინ

ოთხს სვეტზე აგრევ მაღლა პეტრეს და პავლეს თავი ესვენა. იქიდამ გამოგვიყუანეს. იმაზე ახლოს იყო პილატეს სახლის კიბე, რომ ზედ მაცხოვარს აევლო. სამს ადგილს ქრისტეს სისხლი დასხმოდა. ზედ ფანჯარა იყო, რომ მუხლი ვერავინ დაადგას. მუხლის თავით აგვიყვანეს. ფეხს ვერავინ დაადგამს. ოცდარვა ხარისხია მარმარილოსი. მაგრამ მუხლს გაუცვეთია, იმდენი სული იარება ზედეთ. მაღლა წმიდა წმიდათა დგას. იქიდამ ახლო იყო, სადაც კონსტანტინე მონათლულა. დიაღ, უცხო ნაგებია ფერადის მარმარილოთი. რვა სვეტი შუაზე, მგრგვლად პორფირისა. თვითო ოთხი ადლი მეტია. კამარა შეკრული. შუაზე ემბაზი. ქუეშეთ ხუთფერი მარმარილო სირჩის ძირსავითა და ზედ ის ემბაზი, ყმაწვილების სისხლით რომ ავსება უთხრეს. მთელი პროფირის ქვა. სიგძით კაცი გაიმართება, სიმაღლით წელამდინ იქნება. განიც მისი შესაფერი. ორი პორფირის ქვის სვეტი ცალს მხარეს სხვა არის. ტრაპეზთან იმავ ტოლი. იქიდამ სხვა მონასტერი იყო წმიდის ლაზარეს ბერებისა. იქ წაგვიყვანეს. რომის ნაპირს არის, თეატროზე ახლო, სადაც წმიდა ეგნატი აწამეს. იქ იოვანე და პავლე, ორნივ ძმანი მოწამენი, მათი სასახლე ყოფილა, იქავ ასაფლავიან. და ი დ შავი მოწამე რომ აწამეს, ისინიც იქ ასაფლავიან“ (გვ. 20-24).

წარმოუდგენელი სიზუსტეა ლიტერატურული ტექსტისათვის! ან კიბის საფეხურები როგორ და რატომ დაითვალა, ან სვეტები?! ან მათი სიგრძე-სიმაღლე როდის, როგორ და რითი გაზომა?! ასეთი დაწვრილებით აღწერა დღესაც კი შეუძლებელია, თუნდაც დიქტოფონის და ათასგვარი გზამკვლევის გამოყენებით! აქ უფრო სატელევიზიო, ვიდეოთვალის სიზუსტე თუ გამოდგება შესადარებლად.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ციტატა ერთი იმ ადგილთაგანია, რომელმაც პროფესორ ტარიელ კვანჭილაშვილს თავის დროზე ასეთი სიტყვები ათქმევინა:

„ქართული რეპორტაჟის ელემენტები შეიძლება ხელშესახებად შეიმჩნეს სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობაში“. მართალია, ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის ეს ნაწარმოები უტყუარად მიჩნეულია პროზაულ თხზულებად, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ჟურნალისტიკის თეორეტიკოსმა მასში რეპორტაჟის, სახელდობრ სამოგზაურო რეპორტაჟის ელემენტები შეამჩნიოს.

...აღნიშნულ თხზულებაში ბევრია რეპორტაჟული: გეოგრაფიული გარემოს აღწერა, ხალხის ჩვენება, მათი ადათ-წესების, საქმიანობის, სარწმუნოების, პოლიტიკურ ამბავთა აღწერა მოგზაურობის მსვლელობის კვალდაკვალ – ყველაფერი ეს ამ ნაწარმოებს აახლოებს ე.წ. სამოგზაურო რეპორტაჟთან. ცხადია, ჩვენ არ ვაცხადებთ, რომ ორბელიანის თხზულება რეპორტაჟიაო, ჩვენ მასში მხოლოდ რეპორტაჟის ელემენტებს ვხედავთ“ (საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1970).

საბას „მოგზაურობის“ რეპორტაჟულობას თვალსაჩინოდ ადასტურებს უაღრესი სიზუსტით აღბეჭდილი სხვა მრავალი ადგილიც ამ თხზულებიდან. აი, მაგალითად ეს ფრაგმენტი, რომელშიც არათუ ჟურ-

ნალისტური, ლამის კრიმინალისტური სიზუსტითა და სკრუპულოზურობით არის აღწერილი სამარხები, სანაწილეები თუ მუზეუმი:

...„იქიდამ სხვა, ახლა წმიდა ფრანჩისკოს პავლაელის მომცრო ეკკლესია იყო. იქ მიგვიყუანეს, მაგრამ მარტო ტრაპეზზე ოთხმოცდა თექვსმეტი ასეთი ვეცხლის სასანთლე იდგა, მოგეწონებოდა. სხვას სამკაულს გარდა, ერთის წმიდის ზიარების შარავანდედი იყო, უცხოდ რამ გაკეთებული. ეკკლესიის საქმე არ დაიწერება. რაც უცხო ვნახე, იმას ვწერ. იქიდამ მიგვიყვანეს სხვა მონასტერში. დიდი და კაი მონასტერი იყო, ოცდა ოთხი ფერადი მარმარილოს სვეტი ჰქონდა. თვითო ექვსი ადლი, მაგრამ ძირი და გვერდები სულ მარმარილო იყო ფერადი. და ტრაპეზს ქუეშ სამარტვილე უცხო გაკეთებული, სულ მარმარილოსი. ერთი მისთანა არ მინახავს. იქ ემარხა: დიდი წმიდა სილიბისტრო პაპა, მთელი; წმიდა მარტიანე პაპა მოწამე, მთელი; წმიდა ფლაბიანე პაპა მოწამე, წმიდა სტეფანოს პაპა მოწამე, წმიდა სუტურო, პაპა მოწამე, წმიდა სტერია ქალწულ-მოწამე, წმიდა კირისკოს ქალწულ-მოწამე, წმიდა მავროს პაპა, წმიდა პაპა, მავროს, ლარგოს, ლარდოს მოწამენი; წმიდა ჩიჩინია მოწამე, წმიდა ანასტასი პაპა, წმინდა ინოვკენტი პაპა, წმიდა კვირინე ეპისკოპოსი მოწამე, წმიდა არტემი მოწამე, წმიდა ჩიჩინო მოწამე, წმიდა პოლიონე მოწამე, წმიდა თეოდორე მოწამე, წმიდა ნიკარტოს მოწამე, წმიდა ქრისენტი მოწამე, წმიდა ასატუროს ქალწულ-მოწამე, წმიდა პალინოს ქალწულ-მოწამე, წმიდა მემია ქალწულ-მოწამე, წმიდა ივლიანა ქალწულ-მოწამე, წმიდა თეოფისტა ქალწულ-მოწამე, წმიდა სოფია ქალწულ-მოწამე, ბერძნების სასო და აია სოფიოს თავი, რომ ამაზე ააშენა იუსტინიანე. წმიდა კირიაკი, წმიდა იუსტინა და მრავალი სხვა ურიცხვი წმიდა. მარტინე პაპას რომ ქვა მოაბეს და რომის წყალში ჩააგდეს, ის ქვა და ერთი სვეტი მაღალი, სულ მოწამეთ სისხლით სავსე. წმიდის სილიბისტროს პალატი, სადაც არიოზის გულისათვის შეკრიბა მამანი მის ამბავზე, თვარა ის რომს არ იყო. ალექსანდრელი იყო. და წმიდის სილიბისტროს ნაჯდომი ადგილი. ესეები იქ ვნახეთ. იქიდამ მიგვიყუანეს ერთს დომენიკაანთ დედათ მონასტერში. ეკკლესია მომცრო იყო, მაგრამ საკვირველად საკვირველი შემკული იყო. სულ ფერადი მარმარილო. ამის მეტი რა გითხრა. ვახტანგის კარის ეკკლესიად დავნატრე: მე მიმაძღნობინა მეთქი. მის ტრაპეზზე წმიდის ზიარების კოლოფს ექვსი ლაჟვარდის სვეტი ჰქონდა. თვითო ნახევარ ადლი სიმაღლე და ცალი ცერი და შუათითი თუ შეეტეოდა. მაგრამ მრავალი უცხო ქვები და თვლები: აკატი და მისთანები, დათლილი, დიდრონი. ზოგი მტკაველზედ ნაკლები იყო. მაგრამ თვითო მტკაველი ორი წითელი ქვა იყო. წვლილად ჭრელი, არევით რაც ფერია. დიდ ხანს დახატული მეგონა. იმ სიუცხოე ერთი ვერა ვნახერა. ვიკითხე იმ ქვას რას ეძახდენ. დავაშავე, ვედარ მივხუდი. მრავლის უცხოების ნახვით აღარ გვაცალეს საკითხავად. იქ ტრაპეზზე ერთის წმიდის ეკატირინას სახე იყო. თეთრი მარმარილო, გათლილი ოთხს ანგელოზს ღრუბელზე მჯდომი მიჰყუანდა. ერთი ქვა მთელი და დიდი ხუთი ადლი უნდა ყოფილიყო. ამას კაცი არ იტყოდა, აგერ არი გამომელაპარაკებაო.

[...] სხვა მხარეს, ჩრდილოსაკენ სხვა ავზი იდგა. წმიდა იოსებ მარიამის ქმრის ხელსახოცი, თომა მოციქულის ნაწილი, მაგრამ მაგდანელის ჭურჭლის ნატეხი, წმიდის ბასილის ნაწილი, წმიდის სილიბისტროს ნაწილი, ყოვლად წმიდის სარტყლის ნაჭერი, ლავრენტი დიაკვნის სკარას ნატეხი, სტეფანე პირველ მოწამის გვერდი, მაქსიმე, ბენი, ანასტასი მოწამეთ ნაწილი, ანსერმოს ეპისკოპოსის ნაწილი, წმიდის ბენარდეს ლურსმნის სარტყლის ნატეხი, რემიჯიო ეპისკოპოსის ნაწილი. ესეები იყო და პონტიანოს მოწამის და სხვა მრავალი. უკან მხარეს შავი მარმარილოს აუზი იყო. იმაში წმიდის გიორგის ნაწილი, ევფემიას ნაწილი, მაკაბელთ ნაწილი, ივლიანე მოწამის ნაწილი, კვიპრიანეს ნაწილი, ანდრიას ჯვარის პატარა ნაჭერი, კიკილას სისხლი, ყოვლად წმიდის სამოსლის ნაჭერი იყო. იქიდამ შეგვიყუანეს წმიდის კიკილას აბანოში. სამწირველო იყო. იქ ეწამებინათ. ერთს ორმოში ქვაბი იდგა, რაშიაც ზეთით ადუღებულში ჩაეგდოთ ეს. დაგვიღამდა. მართლა ვერ გავსინჯეთ.

[...] მერმე სხვა სანაწილე გააღეს. გვაჩვენეს. გასაოცარი ნაწილი იყო. მოციქულების ყველას ნაწილი. წმიდის ანდრიას ფეხი, იოვანე მახარობელის ჩოხის ნაჭერი, იაკობის ჩოხის ნაჭერი, წმინდის ფილიპეს მკლავი, თომას ორი თითი და თავის ნატეხი. ყველასი ცოცოტა რამ. დიდი ანტონის თავი. წმიდის საბას თავი. ზოგისა თავი, ზოგისა რა, უანგარიშო, უცხოდ გაკეთებულები. წმიდის ბენარდეს მაშია, წმიდის აპოლონიას რომ კბილები დაგლიჯეს, ის გაზი. მრავალი ურიცხვი და ცხრა ასი მთელი მოწამისა გვამი. იმ ეკკლესიის ძირში ემარხა. ის ეკკლესია ხით იყო დაბურვილი. მერმე გავსინჯე, მაგრამ მრავალი განსაკვირვალი ქვა იყო და უცხოდ ნაქმარი გვერდები: ზოგი სოფიოთ დახატული, ზოგი ბერძულის ხელითა. ძველთაგან სულ ბერძული სახეები იყო, მაგრამ საცა მონათვლა ვისიმე ეხატა, სულ თავზე დასხმითი იყო. თურმე ფრანგებს ახლა არ შემოუღიათ, ძველთაგანვე სცოდნიათ. სვეტები სულ გრანიტის ქვა იყო ორმოცამდი. თვითო ექვსი ადლი. ამავე დღეს, შუადღის უკან, წაგვიყუანეს სხვა იეზოვიტების მონასტერში. დიდი მონასტერი იყო. ას სამოცდა თექვსმეტი მამანი იდგენ. აგვიძღვა მათი წინამძღვარი. შეგვიყუანა ერთს კაი დაფენილს სახლში. რაც ზღვის უცხო თევზი იყო და დიდი ცხოელი, ის გვაჩვენა: კორკოდილო და ვეშპის ძვლები. ერთის ზურგის მძივის ძვალი გავზომე ვეშპისა იონა რომ ჩანთქა. ცალიერი სიმგვრგლე ორს მტკაველს ჯოგი აკლდა. აქათ იქით ფხას გარდა, მისი ყბა მაღლა ეკრა. ერთი მხარე სიგძე მეტი ჰქონდა, ხორცს გარდა, წინ წაშვერილი. ამ გვარები მრავალი უცხო. სხვა კარი გააღო და ზღვის მომცრო ცხოველები სულ მთელ მთელი იყო. სხვა კარი გააღო უცხო და უცხო სადაფი, პინა და მისთანაები. სხვაში სხვადასხვა რიგი ლოფორთქინის მსგავსი დიდროვანი უცხო და უცხო. სხვაში თევზის რქები და კბილები მრავალ რიგი. სხვაში ირმის, მარტო რქისა, შვლისა, ჯიხვისა, არჩვისა, კამეჩისა, გარეგუელი თხისა და მრავალი უცხო ნადირისა. ზოგი ორი ადლი სიგრძე, ზოგი მეტი, უანგარიშო ამგვარები. რქები დიდროანის ხარის, რქები საკვირველად დიდი. სხვაში: კოსტანტინეპოლის კაცი როგორ მოირთვის, ქალი როგორ. იქაური მაშია საქალო, საკაცო. ურუმული კოვზები, მათი უბის ქისა და რაც მათს ქვეყანას იშოე-

ბოდა და წესია, ის იყო. ბერძულის ბერების ქუდები, მათი რაგინდარაე-ბი. სხვას კარში არაბისა, სხვაში აბაშისა, სხვაში ინდისა და მათი უცხოები. სხვაში – ჩინისა ამგვარები. სხვა კარი გააღო: ინდოური ცხოველები, ნადირები, ომაინი ხმელი და ამგვარები. სხვაში – ჭიქები. ზეთები იდგა. შიგ ჩაეგდო, ისე ეწყო – უცხო და უცხო გველები, უცხო და უცხო მსვენი და ხვლიკები, ღრინკალები, საკურველები. ძაღლის ლეკვს რვა ფეხი ჰქონდა, სხვა პირუტყვის შვილი, თერთმეტი ფეხი ჰქონდა. უცხო ჭიები. ამგვარები ჰქონდათ. სხვას სახლში ერთის თვის ყმაწვილი მოწყვეტილი, ორის თვისა, სამის თვისა, ოთხის თვისა, ხუთის თვისა-და მერმე მართალი ყმაწვილი. სხვა სახლში კაცის მუმია და რაც ფრინველია, ყველას ძვალი: გაშიშვლებული. მაიმუნისა, ნასნასისა და წვლილის ნადირების ძვლები. სხვა კარში – თევზის კბილი და სპილოს ძვლის დათლილი ხეები, ყვავილები სხვადასხვა რიგი. ერთი ჯაჭვი იყო სპილოს ძვლისა, მთელი, შეუწებავი. ერთი მხარი ვერ იყო. წვლილი, ერთმანეთში გამოთლილი და ზედ ჯვარი ეკიდა მისივე. ქრისტე ჯვარცმული და მრავალი ამგვარი, უცხოები. მთელი ჭიქები პირ ვიწრო და შიგ ქრისტე და წმიდები და ყუავილები და აგრევ შიგ სხუადასხვა რიგი კაცები და ომები და გარეშემო სპილოს ძვლის ყვავილები. პირ ვიწროს ჭიქებში როგორ შედვეს! სხვაში უცხო ფიტები თაფლისა, უცხოდ ნაქმარი. უცხო კვერცხები, ზოგი გრძელი, ზოგი აყიროს მგზავსი, ქათმისაგან დადებული, საცა რამ ამგვარი უცხოები იყო. სხვაგან სპილოს ძვლის დათლილი კაცი და დედაკაცები. ზოგი კერპი ღმერთები. სხვაგან უცხო მარმარილოს სახეები, დათლილი. სხვაგან პაპების და მეფების სახეები და მათი საქმე. სხვას კარს შიგნით უცხო ქვები დატანებული: იამანები, აკატები ჭრელი. ზოგი კაცისსახე გამოყუანილი, ზოგი ფრინველისა, ხეთა და ყვავილთა, თავის აგებულობით ქმნილი, საკვირველები. კაცი გაოცდებოდა. სხვას კარში სარკით იყო მორთული. აქათ იქით – ერთი მწვანილის წალკოტი სანამ თვალი მისწვდებოდა. გარდააბრუნა: სულ რაც ხილი იყო, ხილები გამოჩნდა. ისევ გარდააბრუნა: სულ სხვადასხვა რიგი შაქრიელი გამოჩნდა. ისევ გარდააბრუნა: სხვა რამ გამოჩნდა. სანამ თვალი მისწვდებოდა, რამდენჯერ გარდააბრუნა, იმდენი სხვა გამოიცვალა. მერმე ერთი კლიტე დაძრა. სულ იმაში გამოედინა შადრევნები. სხვა კარში ყიზილბაშის მორთვა, ქაშნის ჭურჭელი, ყუმური ჭურჭელი და მათი საქმე. სხვაგან ჩინის მორთვა და ჩინური იარაღი, ნასაქმი სხვა-რიგი. სხვაგან ალბასტრის დათლილი ჭურჭლები. სხვაგან ცუდი თიხის ჭურჭლები. სხვაგან ისრები, ხმლები, ფარები. სხვაგან უცხო ხატები. სხვაგან ძოწები, შავი, თეთრი, ყვითელი, წითელი. სხვადასხვა რიგი ხეები, სხვადასხვა რიგი საქმეები, უანგარიშო. წამოგვიყვანეს. ერთს სახლში შეგვიყუანეს. ერთი მართალი ორღანო, რაც სხვა გვინახავს ორღანო, იყო. ზეიდამ მჭედლები რაღაცას მუშაობდენ. კარი გააღო ამ პატრმა. ორღანოს საბერველს ბერვა დაუწყო. ერთი ჩხირი დაძრა. ერთი ბულბული რომ ყეფდეს, ისე დაიწყო ძახილი და ხანდახან, ბულბულის ხმის გამოცვლაზე, გუგული დაიძახებდა კუკუსა. დაიჯერეთ მართალია. მერმე ორღანოს სათითურებმა უხელოდ ძვრა შექმნეს. სამი-ოთხი ხმა ისე დაუკრეს. სხვას მხარეს სხვა გააღეს. ერთი პატარა ორღანო იყო. სამი კა-

ცი იჯდა და ორი დედაკაცი. ერთი ჭახრაკი ააბრუნა პატრმა. კაცებმაც და ქალებმაც ძრვა და მიხედ-მოხედვა დაიწყეს. ორღანო უკრევდა, კაცები თამაშობდენ და ქალებს სირჩა ეჭირათ, ვითომ ღვინოს სვემდენ, პირზე მიიდებდენ. სხვა კარი გააღო. ერთი ჭახრაკი დაძრა. სამი კაცი იჯდა. ერთმა სოინარი აიღო. კვრა დაუწყო. ორთ ეძინებოდა. სხვას ადგილს ისევ ერთი შავი კაცი იყო, ძაღლის პირით. თვალსა და ყბას იძრევდა. ნაღარას უკრევდა. გამოგვიყუანა. ერთი კარი გააღო. სარკის ჩადრი იყო. დავით წინასწარმეტყველი მეფურად მოკაზმული იჯდა. ქნარს უკრევდა. ხმა ისმოდა. მიიხედავდა, მოიხედავდა, თავს მოგვიდრეკდა. წინ ორი კაცი უჯდა, ერთი სანთურს უკრევდა, ერთი იმათს ტრუმბედას. მაგრამ სარკეში მრავალგან ჩნდა ეს კაცნი. მრავალი საკვირველება ვნახე, მაგრამ ამის მეტი ვერ დავისწავლე. მერმე მათი საწიგნე დამატარეს. მერმე სააქიმოში ეს ვნახე. ოცი ასეთი პორფირის ქვის ჭურჭელი იდგა, თვითო საპალნე მეტი, ზოგში ცოტად ნაკლები ჩავიდოდა, თრიაქფარუხით სავსე. იმას ზეით სხვა ჭურჭლის ანგარიში არ მიქნია. მრავალი უცხო წამალი, მაგრამ რათ დამეწერა. ვნახე ვარდის წყლის სახადი. ერთის ცეცხლით შვიდი რიგი სხვადასხვა გამოიხდებოდა. ვნახე სხვა არაყებისა, ერთის ცეცხლით ხუთი რიგი გამოიხდებოდა. ვნახე სხვა ძვირფასის არაყებისა, ერთის ცეცხლით სამოცდა ექვსი რიგი სხვადასხვა გამოიხდებოდა. ან ხელსაფქვავი, ან ზეთების სახდელი, უცხო რიგები, არ ითქმის“ (44-51).

რაღა არ ითქმის! ან მეტი რაღა უნდა დაიმახსოვროს კაცმა! ამის მეტი ვერ დავისწავლეო, ისე ჩივის და ისე გვებოდიშება საბა, თითქოს რაც მან დაისწავლა თუ დაიმახსოვრა ცოტა იყოს! სცადოს რომელიმე ნიჭიერმა და ამბიციურმა მკითხველმა და თუნდაც ათჯერ წაკითხვით ამ ჩამონათვლის მეათედი აღადგინოს! მე ვცადე და არაფერი გამომივიდა. ვერა და ვერ გამირკვევია, ინფორმაციის მიღება-დაგროვების რა საიდუმლოს ფლობდა სულხან-საბა, თუნდაც იმავე საღამოს ასე დაწვრილებით რომ შეეძლო ნანახის გადმოცემა. ნუთუ მხოლოდ ფენომენურ მხედველობით თუ სმენით მეხსიერებასთან გვაქვს საქმე? და მოხმობილი ციტატები გამონაკლისი სულაც არ არის –ასეთი საოცარი აღწერები სხვაც მრავლადაა „მოგზაურობის“ ტექსტში (გვ.გვ. 52-64, 88-92, 98, 108-109, 127-136, 139-141...).

* * *

გარდა ამისა, სულხან-საბას დღიურებში გვხვდება ისეთი ცნობები, თანამედროვე ენით – ინფორმაცია, რაიც არამც და არამც არ არის პროზის თვისება, რაგინდ დოკუმენტური იყოს ეს პროზა, არამედ სწორედაც ჟურნალისტიკისათვისაა დამახასიათებელი და თანამედროვე გაზეთიდან გადმოწერილი ეგონება ადამიანს. ასე, მაგალითად:

„ოცდა ხუთს ღვინობისთვეს ოთხი ჟამი დარჩომილიყო, მალთას მივედით. მალთას ამბავი რომ დავსწერო, ძნელია, როგორც არის, მის დაწერა.

მალთა კუნძულია – მელიტონი. რომ წმიდა პავლე მოციქულს ხელზე გველმა უკბინა, მრავალი გველია და მასუკან კაცს ვეღარ უკბენს. მრავალი ხუთოც იპოება. მასუკან მთელი გველი, გაქვავებული გველის თვალი, ენაები, თავი გაქვავებული მრავალი. კურნებაც შეუძლია. მალთა სამოცი მილია სიმგრგვლე და შიგ სამოცი სოფელია. მალთას ქალაქი აღმოსავლეთის მხარეს არის, ზღვის პირს. უწინ ზეით ყოფილა. ხვანთქარი სამჯერ თითონ მიხდომია. ერთხელ კიდეც აუღია, მაგრამ გამოუქცევიათ. მიმშველე მრავალი მიშველებია. მასუკან ზღვის პირად აუშენებიათ. ზღვის პირს ერთი კლდეა ვაკე. უფლის ციხის მსგავსი, ადვილი საჭრელი. და ერთი ნავსაყუდელი ერთს მხარეს მოუვლის, მეორე – მეორეს მხარეს. და მერმე ოროლად გაიყოფა. ორივ ქალაქს უკან თავებს მოიკრებენ ახლო-ახლო და ორი სხვადასხვა მხარეს მიუდგებიან. სულ კლდეა. ერთი კარი ზღვიდამ შევა, ერთი ხმელეთიდამ. ორივ კარები, კლდე გაუხვრეტიათ დიდს ადგილსა, და ისე შეისვლება. შესავალზე ორგანვე ხიდები დაუცთ. ქვეშეთ კლდე ჩაუჭრიათ. ხიდს როსცა უნდა აიღებენ, როცა უნდა გასდებენ. ჯაჭვებით არის გამართული. ხმელეთის გზისაკენ, ხიდს იქით, ერთი კაი მინდორი აქვს. მინდორსა და ქალაქსა შუა ორს ალაგს კლდე გაუჭრიათ. ორი ფილისკინა შემოუვლიათ, რომ მეტად ღრმა და განიერი. მინდორს უკან, ზღვის სრუტეებიც ახლო-ახლო მოვა. ერთი მაგარი ციხე შუა გაუბამთ და კარი გვირაბად ჩაუტანიათ. ეტლები შევა, გამოვა. იმას ქვეით გალავნები: ზოგი ციხის მსგავსად, ზოგი წალკოტები აუშენებიათ. და მადალი გალავნები მოუსწორებიათ და ხეები დაურგავთ, რომ ფოლორცები ასე დაუქსაქსავთ, მშვიდობაში, თუარ იქაური კაცი, ვერას გაიგებს, ძნელად შევა, არამთუ მიმხდომმა კაცმა რა გააწყოს. ზღვის ორსავ ნავსაყუდელის პირზე სულ გარშემო სხვა სოფლები აუშენებიათ. ერთ ქალაქად გაუხდიათ. შიგ სრულ ახლო-ახლო ციხეები დიდრონი დაუტანებიათ. ოცდა ცამეტი ციხეა. და ახლა ჩემობას იმ სოფლებს გარს სრულ გალავანს ავლებდენ, ციხედ ამაგრებდენ. ხვანთქრის მილოდინს ჰგონებდენ. ქალაქი არც დიდია, არც მომცრობა ეთქმის. მაგრამ აქ რაც შენობა დამიწერია, სრულობით გათლილი ქვაა. ქალაქი, გალავნები, ციხეები, გაღმა სოფლები, მისი გალავნები, თუ ფოლორცის ქვაფენილი, გაუთლელი ქვა არსად იპოვება. ციხეებში, თუ გალავნებზე სულ ასე ზარბაზნები აწყვია, ორი კაცი შუა თუ გაუარს. წყალი შორიდამ აქვს მოტანილი. მაგრამ ასეთი ჭები მოურთავთ, ერთის წლის წყალი შეინახება. და ამას გარდა რაც წვიმა მოვა სრულ ხეებში აქვს ადგილი შესანახავი. სიკილია ახლო აქვს. შუა სამოცი მილია ზღვა. ალიკორნა ექვსასი მილია. და მარჩილია ცხრაასი მილი. ჯენევიაც ახლო, ალიკორნიას ზეთი. მალე მიეშველებიან“ (126-127).

აი, მეორე ანალოგიური მაგალითიც:
„მალთაზე ბარბაროზნი ახლო არიან. ას ოთხმოცდა ხუთი მილია.
მალთადამ მარჩილია ცხრა ასი მილია.
მალთადამ ჯენევია რვა ასი მილია.
მალთადამ ალიკორნა შვიდასი მილია.

მალთადამ რომი ექვსასი მილია.
მალთადამ ნაპოლი ოთხას ორმოცდა ათი მილია.
სიკილია ნაპოლისა და მალთას შუა კუნძული ძეს.
მალთადამ სიკილია სამოცი მილია.
მალთადამ მორა ხუთასი მილია.
მალთადამ კონსტანტინეპოლი ათას ორასი მილია, მაგრამ ათას ოთხასად უნდა იანგარიშოს, ამისთვის მრავალი კუნძულია და გზა მიუხვევს.
მალთადამ კანდია, რომელსა თურქნი გირითს უხმობენ, ექვსასი მილია.
მალთადამ ზმირინი ცხრაასი მილია.
მალთადამ როდოს კუნძული, რომ მალთელები პირველ იქ მდგარან, იერუსალიმს უკან ცხრა ასი მილია.
მალთადამ კვიპრეს კუნძული ათას-ასი მილია“ (გვ. 136-137).

აი ერთიც:
„მალთაში არიან თორმეტის წლიდამ უზემოესი, რაც ეზიარებიან, ორმოც და ჩვიდმეტი ათას ორმოცდა ცამეტი სული ქალი და კაცი“ (გვ. 141).

ან კიდევ: „კოსტანტინეპოლის სიმგრვლე არის ექვსი ეჯი რომელ არს თვრამეტი მილი.
კოსტანტინეპოლეს და გალატას და პერას და უსკუდარას არიან ხარკის მიმცემი თხუთმეტის წლიდამ სამოც წლამდი:
ბერძენი სული ორმოცა სამი ათასი,
სომეხი – ჩვიდმეტი ათასი,
ურია – თორმეტი ათასი,
ფრანგი სული – ორი ათასი,
ქრისტიანი სტუმარი – ოთხი ათასი,
ტყვე კატარღისა, თუ სხვა – ორი ათასი,
თათარი – ოთხას სამოცდა თხუთმეტი ათასი.
ფრანგი და თათარი ხარკს არ მოსცემს.
ჩვიდმეტი თთვე კოსტანტინეპოლეს დავყავ და მაისის ცამეტს წამოვედით“ (გვ. 148).

* * *

ალბათ ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ რამდენიმე ადგილას საბასთან ახალი ამბავიც კი გვხვდება. მაგალითად, რითი არ არის თანამედროვე საგაზეთო ნიუსი, ვთქვათ, ასეთი ცნობა:

„კ“გ გიორგობისთვეს ფრანგულის ანგარიშით ოთხი ქრისტიშობის თვე იყო, – წმიდის ბარბარას დღეობა. იმავ წუხრსა და მეორეს დღეს ორასი ზარბაზანი მეტი, მგონია, გატსყორცნეს. იმავ ბარბარობას დღეს ის გამარჯვებული ხომალდი მოვიდა, რომ ბარბაროზნი დაენთქა, და ცოტახანს უკან სხვა მეკობრე მოვიდა. ერთი ბარბაროზის მეკობრე ნავი შემოჰყროდა, შებმულიყვნენ. მეორედ დაერჩინათ. მოიყუანეს. ასი კაცი იჯდა შიგ“ (გვ. 138).

მეორე ცნობა კი სამხედრო-საზღვაო აღლუმიდან რეპორტიორის ოპერატიულად გადმოცემულ კორესპონდენციას ჰგავს:
„გ~ მარტს ხვანთქარმა ნაღლი მანქანა ქნა: მორაზე გალაშქრა.
ექვსს მარტს სადამოს კოსტანტინეპოლეს სუკუდარას, პერას, გალატას, რაც მინარა იყო, ყველაზე ჩირახოვანი ქნეს ხვანთქრის გამარჯვებისათვის. მაჰმადის შობის ღამე არისო.
თ~ მარტს გალატასაკენ ნავსაყუდლის სასახლეში დაჯდა. რაც ნავის რეიზი იყო, ხალათები ჩააცვა. და კაფიდან ფაშა გადგა. მრავალი წვრილი ნავი შეიყარა. ხვანთქრის წინ შეგროვდენ. დიდხანს იდგენ. მერმე საომარმა კატარღამ დენა დაიწყო. ოცდა ათი დიდი და მომცრო კატარღა იყო. მრავალი ზარბაზანი გავარდა. კაი შილინგი იქნა. ი“დ დიდი კატარღა იყო. სხვა მომცრო. ერთი დიდი გალიონი. ას ოცი ზარბაზანი ძესო, ათას ხუთასი კაცი არისო. ამ გალიონისა ასე მითხრეს: თხუთმეტი წელიწადია აშენდაო და პირველი მგზავრობა ეს არისო. მეტად შვენიერი გალიონი იყო. იმ დღეს ორი დიდი გალიონი სხვა უკან მიჰყვა. და ყველანი შავის ზღვის სრუტში დადგენ.
კ~ მარტს გადგა კაფიდან ფაშის უფროსი გალიონი და ხუთი კატარღა თან ახლდა. სხვა თავწვრილად წავიდა“. (გვ. 147)

დაბოლოს, სრულიად წარმოუდგენელი! – საბასთან ისეთი ახალი ამბავიც გვხვდება, რომელშიც დღევანდელი ყვითელი პრესა რეპორტიორს კარგ გაძლიერებულ ჰონორარს გადაუხდიდა – როგორია?! – ოსმალეთის ხონთქარს ქალ-ვაჟი შესძენია ზედიზედ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ცოლისაგან:
„თ~ აპრილს ხვანთქარს ქალი ეყოლა. და ადრანიდამ ამბავი მოვიდა: სამი დღე სულ შილინგი იყო, ზარბაზნის სროლა. ზედ ვაჟის ყოლის ანბავი მოვიდა. ათს დღეს სულ ზარბაზნის სროლა იყო. სამი დღე ქალისათვის, შვიდი ვაჟისათვის“ (გვ. 147).

ბოლოს მოკლე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თუმცა სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ რამდენადმე მოსაწყენია, ხშირად გაწელილი და ბევრ შემთხვევაში სცოდავს ნაკლებად საჭირო დეტალიზაციითა და დაწვრილებითი აღწერებით, გამოცდილი რედაქტორის ხელში იგი მშვენიერ ჟურნალისტურ ტექსტად შეიძლებოდა ქცეულიყო, ისეთად, ჟურნალისტურ სკოლებში რომ უნდა ისწავლებოდეს.

ხოლო სულხან-საბა ორბელიანი – დიდი ქართველი მწერალი და ნოვატორი პოეტი, ბრძენი მეიგავე და ღრმად განსწავლული ლექსიკოგრაფი, ქადაგი და მოძღვარი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და მოგზაური, ერისკაცი და ბერი, ადამიანი, რომელიც „მთელ საქართველოს მამად მიაჩნია“ და რომელიც „სიბრძნით აღხდა ორბების ზე“, პირველ ქართველ ჟურნალისტადაც შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ისე და ისეთად, როგორც და როგორადაც პიეტრო არეტინო ითვლება იტალიური თუ მსოფლიო ჟურნალისტიკის არქეოლოგიასა და ისტორიაში. და თუ ვისმეს ეს გადაჭარბებად ან დიდი მწერლის

სახელის დაკნინებად მოეჩვენება, ვთხოვ, თავიდან და ყურადღებით წაიკითხოს ეს ჩემი ოპუსი და, რა თქმა უნდა და პირველ რიგში – თავად პირველი ქართველი ჟურნალისტის, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, („მოგზაურობის“ ტექსტის სოლომონ იორდანიშვილისეული გამოცემა; „ფედერაცია“, თბილისი, 1940)

Summary
Paata Nathsvlishvili
Journalisms in creativity Sulchan-Saba Orbeliani

On an extent many years the journalism by the theory years and practice has generated the person. As it was began, what past, archeology of journalism. These and many other questions are considered in the given work.

At the same time clause contains results of research of creativity great thinker, diplomat and publicist Sulchan-Saba Orbeliani.

Резюме
Раата Нацвлишвили
Журнализмы в творчестве Сулхана-Саба Орбелиани

На протяжении дестка лет журналистика теорией и практикой сформировала свое лицо. Как это всё начиналось, какова прошлое, археология журналистики. Эти и многие другие вопросы рассмотрены в данной работе.

Вместе с тем статья содержит итоги исследования творчества великого мыслителя, дипломата и публициста Сулхан-Саба Орбелиани.

მარინა ლომიძე

პრესა – PR - ის ინსტრუმენტი (ამერიკული მოდელი)

PR – ისა და პრესის მიმართება მრავალ ასპექტს მოიცავს. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მთავარ პრინციპებზე, რაც ამერიკული პრესისა და PR – ის დამოკიდებულებას განსაზღვრავს.

დემოკრატიული და მიუკერძოებელი სახელმწიფოს განმსაზღვრელ კატეგორიად ინფორმაციის თავისუფლება, გამჭვირვალობა და ობიექტურობაა მიჩნეული.

აბრაამ ლინკოლნის სიტყვები – "მიეცით ხალხს შესაძლებლობა იცოდეს ფაქტები და ქვეყანა უსაფრთხო იქნება" – ამერიკისათვის დღესაც აქტუალურად ჟღერს.

დემოკრატიული სახელმწიფოს მართვისათვის აუცილებელ კომუნიკაციურ ურთიერთობაში პრესას, როგორც მედიის ნაწილს, მედიატორის ფუნქციას სამართლიანად ანიჭებენ. PR – ის მთელ სისტემაში პრესა იმ მთავარ საშუალებად მოიაზრება, რითაც ხელისუფლების ყველა შტო – საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურები, სხვადასხვა სფეროსა და დარგის წარმომადგენლები საზოგადოების წინაშე წარსდგებიან.

ამერიკაში პრესის, საზოგადოდ ჟურნალისტიკის შესახებ კამათი ხანგრძლივად მიმდინარეობდა. 1947 წელს რობერტ მ. ჰატჩინსის ხელმძღვანელობით პრესის თავისუფლების კომისია შეიქმნა. მისი მოხსენება "თავისუფალი და პასუხისმგებელი პრესა" ბეჭდვითი სიტყვის კონცეფციის მთავარი წყარო გახდა, რამაც უკანასკნელი 50 წლის მანძილზე მრავალი ქვეყნის ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკაზე უდიდესი გავლენა იქონია. კომისიამ პრობლემის გადაჭრის მიზნით დასვა საკითხი, მიეღოთ ზომები, რომლებიც საზოგადოებას არსებული კანონებზე უფრო საიმედოდ დაიცავდა. შემუშავდა მოღვაწეობის 5 ნორმა, რაც პრესისაგან მოითხოვდა:

– დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების ობიექტურ და მრავალმხრივ ანგარიშს, რაც ამ მოვლენათა მნიშვნელობას გამოკვეთდა;

– კომენტარისა და კრიტიკის გაცვლა – გამოცვლისათვის ფორუმის ფუნქციის შესრულებას;

– საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ამსახველი მასალების გაშუქებას;

– საზოგადოების მიზნებისა და ფასეულობათა წარმოჩენა-განმარტებას;

– დღის „მთავარი თემის” დაბრკოლების გარეშე მოპოვებას.

პრესის სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინის თეორიტიკოსები ბეჭდვით მედიას, მთავრობასა და საზოგადოებას მოუწოდებდნენ, აქტიურად დაეჭირათ მხარი არა მარტო თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის, არამედ ჰატჩინსის კომისიის მიერ პრესისათვის ფორმულირებული მოთხოვნების შესრულებისათვის. მათი აზრით, მთავრობას შეუძლია და უნდა აკონტროლოს ის პირობები, რომლებშიც პრესა მოღვაწეობს, რაც, თავის მხრივ, თვით პრესის მოღვაწეობის კონტროლს არ ნიშნავდა.

კომისიამ პრესის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად სახელმწიფოს უფლება-მოვალეობის მკაცრი ფარგლები დაადგინა. ამასთან პრესის “უპასუხისმგებლოდ” მოქცევის შემთხვევაში ჩარევის შესაძლებლობაც კი ჟურნალისტებისა და სპეციალისტთა უარყოფით რეაქციას იწვევდა. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ აღნიშნული დოკუმენტი პრესის საქმიანობისა და თავისუფლების შეზღუდვას გამოიწვევდა, სხვათა აზრით, “სოციალური პასუხისმგებლობის” ცნებით ჟურნალისტის მოვალეობის წყაროს საკითხი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

პრესის სახელმწიფო რეგულირების ამერიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ხელისუფლების ნებისმიერი ფორმით მის-ში ჩარევა, როგორი კეთილშობილური მოტივებითაც არ უნდა იყოს იგი განპირობებული, ინფორმაციის თავისუფლებისათვის დამღუპველია. პრესის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს თვითრეგულირების სფეროა.

თანამედროვე ამერიკული პრესა სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის პირობებში მოქმედებს, რასაც აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება იცავს, თუმცა იგი კერძო ცენზურის საკითხებში არ ერევა.

აშშ-ის კონსტიტუციის არც ერთი შესწორება არ ყოფილა ისეთი დებატებისა და ინტერპრეტაციის საგანი, როგორც მისი პირველი შესწორება. მიზეზი მარტივია: პირველი შესწორებით დაცული თავისუფლებები – სიტყვის, გამოხატვის, პრესის, შეკრებისა და პეტიციის თავისუფლება – შეერთებულის შტატების კონსტიტუციური წყობის ფუნდამენტია.

ინფორმაციას ძალაუფლებად მიიჩნევენ. დემოკრატია კი ხალხის ძალაუფლებაა. ამდენად დემოკრატიულ ქვეყანაში სამთავრობო ინფორმაცია ხალხს უნდა ეკუთვნოდეს - თავისუფალი საზოგადოების ქვაკუთხედი ინფორმირებული მოქალაქეებია. რაც უფრო მეტადაა ინფორმირებული საზოგადოება ხელისუფლების საქმიანობის შესახებ, მით უფრო მაღალია ქვეყნის დემოკრატიული მართვის ხარისხი. პრეზიდენტ ბილ კლინტონის პრესმდივანი დიდი მაიერსის ღრმა რწმენით, “სისტემის მუშაობა მაშინ არის გამართული, როდესაც ის მაქსიმალურ საჯაროობას სთავაზობს პრესას.”

საზოგადოება კორუფციის ფაქტების მხილებას დადებითად ეკიდება. ამგვარი მასალებისადმი ნდობის ფაქტორს ავტორის ვინაობაც განსაზღვრავს. ლობიზმის, მოსყიდვისა და მექრთამეობის აღმავლობა გასული საუკუნის 80-იან წლებში ამერიკის ადგილობრივ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში სიმპტომატური გახდა. ჟურნალში "რიდერს დაიჯესტ" ადგილობრივი პარლამენტარის პუბლიკაცია დაიბეჭდა. მასში ლობიზმის "სამზარეულოა" გამოაშკარავებული. ლობისტები კანონმდებელთა სასტუმროებისა და რესტორნების ქვითრებს იხდიან, რის საფასურადაც პასუხს ყველაფერზე ითხოვენ. პუბლიკაციის ავტორი ორჭოფობდა. მაშინ, როდესაც მისი კოლეგები ყოველმხრივ სარგებლობდნენ ლობისტთა შემოთავაზებული შეღავათებით, იგი იაფფასიან კაფეტერიაში ბუტერბროდებს მიირთმევდა. ერთხელაც ერთ-ერთი კანონმდებელი მრეწველთა ლობისტის წინააღმდეგ გამოვიდა. ამ უკანასკნელმა კი რეპორტიორებს "კრიტიკოსისათვის' გადახდილი ქვითრების ასლები გადასცა, "თუ მე ვიგინდარა ვარ, – განაცხადა ლობისტმა, - მაშინ იგი ჩემისთანა ვიგინდარის ფულითაა არჩეული". ამასთან ისიც მიანიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში უფრო დიდი თანხის ქვითრების საჯაროდ წარმოდგენაც შეეძლო. სტატიის ავტორი გამოტყდა, რომ დიდი ხნის "ჭოჭმანისა" და "სინდისის ქენჯნის" შემდეგ ლობისტების ცდუნებას ვერც მან გაუძლო.

პრეზიდენტის ინსტიტუტის შემსწავლელი მეცნიერი სტივენ ჰესი დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესასთან ურთიერთობას მოვალეობად მიიჩნევს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს გამოცდილი სპეციალისტი მარგარეტ ჰ.სალივანი თავის წიგნში "მაღალპროფესიული პრესსამსახური" მთავრობისა და პრესის დამოკიდებულების საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს: "დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესა და ხელისუფლება ვერ იქნებიან პარტნიორები, ისინი ბუნებრივად დაპირისპირებული მხარეები არიან, რომელთაც სხვადასხვა ფუნქცია აკისრიათ. თითოეულმა მათგანმა პატივი უნდა სცეს მეორის ფუნქციას და ამასთან აღიაროს, რომ მათ შორის ბუნებრივად დაძაბული ურთიერთობა არსებობს". თუმცა ეს მათ თანამშრომლობას ხელს არ უნდა უშლიდეს. პრესა რომ რეალურად წარმოადგენდეს მედიატორს საზოგადოებასა და ხელისუფლების შტოს შორის, მას სახელმწიფო პრესსამსახური აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს მოვლენათა ობიექტურად გაშუქებაში. დიდი მაიერსი თვლის, რომ დემოკრატიის არსს სწორედ ასეთი დამოკიდებულება განსაზღვრავს.

ხელისუფლებისა და ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების წარმომადგენლებთან ორმხრივ ინტერესზე დაფუძნებული ურთიერთობა.

აშშ-ში ათასობით სახელმწიფო პრესსამსახურია, რომელთა სტრუქტურა ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ, როგორც

სპეციალისტები აღნიშნავენ, ყველა მათგანის საქმიანობისათვის აუცილებელია ორი მახასიათებელი: პრესასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია ანუ პუბლიკაციების, საჯარო გამოსვლებისა და საკანონმდებლო საკითხების მართვა.

საჯარო გამოსვლების წარმატებული მართვის ნიმუშად რ. რეიგანის მაგალითი გამოდგება. მისი განცხადებები – "ჩვენ გვჯერა ამერიკის მისიის", "კაცობრიობა თავის ყველაზე ნათელ ოცნებებს ამერიკას უკავშირებს", "ჩვენი ქვეყანა თავისუფალი მსოფლიოს ლიდერია და მორალური თვალსაზრისით ჩვენ ამ პასუხისმგებლობას თავს ვერ ავარიდებთ" – ამერიკელებს ენთუზიაზმით ადავსებდა, ხოლო დანარჩენი მსოფლიოსათვის ზესახელმწიფოს იმიჯს ამკვიდრებდა.

ამერიკელი პრეზიდენტები საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ეფექტურად იყენებდნენ რელიგიურ თემატიკასაც. ჯონ ადამსი სამოქალაქო ქვეყნის პრინციპების რელიგიისადმი დამოკიდებულების შესახებ მიუთითებდა. დ. ეიზენჰაუერი თვლიდა, რომ ამერიკული ცხოვრების წესი ქრისტიანობის გარეშე არ იარსებებდა. აბრაამ ლინკოლნის აზრით, რწმენა მას სწორ გადაწყვეტილებებზე მიანიშნებდა. ჯორჯ ბუში ჟურნალში "ნიუს ვიკ" (2003 წლის 10 მარტი) საზოგადოებას ბიბლიის შესწავლისაკენ მოუწოდებს, რადგან სიბრძნის სათავეს სწორედ მასში ხედავს. პრეზიდენტის განცხადებები: ჩემი რწმენა მშვლის, წინ მიმიძღვის; კულტურულ და რელიგიურ მოვლენებში ჩართვა XXI საუკუნის ადამიანებისათვის აუცილებელია – ის გზავნილებია, რაც ეროვნულ ინიციატივებს პოზიციას უმაგრებს და მათდამი ამერიკელთა სტერეოტიპის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ პრეზიდენტის თანაგრძნობის გამოხატვის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა ფოტო, რომელზეც იგი გულში იკრავს 14 წლის გოგონას, ვისი დედაც იმ დილით სავაჭრო ცენტრში იმყოფებოდა. 11 სექტემბრის შემდეგ გაჩენილ კითხვაზე--ჯ. ბუშის რწმენა ერს შეაკავშირებდა თუ განხეთქილების საბაბი გახდებოდა—თავისთავად გაეცა პასუხი. შემთხვევის ადგილზე შეკრებილთა წინაშე დაუგეგმავი გამოსვლა იმდენად გულწრფელი აღმოჩნდა, რომ ამერიკელებმა ძნელბედობის ჟამს პრეზიდენტის კვლავაც ირწმუნეს. თუმცა ამერიკაში ისეთიც ბევრია, ვინც სკეპტიკურად ეკიდება ჯორჯ ბუშის რწმენას საკუთარი მისიის შესახებ.

ამერიკელი მკვლევარები მედიის, როგორც PR – ის ინსტრუმენტის, თავისებურებათაგან რამდენიმე ასპექტს გამოყოფენ:

1. მასობრივი კომუნიკაცია ერთბაშად არ მოქმედებს. მედია კონკრეტული საკითხისადმი მიზნობრივად ამახვილებს ყურადღებას, რითაც უზრუნველყოფს სასურველ შედეგს – ქმედების შეცვლას, ამა თუ იმ დამოკიდებულებისა და სტერეოტიპის ფორმირებას.

2. მასმედია კომპანიის, იდეის, მომსახურებისა თუ პროდუქციის არსებობას გვატყობინებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სათანადო სრულყოფილი ინფორმაციის გარეშე სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.

3. მედია ნეგატიურ მოვლენებს (ავარია, ინციდენტი, სკანდალი, შეცდომა) ანიჭებს უპირატესობას, რასაც მკითხველის ინტერესი განაპირობებს და არა მედიის "უცნაურობა". მკითხველები თანაფარდობაში 7:1-თან "კარგ"ახალ ამბებს "ცუდს" ამჯობინებენ. ამ თვალსაზრისით პიარ – სპეციალისტების წინაშე სერიოზული პრობლემა იკვეთება, რადგან მათი მოღვაწეობის სპეციფიკა "ცუდი ამბების" გავრცელებას არ ითვალისწინებს. აუცილებელია იმგვარი "სიახლეების შექმნის" განსაკუთრებული ხელოვნება, რაც საინტერესო იქნება პრესისათვის, ხოლო პიარისათვის საჭირო.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემაში მის–ის, პრესის ფაქტორი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გასაცნობიერებლად განუზომლად დიდია. მაგალითად, საინტერესოა ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის ჩ. ოსგუდის მოსაზრება ბირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილების მეთოდის შესახებ. მისი აზრით, ამერიკელებისათვის ძნელი წარმოსადგენი იყო ამგვარი ომის კატასტროფული შედეგი, რადგან მათ ჩვეულებრივ დაბომბვაზეც კი არ ჰქონდათ წარმოდგენა. ამის თქმა ადვილი არ არის, – აღნიშნავდა ჩ. ოსგუდი, – მაგრამ იქნებ ჩვენთვის სჯობდეს, რომელიმე დიდი ქალაქის მახლობლად შემთხვევით მოხდეს აფეთქება და იგი ტელევიზიით აჩვენონ. იქნებ მხოლოდ ამის შემდეგ მოეგონ ამერიკელები გონს, მიხვდნენ, რომ პოლიტიკური საკითხების ბირთვული ბომბებით მოგვარება იგივეა, რაც სახლში თაგვების მოსაგერიებლად დინამიტი გამოვიყენოთ. ფსიქოლოგი კონკრეტული მოვლენის გასაცნობიერებლად ტელევიზიის გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებდა.

იგივე თვალსაზრისს გამოთქვამდა პროფესორი ს. ჰიუზი. ბირთვულ აფეთქებაზე მსჯელობისას იგი წერდა, ზოგჯერ სურვილი მიპყრობს ასეთი საშინელება მოხდესო. მოგვიანებით ამერიკელებმა გადაიღეს და ტელევიზიით აჩვენეს ფილმი "მეორე დღეს", რომლის სიუჟეტი ოსგუდისა და ჰიუზის მოსაზრებებს ეხმიანება. ფილმმა ამერიკული საზოგადოება შეძრა.

სამწუხაროდ, მეცნიერთა გამძაფრებული წარმოდგენა ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად თითქმის 50 წლის შემდეგ გარკვეული რეალობა გახდა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება მარტო ამერიკელი ხალხისათვის არ აღმოჩნდა შიშისმომგვრელი და დამაფიქრებელი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ამერიკელი სპეციალისტები პრესასთან თანამშრომლობისათვის შემდეგ რჩევებს გვთავაზობენ:

1. საუბრის წარმართვა საზოგადოებრივი თვალთახედვით და არა მხოლოდ საკუთარი ორგანიზაციის ინტერესებიდან;
2. ადვილად აღსაქმელი და პრაქტიკული თვალსაზრისით გამოსაყენებელი ინფორმაციის მომზადება;
3. შეტყობინებისას ყურადღების გამახვილება განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტებზე;
4. რეპორტიორთან კამათისაგან თავის შეკავება და თვითკონტროლი;
5. რეპორტიორის პირდაპირ დასმულ შეკითვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა;
6. დასმულ კითხვაზე პასუხის უქონლობის შემთხვევაში მისი აღიარება;
7. სიმართლის თქმა, რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს იგი;
8. პრესკონფერენციის მოწვევის გაუმართებლობა, თუ ჟურნალისტებისათვის საინტერესო სიახლის შემცველი ინფორმაცია არ არსებობს.

ამ წესების გათვალისწინება პიარის პრესასთან ურთიერთობის ორმხრივ პროცესს აადვილებს: პრესა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, ორგანიზაციასთან კონტაქტის მნიშვნელობას აცნობიერებს, პიარის სპეციალისტები თავის მხრივ ჟურნალისტთა როლს საზოგადოების ინფორმირების საქმეში ჯეროვნად ეკიდებიან.

ჟურნალისტთა კორპუსის მიერ ინფორმაციის თავისუფლების საზოგადოებრივ – პოლიტიკური მნიშვნელობის გააზრება, მედიატორული ფუნქციის საკუთარ ამოცანად მიჩნევა, პრესას საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიოს ორგანიზაციას, კონკრეტულ პიროვნებას, ხელისუფლებას. ბეჭდვითი მედია საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს, რაც განაპირობებს კიდეც მათ იმიჯსა და რენომეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარგარეტ სალივანი. მაღალპროფესიული პრესსამსახური. U. S. Department of State Office of international Programs http://usinfo.state.gov.
2. გამოხატვის თავისუფლება. პირველი ტომი. გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში. თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი 2005.
3. Михаилов С. А. Журналистика соединенных штатов Америки. Изд-во Михаилова В. А. Санкт-Петербург 2004.
4. Почепцов Г. Г. Паблик рилейшнз для профессионалов. «Рефл-бук». «Ваклер». 2001.
5. Яковлев А. Н. От Трумена до Рейгана. Доктрины и реальности ядерного века. Москва. 1985.
6. http: // www.firstgov.gov/us-gov/establishments.html.

Summary
Marine Lomidze
Press as an instrument of PR
(American model)

The idea of presented article is that media and specificly the press is a basic instrumrnt of PR. American experience of interaction between PR and media is extremely interesting and diverse.

The signifcance of rules elaborated by american PR professionals make this interaction

easier: On the one hand journalists relise their mediatory function, which provides assistance for various organizations, individuals and state authority: on the other--PR professionals measure the role of media while informing society.

Резюме
Марина Ломидзе
Пресса—инструмент ПР
(американская модель)

В статье показано, что масс-медия, в частности пресса, является основным инструментом связи с общественностью (ПР). Опыт Америки по взаимоотношению ПР со средствами массовой коммуникации многообразен и интересен. Правила работы с прессой, выработанные американскими специалистами по ПР, определяют обоюдный процесс: журналистский корпус осознает свою медиаторскую функцию, которая дает возможность оказания действенной помощи организациям, конкретным лицам или власти. В свою очередь ПР- специалисты соответственно оценивают роль работников СМИ в деле информирования общества.



ოთარ ქოჩორაძე

სივრცეზე კონტროლი

საკაცობრიო ცოდნის საგანძურში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცნიერებას მართვის შესახებ. **მაქს ვებერი** სწორედ აღნიშნავდა, რომ **„პოლიტიკა თავით კეთდება და არა ტანისა და სულის სხვა რაიმე ორგანოთი“.** პოლიტიკა ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც – ხელოვნება, რომელიც ვლინდება ხელისუფლებაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში და ვიდრე ხელს მოჰკიდებდე ამ საქმეს, უნდა დაეუფლო მართვის ხელოვნებას, გქონდეს პროფესიული მომზადება.

მართვის ხელოვნება ეს არის ჰუმანიტარული მასალა, რომელიც აერთიანებს პოლიტიკური ტაქტიკისა და მეცნიერული მეთოდოლოგიის ღირებულებებს.

პოლიტიკური რეალობის დინამიკა და სახელმწიფო მოღვაწეთა შემოქმედებითი ნება მუდმივად ცვლიან ყველაფერს. მსოფლიო პოლიტიკაში მუდმივად აქვს ადგილი მრავალრიცხოვან წარმატებულ და წარუმატებელ მცდელობებს შეცვალონ სამყარო სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

მეცნიერული მართვა გამომდინარეობს სახელმწიფოზე, სამართალზე, გარემოზე, რელიგიაზე, ომზე და ერზე არსებული ფილოსოფიური მოძღვრებებიდან.

მეცნიერულ მართვას გააჩნია თავისი მეთოდი. ჩვენი აზრით **მეცნიერული მართვის ეს მეთოდი არის სივრცული აზროვნების მეთოდი: პოლიტიკური, გეოგრაფიული, ეკონომიკური, სამხედრო ფაქტორების სისტემური ანალიზი და მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოთა პოტენციალის პროეცირება.**

XIX-XX საუკუნეების თავისებურებას წარმოადგენდა ელვისებური ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროში, რამოდენიმე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცვლილება, სადაც თითოეულის წინაშე დგებოდა საკუთარი სიძნელეები და შეზღუდვები. და ის ვინც საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად ხელმძღვანელობდა მოძველებული და არაადეკვატურად გადაქცეული წარმოდგენებით, მეთოდებითა და თეორიებით, თვითონვე ჰქმნიდა წანამძღვრებს საკუთარი დამარცხებისათვის.

თაანმედროვე პოლიტიკური მეცნიერების სტრუქტურა დაფუძნებულია განსხვავებულ და პლურალისტურ თეორეტიკულ წყაროებზე, რომელთა მრავალფეროვნება არ ნიშნავს მათ ეკლექტიკურ და შეუთანხმებელ ხასიათს.

პოლიტიკური მეცნიერების მიერ გამოვლენილი კავშირები, ტენდენციები და კანონზომიერებები არ უნდა ატარებდნენ დეტერმინატორულ ხასიათს, ვინაიდან პოლიტიკური რეალობის

სფეროში მიზეზობრიობა სინერგეტიული, ალბათური და სტატისტიკურია.

ამ სფეროში კი მიზნის მიღწევა შეიძლება არა შემთხვევით, არამედ გარკვეული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმის საფუძველზე. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება წარმოადგენს პლატონის, არისტოტელეს, ჰობსის, ჰეგელის, კონტის, ვებერის, მარქსის და სხვა მოაზროვნეების პოლიტიკური იდეებისა და მეთოდოლოგიის შემოქმედებითი განვითარების შედეგს.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მეთოდების სისტემას შეადგენენ:

– შედარებითი მეთოდები. შედარებითი ანალიზი. აღწერა (ჩვეულებრივი, კომპლექსური, მრავლობითი). კლასიფიკაცია (დიხოტომიური, ნომინალური, ორდინალური). სოციალური სტრუქტურების შედარებითი ანალიზი. სოციალური ღირებულებების მოძრაობის ანალიზი. პოლიტიკის შედარებითი ანალიზი. კონფლიქტების შედარებითი ანალიზი.

– ანალიტიკური მეთოდები. კორელაციური გამოკვლევები და და მათი ნაირსახეობები. ჰიტერ-მოდელების აგების მეთოდიკა. სტატისტიკა პოლიტიკურ მეცნიერებაში. იზომორფული კვლევის მეთოდი. ინდიკატორული მეთოდები. ძალაუფლების საფუძვლების ინდიკატორები. გეოპოტენციალის, სამხედრო სიძლიერის და სხვა სოციალურ-პოლიტიკური მახასიათებლების ცვალებადობა.

– ხოლისტური მეთოდები. დიალექტიკური მეთოდები. ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკური მეთოდების სპეციფიკა. ინტერესების სინოპტიკური ანალიზი. სინოპსის თეორია. ნეორეალიზმის მიუნჰენის სკოლის გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაზე. კვლევის სისტემური და ფუნქციონალური მეთოდები.

– ნორმატიული მეთოდები. ისტორიული და იურიდიული მეთოდები. ფენომენოლოგიური მეთოდი. « რაციონალური ანალიზის » მეთოდი.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ძირითად მეთოდოლოგიური პრინციპებია :

– ისტორიული პრინციპი. პოლიტიკური ინსტიტუტების გენეზისის გამოკვლევა.

– პროცესუალური პრინციპი. პოლიტიკური ნებელობის წარმოქმნის მატარებელთა გადამწყვეტი როლი.

– ბიჰევიორისტული პრინციპი. ინდივიდებისა და ჯგუფების პოლიტიკური ქცევის შესწავლა, პოლიტიკური სინამდვილის ობიექტური სურათის შექმნის მიზნით. ფაქტები, როგორც ერთადერთი და ობიექტური საფუძველი პოლიტიკური ცოდნისა და პროგნოზირებისათვის.

– ფუნქციონალური პრინციპი. სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურებისა და პროცესების ფუნქციონალური კავშირი. სისტემები და ქვესისტემები.

პოლიტიკის საგნობრივი ველის შემეცნების ლოგიკა ამოდის ძალაუფლების და გავლენის კატეგორიებიდან. აქედან გამომდინარე

იგი დაფუძნებული უნდა იყოს დისციპლინათაშორის მიდგომაზე. მეთოდოლოგია შემუშავებული უნდა იყოს ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიისა და კულტუროლოგიის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე.

თანამედროვე დასავლურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ძალაუფლების კატეგორიების ანალიზი მიმდინარეობს ხუთი ძირითადი მომართულებით : ინდივიდის დახასიათება, პერსონათაშორისი კონსტრუქცია, რესურსები, მიზეზობრიობის კონსტრუქცია, ფილოსოფიური კატეგორია. თითოეული ეს ასპექტი ახდენს ცნება « ძალაუფლების » ამა თუ იმ მხარის ილუსტრირებას, ხოლო ერთობლიობაში კი გვაძლევს იმ დონის მთლიან წარმოდგენას ძალაუფლების კატეგორიაზე, რა დონითაც იგი გამოიყენება პოლიტოლოგიურ კვლევებში.

– ძალაუფლების, როგორც პერსონალური ატრიბუტის ხარისხის, განხილვა ინტერპრირებული უნდა იყოს როგორც ინდივიდის ურთიერთმოქმედება გარემოცვასთან. აქ საკვანძო მომენტად გამოდის ძალაუფლების მოტივაცია.

ძალაუფლების არსი ჩადებულია ინდივიდებში, თვით ადამიანის ბუნებაში. აქედან გამომდინარე ძალაუფლება განხილული უნდა იყოს როგორც წმინდა ადამიანური ფენომენი, რომელიც ვერ იარსებებს თავისი მატარებლის გარეშე და განისაზღვრება, როგორც უნარი გამოიწვიო ცვლილებები საკუთარ გარემოცვაში ისე, რომ მიაღწიო სასურველ ეფექტს.

ძალაუფლების მოტივი გაცნობიერებული უნდა იყოს, როგორც განწყობა მიაღწიო გარკვეული სახის მიზნებს.

– ძალაუფლების, როგორც პერსონათაშორისი კონსტრუქციის გაგება, აქცევს მას სოციალური ურთიერთობების ატრიბუტად და განსაზღვრავს მას, როგორც პიროვნებათშორის სიტუაციას.

სოციალური მატრიცის ფარგლებში ძალაუფლების შესწავლისას განხილული უნდა იყოს ის ცვლილებები, რომლებიც შეიძლება მოახდინოს ძალაუფლების სუბიექტმა ძალაუფლების ობიექტში ამ უკანასკნელის წინააღმდეგობის მიუხედავად. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ობიექტის მიერ ძალაუფლების სუბიექტის აღქმას.

– ძალაუფლება, როგორც რესურსი, ეყრდნობა ცნებას « ღირებულება ». უნდა გავაცნობიეროთ, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო რესურსების ფლობა, არამედ ისიც, თუ რა ღირებულებას წარმოადგენენ ისინი მისი მფლობელისათვის. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ძალაუფლების ფასი და ძალა.

ძალაუფლების ფასში გაგებული უნდა იყოს რესურსების იმ ნაწილის ფასი, რომელსაც ფლობს სუბიექტი და რომელიც მას სჭირდება ობიექტის ქცევაზე ზემოქმედების მოსახდენად.

ძალაუფლების სუბიექტის სიძლიერე ფასდება იმის ღირებულებით, რაც დასჭირდებოდა ობიექტს რათა არ დეშვა ზემოქმედება, რომლის განხორციელებაც სურდა სუბიექტს.

ძალაუფლების შესწავლის სარესურსო მიმართულება საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ძალუფლების ხარისხები.

– ძალაუფლება არის ასიმეტრიული მიზეზობრივი ფენომენი. ეს კი არის საფუძველი მისი მიზეზობრივი კონსტრუქციის სახით შესასწავლად. მთავარს ძალაუფლების განსაზღვრაში წარმოადგენს მისი, როგორც მიზეზობრიობის ტიპის ახსნა. ამისათვის არსებობს შემდეგი არგუმენტები :

– საგრძნობი მსგავსება მიზეზობრიობასა და ძალაუფლებას შორის (ორივე ასიმეტრიულია და დამახასიათებელია ინდივიდთა შორის ურთიერთობებისათვის);

– ტავტოლოგიის თავიდან აცილების შესაძლებლობა (დამახასიათებელი სარესურსო მიდგომისადმი);

– ემპირიული მეთოდებისა და სტატისტიკური პროცედურების ფართო დიაპაზონის გამოყენება;

– ძალაუფლების პოტენციალურობის აქცენტირება.

– ფილოსოფიური კუთხით ძალაუფლება განხილული უნდა იყოს მაქსიმალურად დიფერენცირებულად : განხილული უნდა იყოს ძალაუფლების მორალურობა და ამორალურობა, ძალაუფლების ღირებულება და ძალუფლების ფლობის ღირებულებები, თანაფარდობა ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის, სოციალური ნორმების ზეგავლენა, ძალუფლების გამოყენების ზღვარი და დასაშვები ნორმები, ძლაუფლების შესაბამისობა საზოგადოებაში მიღებულ სოციალურ ნორმებთან, ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან.

ძალაუფლების ფილოსოფიური განხილვა ყველაზე ზოგადია, იგი არ ეხება კერძო გამოვლინებებს და მძლავრი სემანტიკური ველის წყალობით საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იგი აბსტრაქციის მაღალ დონეზე, გვერდი ავუაროთ კერძო განსაზღვრებებსა და ცნებებს.

ძალაუფლების პრობლემის შესწავლა შეუძლებელია აღწერის სისტემური მეთოდის გარეშე. ძალაუფლების ფენომენი მოიცავს მთელ საზოგადოებას, ურთიერთობების ყველა ფორმებს, იგი შეიძლება ვლინდებოდეს, როგორც აშკარა, ასევე ფარული სახით. ინფორმაციის დიდი მასივების სტრუქტურირებისა და ორგანიზაციისათვის უპრიანი იქნება გამოვიყენოთ ბაზისების იდეა. ბაზისების მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში : ობიექტის აღწერის ელემენტების სიმრავლე შესაბამისობაში მოდის ბაზისის ელემენტების სიმრავლესთან. ბაზისების გამოყენება აღწერას ხდის უფრო მდგრადს, საშუალებას იძლევა მოვახდინოთ განცალკევებული სამეცნიერო მონაცემების სისტემატიზირება, მივიღოთ სრულწონიანი მეცნიერული განზოგადებები, ინფორმაციას მივცეთ აღქმისა და გაცნობიერებისათვის უფრო მოსახერხებელი ფორმა. ბაზისების მეთოდი აგრეთვე ასრულებს ევრისტიკულ ფუნქციას, გვეხმარება « თეორი ლაქების » აღმოჩენაში, აადვილებს გადასვლას მოვლენის კვლევის პროცესიდან მისი კანონზომიერებების გამოვლენაზე.

ნებისმიერი ობიექტის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენენ : სივრცე, დრო, ენერგია და ინფორმაცია. ამ მახასიათებლებს ფლობს ობიექტის სუბსტრატი, რომელიც ასრულებს ჩამოთვლილ მახასიათებელთა ინტეგრატორის ფუნქციას. ვ. განზენმა ფსიქოლოგიის აპარატში შემოიტანა ზოგადსამეცნიერო პენტაბაზისის ცნება (სსდეი – სივრცე, დრო, ენერგია, ინფორმაცია და ერთი გამაერთიანებელი – სუბსტრატი).

ძალაუფლების ფენომენის განსალხილველად შეიძლება გამოვიყენოთ პენტაბაზისის ზოგადმეცნიერული მეთოდი. ამ მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში : **ძალაუფლების, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის გაგება მოიცავს ძალაუფლების ყველა თეორიებს და განიხილავს მათ აბსტრქციის უფრო მაღალ დონეზე.**

სივრცული ცნობიერება, ანუ სივრცის, როგორც სიძლიერის გამოვლენის სფეროს შემეცნება, უპირველეს ყოვლისა სამთავრობო წრეებში ვრცელდება.

სივრცეზე კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს **ეკონომიკა**.

ტერიტორიის კონტროლისათვის აუცილებელია მისი ათვისება და განვითარება, ამისათვის კი საჭიროა რომ სახელმწიფო საიმედოდ აკონტროლებდეს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკას და მართავდეს მას ეროვნული ინერესებიდან გამომდინარე.

გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული იყო **კლასიკური** ანუ **მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმი**. მისი კლასიკური ანალიზი მოცემული აქვს კ. მარქსს თავის "კაპიტალში", სადაც მას განხილული აქვს საქონლის ორმაგი ბუნება. ერთის მხრივ, საქონელს გააჩნია სამომხმარებლო ღირებულება, ანუ ემსახურება ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მეორე მხრივ, სხვადასხვანაირ საქონელს გააჩნია საერთო საზომი – ღირებულება ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საქონლის წარმოებისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო.

ნატურალურ-საგნობრივი (ნივთობრივი) ფორმის მიხედვით საზოგადოებრივი პროდუქტი იშლება წარმოების საშუალება **"ა"**-დ და მოხმარების საგნებად **"ბ"**-დ. საქონლის ღირებულება იქმნება შრომით წარმოების პროცესში, ხოლო ვლინდება იგი გაცვლის პროცესში, რომელიც ხორციელდება ფულის მეოხებით. ხდება სტიქიური დარეგულირება, ღირებულების დადგენა ბაზრის მეოხებით. ამასთან ერთად მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია პირდაპირი ანუ უბრალო სასაქონლო გაცვლა. სამუშაო ძალა გადაიქცევა საქონლად. მის მიერ წარმოებული ერთობლივი პროდუქტი **S**–ს ღირებულება იყოფა სამ ნაწილად: **S= C+V+m**

აქ, **C –მუდმივი კაპიტალია**, ანუ შენობების, მოწყობილობის მანქანების ღირებულება (ძირითადი კაპიტალი); ნედლეულისა და საწვავის ღირებულება (დამხმარე კაპიტალი); **V–ცვალებადი**

კაპიტალი-სამუშაო ძალის ღირებულება; **m–ზედმეტი ღირებულება** – რომელიც იქმნება დაქირავებული მუშების აუნაზღაურებელი შრომით და რომელსაც ითვისებს კაპიტალისტი.

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პირობებში კაპიტალისტი, როგორც წესი წარმოადგენს წარმოების ერთპიროვნულ მფლობელს. იგი თვითონ არეგულირებს ზედმეტი ღირებულების გამოყენების საკითხებს და შეძლებისდაგვარად თანაფარდობას **C, V, m**-ს შორის.

კლასიკური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, ეკონომიკური პროცესების სტიქიური ხასიათი. ამდაგვარ პირობებში მიმდინარეობენ თვითორგანიზაციის პროცესები და წარმოიქმნებიან დროებითი სტრუქტურები, რომლის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ **ჭარბწარმოების პერიოდული დამანგრეველი კრიზისები**, რომლებიც წარმოადგენენ კლასიკური კაპიტალიზმის (თავისუფალი ბაზრის) მუდმივ თანმხლებს.

კლასიკური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი წინააღმდეგობები. მათში ძირითადს წარმოადგენს შეურიგებელი წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, ექსპლუატატორებსა და ექსპლუატირებულებს შორის, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან ჩანს, მათი ინტერესები დიამეტრულად საპირისპიროა: **მეტი V – ნაკლები m**, და პირიქით – მოგება იზრდება ექსპლუატაციის ზრდასთან ერთად. გამოსავალს მუშები ხედავენ კლასობრივ ბრძოლაში, რომლის ინტენსიურობაც თანდათანობით იზრდებოდა.

მეორე წინააღმდეგობა – ეთნოსებს შორის წინააღმდეგობა, რაც შეიძლება უფრო მეტი მატერიალური სიმდიდრის წილის მისაღებად. აქ უკვე ერთი ეთნოსი ცხოვრობს სხვების ხარჯზე. მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები მნიშვნელოვანწილად ცხოვრობდნენ კოლონიებისა და სუსტადგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ხარჯზე. რის შედეგადაც სულ უფრო და უფრო მზარდ და შეურიგებელ ხასიათს იძენდა ანტიკოლონიალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

მესამე და მთავარი წინააღმდეგობა. მატერიალური სიმდიდრის წარმოების შეზღუდულობა კლასიკური კაპიტალიზმის დროს, მუშათა ექსპლუატაციის ამაღლების გარკვეული ზღვარის არსებობა, საზოგადოების უმაღლესი ფენების მომხვეჭელობის დაუოკებელმა წყურვილმა წარმოშვა მოგების შეზღუდვისა და თვით მის შემცირების პერსპექტივა. ამის დაშვება კი არ შეიძლებოდა. გამოსავალს ხედავდნენ მსოფლიოს **გადანაწილებაში**, უძლიერესის ბატონობაში. დაძაბულობა გროვდებოდა და მას მოჰყვა აფეთქება – პირველი მსოფლიო ომი, რომელიც წარმოადგენდა კლასიკური კაპიტალიზმის წინააღმდეგობების გადაწყვეტის კანონზომიერ და გარდაუვალ საშუალებას.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ყალიბდება საზოგადოების სხვა ტიპი – სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. თუმცა მისი

ელემენტები ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაჩნდნენ. სამრეწველო წარმოების ზრდასთან ერთად თავი იჩინა წინააღმდეგობებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო კაპიტალის შესაძლებლობების შეზღუდულობასთან და წარმოების ერთპიროვნული მეპატრონის კომპეტენტურობასთან, წვრილი წარმოების ქაოსურობასთან.

საუკუნის დასაწყისში ვითარდებოდა **მონოპოლისტური გაერთიანებების** თვითორგანიზაციის პროცესი. თავისუფალ კონკურენციას ცვლის მონოპოლიათა ბატონობა, რომლებიც ჯერ დამკვიდრდნენ მძიმე მრეწველობაში, ხოლო დროთა განმავლობაში თავის კონტროლს დაუმორჩილეს მეურნეობის ყველა დარგი. მოხდა სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმა. საუკუნის დასაწყისში დამთავრდა მსოფლიოს კოლონიალური დაყოფა, დანაწილებული იქნა გასაღების ბაზრები და ნედლეულის წყაროები. გაჩნდა მონოპოლისტური ზემოგებების მიღების შესაძლებლობა (**შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების ხარჯზე, ფინანსური ოპერაციების ხარჯზე, კაპიტალის გატანა სხვა ქვეყნებში**). ამასთან ერთად წვრილი წარმოებების მთელი მასა აღმოჩნდა მონოპოლიებისაგან დამოკიდებული, რომლებმაც მიაღწიეს წარმოების განსაზოგადებისა და ორგანიზაციის მაღალ დონეს. სახელმწიფოებრივი რეგულირება ხორციელდებოდა, პირველ რიგში, მონოპოლიების ინტერესებისათვის.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხდება იმ კონცეფციების ჩამოყალიბება, რომლებიც დაფუძნებულნი არიან საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენების გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ გამოვლენაზე. ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ომების პრობლემები. ერთერთ პირველ მცდელობას მოეძებნათ მისი ახსნა და გამოემუშავებინათ მისი აღმოფხვრის საშუალებები წარმოადგენდა **იმპერიალიზმის** სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.

ინგლისელი ეკონომისტი **ჯონ გობსონი** (1858-1940 წწ.) იყო იმპერიალიზმის, როგორც მოვლენის, ერთერთი პირველი მკვლევართაგანი. ინგლის-ბურების ომის დროს ის, როგორც "მანჩესტერ გარდიანის" კორესპონდენტი, იმყოფებოდა სამსრეთ აფრიკაში და "შიგნიდან" აკვირდებოდა ამ კონფლიქტს.

გობსონი "იმპერიალიზმში" გულისხმობს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო ექსპანსიის პოლიტიკას, ბრძოლას კოლონიური სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად და ინდუსტრიის "კაპიტნების" სანუკვარი ოცნებების გამოხატულებას. "იმპერიალიზმი ეს არის იმათი, ვინც აკონტროლებს ინდუსტრიას, სწრაფვა გააფართოვონ თავიანთი ჭარბი სიმდიდრის დაბანდება საგარეო ბაზრებისა და საგარეო ინვესტიციების გზით იმ საქონლისა და კაპიტალისათვის, რომლებსაც ისინი ვერ ჰყიდიან ან ვერ იყენებენ სახლში". გობსონი აღნიშნავს, რომ მისი თანადროული მრეწველობის განვითარების დონის პირობებში **დაგროვების დონე** და **წარმოების შესაძლებლობები** წინ უსწრებენ **მოხმარების დონეს** საზოგადოებაში. და იგი წარმოადგენს იმპერიალიზმის პოლიტიკის მომხრეთათვის ათვლის წერტილს. მათთვის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს **კაპიტალის**

ინვესტირების აუცილებლობა: ქვეყნის შიგნით ისინი ვერ ნახულობენ მათი მომგებიანი დაბანდების შესაძლებლობას და იძულებული არიან მიმართონ კოლონიების პოლიტიკურ ანექსიას, როგორც ჭარბი კაპიტალის გამოყენებისათვის საჭირო სივრცის შექმნის საშუალებას. ერთი სიტყვით "იმპერიალისტებისთვის" ასეთი პოლიტიკა გადრდაუვალია.

კაპიტალის გატანამ ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX საუკუნის ბოლო მესამედში და გახდა საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაციების დამახასიათებელი ფორმა (კოლონიალურ ექსპანსიასთან ერთად). **1914 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე საზღვარგარეთ კაპიტალდაბანდებების რიცხვი გაიზარდა 1/3-თ (თუმცა იმავდროულად მიაღწია მხოლოდ 1930 წლის დონეს). შემდგომ 10 წელიწადში მოხდა მათი გაორმაგება, ანალოგიური მაჩვენებლები მიღებული იქნა 6-7 წლის შემდეგ. XX საუკუნის 60-ანი წლების შუაში გაიზარდნენ 4 ჯერ, ხოლო 80-იან წლებში მათმა საერთო მოცულობამ შეადგინა 500 მილიარდი დოლარი. 1990 წელს – მიაღწიეს 1,7 ტრილიონი დოლარის ზღვარს. 1995 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 2,8 ტრილიონი დოლარი, 1999 წელს – 4,1 ტრილიონი დოლარი. მარტო 1998 წელს მატებამ შეადგინა 650 მილიარდი დოლარი, ზრდის საერთო ტენდენციეს შენარჩუნების პირობებში (Щетинин В.Д. Экономическая дипломатия. М.,2001. გვ.122).**

თავდაპირველად ინგლისსა და საფრანგეთს ამ სფეროში კონკურენტები არ ჰყავდა. შემდგომში ექსპორტიორი ქვეყნების რიცხვის ზრდასთან ერთად იცვლებოდნენ ლიდერებიც.

[გთავაზობთ პირდაპირი ინვესტიციების მსოფლიო ბაზარზე ლიდერთა ცვლის დინამიკას:

– XX საუკუნის პირველი ათწლეული – ინგლისი, საფრანგეთი, აშშ, გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, იტალია, იაპონია;

– XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრული – აშშ, ინგლისი (თუ გავითვალისწინებთ სამხედრო სესხებს ინგილი პირველ ადგილზე იქნება, ხოლო აშშ კი მეორეზე), საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია, გერმანია;

– XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარი – ინგლისი, აშშ, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, ბელგია, გერმანია, იაპონია, იტალია;

– XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, კანადა, ჰოლანდია, საფრანგეთი;

– XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, კანადა, შვეიცარია, გფრ, ბელგია, ჰოლანდია, იტალია;

– XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გფრ;

– XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, გფრ, შვეიცარია, იაპონია, ჰოლანდ– XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, ია, საფრანგეთი, კანადა, შვეცია;

– XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, გფრ, ჰოლანდია, იაპონია, კანადა, საფრანგეთი, შვეიცარია;
– XX საუკუნის 90-იანი წლების დასასრული – აშშ, ინგლისი, გერმანია, იაპონია, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, კანადა, ბელგია/ლუქსემბურგი, შვეცია;

ლიდერთა ცვლას აქვს ადგილი იმპორტიორ ქვეყნებს შორისაც. დღეისათვის ლიდერთა ათეული, რომლებიც იღებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ესე გამოიყურება: **აშშ, ინგლისი, ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია/ლუქსემბურგი, ბრაზილია, კანადა, იტალია.**

საინტერესო გეოგრაფიული მახასიათებელი აქვს კაპიტალის გატანისა და შემოტანის გეოგრაფიულ სტრუქტურას:
– სამ პოლუსიანი სისტემა (აშშ, ევროკავშირი, იაპონია);
– მასში შედის "დიდი შვიდეულის" ყველა ქვეყანა;
– იაპონიის მონაწილეობა მხოლოდ ექსპორტში (იმპორტით თითქმის რუსეთის დონეზეა);
- ჩინეთის სერიოზული აღზევება (ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმპორტიორებში, ამსთან ჰონკონგის საგანგებო ადმინისტრაციული რაიონის გათვალისწინებით იგი გაასწრებდა ინგლისს და გავიდოდა მსოფლიოში მეორე ადგილზე აშშ-ს შემდეგ).

"ტრიადაზე" მოდის ინვესტიციების გატანისა და შემოტანის საერთო მოცულობის დაახლოებით 4/5, რაც არსებითად უფრო მეტია მათ ხვედრით წონაზე საგარეო ვაჭრობაში. "ტრიადის" შიგნით მიდინარეობს კაპიტალის ურთიერთგადახლართვა, ურთიერთ ვაჭრობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მსოფლიო ვაჭრობა მთლიანობაში. "ტრიადის" სახით ყალიბდება მსოფლიო მეურნეობის ახალი, უფრო მაღალი სართული საკუთარი შრომის საერთაშორისო დანაწილებით და ეროვნულ, რეგიონალურ და საერთასორისო დონეებზე რეგულირების საკუთარი მექანიზმით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო სამეურნეო სტანდარტებს].

1902 წელს გამოცემულ წიგნში "იმპერიალიზმი" გობსონი აკეთებს სრულიად საპირისპირო დასკვნებს. იმპერიალიზმის პოლიტიკის გადარდაუვალობა მისი აზრით შეცდომაა. მას მიაჩნია, რომ სარმეწველო პროგრესი კი არ მოითხოვს ახალი ბაზრებისა და კაპიტალის დაბანდების სფეროების გახსნას, არამედ მოხმარების შესაძლებლობების არათანაბარი განაწილება, რომელიც ზღუდავს ქვეყნის შიგნით საქონლისა და კაპიტალის აბსორბციას. ჭარბდაგროვების, რომელიც წარმოადგენს იმპერიალიზმის ღერძს, ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ყალიბდება რენტის, მონოპოლიური მოგებისა და შემოსავლის ჭარბი ელემენტებისაგან, რომელსაც არ გაჩნია ლეგიტიმური **raison d'estre,** რამეთუ იგი არ ხვდება მათ, ვინც მათ ჰქმნის "თავით და ხელებით".

იმპერიალიზმის ერთადერთ წამლად გობსონი მიიჩნევს "სოციალურ რეფორმას", რომელიც მიმართული იქნება ერის კერძო და საზოგადოებრივი მოხმარების სტანდარტების გაზრდისაკენ, რათა

მისცეს მას შესაძლებლობა იცხოვროს წარმოების ყველაზე მაღალი სტანდარტების შესაბამისად. სოციალური რეფორმირების პროგრამა, როგორც საზოგადოების შიგნით არათანაბარი განაწილების ავადმყოფობისაგან განკურნების საშუალება, უნდა მოიცავდეს ხელფასის დონის ზრდას ან გადანაწილებას, დაბეგვრასა და სახელმწიფო შემოსავლების მეოხებით რეგულირებას.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის თანადროული საინტერესო ანალიზი მოცემული აქვს ვ. ლენინს: **"1. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, განვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე მისული, რომ მან შექმნა მონოპოლიები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2. საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ამ <<ფინანსური კაპიტალის>> ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიების შექმნა; 3. კაპიტალის გატანას, საქონლის გატანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 4. იქმნება კაპიტალისტების საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებენ, და 5. დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის"** (ვ. ლენინი. "იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" (1917წ.). როგორც ვხედავთ, ლენინის პოლიტიკური დასკვნები სულ სხვა ხასიათს ატარებს. იგი იმპერიალიზმს განიხილავს, როგორც კაპიტალიზმის განვითარებაში კანონზომიერად და ობიექტურად მიღწეულ უმაღლეს მონოპოლისტურ სტადიას, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ლენინისათვის ასევე მიუღებელია იმპერიალიზმის სოციალური რეფორმირების რეცეპტი. მისი დასკვნა არის ერთსახოვანი: **სოციალისტური რევოლუცია, რომელიც მოსპობს ავადმყოფობის პირველ საწყისს – კერძო საკუთრებას.**

არამდგრადობის დაძლევისათვის საჭიროა ბაზრის სტიქიის მოთოკვა. სიტუაციიდან გამომდინარე სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა. ზოგჯერ საჭიროა ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, ზოგჯერ კი პირიქით მისი ერთგვარი შეჩერება. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები კონკრეტული ამოცანებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკაში ახდენენ სხვადასხვა ღონისძიებების რეალიზაციისა და ეყრდნობიან განსხვავებული თეორეტიკული სკოლების პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

აქ შეიძლება გამოვყოთ ა. ჰიტლერისა და ფ. რუზველტის გზები. მათი ქვეყნები 30-ანი წლების დასაწყისში ფართო მასშტაბიანი კონფლიქტის ზღვარზე აღმოჩნდნენ.

ა. ჰიტლერმა შემოიღო ფართო მასშტაბიანი სახელმწიფოებრივი რეგულირება და მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს გერმანიის ეკონომიკის აღმავლობის საქმეში. მან გამოიყენა დიქტატურა და რასობრივი პრინციპი – გერმანული ერის უპირატესობა სხვა ერებთან

მიმართებაში. ამ საფუძველზე გერამნიაში შესაძლებელი გახდა სოციალური პარტნიორობა სხვადასხვა კლასებს შორის.

ფ. რუზველტმა 1932 წლიდან შემოიღო უმკაცრესი ეკონომიკური რეგულირების ღონისძიებები. იგი ეყრდნობოდა ჯონ კეინსის თეორიას, რომლებიც მან ჩამოაყალიბა 1936 წელს წიგნში "დასაქმებულობის, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია".

ეკონომიკურ სფეროზე მოდის ხელისუფლებრივი სტრუქტურების აქტივობის უმეტესი ნაწილი. ეს ვლინდება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და რეალიზაციის ფორმით. შემთხვევით არ არის, რომ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ უმრავლეს ქვეყანათა მთავრობები ძალიან სერიოზულ ყურადღებას უთმობენ თავიანთ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებას.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ხდება კაპიტალისტური საზოგადოების ხარისხობრივი ცვლილება. ჩამოყალიბდა პოსტინდუსტრიული საზოგადოება (ინფორმაციული საზოგადოება, თანამედროვე კაპიტალიზმი, სამომხმარებლო საზოგადოება). ამ საზოგადოებაში ჩნდებიან ახალი მომენტები: წინა პლანზე გამოდის ინფორმაცია, მეცნიერება ხდება უშუალო საწარმოო ძალა, ეკონომიკა იძენს ზერთულ ხასიათს.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკის არსს წარმოადგენდა ჭარბი ზედმეტი ღირებულების მიღება. იგი აღმოცენდება საწარმოთა ცალკეულ ჯგუფში წარმოების დანახარჯების შემცირების ხარჯზე. ამ საწარმოებში დრო, რომელიც იხარჯება პროდუქტის წარმოებაზე უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოებრივად აუცილებელი (საშუალო), რომელიც განსაზღვრავს ღირებულებას (ან იწარმოება უნიკალური პროდუქტი). შრომის წარმოების უფრო მაღალი წყარო იქმნება, როგორც წესი, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე, ხოლო ზოგჯერ კი წარმოების ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის ხარჯზე. მაგრამ როგორც კი ფართოდ დაიწყება სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები (ათვისებული მწარმოებელთა ძირითადი მასის მიერ), ჭარბი ზედმეტი ღირებულება ქრება.

საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება, ზემოთ მოყვანილი ფორმულისაგან განსხვავებით უკვე შედგება არა სამი, არამედ ოთხი შემადგენლობისაგან:

მუდმივი კაპიტალი C ;

ცვალებადი კაპიტალი V ;

ზედმეტი ღირებულება m ;

ჭარბი ზედმეტი ღირებულება m+ ;

m+ -ის მიღება ხდება არასტაციონალური ეფექტის ხარჯზე. მაგრამ საქმის არსი მდგომარეობს არა ერთეჯრად ღონისძიებაში, არამედ იმაში რომ მაქსიმალური მოგების მისაღებად უნდა ინერგებოდეს სულ ახალ-ახალი წინგამსწრები ტექნოლოგიები. ჭარბი ზედმეტი

ღირებულების საფუძველზე მაქსიმალური მოგების მიღების პრინციპი თანდათანობით ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. აღმოცენდა "სამომხმარებლო საზოგადოება", სადაც იქმნება მოხმარების სულ ახალ-ახალი საგნები და თვით მოთხოვნილებები. მოქმედებს პერმანენტულად ცვლადი მოდის, კერპების, "ვარსკვლავების" მთელი ინდუსტრია.

თანამედროვე ეკონომიკის მკვეთრი შეცვლა ("რეფორმირება") შეუძლებელია. მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ეტაპობრივი გარდაქმნების საფუძველზე.

პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებაში კლასიკური კაპიტალიზმის ეკონომიკის შედარებით ქაოტური მდგომარეობა იცლება ეკონომიკის სტრუქტურული რეგულირებით. დიდ გავლენას იძენს სახელმწიფო აპარატი, რომელიც ანაწილებს შეკვეთებს, ახორციელებს ეკონომიკური რეგულირების პოლიტიკას. თავის მოღვაწეობაში სახელმწიფო ეყრდნობა კორპორაციებს, უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს მათ ინტერესებს. საწარმოო ძალების ძირეული ცვლილებების შედეგად გასული საუკუნის შუა პერიოდიდან წამყვანი როლის თამაში დაიწყეს ახალმა ტექნოლოგიებმა, მეცნიერებამ, ინფორმაციულმა უზრუნველყოფამ. ადრე არსებულ წარმოების ორ ჯგუფს **("ა" – წარმოების საშუალებათა** წარმოება და **"ბ" – მოხმარების საგნების** წარმოება) დაემატა ახლად აღმოცენებული მესამე ჯგუფი **"გ" – სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებების** წარმოება.

წარმოების გიგანტური მასშტაბების პირობებში ხელსაყრელი ხდება სახსრების გარედან მოზიდვა (სახელმწიფო, წვრილი მეანაბრეები). იქმნება ძირითადი კაპიტალის სამი სახე: **სახელმწიფო, სააქციონერო და კერძო.** ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში **სახელმწიფოს წილი აღწევს 30%,** ხოლო სააქციო კაპიტალი უმსხვილეს კორპორაციებში იძენს კოლექტიური საკუთრების ხასიათს. ასე მაგალითად **"ჯენერალ მოტორსში"** ნებისმიერი აქციონერის შენატანი საერთო კაპიტალის **1%-ზე ნაკლებია**, ხოლო აქციონერთა რაოდენობა **მილიონს აღემატება**.

მართვის სისტემაში ცვლილებებს "მენეჯერული რევოლუცია" ეწოდა, რამაც ფაქტიურად, მესაკუთრესთან ერთად, წარმოშვა ეკონომიკური ძალაუფლების მეორე ფორმა.

ჭარბი ზედმეტი ღირებულების მისაღებად საჭიროა ორგანიზაციის მაღალი დონე და აქ ერთ-ერთ ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს ის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც სწავლობს წარმოების მართვის ტექნიკურ-ორგანიზაციულ და სოციალურ ასპექტებს.

მენეჯმენტი საშუალებას იძლევა გადაწყვეტილი იქნას მთელი რიგი კონკრეტული პრობლემები:

– განისაზღვროს მართვის მიზნები და ამოცანები;
– დაიყოს ამოცანები კონკრეტული სახის ოპერაციებისათვის;
– სხვადასხვა ქვედანაყოფების ურთიერთმოქმედების კოორდინირება;

– იერარქიული სტრუქტურის სრულყოფა;

– გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტიმიზაცია;

–ხელმძღვანელობისა და მოღვაწეობის მოტივაციის ეფექტური სტილის ძიება

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ეფექტურობის მკვეთრი გაუმჯობესება.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მოგების ზრდა მრავალწილად უზრუნველყოფილი იყო ბუნების ხარჯზე და არა მუშათა ექსპლუატაციის გაძლიერების ხარჯზე.

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის დონე და ხასიათი განპირობებულია პოლიტიკური გარემოთი, ანუ პოლიტიკური მართვის ფორმითა და პოლიტიკური რეჟიმით, პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათითა და მისი ლეგიტიმურობის ხარისხით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონით, პოლიტიკური ელიტის დონით, საერთო ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური ლიდერის პიროვნებით და ა.შ.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას არ შეუძლია ფუნქციონირება პოლიტიკური პროცესების შესაბამისი ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე.

საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ უნივერსალურ მოვლენას. ნობელის პრემიის ლაურეატის **ჯეიმს ბიუკენენის** აზრით უაზრობაა ეკონომიკური კატეგორიების - გადასახადები, ფინანსები, ბიუჯეტი, კრედიტი და ასე შემდეგ - ანალიზი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შესწავლის გარეშე.

ეკონომიკური სფეროს განვითარებაში საზოგადოების პოლიტიკური სისტემის როლზე საუბრისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ შესაბამისი პოლიტიკური წანამძღვრების გარეშე ნებისმიერი ეკონომიკური გარდაქმნები შეუძლებელია. გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმით და პოლიტიკური მმართველობის ფორმით არის განპირობებული საზოგადოების ეკონომიკური სისტემის განვითარების ფორმა. მაგალითად: ტოტალიტარიზმს შეესაბამება ადმინისტრაციულ-ბრძანებლობითი სისტემა, დემოკრატიულს კი - თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა; ეკონომიკური ზრდისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს უზრუნველყოფენ მმართველობის რესპუბლიკური ფორმა და დემოკრატიულ რეჟიმიანი საპარლამენტო მონარქია.

პოლიტიკური სისტემის ზემოქმედება ეკონომიკაზე არ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. იგი უფრო ფართოა. კერძოდ ცვლილებებმა პოლიტიკურ სისტემაში და პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაში შეიძლება მოახდინონ არსებითი ზეგავლენა ეკონომიკაზე. როგორც წესი სამთავრობო კრიზისები იწვევენ ეკონომიკური პროცესების პარალიზებას და ფასიანი ქაღალდების ბაზრის დესტაბილიზაციას.

პოლიტიკური სისტემის ზემოქმედება ეკონომიკურზე ნაკარნახევია ობიექტურად აუცილებელი პირობებით:

- ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობა, ანუ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა, რაც განპირობებულია იმით, რომ საქმიანი აქტივობის მთელი რიგი დარგები და სფეროები იმყოფებიან კერძო მეწარმეთა ინტერესების მიღმა მათი არარენტაბელობისა და რისკის მაღალი პროცენტის გამო. არადა ამ დარგების გარეშე შეუძლებელია მთლიანობაში ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება. საქმე ეხება საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებსა და მომსახურების სახეებს: საქალაქო ტრანსპორტი, წყალმომარაგების სისტემა, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური, პოლიციის სამსახური, სამეცნიერო კადრების მომზადება, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობა, ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევები და ასე შემდეგ.

- საზოგადოების ეკონომიკური სისტემის მიმართ სახელმწიფოს მიერ გარკვეული პოლიტიკის გატარება განპირობებულია აგრეთვე იმით, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა წარმოშობს სულ ახალ-ახალ ფორმას მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, რომლებიც ზიანს აყენებენ ეკონომიკური სისტემისა და მისი ცალკეული ნაწილების განვითარებას. ეს ფორმებია: კარტელები, კვოტების სისტემა, უხარისხო პროდუქციის რეალიზაციის მცდელობა, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისათვის ხელის შეშლა, ეკოლოგიური გარემოს დაბინძურება და ასე შემდეგ.

ამ მოვლენათა თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა: ანტიმონოპოლიური კანონი, გარემოს დაცვის სახელმწიფოებრივი პროგრამები, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისა და განვითარების ღონისძიებები და ა.შ. ყველა ამ ღონისძიებათა საბოლოო მიზანს წარმოადგენს დინამიური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

- ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების აუცილებლობა დაკავშირებულია ე.წ. "შეზღუდული რესურსების" პრობლემასთან. ეკონომიკურ თეორიაში ეს მოვლენა ცნობილია **scarce resources-იშვიათი რესურსების** ცნების სახით. კემპბელ მაკკონელი და სტენლი ბრიუ იძლევიან მის შემდეგნაირ განსაზღვრებას: ეს არის **"მიწის, კაპიტალის, შრომისა და მეწარმეული უნარის ნაკლებობა (შეზღუდულობა) ადამიანთა განუსაზღვრელი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის".** ეს აუცილებელს ხდის სახელმწიფოებრივ ჩარევას დასახელებულ რესურსთა განაწილების საქმეში, რათა გათვალისწინებული იყოს საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ინტერესი. ამ ამოცანის განხორციელება წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მუდმივ ფუნქციას. აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტების ამოცანას

წარმოადგენს შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხების გადაწყვეტა.

- ეკონომიკურ სფეროში პოლიტიკური ინსტიტუტების ჩარევის აუცილებლობა განპირობებულია საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილებით თვითორგანიზაციასა და თვითდარეგულირებაში.

ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად საბაზრო ეკონომიკას თავად შეუძლია მრავალი წინააღმდეგობის გადაწყვეტა და კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა ულმობელი და სასტიკი მეთოდებით, რომლებიც ძალიან ძვირად უჯდება საზოგადოებას: წარმოების ვარდნა, საყოველთაო გაბანკროტება, მასობრივი უმუშევრობა და ა.შ. საკმარისია გავიხსენოთ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. მსგავს სიტუაციებში უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელმაც, მართალია, შეიძლება ვერ აიცილოს თავიდან ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ შეუძლია არსებითად შეარბილოს კრიზისული სიტუაციები ეკონომიკაში.

სიტუაციიდან გამომდინარე სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა. ზოგჯერ საჭიროა ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, ზოგჯერ კი პირიქით მისი ერთგვარი შეჩერება. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები კონკრეტული ამოცანებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკაში ახდენენ სხვადასხვა ღონისძიებების რეალიზაციისა და ეყრდნობიან განსხვავებული თეორეტიკული სკოლების პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ფართო გაგებით მართვის ხელოვნება წრმოადგენს მეცნიერებას სოციუმის უსაფრთხოების შესახებ. სოციუმის უსაფრთხოება ნიშნავს ადამიანთა თანასწორობას ღირსებაში, რათა თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს ის, რაც მას ეკუთვნის. ნებისმიერ ადამიანს გააჩნია სიცოცხლისა და ბედნიერების უფლება. **სიცოცხლის უფლება არის ადამიანის ყველაზე მთავარი უფლება. დედამიწაზე არაფერია მასზე უფრო წმინდა და ურყევი. მისი ხელყოფა კი წარმოადგენს უდიდეს დანაშაულს. იცოცხლო, არ ნიშნავს ტანჯვა-წამებას, არ ნიშნავს უბადრუკ არსებობას აკვნიდან სამარემდე. იცოცხლო - ნიშნავს თავისუფლად გაიარო ცხოვრების გზა და მიიღო მის ყოველ ეტაპზე სწორედ ის, რაც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს ფიზიკურ და ზნეობრივ წყობას.** // პოლიტიკა. პოლიტიკური აზრის კვინტესენცია. თბ., 1999. გვ. 67.

ეროვნული მასშტაბის ეკონომიკური პროგრამა გამოირჩევა, როგორც წესი ნოვატორობით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით, დასახულ ამოცანათა მასშტაბურობითა და სიმამაცით, მათი ცხოვრებაში განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების ძიების დასაბუთებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი და ურთირთგანპირობებულობა და ამის საფუძველზე შემუშავებული იყოს ისეთი ეროვნული ერონომიკური

პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება ეროვნულ ინტერესებსა და ეროვნული ცხოვრების წესს, და გადაიქცევა ერის კულტურისა და მოდვაწეობის ღრმა შინაგან შინაარსად, მის საარსებო მოთხოვნილებად.

ეროვნულ ეკონომიკური პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ყოვლის მომცველი და სისტემატიური ხასიათი, რაც გულისხმობს:

- საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ისეთი ოპტიმალური მოდელის შერჩევას, რომელიც სხვებზე უფრო მეტად შეესაბამება ქვეყნის სინამდვილეს, მის ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს;
- გამოკვეთილ სამეურნეო მექანიზმის შექმნას;
- მართვის სისტემის სრულყოფას;
- მტკიცე მფარველობითი სისტემის შემოღებას;
- სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციის, კერძოდ: რეგულირების, კონტროლის, წახალისების, დასჯის და ასე შემდეგ ამოქმედებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, რადგანაც ეკონომიკის სტიქიურობა აუცილებლად გამოიწვევს დარგების არათანაბარ განვითარებას, რასაც შედეგად მოჰყვება ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი, გაკოტრება დიდი მასშტაბით და უმუშევრობის დონის ზრდა. ამის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია, პოლიტიკური ხელისუფლება სახელმწიფო მექანიზმების მეშვეობით, ისე ჩაერიოს ეკონომიკის განვითარებაში, რომ არ შეზღუდოს კერძო მეწარმეთა თავისუფალი მოქმედების სფერო.

არსებობს ეკონომიკაზე ზემოქმედების ოთხი ძირითადი ფაქტორი:

1) საგადასახადო სისტემა;
2) ზოგიერთი პრიორიტეტული დარგის დოტაცია;
3) ფასების რეგულირება;
4) ლიცენზიები და ემბარგო საგარეო ვაჭრობაზე.

დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით პოლიტიკურ ხელისუფლებას საშუალება ეძლევა, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარგების დაჩქარებული განვითარება ან არარენტაბელური დარგების განვითარების ტემპების დამუხრუჭება, რომელთა შენარჩუნებით მოსალოდნელი იქნება არასახარბიელო დარგობრივი სტრუქტურის მიღება.

ეროვნული ეკონომიკის რეგულირება ისე უნდა მოხდეს, რომ მან ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მეწარმეთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას, კერძო ინიციატივის გამოვლენას, თვისებრივად ახალი, მაღალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას და წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური პროცესების ზრდას, მატერიალურ ფასეულობათა აუცილებელ განვითარებას.

- სახელმწიფოს მონაწილეობას საზოგადოების ეკონომიკური სისტემის განვითარებასა და რეგულირებაში განაპირობებს აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობა და განვითარება. ეკონომიკურ

სფეროში ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ფართო ქსელი. ისინი წარმოქმნილნი არიან არასახელმწიფოებრივი (სამრეწველო, სავაჭრო, ფინანსური და სხვა) წარმოებების მიერ და მათი მიზანია ამ ორგანიზაციებში შემავალი საწარმოების უფლებებისა და ინტერესების დაცვა საშინაო და საგარეო ბაზარზე, მათი ეკონომიკური პოზიციების განმტკიცება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოქმედებაზე კონტროლი და სხვა. ამ ამოცანებს სამოქალაქო საზოგადოება ახორციელებს სახელმწიფოსაგან ავტონომიურად და იძულებული ხდება მიმართოს მას მოთხოვნებით, სურვილებითა და თხოვნებით. შედეგი სახეზეა: **სამოქალაქო საზოგადოების მეოხებით სახელმწიფო ურთიერთობას ამყარებს ეკონომიკური სფეროს ასიათასობით საწარმოსთან და ახორციელებს იმ პოლიტიკას, რომელიც პასუხობს მთელი საზოგადოების ინტერესებს.**

ეკონომიკური სისტემის ზეგავლენა პოლიტიკურზე ვლინდება შემდეგ ძირითად ასპექტებში:

- პოლიტიკური ხელისუფლება საწყის ფაზაშივე აქტიურად ეყრდნობა ეკონომიკური სისტემის შესაძლებლობებს. საკმარისია გავიხსენოთ საარჩევნო კომპანიების ორგანიზაციისა და ჩატარებისთვის საჭირო უზარმაზარი ფინანსური სახსრები. ამა თუ იმ პოლიტიკოსის, პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ბლოკის ხელისუფლებაში მოსვლა განპირობებულია იმ ეკონომიკური ღონისძიებების პროგრამით, რომელთა რეალიზაციასაც ისინი კისრულობენ - ხელისუფლების მოპოვების შემდეგ. როგორც წესი, ეს წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამები აუცილებლად უნდა შესრულდეს, და სრულდებიან კიდეც ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, რადგანაც ელექტორატი მათ აღიქვამს როგორც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების რეალურ პროგრამას. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ელექტორატის ხარჯზე ხდება წინასაარჩევნო კომპანიების დაფინანსება: ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც (გადასახადის გადამხდელთა ფული) და ნაწილობრივ კერძო პირთა და ორგანიზაციათა შეწირულობის სახით.

- პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობა, მისი აღიარება და მხარდაჭერა ქვეყნის მოსახლეობის მიერ უშუალო კავშირშია არა მარტო პოლიტიკური ძალაუფლების დაუფლებასთან, არამედ მის შენარჩუნებასთან და იმ მიზნების განხორციელებასთან, რომელთაც სახავდნენ ხელისუფლებაში დამკვიდრებული პოლიტიკური ძალები. **". . . საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე . . . იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გაარიგებს და გააწყობს ის, როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს თავის გავლენას და დააგვირგვინებს თავის შრომას, რაც უფრო ხეირიანად და დაუფანტველად ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა, მით უფრო და უფრო**

სუსტდება მისი მოწინააღმდეგე პარტია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება". ნიკო ნიკოლაძე // პოლიტიკა. პოლიტიკური აზრის კვინტესენცია. თბ., 1999. გვ.103.

ხალხი უეჭველად მხარს დაუჭერს იმ პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ სტაბილურობას, კეთილდღეობის ზრდას, ოპტიმალურ გარემოს მეწარმეობისათვის, მოქალაქეთა სოციალურ დაცვას. ხოლო თუკი სახელმწიფო უძლურია დააკმაყოფილოს მოსახლეობის სურვილები, მაშინ პოლიტიკური ხელისუფლება კარგავს ლეგიტიმურობას, ანუ ხალხის მიერ აღიარებასა და მხარდაჭერას.

- დიდმასშტაბიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ისეთები, როგორიცაა რეფორმების ჩატარება, მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნის პროექტების განხორციელება და ასე შემდეგ მოითხოვენ მტკიცე და დასაბუთებულ ეკონომიკურ უზრუნველყოფას.

- ეკონომიკური სისტემის დონე და განვითარების მდგომარეობა ახდენს პოლიტიკური პროცესებისა და ღონისძიებების სტიმულირებას, მაგალითად: რეფორმები, გარდაქმნები, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ("ნეპი").

ამ პირობებში პოლიტიკური ხელისუფლების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. პოლიტიკური სტაბილურობისკენ ისწრაფვიან არა მარტო ხელისუფლებრივი სტრუქტურები და პოლიტიკური ელიტა, მასში აგრეთვე დაინტერესებულია საზოგადოების მთელი ეკონომიკური სისტემა საბაზრო ეკონომიკით: მცირე და საშუალო ბიზნესი, ბანკები, სააქციო საზოგადოებები, ადგილობრივი მეწარმეები და უცხოელი ინვესტორები. არავის ხელს არ აძლევს დესტაბილიზაცია: წარმოების მოცულობის ვარდნა, ინფლაციური პროცესების ზრდა, ვალუტათა კურსის მკვეთრი ცვლილებები, საკრედიტო სისტემის კრიზისი და სხვა.

სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს რთულ პროცესს, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს **"საშუალო კლასის"** ყოველმხრივი განვითარება. თანამედროვე პირობებში ყველა სახელმწიფოთა მთავრობები ატარებენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემწყობ პოლიტიკას, ხელს უწყობენ იმ პირთა რიცხვის ზრდას, რომლებიც უძრავი ქონების მესაკუთრეები არიან. მაგალითად: **მარგარეტ ტეტჩერის** პრემიერ-მინისტრად გახდომამდე დიდ ბრიტანეთში (1979წ.) ოჯახების მხოლოდ **35%-ს ჰქონდათ საკუთარი სახლი**, მისი თანამდებობიდან წასვლის მომენტში ეს რიცხვი **გაიზარდა 65%-მდე** (1990წ.).

პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთზემოქმედების სპექტრი საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ამ ურთიერთქმედებებში ცენტრალური ადგილი უკავია ეკონომიკურ პოლიტიკას. კ. მაკკონელისა და ს. ბრიუს განსაზღვრებით ცნება **"ეკონომიკური პოლიტიკა" - economic policy -**

არის მოქმედებათა კურსი, რომლის მიზანია პრობლემის კორექტირება ან მისი წარმოშობის თავიდან აცილება".

ამ პოლიტიკის სუბიექტად გამოდის პოლიტიკური ხელისუფლება, პოლიტიკური სტრუქტურები. ზემოქმედების ობიექტს წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკური სისტემა ან მისი ცალკეული რგოლები. ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს რევოლუციური, რეფორმისტული, კონსერვატიული.

ეკონომიკური პოლიტიკის როგორც კატეგორიის და როგორც რეალური ცხოვრების ფენომენის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ვარაუდობს რა გარკვეული მიზნის მიღწევას (კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა, ეკონომიკური განვითარების ტიპების დაჩქარება), იგი ეხება მრავალრიცხოვან სამეურნეო სფეროებს: ფინანსებს, კრედიტს, ფულად მიმოქცევას, საგადასახადო სისტემას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ინვესტიციებს და ა.შ. თითოეული ამ მონაკვეთის ჩარჩოებში საერთო ეკონომიკური პოლიტიკა კონკრეტიზირდება და ხდება მისი რეალიზაცია საბიუჯეტო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო, საგადასახადო, სტრუქტურული, სამრეწველო, აგრაგული, საინვესტიციო, საგარეო-ეკონომიკური და სხვა პოლიტიკის სახით. მოცემული მიმართულებები წარმოადგენენ საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ქვესისტემებს.

ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურაში არსებული თითოეული ქვესისტემა შეიძლება გახდეს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკურ სისტემაზე ზემოქმედების მძლავრი საშუალება. ამ მიმართულებაში ძალზე მნიშვნელოვანია საბიუჯეტო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა. ცნობილი გერმანელი ეკონომისტი **ფ. ნოიმარკი** ნაშრომში **"ბიუჯეტის ფორმირების თეორია და პრაქტიკა"** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი ასრულებს ხუთ ფუნქციას: **1) საფინანსო-პოლიტიკურს; 2) პოლიტიკურს; 3) სამართლებრივს; 4) საფინანსო-საკონტროლოს; 5) ეკონომიკურ-პოლიტიკურს.** ამასთან ერთად მას ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია ბიუჯეტის **პოლიტიკური ფუნქცია**, ვინაიდან მისი მეოხებით **სახელმწიფოს შეუძლია ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას ჩააქროს არაერთი სოციალირ-კლასობრივი კონფლიქტი, ხელი შეუწყოს კომპრომისების მიღწევას, დაამყაროს პოლიტიკური სტაბილურობა.**

ფინანსთა პოლიტიკური კონცეფციის ავტორი, იტალიელი ეკონომისტი **ე. მორსელი** ამტკიცებს, რომ ფინანსური კანონები განლაგებულნი არიან **პოლიტიკურ, სამართლებრივ და მორალურ კრიტერიუმებზე**. მისი აზრით ფინანსები წარმოადგენენ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში რაციონალურად გატარების საშუალებას, იმ მიზნების რეალიზაციის ტექნიკურ იარაღს, რომლებისკენაც მიისწრაფვის სახელმწიფო. უდავო არის ერთი რამ, პოლიტიკური ფაქტორი თამაშობს დიდ როლს ფინანსური სისტემის განვითარებაში.

ცენტრალური ადგილი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის ეკუთვნის ეკონომიკის სტაბილიზირებას, ანუ იდეალში ეკონომიკური სისტემის სტაბილურ განვითარებას. დასავლურ ლიტერატურაში საფინანსო, საკრედიტო და საგადასახადო სისტემები განიხილებიან, როგორც ეკონომიკური სისტემის სტაბილიზატორები. რაც ნიშნავს იმას, რომ შეიძლება მათი მართვა პოლიტიკური ხელისუფლების სურვილის მიხედვით. არ შეიძლება მათი როლის დაყვანა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების რეგულატორამდე. მათ გააჩნიათ უფრო ფართო შესაძლებლობები. მაგალითად: პოლიტიკური ხელისუფლების მიერ, რეფორმებისა და რევოლუციების გარეშე, ქვეყანაში საკუთრების სხვადასხვა ფორმების შეფარდების ცვლა საგადასახადო სისტემის მეოხებით. აშშ-ში დღეისათვის ფაქტიურად აღარ არსებობენ ცალკეული პირების ხელში მყოფი მსხვილი ფირმები. მიზეზი უბრალოა: **ფიზიკური პირის შემოსავლებზე დაწესებული გადასახადი მრავალჯერ აღემატება კორპორაციების ანუ სააქციო საზოგადოებების შემოსავლების გადასახადს**. შედეგი: **ყველა კერძო ფირმა გახდა სააქციო საზოგადოება, ანუ საკუთრების ერთი ფორმა შეიცვალა მეორეთი.**

ხელისუფლებრივი სტრუქტურები ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ ორი გზით:

- ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედება საკანონმდებლო საშუალებების მეოხებით;
- ეკონომიკის რეგულირება მისივე შემადგენელი ნაწილებით (ფინანსები, კრედიტი, გადასახადები და ასე შემდეგ).

მათი ერთობლივი გამოყენება საშუალებას აძლევს სახელმწიფოს:

- აიცილოს ღრმა ეკონომიკური ჩავარდნები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ეკონომიკური აღმავლობა;
- გააკონტროლოს ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ გადაიქცნენ დამანგრეველ ძალად (უმუშევრობა, ინფლაციის ზრდა, საბიუჯეტო დეფიციტი);
- ეკონომიკის ახალი დარგების განვითარების სტიმულირება, სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითი წონისა და ამით "საშუალო კლასის" რაოდენობრივი ზრდისადმი ხელშეწყობა.

ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხი დაკავშირებულია ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა ეკონომიკური ძალაუფლების პოლიტიკურ ძალაუფლებად გადაქცევა.

როდესაც საუბრობენ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, მხედველობაში აქვთ კონკრეტული პოლიტიკური ინსტიტუტები: პარლამენტი, საპრეზიდენტო ხელისუფლება, მინისტრთა საბჭო, უზენაესი სასამართლო და ასე შემდეგ, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციის მთელი აპარატი.

ეკონომიკური ძალაუფლება არ არის რაიმე ფორმალიზებული, წარმოდგენილი შესაბამისი ინსტიტუტების მიერ. ეს არის სიმდიდრის,

კაპიტალის ძალაუფლება, კაპიტალის წარმომადგენელთა უნარი მოახდინონ ზეგავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე, და სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე მთლიანობაში. კაპიტალის უფრო ხელსაყრალი გამოყენების მიზნით, ისინი სხვადასხვა საშუალებებით (დაინტერესებული ჯგუფების შექმნა პარლამენტში, მაღალ პოლიტიკურ პოსტებზე არჩევა) ზემოქმედებას ახდენენ მთავრობაზე. ამდაგვარად ხდება ეკონომიკური ძალაუფლების გარდაქმნა პოლიტიკურად. ანუ კ. მარქსის "კაპიტალის" ერთ-ერთი ცნობილი დებულების პერიფრაზა რომ მოვიყვანოთ: **კაპიტალისტები იმიტომ კი არ არიან კაპიტალისტები, რომ ფლობენ პოლიტიკურ ძალაუფლებას და მართავენ სახელმწიფოს, პირიქით, ისინი ხდებიან ძალაუფლების მფლობელნი და სახელმწიფოს მმართველნი იმიტომ, რომ კაპიტალისტები არიან.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვებერი მ. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა. თბ., 1994
2. შპენგლერი ო. პოლიტიკის ფილოსოფია. თბ., 1995
გობსონი ჯ. იმპერიალიზმი. 1902 წ
3. ლენინი ვ. “იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია”. 1917წ
4. დომინიკ კოლა. პოლიტიკური სოციოლოგია. თბ; 1999
დემოკრატია და ეკონომიკა. თბ., 2000
5. პოლიტიკა. კვინტესენცია. თბ., 1999
5. ქოჩორაძე ოთარი, შუბითიძე ვაჟა. პოლიტოლოგია. თბ., 2001
6. Бурьде П. Социологиа политики. М., 1992
7. Шумпетер И. Капитализм, социализм и демократия. М., 1995
8. Халипов И. Введение в науку о власти. М., 1986
9. Халипов И. Власть. Словарь. М., 1997
10. Ричард Пайпс. Собственность и свобода. М., 2000
11.Щетинин В.Д. Экономическая дипломатия. М., 2001

Summary
Otar Kochoradze
The control above space

Dynamics of a political reality and creation will of the political figures constantly change everything. In world politics there are numerous successful and unsuccessful attempts proceeding from national interests to change the world.

The success depends on creative management, that in its turn unites values of political tactics and scientific methodology.

We consider the method of scientific management means a method of spatial thinking: the systematic analysis of the political, economic, geographical, military factors and projecting potential of state on a global scale.

Major factors of the control above space are authority and economy.

The philosophical consideration of authority is mostly general, it does not mention private displays and due to a powerful semantic field allows to consider it on a high level of abstraction, avoiding private definitions and concepts.

The control of teritory means development. For this purpose it is necessary for the state to supervise reliably own economy and operate its proceeding from national interests.

Резюме
Отар Кочорадзе
Контроль над пространством

Динамика политической реальности и творческая воля политических деятелей постоянно изменяет все. В мировой политике постоянно происходят многочисленные успешные и неуспешные попытки изменить мир исходя из национальных интересов.

Успех во многом зависит от творческого управления, что в свою очередь обьеденяет ценности политической тактики и научной методологии.

На наш взгляд метод научного управления подразумевает метод пространственного мышления: системный анализ политических, экономических, географических, военных факторов и проецирование потенциала государства в мировом масштабе.

Основными факторами контроля над простpнанством являются власть и экономика.

Философское рассмотрение власти является наиболее общим, оно не затрагивает частных проявлений и благодаря мощному семантическому полю позволяет рассматривать ее на высоком уровне абстракции, избегая частных определений и понятий.

Контроль территории подразумевает освоение и развитие. Для этого нужно чтобы государство надежно контролировало собственную экономику и управляло ее исходя из национальных интересов.

გიორგი ბაღათურია

პოლიტიკური სამყარო-ცნობიერება, გარემო სისტემა

შესავალი

პოლიტიკური სამყარო სახელმწიფოთა არსებობისა და განვითარების ერთგვარი ირაციონალური სივრცეა. მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებისა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) და იდეოლოგიური ელიტის მიერ სრულად გაცნობიერებულია არსებული პოლიტიკური სამყარო და მისი თავისებურებები. ჩვენი აზრით, პოლიტიკური სამყაროს ძირითადი შემადგენელი ელემენტებია – პოლიტიკური ცნობიერება, პოლიტიკური გარემო, პოლიტიკური სისტემა.

პოლიტიკური ცნობიერება

> პოლიტიკური ცნობიერება – რთული ფენომენია, რომელიც ადამიანის სულიერი არსებობის კატეგორიას განეკუთვნება. იგი აერთიანებს მოცემული სოციალური, ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფისთვის საერთო ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ისტორიულ ცოდნას, ფასეულობებს, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს, სხვადასხვა ნორმებს, დაუწერელ კანონებს და სხვ. ყოველივე ამაში თავის ასახვას პოულობს პოლიტიკაც, როგორც სოციალური ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა (უფრო ხშირად გაუცნობიერებლად, ქვეცნობიერ დონეზე).

განვასხვავოთ პოლიტიკის გაგების სამი დონე: შემეცნებითი, ემოციური და შეფასებითი.

შემეცნებით დონეზე ფორმირდება პოლიტიკური ცოდნა და წარმოიქმნება პოლიტიკური მეცნიერება. ემოციური დონე ასახავს ადამიანთა ემოციებს, გრძნობებს, განწყობილებებს, რომლებიც პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. ეს პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანია. შეფასებით დონეზე მიმდინარეობს მსჯელობა პოლიტიკური მიზნების შესახებ, ფორმირდება პოლიტიკური მოღვაწეობის პრინციპები. სწორედ ეს გახლავთ პოლიტიკური იდეოლოგიის სფერო.

პოლიტიკური მეცნიერება, პოლიტიკური ფსიქოლოგია და პოლიტიკური იდეოლოგია მთლიანობაში პოლიტიკურ ყოფიერებას ასახავენ. თუმცა ეს ყოველივე ხორციელდება ერთმანეთისაგან განსხვავებული გზებით და ამავე დროს, რაც მთავარია, ისინი განსხვავებულ სოციალურ როლს ასრულებენ. პოლიტიკური მეცნიერება შემეცნებითი აზროვნების ნაყოფია, იგი სწავლობს და აანალიზებს პოლიტიკის, სახელმწიფოს, ხელისუფლებისა და ძალაუფლების შესახებ არსებულ ისტორიულ-პოლიტიკურ ფაქტებს, არსებულ პოლიტიკურ რეალობას და პოლიტიკური განვითარების წინასწარმეტყველების შესაძლებლობას იძლევა. პოლიტიკური მეცნიერება კი არ იგონებს ან ქმნის პოლიტიკას, იგი „მხოლოდ“

ხსნის პოლიტიკური ფუნქციონირების მექანიზმს. მაგრამ, **არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ პოლიტიკური მეცნიერების მეთოდებით შესაძლებელია პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის უტყუარი პროგნოზირება, იმდენად დიდია „შემთხვევითი გარემოს" (1) ზემოქმედება ამ პროცესების მიმდინარეობის ხასიათზე**. ცხადია, რომ პოლიტიკური ანალიზის შედეგები თავის გავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერებაზე, თვით ამ შედეგების ინტერპრეტაცია კი არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს საზოგადოებაში (როგორც მხარდაჭერას, ისე მძაფრ კრიტიკას, იმისდა მიხედვით, ემთხვევა თუ არა პოლიტიკური ანალიზის შედეგები კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს ან წარმოდგენებს).

ვინაიდან პოლიტიკური მეცნიერება არ წარმოადგენს ზუსტი (საბუნებისმეტყველო) მეცნიერების სფეროს და ამის გამო შეუძლებელია მისი ჭეშმარიტობის შემფასებელი ობიექტურად ნეიტრალური კრიტერიუმების, საზომი ერთეულის დადგენა, ამდენად პოლიტიკური მეცნიერების შედეგების (არსებული მდგომარეობის ანალიზის და განვითარების პროგნოზის) პრაქტიკული გამოყენება დიდ სირთულეებს აწყდება. ნებისმიერი პოლიტიკური ფაქტის ინტერპრეტაცია ხდება გარკვეული სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო კონკრეტულად იმისდა მიხედვით, თუ როგორი ინტერპრეტაციაა მისაღები ხელისუფლებისათვის ან ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ან სოციალური, ეთნიკური, კონფესიური ჯგუფისთვის. სოციალური, ერთგვარი „კერძო" ინტერესი (პარტიული, სახელისუფლებო, ეთნიკური) იწყებს ობიექტური სინამდვილის იგნორირებას ან, უკეთეს შემთხვევაში, თავის სასარგებლოდ მის ინტერპრეტირებას. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მეცნიერება გარდაიქმნება პოლიტიკურ იდეოლოგიად. პოლიტიკური იდეოლოგია კი გარკვეულ მიზნებს ემსახურება, მისი არსებობა განპირობებულია გარკვეული პოლიტიკური მოტივაციით და ამდენად, რაც სრულიად ბუნებრივია, ხშირად უარს ამბობს არსებულ, ობიექტურ პოლიტიკურ ჭეშმარიტებაზე, ცდილობს დაიქვემდებაროს პოლიტიკური ანალიზის შედეგები და იწყებს საკუთარი მიზნებით ხელმძღვანელობას.

პოლიტიკური ანალიზის შედეგების იდეოლოგიური მოსაზრებებით სრული ან ნაწილობრივი იგნორირება იმითაც არის განპირობებული, რომ ნებისმიერი სოციალურ-პოლიტიკური თეორია და რეალობის „ობიექტური" ასახვა ყოველთვის სცოდავს ჭეშმარიტებასთან მიახლოების თვალსაზრისით, იგი არასდროს არ არის აბსოლუტურად ობიექტური და ამდენად არ არის თავისუფალი და სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორებისაგან დამოუკიდებელი. კიბერნეტიკული ტერმინებს თუ მოვიშველიებთ, სოციალურ-პოლიტიკური ექსპერიმენტით (გამოკვლევით, ანალიზით) მიღებული შედეგები (დასკვნები, სახელმძღვანელო დებულებები, პოლიტიკური რეკომენდაციები) ყოველთვის შეიცავს განუზღვრელობას და შემთხვევითობის ელემენტებს, ვინაიდან,

ერთი მხრივ, თვით ის „ექსპერიმენტული“ ბაზაა (ისტორიული ფაქტები, პოლიტიკური ცნობიერების ანალიზის შედეგები) არასრულყოფილი, არასრული, შემთხვევითი, დამახინჯებული, რომელსაც ეყრდნობა მიღებული დასკვნები და მეორე მხრივ, არასრულყოფილია ის მეთოდოლოგიაც, რომლითაც ხორციელდება არსებული მონაცემების გადამუშავება სათანადო რეკომენდაციების ჩამოყალიბების პროცესში. *„მეთოდს უჭირავს კვლევის ბედი. მეთოდზეა დამოკიდებული კვლევის სერიოზულობა. კარგი მეთოდი საშუალო ნიჭის ადამიანსაც ბევრს გააკეთებინებს, ხოლო ცუდი მეთოდით გენიალური ადამიანიც ამაოდ დაშვრება” (ი. პავლოვი).*

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ თავისუფალი და ჭეშმარიტი ვერ იქნება რომელიმე სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა, მსოფლმხედველობა, იდეოლოგია. ე.ი. პოლიტიკური მეცნიერება მაინც უფრო ახლოს არის ჭეშმარიტებასთან, ვიდრე პოლიტიკური დოქტრინა, ვინაიდან იგი ასახავს, ან ცდილობს ასახოს *„საგანთა არსებული და არა წარმოსახვითი რეალობა“ (ნ.მაკიაველი).* ამ რეალობის გაუთვალისწინებლობა ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წანამძღვარი ამა თუ იმ იდეოლოგიის საბოლოოს მარცხისა. კომუნისტური იდეოლოგიის მარცხის მთავარი მიზეზი სწორედ არასწორი პოლიტიკური ანალიზი და ობიექტური რეალობის გაუთვალისწინებლობა გახდა. მეორე მხრივ, როგორც პოლიტიკური მეცნიერების (თეორიის, აზრის) განვითარების მთელი ისტორია გვიჩვენებს ანტიკური ეპოქიდან დღემდე, ძალიან ძნელია მკაფიოდ გავმიჯნოთ პოლიტიკური შემეცნების სფერო პოლიტიკური იდეოლოგიით განსაზღვრული მოთხოვნებისგან, მეცნიერული, ობიექტური მიუკერძოებლობა - პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებისა ან ინტერესებისგან, არსებული ობიექტური რეალობა - მოგონილი თუ მართლაც არსებული „ისტორიული სიმართლისგან“.

არსებული პოლიტიკური რეალობა, სოციალური კონფლიქტები, სხვა სახელმწიფოთა ინტერესები, საზოგადოებრივი განხეთქილება (ზოგჯერ განზრახ ინიცირებული) აიძულებს ადამიანებს იდეოლოგიურად იაზროვნოს, მათ ავიწყდებათ, რომ ყოველივე ჩამოთვლილი აგრეთვე „ობიექტური რეალობაა“ (მიუხედავად იმისა, მტრული ძალების მიერაა პროვოცირებული თუ არა), კიბერნეტიკის ტერმინოლოგიით ესაა „ხმაური“, წინასწარ უცნობ ხელშემშლელ ფაქტორთა ნაკრები, რომელიც სხვადასხვა ინტენსიურობით ყოველთვის ახლავს სახელმწიფო მართვის პროცესებს. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური პროცესების თვით კეთილსინდისიერი მკვლევარიც ყოველთვის ვერ ახერხებს იყოს გულგრილი, მიუკერძოებელი, მას ყოველთვის ახასიათებს სოციალურ-პოლიტიკური სიმპათია და ეყრდნობა გარკვეულ ფასეულობებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სინამდვილისათვის მეტად რთულია ქვეყნის პოლიტიკური შემეცნების შესწავლის ობიექტური მეთოდების გამოყენება იმ მიზეზის გამოც, რომ სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკურ ცნობიერებაში შესაძლებელია იარსებოს გაუცნობიერებელმა ან მიზანმიმართულად დამკვიდრებულმა საფრთხემ ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის წინაშე. იმ ობიექტური რეალობის გათვალისწინებით, რომ საზოგადოდ პოლიტიკური იდეოლოგია გარკვეული პოლიტიკური მიზნების დიქტატის განხორციელებას ემსახურება და, როგორც წესი, წარმოდგენილია ერთგვარი, პოლიტიკურად დასრულებული, სრულყოფილი ფორმით და სოციალური ჭეშმარიტების სახით, იგი (ასეთი იდეოლოგია) შეიძლება შეიცავდეს სხვა ეთნო-პოლიტიკური ჯგუფებისათვის სასიცოცხლო ფასეულობების წაშლის წარმოსახვით და/ან რეალურ საშიშროებას.

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაში საქართველოს საზოგადოების პოლიტიკური შემეცნების შესწავლისა და პოლიტიკური აზრისა და იდეოლოგიის განვითარების ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, მკაფიოდ და დაუფარავად უნდა იქნეს გაცხადებული ის მთავარი მიზანი, რომელიც არამცთუ მისაღებია, არამედ საერთოა საქართველოში მცხოვრები სოციალური, ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების აბსოლუტური უმრავლესობისათვის.

პოლიტიკური გარემო

სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას საქართველოსთვის განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება, რაც შესაძლოა არ იყოს აგრერიგად აქტუალური სხვა ქვეყნებისთვის – მათთვის, რომლებიც მშვიდ პოლიტიკურ გარემოში ვითარდებიან.

პოლიტიკური გარემო გულისხმობს როგორც საგარეო-პოლიტიკურ, ისე შიდა-პოლიტიკურ ვითარებას. მოვახდინოთ მშვიდი, რთული და მწვავე პოლიტიკური გარემოს დეფინაცია.

მშვიდია პოლიტიკური გარემო, როდესაც ქვეყანას არ ემუქრება სახელმწიფოებრიობის დაკარგვა ან მისი შებღალვა, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, როდესაც არ არსებობს, ერთი მხრივ, საგარეო (აშკარა ან ფარული) აგრესიის ან სამოქალაქო ომის საფრთხე, ხოლო, მეორე მხრივ – სეპარატისტული რღვევის ან რევოლუციური ამბოხის საშიშროება.

რთულია პოლიტიკური გარემო, როდესაც სახელმწიფო მეტნაკლები ხარისხით დაუცველია აღნიშნულ საფრთხეთაგან.

მწვავე ან უკიდურესად მწვავეა პოლიტიკური გარემო, როდესაც ქვეყანა იმყოფება საომარ მდგომარეობაში საგარეო მტრის წინააღმდეგ, სამოქალაქო ომის შემთხვევაში ან ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზით წარმოქმნილი ამბოხის შეიარაღებული ძალით ჩახშობის პროცესში. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მიზეზითაა წარმოქმნილი ამბოხი – ეროვნულ-გამათავისუფლებელი თუ

სეპარატისტული მიზნებით, სამხედრო თუ რევოლუციური გადატრიალების მცდელობით, რელიგიური თუ სოციალური მღელვარებით, მაგრამ გადამწყვეტია ის გარემობა, თუ რამდენად თანაუგრძნობს ამბოხს მოსახლეობის ფართო ფენები.

სეპარატისტული მოძრაობა შესაძლოა პროვოცირებული იყოს გარეშე ძალებითაც, მაგრამ თანამედროვე პირობებში სეპარატიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალაა სახელმწიფოს ირაციონალური საშინაო პოლიტიკა. მყარი ეკონომიკური მდგომარეობის ქვეყანაში სეპარატიზმის თავიდან აცილება შესაძლებელია მკაფიოდ განსაზღვრული, ნათელი და პატიოსანი პოლიტიკით, როდესაც თეორიულად დასაბუთებულია და პრაქტიკულად ხორციელდება ქვეყანაში არსებული ეთნიკური უმცირესობების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება.

სეპარატიზმს ხელს უწყობს აგრეთვე ქვეყანაში არსებული სამოქალაქო, რევოლუციური ან სამხედრო ამბოხის ობიექტური წინაპირობები – იურიდიული, პოლიტიკური, სოციალური უთანასწორობა, ეთნიკური და/ან რელიგიური შუღლი, სუსტი სახელმწიფოებრივი მმართველობა, ეკონომიკური სიდუხჭირე და სხვ.

ევროპულ სახელმწიფოთა აბსოლუტური უმეტესობა არსებობს და ვითარდება მშვიდ პოლიტიკურ გარემოში. რაც შეეხება საქართველოს, იგი არასდროს ყოფილა მშვიდ პოლიტიკურ ვითარებაში. მშვიდ პოლიტიკურ გარემოსთან მიახლოებულ მდგომარეობაში საქართველო იმყოფებოდა მცირე ხნით, თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალის ზეობის დროს. უკიდურესად მცდარი იქნება ისეთი შეხედულება, რომ თითქოს საქართველოსთვის მშვიდი პოლიტიკური გარემო არსებობდა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს, ვინაიდან თვით პოლიტიკური გარემოს ცნება განუყოფლად უკავშირდება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ცნებას. ამ პერიოდში შესაძლებელია ვიმსჯელოთ რუსეთის, საბჭოთა კავშირის და არა საქართველოს პოლიტიკური გარემოს შესახებ. დამოუკიდებ-ლობაწართმეული ერებისთვის პოლიტიკური გარემო ყოველთვის რთულია, ვინაიდან, ხალხისთვის შესაძლოა მოხსნილი იყოს ფიზიკური განადგურების საფრთხე და მან შეიძლება გარკვეულ ეკონომიკურ კეთილდღეობასაც მიაღწიოს, მაგრამ განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს ეროვნული თვითმყოფადობის წაშლის საშიშროება. ადამიანები იარსებებენ, მაგრამ ერი გაქრება, როგორც ეს დაემართა მრავალ მცირე ერს რუსეთის იმპერიაში (უბიხები, წებელდელები, შაფსუგები...). რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში საქართველომ შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა, მაგრამ მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა თვით ქართულ ცნობიერებას, რომელიც იმდენად დამახინჯებული აღმოჩნდა, რომ ქართველ ერმა თითქმის დაკარგა საკუთარი ეროვნულობისა და ეროვნული

სახელმწიფოს შენარჩუნების ინსტინქტი, თავისუფლებისთვის თავგანწირვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. საუბარია მთლიანად ხალხის შესახებ, რომელსაც ვერ იხსნიან ცალკეული გმირები, თუ ქვეყანას უვარგისი ხელისუფლება ჰყავს, ვინაიდან ***„ყოველ ხალხს ჰყავს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც იმსახურებს".***

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველო რთულ და მწვავე პოლიტიკურ გარემოში იმყოფება – სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო ომები, ამის ნათელი დადასტურებაა. 2003 წელს საქართველო რთულ პოლიტიკურ გარემოში იმყოფებოდა, რომელიც მწვავე ვითარებაში გადაიზარდა – *ქვეყნის ხელისუფლება რევოლუციური გზით შეიცვალა.*

საქართველოს რთულ პოლიტიკურ გარემოს ქმნიდა როგორც საგარეო-პოლიტიკური, ისე შიდა-პოლიტიკური ვითარება.

რთული შიდა ვითარების ძირითადი მიზეზია დამოუკიდებლობის პერიოდში ქვეყნის ხელისუფლების მიერ ათასწლეულთა მიჯნაზე გატარებული ირაციონალური საშინაო, საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული არამდგრადი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და სუსტი სახელმწიფო მმართველობა. ასეთ პირობებში ერის არსებობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სწორი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დროულად შემუშავებას. ასეთ იდეოლოგიას ხანმოკლე დროის განმავლობაში ძალუძს რადიკალურად შეცვალოს პოლიტიკური გარემოს ცვლილების ვექტორი მშვიდი პოლიტიკური გარემოს მიმართულებით. 2003 წლის რევოლუციურმა ცვლილებამ ერთგვარად განამტკიცა შიდა-პოლიტიკური ვითარება ხელისუფლების მიზანსწრაფული და გამოკვეთილი მოქმედებისა და მოსახლეობაში სასიკეთო გარდაქმნების დიდი მოლოდინის შედეგად. ამდენად, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებისთვის ქვეყანაში სახარბიელო ატმოსფერო შეიქმნა. ასეთი იდეოლოგია, ერთი მხრივ დააჩქარებს ქვეყნის აღმშენებლობის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ – შეზღუდავს ხელისუფლების თვითნებობისკენ გადაცდომების შესაძლებლობებს, რაც დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მძლავრი წანამძღვრის – გაწონასწორებული ხელისუფლების სისტემის შექმნას შეუწყობს ხელს.

საქართველოს რთულ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას ქმნის შეცვლილი სამყარო, – ქვეყანამ მიაღწია სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, თითქოსდა შეიქმნა ღირსეული განვითარების პირობებიც, მაგრამ დამოუკიდებლობამ ამასთანავე წამოაყენა ისეთი ბუნებრივი მოთხოვნებიც, რომელთა შეუსრულებლობა საქართველოს იოლად დააკარგვინებს დამოუკიდებლობას. ძირითადი პირობაა – ქვეყანამ შეძლოს ღირსეული, **თავის უფალი** ერის შესაფერი ცივილიზებული თანაცხოვრება ახალ, შეცვლილ სამყაროში. ცხადია, რომ ერის თავისუფლება არ განიხილება, როგორც მხოლოდ

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეგნული ატრიბუტიკა. *„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს"* – პირველ რიგში ესაა საქართველოს მოქალაქეთა შეუბღალავი ღირსება, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს „სრულყოფილი" საგარეო, საშინაო, ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურისა და მეცნიერების განვითარების პოლიტიკით, ტრადიციების შენარჩუნებით და ა.შ. თუმცა ამავე დროს არ გვავიწყდება, რომ „სრულყოფილი პოლიტიკა" განუსაზღვრელი ცნებაა. ამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის სწრაფვა იმ ზოგადი, არაკონკრეტული კონტურებით მინიშნებული მიზნისაკენ, რომელიც მოცემულ ეპოქაში და მოვლენათა განვითარების გათვალისწინებით შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ, როგორც „სრულყოფილი". ამასთან, კონკრეტული ნაბიჯები ასეთი მიზნისკენ, თვით მოძრაობა სრულყოფილებისკენ, უკვე ქმნის სრულყოფილების შეგრძნებას და პრაქტიკულად სრულყოფილების არეალს წარმოადგენს. სახელმწიფო და მოქალაქენი გრძნობენ, რომ არსებობს მათი სახელმწიფოებრივი ღირსება, რომლისკენაც ისინი მიისწრაფვიან და რომელსაც ოდესმე მიაღწევენ. კვლავ გავიმეორებთ, რომ **მთავარია ასეთი მიზნისკენ სწრაფვა და არა მიღწევა მიზნისა**,(2) რომელიც შეუძლებელია იყოს კონკრეტიზებული – სრულყოფილებას არა აქვს საზღვარი, როგორც სახელმწიფოებრივს, ისე პიროვნულს. სახელმწიფოებრივი სრულყოფილების წარმოდგენაც კი მეტად რთული ამოცანაა, – ეს მხოლოდ უტოპისტებმა შეძლეს.(3) რაც შეეხება პიროვნულ სრულყოფილებას, იგი უსასრულოა. ამდენად, საკმარისია ასეთი განუზღვრელი მიზნის ე.წ. **„დაშვების ველში" შეღწევა**, რაც სრულებით საკმარისია პრაქტიკული სახელმწიფოებრივი ამოცანებისთვის.

ასეთი სწრაფვა თითოეული ქვეყნისთვის ინდივიდუალურია და გამოირჩევა ამ ქვეყნების ხალხთა ისტორიული თავისებურებებით. ამ შემთხვევაში სრულიად დაუშვებელია იძულება (სულერთია, პოლიტიკური იქნება ეს, ეკონომიკური თუ „საზოგადო" კულტურულ ფასეულობათა დაუოკებელი თავსმოხვევა-პროპაგანდა და „ადგილობრივის" უკუგდება), რასაც მრავალი სიმახინჯის გამოწვევა შეუძლია, მათ შორის თვით სრულყოფილების იდეის უარყოფაც და კარჩაკეტილობის წახალისება. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა უკვე შეაღწიეს „სრულყოფილების მიზნის დაშვების ველში".

სრულყოფილებისკენ სწრაფვის მოთხოვნას სულ უფრო დაბეჯითებით აყენებს საერთაშორისო საზოგადოებრიობაც. და ეს ბუნებრივიცაა. ცივილიზაციის ინტელექტუალურმა დონემ, დედამიწის ერთიან ინფორმაციულ სივრცედ შეკვრამ დააჩქარა მსოფლიო პოლიტიკის ზნეობრივი და სამართლებრივი ორიენტირების წარმოჩენა. კაცობრიობის ისტორიამ თვისებრივად ახალ პოლიტიკურ სივრცეში გადაინაცვლა, ასევე თვისებრივად ახალი შინაარსის ხდება სახელმწიფო პოლიტიკისა და იდეოლოგიის ურთიერთქმედება, რაც საქართველოსთვის სპეციფიკურ თავისებურებებს იძენს.

საქართველო, მთლიანად სამხრეთ კავკასია, თანდათან გადის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ორბიტაზე, დასაბამი ეძლევა ევროკავშირის ეპოქალურ პროექტებს, ახალი აბრეშუმის გზის აღორძინებას, რაც ცენტრალური აზიის სტრატეგიულ რეგიონს, XXI საუკუნის სამყაროს „ენერგეტიკულ გულს" ევროპასთან, მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან დააკავშირებს. საქართველო იბრუნებს თავის მსოფლიო ისტორიულ როლს, იგი ხდება დამაკავშირებელი გზაჯვარედინი დასავლეთისა – აღმოსავლეთთან, ჩრდილოეთისა – სამხრეთთან. გრანდიოზული ეკონომიკური ამოცანები პოლიტიკური სტაბილურობის წანამძღვარი ხდება, იქმნება ის აუცილებელი წინაპირობები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარება, პოლიტიკური თუ ეკონომიკური, ეთნიკური თუ რელიგიური ხასიათის კონფლიქტების მოგვარება.

სტრატეგიული თვალსაზრისით კავკასიური პრობლემების მოწესრიგება მსოფლიო მშვიდობის მიღწევის ერთ-ერთი გასაღებიცაა.

საქართველოს, „კავკასიის საფრანგეთის"(4) როლი ამ პროცესებში უნიკალურია და სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ არის ნეოიმპერიალისტური ძალებისა თუ სამხედრო-კრიმინალური მაფიის უკიდურესი სიმწვავის პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა, ფაქტობრივად დაუფარავი, ნიღაბახდილი შანტაჟი საქართველოს ახალ კავკასიური ომის ხანძარში ჩასათრევად, ომში, რომლის კატასტროფული შედეგების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. (5)

ამრიგად, საქართველო წარმოადგენს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების არეს. ვერ ვიტყვით, რომ ეს მოვლენა ერთმნიშვნელოვნად, უპირობოდ დადებითია საქართველოსთვის. საქართველოს მიერ გეოპოლიტიკური ფუნქციის დაბრუნება, ერთი მხრივ, ზრდის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აუცილებლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ პროცესს თან ახლავს მრავალი არასასურველი მოვლენა, ადრე სრულებით წარმოუდგენელი, რაც შესაძლოა საქართველოსთვის ტრაგიკული, შეუქცევადი პროცესების კატალიზატორიც გახდეს. მრავალი ძალაა დაინტერესებული იმით, რათა საქართველოში სუფევდეს მართვადი ქაოსი, რაც ქვეყანას მეტად მიმზიდველს ხდის საერთაშორისო მაფიისთვის (ნარკოტრაფიკი, ტრეფიკინგი, იარაღით უკანონო ვაჭრობა, ფინანსური მაქინაციები – ფულის გათეთრება და ა.შ.).

საქართველოს მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ავტორიტარული რეჟიმით მიძინებული და თავისუფალ, დემოკრატიულ სამყაროში უეცრად აღმოჩენილი ქართველი საზოგადოება გარკვეულწილად მოუმზადებელი გახლავთ რათა ინფორმაციულ ოკეანეში მოულოდნელად ჩაფლულს განესხვავებინა ყალბი ხმები ჭეშმარიტისგან, თვალი პატიოსანი ბიჟუტერიისგან, რიოში კამათლით თამაში ჯენტლმენური პაექრობისგან. ამ დროს „ირკვევა", რომ თურმე ის ყოველივე, რაც საკუთარ სახელმწიფოსა და ერს ეხება –

დრომოჭმულია და პროგრესისათვის ხელისშემშლელი, ნამდვილად ღირებული და პიროვნების თავისუფლებისათვის საჭირო კი მხოლოდ ის არის, რასაც ცივილიზებული სამყარო ეთაყვანება. ამასთან, ოპერატიულად ინერგება ე.წ. პოპკულტურული ფასეულობები, რასაც არაფერი სააერთო არა აქვს ცივილიზაციის ჭეშმარიტ კულტურულ საგანძურთან. კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილისთვის სრულებით ეჭვსგარეშეა, რომ ადამიანის ზნეობრივი და კულტურული სრულყოფა, მათ შორის მისი პიროვნული, ნამდვილი თავისუფლება მიიღწევა მხოლოდ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალების და ღირებულებების ჰარმონიული შეთანხმებით და პირიქით, ერთი რომელიმეს – ეროვნულის ან ზოგადასაკაცობრიო ღირებულებების – მთლიანად უარყოფა ან უკუდგება მხოლოდ ადარიბებს მას, უიმედოდ აშორებს ადამიანის, როგორც ღვთის ხატის მსგავსებიდან და აახლოვებს ერთგვარი პირუტყვის სახეობასთან.

მიუხედავად ამისა, რეალურად უპირველესად ხელმისაწვდომი ხდება ცივილიზებული სამყაროს არა ის არსებითი და მარადიული ღირებულებანი, რომლებიც განაპირობებენ სამყაროს მრავალფეროვნების შენარჩუნებით საყოველთაო ჰარმონიისკენ სწრაფვას, არამედ ზედაპირული, ყალბი ფასეულობანი, რაც იწვევს სულიერების გაუბრალოებასა და ნიველირებას, მატერიალური და ამწუთიერი მიზნების პრევალირებას, ქვენა გრძნობებისა და ცხოველური ინსტინქტების გადვივებას, ერის ორიგინალობისა და განუმეორებლობის განმსაზღვრელი ტრადიციების რღვევას, პიროვნების გაუცხოებას როგორც ეროვნული თვითშეგნებისგან, ისე ზოგადსაკაცობრიო იდეალებისგან, მის მტრულ დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი (ან უკეთეს შემთხვევაში – დისტანცირებას სახელმწიფოსგან) და, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის ახალი ტიპის მონობას.

ასეთი სახელმწიფოს პოლიტიკურ გარემო ყოველთვის რთულია, რაც ქვეყნის განვითარების დამამუხრუჭებელი მუდმივი დაბრკოლება იქნება. უარეს შემთხვევაში, არსებული რთული პოლიტიკური გარემო იოლად შეიძლება გადაიზარდოს მწვავე და უკიდურესად მწვავე ფორმაში, სახელმწიფოებრიობის საბოლოო მოშლის საფრთხით. პოლიტიკური გარემოს ცვალებადობის ობიექტური კანონზომიერება აუცილებლად გამოიწვევს ასეთი პროცესების განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი სულ უფრო ხშირად საერთაშორისო სამართლის პრინციპებით და ნორმებით რეგულირდება. ამის გამო მცირე ერებს არ ემუქრება აშკარა (დაუფარავი) საგარეო აგრესიის საფრთხე, მაგრამ ცივილიზებული სამყარო ვერ და არ დადგება რომელიმე ერის და, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე, თუ თვით ქვეყანაში არ იქნა სათანადო მზაობა სახელმწიფოებრივი ინტერესების განუხრელი დაცვისა ქვეყნის არსებობის სასიცოცხლოდ აუცილებელ ყველა სფეროში – საგარეო

და საშინაო პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში, სოციალურ სფეროსა და განათლებაში და ა.შ.

პოლიტიკური გარემო დამოუკიდებელი საქართველოსთვის გართულებულია იმის გამოც, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში დგება გადამწყვეტი გარდატეხის ჟამი გეოპოლიტიკური გავლენის სივრცეთა გადანაწილების პროცესში. მთელი ქვეყნის წინაშე კვლავ დგას „ყოფნა-არყოფნის" რიტორიკული კითხვა. შეძლებს საქართველო შეინარჩუნოს თავისი განუმეორებელი თვითმყოფადობა, ტრადიციული ფასეულობები და ამავე დროს სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს გლობალიზაციის ობიექტურად მიმდინარე გარდაუვალ პროცესებში? მოახერხებს ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო გაუძლოს უტყვ სატელიტად მისი გადაქცევისათვის ზესახელმწიფოთა ფარულ თუ დაუფარავ ზეწოლას? და ეს მაშინ, როდესაც არსებული პოლიტიკური გარემო მყიფე წონასწორობაშია – სუსტი სახელმწიფო მმართველობა, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, დივერსიები და საბოტაჟი, სამხედრო-პოლიტიკური შანტაჟი და შინააშლილობა, საბაზრო ეკონომიკისთვის პრაქტიკულად მოუმზადებელი მოსახლეობა, გამწვავებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა.

ასეთ დრამატულ ატმოსფეროში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მოქნილი და ეფექტიანი ფუნქციონირება, მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ პროცესებში სწორი და დროული ორიენტირება, სტრატეგიული განვითარების ვექტორის უცდომელი წარმართვა, საბჭოთა იმპერიული მმართველობით მოდუნებული ქვეყნის და ტოტალიტარული მენტალიტეტით გამსჭვალული ხალხის დემოკრატიულ ბაზისზე გადაყვანა, ეროვნული ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებით.

აღნიშნულ მიზანთა მიღწევადობა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკის, მისი საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების განმსაზღვრელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებითაა შესაძლებელი. საქართველოს სახელმწიფოებრივმა იდეოლოგიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების ფართო სპექტრის გადაწყვეტის სტრატეგიულ მიმართულებათა განსაზღვრა საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკური, საფინანსო, კულტურული თუ საგანმანათლებლო პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის სფეროებიდან; სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა საქართველოს სულიერ და ზნეობრივ ტრადიციებთან შეხამება.

პოლიტიკური სისტემა

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ერთმანეთთან რთულ დამოკიდებულებაშია. გარკვეული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით შეიარაღებულმა ჯგუფმა შესაძლოა, მიაღწიოს ქვეყანაში მოცემული იდეოლოგიის შესატყვისი პოლიტიკური სისტემის დამყარებას. ეს პროცესი შესაძლოა განხორციელდეს ინსტიტუციონური გზებით ან ძალისმიერი მეთოდით (რევოლუცია, სამხედრო გადატრიალება,

ინტერვენცია). ამ უკანასკნელის კლასიკური მაგალითია საბჭოთა კომუნისტური პოლიტიკური სისტემის დამყარება საქართველოში 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის შემოჭრის შედეგად. მანამდე საქართველოში ნებაყოფლობით დამყარდა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა.

მეორე მხრივ, ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემა თავადაც განსაზღვრავს ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, რომელიც შესაძლოა, ცხადი სახით არც იყოს ჩამოყალიბებული. ასეთი გახლდათ კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟზე შექმნილი პოლიტიკური სისტემების შესაბამისი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც ძირითადად იმდროინდელ სახელმწიფოთა თვითგადარჩენის ინსტინქტებსა და დამპყრობლურ პოლიტიკას ეყრდნობოდა.

პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება გულისხმობს გარკვეული წესების არსებობას სისტემის სუბიექტების პოლიტიკურ ურთიერთობებში. ეს წესები არეგულირებს იმ მეთოდებს და ხერხებს, რომელთა მეშვეობით, ერთი მხრივ, ხორციელდება საზოგადოების წევრებისა და ხელისუფლების ურთიერთქმედება (ხელისუფლების, კანონის მორჩილება), მეორე მხრივ, რეალიზდება სახელმწიფო ხელისუფლება (სახელმწიფო მართვა).

პლატონის მიხედვით პოლიტიკურ ურთიერთობებში უმთავრესია საკითხი: ვინ უნდა იბატონოს? ან სხვანაირად – ვინ, რატომ და როგორ უნდა მართოს ქვეყანა, ვისი ინტერესების განსახორციელებლად ან რისთვის? პასუხი ამ კითხვაზე განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპისაა სახელმწიფო და მმართველობის როგორ სისტემას იყენებს იგი. პლატონმა ძველი საბერძნეთის ქალაქი-სახელმწიფოები შემდეგ ტიპებად დაყო:

1) მონარქია – ერთი ქველი ადამიანის მმართველობა. მისი დამახინჯებული ფორმაა გახლავთ ტირანია;
2) არისტოკრატია – რამდენიმე ქველი ადამიანის მმართველობა, მისი დამახინჯებული ფორმაა ოლიგარქია;
3) დემოკრატია – მრავალი ადამიანის ან მთელი ხალხის მმართველობა. საგულისხმოა, რომ პლატონს არ მოჰყავს დემოკრატიის დამახინჯებული ფორმა, რადგანაც დემოკრატიას მმართველობის ყველაზე უარეს ფორმად თვლიდა (ათენის დემოკრატიის მიერ მისი დიდი მასწავლებლის, სოკრატეს სიკვდილით დასჯა ამის ნათელი დადასტურება იყო მისთვის).

პლატონის ტრადიცია გააგრძელეს არისტოტელემ და, შემდეგ, შარლ მონტესკიემ.

არისტოტელემ სახელმწიფოთა კლასიფიკაციისათვის ორი ძირითადი კრიტერიუმი ანუ კონსტიტუცია შემოიღო: *1) „იმ მიზნის ბუნება, რომლისთვისაც არსებობს სახელმწიფო" და 2)*

„ხელისუფლების სხვადასხვა ფორმები, რომლებსაც ადამიანები და მათი გაერთიანებები ემორჩილებიან". პირველი კრიტერიუმის მიხედვით, არისტოტელე განასხვავებდა სისტემებს, რომლებშიც მმართველები მართავენ „საერთო ინტერესებიდან" გამომდინარე, „კარგი ცხოვრების" მისაღწევად არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ ყველასათვის, და სისტემები, რომლებშიც მმართველები უფრო საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ესწრაფვიან, ვიდრე საერთოს. არისტოტელე მართებულად იმ ფორმებს მიიჩნევდა, რომლებიც, მიუხედავად ხელისუფალთა (მმართველთა) რაოდენობისა, ორიენტირებულია საზოგადო სარგებლიანობაზე, ხოლო ისინი, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი, *„მმართველთა სარგებელი აინტერესებთ – არამართებულია... ეს სისტემები ეფუძნება ბატონობის საწყისებს, სახელმწიფო კი თავისუფალ ხალხთა გაერთიანებაა".* მეორე კრიტერიუმით, არისტოტელე განასხვავებდა სახელმწიფო ფორმებს მმართველთა რაოდენობის მიხედვით: *„სახელმწიფო მოწყობა იგივეა, რაც სახელმწიფო მართვის წესი, რაც სახელმწიფოში ხორციელდება უმაღლესი ხელისუფლებით, ხოლო უმაღლესი ხელისუფლება აუცილებლად ან ერთი ადამიანის, ან რამდენიმეს ან უმრავლესობის ხელშია".* არისტოტელეს მიხედვით, ერთი ადამიანის მმართველობა მონარქიაა, რამდენიმეს მმართველობა – არისტოკრატია, უმრავლესობის მმართველობა – პოლიტია. მათგან გადახრას, შესაბამისად, წარმოადგენს: ტირანია, რომელიც ერთი მმართველის სარგებლითაა დაინტერესებული, ოლიგარქია – შეძლებული მოქალაქეების სარგებლით და დემოკრატია – სასარგებლოა უქონელთათვის. არისტოტელეს მიხედვით მმართველობის დემოკრატიული ფორმა არ განეკუთვნება საზოგადო ინტერესების სფეროს.

თანამედროვე კლასიფიკაცია ეყრდნობა თომას ჰობსისა და შარლ მონტესკიეს სისტემებს.

ჰობსი განასხვავებდა სახელმწიფოს სამ ფორმას – მონარქიას (ერთი ადამიანის მმართველობა), არისტოკრატიას (მოქალაქეთა ნაწილის მმართველობა), დემოკრატიას (მთელი ხალხის ან ხალხის უმეტესობის მმართველობა). ჰობსის მიხედვით *„ტირანია და ოლიგარქია, მონარქიისა და არისტოკრატიის მხოლოდღა განსხვავებული დასახელებებია. ხოლო ის, ვისაც დემოკრატიის დროს ზიანი მიადგა, მას ანარქიას უწოდებს".* თავად ჰობსი მონარქიას აძლევდა უპირატესობას.

მონტესკიეს აზრით არსებობს სამი ტიპის სახელმწიფო მმართველობა – რესპუბლიკა, მონარქია და დესპოტია. რესპუბლიკა არის ისეთი მმართველობა, როდესაც ხელისუფლება მთელი ხალხის ან მისი ნაწილის ხელშია (გაერთიანებული არისტოტელესეული არისტოკრატია და დემოკრატია). მონარქიის დროს მართავს ერთი ადამიანი, მაგრამ დადგენილი კანონებით. დესპოტიის დროს მართავს ერთი ადამიანი, რომელიც არავითარ კანონებს არ ცნობს. ამასთან მონტესკიეს მიაჩნდა, რომ რესპუბლიკური მმართველობა ვრცელდება

მცირე ტერიტორიებზე (ანტიკური დროის რესპუბლიკები), მონარქია – საშუალო სიდიდის ტერიტორიებზე (მონტესკიეს თანამედროვე ევროპა), ხოლო დესპოტია – ვრცელ ტერიტორიებზე (და ამიტომ იგი დამახასიათებელი იყო აზიისთვის).

არსებობს აგრეთვე მრავალი სხვაგვარი კლასიფიკაცია, რომლებიც პრაქტიკულად იმეორებენ და მცირეოდენ სრულყოფენ ზემოაღნიშნულ ძირითად ტიპებს.

პოლიტიკურ სისტემასთან ერთად უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკური რეჟიმის ცნება, რაც პოლიტიკური სისტემის რეალიზების პრინციპია. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ არ განასხვავებს ამ ორ ცნებას და სინონომებად მიიჩნევს მათ. პოლიტიკური რეჟიმები განსხვავდება იმ როლის მიხედვით, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები. დემოკრატიული სისტემა შეიძლება განხორციელდეს საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან შერეული საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმით, აქ იგულისხმება კონსტიტუციური მონარქიაც, რომელიც ფაქტობრივად საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენს. დიქტატორული ტიპის პოლიტიკურ სისტემებში არ არსებობს ხელისუფლებათა დაყოფა. ამ შემთხვევაში განასხვავებენ ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს. ტოტალიტარულ რეჟიმებს მიეკუთვნება ფაშიზმი, ბოლშევიზმი. ავტორიტარულია ტრადიციულად მონარქიული (სამოქალაქო ან სამხედრო) რეჟიმები.

პოლიტიკური პროცესების განვითარებას კაცობრიობა ბუნებრივად მიჰყავს დემოკრატიული მმართველობისკენ. **კიბერნეტიკის ტერმინოლოგიით დემოკრატიული მმართველობა ხასიათდება სისტემური მდგრადობით, მდგრადი სისტემა არ ირღვევა აღშფოთებებისა და ხელშეშლების ზემოქმედების შედეგად. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა მდგრადია თუ ხელისუფლება გაწონასწორებულია (სამი დამოუკიდებელი შტო), დამყარებულია პოლიტიკური თანასწორობა და ეკონომიკური კეთილდღეობა, გარანტირებულია პიროვნების თავისუფლება, საზოგადოებისა და პიროვნების მორალურ-ზნეობრივი და სულიერ-რელიგიური ავტონომია, პიროვნების განვითარების შესაძლებლობა და მისი სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილება და სხვ., ანუ მიღწეულია საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების განუხრელი დაცვა**.

თავისუფლებისა და დემოკრატიის მისაღწევად, როგორც წესი, უდიდესი ძალისხმევაა საჭირო. იშვიათი გამონაკლისის გარდა, დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება იოლად, უსისხლოდ, ტოტალიტარული რეჟიმებისა და მისი შედეგების ძალმომრეობრივი მსხვრევის გარეშე არ ხერხდება. ტოტალიტარული რეჟიმების დროს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მაფიურ კლანებს არ სურთ მოპოვებული პრივილეგიების დათმობა, თანასწორი კონკურენცია სამეწარმეო და პოლიტიკურ სფეროში; მათ აგრეთვე უკანონო გზით დაგროვილი სიმდიდრის კონფისკაციის შიში აქვთ. უუფლებო და უმეტესწილად ღარიბ მოსახლეობას, აგრეთვე ახალ, მზარდ საშუალო ფენას აღარ

სურს ითმინოს არსებული მდგომარეობა და ესწრაფვის შეცვალოს არსებული მდგომარეობა, თავიდან მოიცილოს ტირანია და მიაღწიოს „კეთილ" მიზნებს.

მაგრამ ამ დიადი მიზნებისაკენ ძალმომრეობით სწრაფვას ხშირად თან ახლავს არანაკლები უსამართლობა. მოარული გახდა უინსტონ ჩერჩილის კოლორიტული ფრაზა, რომელიც მან ინგლისის პარლამენტის სხდომაზე წარმოთქვა 1947 წლის 11 ნოემბერს: *„არავის აქვს იმის პრეტენზია განაცხადოს, რომ დემოკრატია სრულყოფილი ან მეტად ბრძნულია. მართლაც, უნდა ითქვას, რომ დემოკრატია სახელმწიფო მართვის ყველაზე უარესი ფორმაა, თუ არ გავითვალისწინებთ ყველა სხვა დანარჩენ ფორმას, რომლებსაც დრო და დრო მიმართავდნენ".*

დემოკრატიული წყობილება, თავისთავად, არ იძლევა ჰარმონიული არსებობის საშუალებას, თავისუფალი აზროვნების უფლებას და ეკონომიკურ კეთილდღეობას. დემოკრატიის ნიღაბქვეშ აგრესიულ დემაგოგებს შესწევთ უნარი თავის ნებაზე ატრიალონ ხალხი, დაუბნელონ მას გონება და სამარცხვინო გზაზე წაიყვანონ ტოტალური ფსიქოზით დამონებული მთელი ერი. მაგალითები მრავლადაა როგორც უახლეს ისტორიაში, ასევე ანტიკურ დროში. ფაშიზმის გამარჯვება იტალიასა და გერმანიაში უნიათო დემოკრატიის ხელშეწყობითაც მოხდა.

დემოკრატიული სისტემის უსამართლობის კლასიკურ ნიმუშად ისევ ათენის დემოკრატია გვევლინება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ანტიკური დროის ერთ-ერთ უდიადეს მოაზროვნეს, სოკრატეს, დემოკრატიულად, ფარული კენჭისყრით სიკვდილი მიუსაჯა თავისუფალი აზროვნებისათვის, ძველებური სახელმწიფოებრივი, რელიგიური და საოჯახო ცხოვრების ტრადიციების კრიტიკისათვის. მოგვიანებით, მსგავსი სასჯელი ელოდა არისტოტელესაც, რომელმაც ამჯობინა გასცლოდა ათენს და მის „დემოკრატიულ" სასამართლოს.

მიუხედავად ამისა, ქართული პოლიტიკური პროცესის მიზანი, მისი ოპტიმალურობის გლობალური კრიტერიუმი ქვეყანაში სრულყოფილი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამყარებაა, სისტემისა, სადაც რეალურად იქნება რეალიზებული დემოკრატიული ღირებულებები. ამდენად, საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაში დემოკრატიზმის პრინციპებმა უპირობოდ უნდა ჰპოვოს ასახვა. მიუხედავად ქვეყანაში ძლიერ ფეხგადგმული საბჭოური მენტალიტეტისა, საქართველო მაინც დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობისაკენ მიისწრაფვის. მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური, სხვადასხვა კულტურათა გამაერთიანებელი ქვეყანა მხოლოდ დემოკრატიით, უმცირესობათა უფლებების დაცვით აიცილებს სეპარატიზმს, სამოქალაქო ომს და მიაღწევს საერთო ეროვნულ თანხმობას და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

საქართველოს პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის, ანუ სისტემური მდგრადობის დამყარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემური მდგრადობა.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სისტემური მდგრადობა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას, ტერორიზმის ალაგმვას, რიგ ქვეყნებში არსებული სიღატაკისა და შიმშილის დაძლევას, ნარკოტრაფიკისა და ტრეფიკინგის აღმოფხვრას, აგრესიული რელიგიური ფუნდამენტალიზმის გავრცელების შეზღუდვას და ა.შ. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სისტემური მდგრადობა თანამედროვე ეპოქაში ჯერ კიდევ მიღწეული არ არის, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის უშუალოდ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის, როგორც სისტემური მდგრადობის ხელშემწყობი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორის, როლს.

---

1. *„შემთხვევითი გარემო" წარმოადგენს მრავალ, მცირე, ურთიერთდამოუკიდებელ, არადეტერმინებულ ფაქტორთა ერთობლიობას, რომლის გამოვლენის და/ან ჯამური ზემოქმედების ზეგავლენის სიდიდის, დროისა და ადგილის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ალბათობით ვივარაუდოთ, როგორც მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი ხდომილობათა განუსაზღვრელი, თუმცა სასრული სიმრავლიდან. „შემთხვევითი გარემოს" ფაქტორთა უსასრულო განზომილების სიმრავლე შეადგენს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, მატერიალური და სულიერი, ზნეობრივი და ნებელობითი, ადამიანური, ბუნებრივი და ხელოვნური ხასიათის ხდომილობათა ქაოსურ ერთობლიობას.*

2. *შეადარეთ – „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში" (გურამ რჩეულიშვილი)*

3. *იხ. თომას მორის „უტოპია" და ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქი".*

4. *საქართველოს როლის მნიშვნელობა კავკასიაში ყოველთვის კარგად იყო ცნობილი. საფრანგეთი იმდროინდელი ევროპის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო, „ანტანტის" ერთ-ერთი ლიდერი. შედარება, რომელიც ოვანეს თუმანიანმა იხმარა 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის დროს, მეტად საგულისხმოა.*

5. *კავკასიური ომები გაუმართლებლად ძვირი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიისთვის ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. მით უმეტეს, რომ კავკასიის სამხედრო ძალით დამორჩილებაც კი არ აღმოჩნდა არც საბოლოო და არც სრული. მხოლოდ ბოლშევიკებმა მოახერხეს კავკასიელთა მიმხრობა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგით 1918-1920 წლების სამოქალაქო ომის დროს. მაგრამ მაშინაც კი სამოქალაქო ომსა და ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებული ძლევამოსილი საბჭოთა რუსეთის ლიდერი ლენინი კარგად აცნობიერებდა კავკასიური ომების საფრთხეს და განსაკუთრებული გულდასმით ამზადებდა რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიების ახალ, საბჭოურ ოკუპაციას.*

Резюме
Георгий Багатурия
Политическое пространство – сознание, среда, система

В работе показано, что для жизнедеятельности государства необходимо полное и всесторонное осознание существующего политического пространства политическим руководством и идеологической элитой страны. В работе введены и с кибернетической точки зрения определены составные элементы политического пространства - политическое сознание, политическая среда., политическая система. Показано какое влияние оказывают указанные элементы на государственное функционирование страны.

Summary
Giorgi Bagaturia
Political Space - Consciousness, Environment, System

It is shown in the work that for State activity vitally important the full and comprehensive understanding of the Political Space by authority and ideological elite of the country. There is imported in the work and from the cybernetic point of view determined the elements of the Political Space - Political Consciousness, Political Environment, Political System. The character of the influence of these elements on the State functioning of the country is shown.

ნატო გაგნიძე

ქართველი ემიგრანტები XXს-ის 20-იანი წლების დამდეგს (ქართველებში საბერძნეთში)

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდგომ, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების არც ერთ ფენაში დასაყრდენი არ ჰქონია, საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, რომლის მთავარ ძალას მე-11 წითელი არმია წარმოადგენდა. მასვე პოლიტიკური მოსაზრებით, სახელი შეუცვალეს და „კავკასიის განსაკუთრებული არმია“ უწოდეს. რუსეთი რეგულარული არმია დარჩა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, სასაზღვრო ჯარები იდგნენ საქართველო-თურთქეთის საზღვარზე, ხოლო შავი ზღვის ნავსადგურებში რუსეთის სამხედრო ხომლადები. 1921 წლის 24 მარტს რევკომმა მიიღო დადგენილება საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ, რომლესაც მოჰყვა 1921 წლის აპრილში გამოცემული დეკრეტი და რევკომი იქცა ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანო.

1921 წლის 21 თებერვალს საომარი მოქმედებები იმგვარად განვითარდა, რომ საქართველოს დემოკარტიული რესპუბლიკის მთავარსადალმა გიორგი კვინიტაძემ, მცხეთის მიმართულებით უკანდახევის გადაწყვეტილება მიიღო. ცხადი შეიქმნა ქართული ჯარი და სახალხო გვარდია თბილისის დაცვას ვეღარ შესძლებდა, ამიტომ მთავარსარდალის გადაწყვეტილებას მხარი მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამაც დაუჭირა. ბრძოლების გამართვას აზრი არ ქონდა არც სურამის ქედთთან არც ქუთაისის მისადგომებთან, ქართული საჯარისო შენაერთები მეტად დაქსაქსულნი, არაორგანიზებულად იხევდნენ უკან. ქართველთა წინააღმდეგობას უპერსპექტივოს ხდიდა რიონის ხეობით ქუთაისისკენ და აფხაზეთში, სოხუმის მიმართულებით რუსების ჯარების მოქმედება. მთავრობა ბათუმში გადავიდა. ამავე პერიოდში თურქეთმა არტაანისა და ართვინის ოლქები დაიკავა, ხოლო ბათუმში შესვლის შემდგომ განაცხადეს, რომ უნდა მოეხდინათ ბათუმისა და მისი ოლქის ანექსია და სამხედრო მოქმედებები დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ. მართალია ქართველებმა თურქები ბათუმიდან

განდევნეს, მაგრამ რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს არ შეეძლო. 1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკარტიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა.

ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმდენად სუსტი იყო და რუსეთთან ომი იმდენად არახელსაყრელი პირობებში მიმდინარეობდა, რომ სხვაგვარად ალბათ არც დასრულდებოდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოკუპაცია რამოდენიმე ხნით გადავადებულიყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გარდაუვალი გახლდათ. დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნები რუსეთთან დაახლოებას ცდილობდნენ, ამიტომ რაღა თქმა უნდა საქართველოს მოკავშირეებად ვერ გამოდგებოდნენ. საქართველო სრულ იზოლაციაში მოექცა და დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს შეეწირა.

1921 წლის 16 მარტს ბათუმში შეიკრიბა საქართველოს დამფუძნებელთა კრება, სადაც გადაწყდა მთავრობის წასვლა ემიგრაციაში, ასევე დაამტკიცეს მთავრობის II შემცირებული შემადგენლობა: ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე), ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, და კონსტანტინე კანდელაკი. ემიგრაციაში დამფუძნებელი კრების დიდი ნაწილი წავიდა. მიუხედავად იმ ურთულესი მდგომარეობისა, რაც ემიგრაციის ყოფას თან ახლავს, საქართველოს მთავრობას კვლავ შერჩა ბრძოლის გაგრძელების უნარი. 1922 წლიდან კონსტანტინეპოლში დაარსდა პოლიტიკური კომისია რომელსაც ჯერ ნოე ხომერიკი, შემდგომ კი კონსტანტინე გვარჯალაძე ხელმძღვანელობდნენ, ქართული გამგეობები არსებობდა ვარშავასა და პრაღაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციული მთავრობის მიერ რამდენჯერმე მოვლინებული იყო ზურაბ ავალაშვილი, ქართული პრესის ბუიროს ჟენევაში ხელმძღვანელობდა ხარიტონ შავიშვილი.

ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, საჭირო იყო საერთაშორისო საკითხის მოგვარება, დანარჩენ მსოფლიოს ეცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტოდ და დე იურედ. დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები, 1921 წლისათვის ჟენევაში ერთა ლიგასთან საქართველოს დემოკარტიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელია – ხარიტონ შავიშვილი, ბერნში – ელჩი

მიხეილ სუმგათაშვილი, საქართველოს წარმომადგენლობებსა და მისიებში მოღვაწეობდნენ საფრანგეთში აკაკი ჩხენკელი, სადაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა დაპყრობიდან კიდევ 13 წელი არსებობდა 1933 წლამდე და ქართველთა მოღვაწეობის ცენტრს წარმოადგენდა. ვლადიმერ ახმეტელი (გერმანიაში). გია მაჩაბელი (იტალიაში), სვიმონ მდივანი (თურქეთში) ხელმძღვანელობდა ჩილინდრიშვილი, კონსული გახლდათ ჩინგოზაშვილი. („საქართველოს პირველი დემოკარტიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა“ გიორგი შარაძე) იბეჭდებოდა ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთავარ იარაღად გამოიყენეს: „საქართველო“, „მამულიშვილი“, „ახალი ივერია“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „სამშობლოსათვის“, „თეორი გიორგი“ და სხვ. თითოეული მათგანი ქართული საქმის პოპულარიზაციას ემსახურებოდა. ქვეყნდებოდა საინტერესო სტატიები საქართველოს ისტორიიდან, მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის თუ საერთოშორისო ვითარების შესახებ და ა.შ.

„ქართველები თურქეთში“
თურქეთის მთავრობამ სტამბოლიდან გადაასახლა ყველა ქართველები, უკანასკნელებს დროებით ბინა მისცა საბერძნეთმა“

იანვარში 1936წ. №121

ამ ცნობას ვკითხულობთ გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე. იგი გახლდათ სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკარტიული, სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციური პარტიების გაერთიანებული ფრონტის ორგანო. გამოდიოდა პარიზში 1926 წლიდან 1938 წლის ჩათვლით. 1926-27 წწ. როგორც გაზეთი, ხოლო 1928-39 წწ. ჟურნალის სახით. სადაც რედაქტორები იყვნენ იოსებ გაბეჩია, გრიგოლ ეროტაძე და სამსონ ფირცხალავა.

ქართველებმა თავი შეაფარეს იმ მიწას, სადაც ათი საუკუნის წინ, ქალკედონის ნახევარკუნძულზე მდებარე ათონის მთაზე მდებარე ივერთა მონასტერი (დაარსდა 980-983წ.წ), საუკუნეთა მანძილზე იყო არა მარტო ბიზანტიაში მყოფ

ქართველთა მთავარი საეკლესიო-სამონასტრო ცენტრი, არამედ საერთოდ ქართული სულიერი კულტურის კერა. ათონის ქართველთა სავანე არ გახლდათ მხოლოდ დოგმატურ ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული მონასტერი, აქ XIს-ის მოღვაწე ექვთიმე ათონელის მიერ, არაბულიდან ბერძნულად თარგმნილ „სიბრძნე ბალვარისა“, თქმულება ბუდას შესახებ, იმავე საუკუნეში თარგმნა ლათინურად და გავრცელდა მთელს ევროპაში. მაშინ ქართველებმა ამაყად შესდგეს ფეხი უცხო მიწაზე, ბარდა სკლიაროსთან გამარაჯვების შემდგომ (979წ) დიდძალი ნადავლი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას მოხმარდა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ადგილად იქცა.

თუმცა დავუბრუნდეთ კვალვ გასულ საუკუნის 20-იან წლებსა და იმ ქართველების ნაკვალვეს, რომელნიც ბედის უკუღმართობით უკვე მეორედ უსახლკაროდ დარჩენილები ელინთა მიწაზე დაეძებდნენ თავშესაფარს.

ზემოთ მოყვანილი ეს მოკლე საგაზეთო ცნობა გვატყობინებს, რომ თურქეთიდან გაძევებული ქართველი ემიგრანტები გადასახლდნენ საბერძნეთში, სადაც დროებით თავშესაფარი მიუღიათ. შემდგომ ამისა „დამოუკიდებელი საქართველოს“ რამდენიმე ნომერში გვხვდება რუბრიკები „ქართველები საბერძნეთში“, რაც მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საბერძნეთში მყოფი ჩვენი თანმემეამულეების შესახებ წერილების ხელს აწერს ვინმე „ვალ. მგა-შვილი“, როგორც მინაწრიდან ირკვევა ემიგრანტების გარკვეული ნაწილი, თუ ყველანი არა, დამკვიდრებულან კუნძულ სირაზე.

თხუთმეტი წლის თურქეთში ცხოვრების შემდგომ, ადგილობრივი მოსახელობის კეთილგანწყობისა და უსამშობლოდ დარჩენილი ადამიანებისათვის ჩვეული ცხოვრების მიუხედავად, ადგილობრივი ადმინისტრაციის მოთხოვნით ქართველი ემიგრანტები იძულებულნი გახდნენ საბერძნეთში გადასახლებულიყვნენ, როგორც წერილიდან ირკვევა ეს მოხდა უცაბედად, ყოველგვარი გაფრთხილებისა და წინაპირობის გარეშე, მუქრის ქვეშ თითქოსდა თურქეთის პოლიცია შეიპყრობდა და დაატუსაღებდა თუ შეჩერებას განიზრახავდნენ. გამოძევებული ქართველებისათვის არავის უცნობებია, რომ საბერძნეთის რესპუბლიკა მხოლოდ დროებით, 6 თვის ვადით ღებულობდა, ხოლო შემდგომ მათი გადაყვანა სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ კი პარაგვაიში იგეგმებოდა.

„ბარგზე კლიტედადებულინი და ხელფეხშეკრულნი ადამიანები“ ცხადია ვერავითარ პოლიტიკურ მუშაობას ვერ ვაწარმოებდით. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც კვლავ მსხვერპლნი გავხდით ბოლშევიკების ძალმომრეობისა. ჩვენც რა შეგვეძლო გარდა იმისა, რომ წავსულიყავით თურქეთიდან და მიგეტოვებია 15 წლის ნაოფლარი და ნაამაგარი“ (ციტატა „სტატიიდან თურქეთიდან საბერძნეთში“ ავტ.) ავტორი იხსენიებს ნანსენის ოფისის დირექტორს ბ-ნ კუტოს, მიერ ერევნობით სომეხ მოადგილეს ვინმე აის, რომელიც ერთერთ ქართველთაგანს დაჯინებით ურჩევდა თურმე საქართველოში დაბრუნებას და ქართველ თანამშრომელს ვინმე ზ-ვი-ს, რომელმაც წერილის ავტორის ცნობით დიდი როლი ითამაშა ემიგრანტების თურქეთდან გამოძევებაში. კიდევ ერთხელ თაშესაფარის გარეშე დარჩენილი ქართველებისათვის არავის უცნობებია, რომ კრიზისის გამო ევროპის არც ერთი სახელმწიფო მათ არ მიიღებდა, ისინი იმ იმედით გაემგზავრნენ საბერძნეთში, რომ ან იქ დამკვიდრდებოდნენ ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში დაიდებდნენ ბინას, ზოგიერთმა მათგანმა უარი თქვა სერბიისა და ბელგიის ვიზებზე და ახლა ნანსენის ოფისის მიერ საარსებოდ გამოყოფილი მცირე დახმარებით, შიშით შეჰყურებდნენ პარაგვაიში გამგზავრების პერსპექტივას, სადაც სრული დაღუპვა ელოდათ. ერთადერთ იმედს იძლეოდა საბერძნეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება. სამწუხაროდ მითითებული არაა საბერძნეთში გადასახლებულთა რიცხობრივი ოდენობა, შემდგომ გამოქვეყნებულ წერილებში არც ის არის ნახსენებიმოხდა თუ არა პარაგვაის ან რომლეიმე ლათინური ამერიკის ქვეყნის ვიზების გაცემა და ქართველების იმ შორეულ მხარეში გადახვეწა. ისევ ვალ. მგაშვილის ხელმოწერით იბეჭდება ცნობა სათაურით „ქართველები საბერძნეთში“ და მხოლოდ 5 პიროვნების ვინაობასა თუ მათ შემდგომ ბედს ვეცნობით, როგროც ირკვევა ევროპის სახელმწიფოებიდან მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებს გაუციათ ვიზები – საბერძნეთიდან ნორვეგიაში გადასულა ვ. გორდელაძე ოჯახით, ხოლო შვეციაში ვ. ქვათარაძე ოჯახით და ნ. მასხარაშვილი. ვ. ქავთარაძე შვეციის სავაჭრო წარმომადგენელი გამხდარა და საბერძნეთიდან გამგზავრების შემდგომ სულ ათიოდე თვეში უკანვე დაბრუნებულა საქმიანი მიზნით, როგროც ოფიციალური წარმომადგენელი ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად. მას ფინანსური დახმარება გაუწევია იქ

მყოფი ქართველებისათვის. საბერძნეთში ამ პერიოდში ცხოვრობდნენ დ. მაჭავარიანი, ს. ინასარიძე და წერილის ავტორი ვალ. მგა-შვილი.

1938 წელს გაიმართა რუსთაველის 750 წლის იუბილე, რომელსაც საბერძნეთის პრესა გამოხმაურებია. სტატიები დაიბეჭდა გაზეთებში „ეთნოსი“ (გამოდის დღემდე) და „პროია“, რუსთვალის შესახებ წერილი გამოქვეყნდა პონტოელ ბერძენთა პოლიტიკურ-ლიტერატურულ ჟურნალ „პონტიკა ფილაკში“. საბერძნეთის რესპუბლიკის პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი პუბლიკაციების შესახებ ვალ. მგა-შვილს წერილი გამოუქვეყნებია ჟურნალში „დამოუკიდებელი საქართველო“, ვფიქრობთ მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნოს თუ რა იწერებოდა საქარათველოს, მისი უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველისა და უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ამიტომ აქვე გთვაზობთ აღნიშნული სტატიების პერიფრაზს.

გაზეთ „ეთნოსში“ გამოქვეყნებულია მოთხოვნა, რომ საბერძნეთის ლიტერატურულ – მეცნიერულ წრეებში ღირსეულად უნდა იქნას აღნიშნული უდიდესი მწერილის იუბილე და ბერძენ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა უფრო ახლოს გაეცნოს საქართველოს, მით უფრო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ატარებს აშკარად ელინურ სულს, რადგან ავტორს განათლება „ბიზანტიის მეფეთა კარზე“ აქვს მიღებულიო.

ყოველდღიურ გაზეთ „პროიას“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ყოფილი იუსტიციის მინისტრი დაუბეჭდავს ვრცელი წერილი სადაც გაშუქდა საქართველოს ისტორიის უნიშვნელოპვანესი ეტაპები, რაც აღწერილია ქვთ ქსენოფონტეს, ჰეროდიტესა და სხვთ. ფარნავაზ მეფის ხანიდან მოყოლებული დიდი ყურადღება აქვს დათმობილი თამარის ხანას და იმ ეპოქას რომელმაც ხელი შეუწყო რუსთაველის უკვდავი პოემის შექმნას. ხაზგასმულია პოემის მსოფილიო მნიშვნელობა ნაწარმოები შედარებულია დანტე ალიგიერის „ღვთაებრვი კომედიასთან“ და გოეთეს „ფაუსტთან“. „ვეფხისტაყაოსანი კდიევ უფრო იმიტომაა საკაცობრიო მნიშვნელობის, რომ რუსთაველი, უაღრესი პოეტური ნიჭისა და ხელოვნების ნაყოფია ის, წმინდა ქართველი ეროვნული პოეტი არისო“. (ციტატა ჟურნალიდან „დამოუკიდებელი საქართველო“. ავტ. ვალ. მგა-შვილი)

ჟურნალ „პონტიკა ფილკში“ დაბეჭდილ წერილში მოთავსებულია რუსთაველის სურათი და მისი ბიოგრაფია, მოცემულია, რამოდენიმე ცნობა საბერძნეთ-საქართველოს ისტორიულ წარსულზე და საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ როგორც საკაცობრო მნიშვნელობის შედევრის შესახებ. ჟურნალის რედაქტორი ყოფილა ბ-ნი გრ. ტილიკოვი, იგი გახლდათ ბერძნული სკოლების ყოფ. ინსპექტორი საქართველოში, მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა საბერძნეთის პერიოდიკაში საქართველოსა და საბერძნეთის წარსულიდან, რაც რასაკვირველია საშუალებას აძლევდა ფართო საზოგადოებას უკეთ გაეცნო საქართველო და მისი ისტორია.

ბ-ნ ტილიკოვის ინიციატივით მიმდინარეობდა მუშაობა, რომ ლიტერატურულ – მეცნიერულ წრეებში ჩამოყალიბებულიყო ჯგუფი და მოეწყოთ რუსთაველის 750 წლის აღსანიშნავი იუბილე.

ამ სტატიით სრულდება ცნობები ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“, ქართველების შესახებ საბერძნეთში, თუმცაღა 1939 წლიდან მისი გამოცემა შეწყდა კიდეც. ამრიგად უცნობი რჩება საბერძნეთის ქართველ მკვიდრთა შემდგომი ბედ-იღბალი და მათი მოღვაწეობა.

ჩვენ ვეცდებით გავაგრძელოთ ძიება, XXს-ის 20-იან წლებში თურქეთიდან გადასახლებულ ქართველ ემიგრანტთა კვალდაკვალ. ვიტოვებთ იმედს, რომ მუშაობისას შეძლებისდაგვარად მოვიპოვოთ სრულყოფილი ინფორმაცია და დაინტერესებულ მკითხვეს მივაწოდოთ ცნობები მათი შემდგომი ყოფის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს ისტორია, XX საუკუნე“
2. „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა“ – გიორგი შარაძე
3. „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, II ტომი – გურამ შარაძე
4. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“.

Резюме
Нато Гагнидзе
ГРУЗИНЫ В ГРЕЦИИ

В статье автор коротко обозревает политические события начала 20-х годов XX века. В 1921 году Советская Россия анексировала первую демократическую республику Грузии, в результате чего из страны эмигрировали государственные деятели независимой Грузии. Эмигранты проживали в разных странах Европы и по мере возможностей служили грузинскому делу. В эмигрантском журнале "Независимая Грузия" велась рубрика "Грузины в Греции". Выяснилось, что некоторые из эмигрантов после выселения из Турции переселились в Грецию. Здесь же изложено коротко о публикациях в греческой прессе в связи с 750-и летним юбилеем Руставели.

Summary

Nato Gagnidze

Georgians In Greece

In clause the author shortly surveys political events of a beginning 20 years of 20th century. In 1921 Soviet Russia occupied the first democratic republic of Georgia, therefore from the country the state figures of independent Georgia have emigrated. The emigrants lived at the different countries of Europe and in process of opportunities served to the Georgian business. In an emigrant magazine " Independent Georgia " was conducted a heading " the Georgians in Greece ". Was found out, that some of the emigrants after eviction from Turkey have moved in Greece. Here is stated shortly about the publications in the Greek press in connection with 750 years summer anniversary of Rustaveli.

ალექსანდრე თაბაგარი
ზვიად მელქაძე

მყარი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სისტემური ხარვეზები თბილისში

წინასიტყვაობა:

2006 წლის ივლისში არასამთავრობო ორგანიზაციამ "პარტნი-ორობა ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესებისათვის" შეის-წავლა მუნიციპალური დასუფთავების სისტემა ფონდ "ღია საზო-გადოება - საქართველოს" გრანტის ფარგლებში. კვლევითი საქმი-ანობის ანგარიში უკვე წარედგინა შესაბამის პროფესიულ წრეებს. წინამდებარე სტატიის მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ შესწავლილი პრობლემები, რაც ვფიქრობთ ასევე საინტერესო უნდა იყოს აკადემიური წრეებისთვის, მეტადრე იმ ნაწილისთვის, რომლის ძირითად შესწავლის საგანს წარმოადგენს საჯარო პოლიტიკური სფერო.

კვლევით საქმიანობაში თემატური დახმარებისათვის განსა-კუთრებულ მადლობას ვუხდით ორგანიზაციის "პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესებისათვის" გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ ზაურ კაჭარავას.

მიუხედავად უკანასკნელ პეროიდში თბილისის დასუფთავების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა, მიგვაჩნია, რომ ქალაქის სანიტარული მდგომარეობა ვერ მიიღებს საბოლოოდ სრულყოფილ სახეს. პრობლემა იმაშია, რომ მართვის პრინციპები და ნარჩენების დაგროვების მეთოდები ფაქტიურად იგივე რჩება. ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის და წინამდებარე ნაშრომის მიზანია დავანახოთ ფართო საზოგადოებას დასუფთავების სისტემის ორგანიზაციული ხარვეზები და შევთავაზოთ მათი აღმოფხვრის ჩვენეული გზები.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არა თუ არ არსებობს ნარ-ჩენების მართვის სამომავლო სტრატეგიული გეგმა, არამედ არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებდა ყველა სახის ნარჩენის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დოკუმენტების გარეშე ლოკალურად, თბილისის მასშტაბითაც კი შეუძლებელია ზოგადად ნარჩენების ეფექტურ მართვაზე საუბარი, ჩვენ ვეხებით მხოლოდ დედაქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზებასა და მართვას. ვფიქრობთ, რომ ჩვენი იდეების განხორციელება საშუალებას მოგვცემს დღევანდელთან შედარებით მივაღწიოთ სისუფთავის უფრო მაღალ სტანდარტებს და მართვის სისტემის დემოკრატიზაციას.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ არეგულირებს ნარჩენების შეგროვებასა და გატანას; საველე სამუშაოებისას ვიდეოგადაღებების გზით შემოწმდა სპეც-ავტმეურნეობების მუშაობის ხარისხი და შესრულებული სამუშაოს მოცულობა; დასუფთავების სისტემის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით პირისპირ ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა თბილისის 800 მობინადრე; შესწავლილ იქნა უცხოური გამოცდილება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სფეროში.

განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შედეგად შემუშავდა მრავალსართულიან შენობებში ჩამონტაჟებული ნაგავშემკრები ბუნკერების ფუნქციონირების ახლებური მეთოდი, რომელიც დღევანდელ პრაქტიკასთან შედარებით გაცილებით ეფექტურს ხდის მის გამოყენებას და გვთავაზობს გაცილებით მაღალ სანიტარულ სტანდარტს, იმავდროულად ამცირებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და გატანაზე გაწეულ მატერიალურ და დროის დანახარჯებს. ამასთანავე, შემუშავდა იდეა, რომელიც გულისხმობს დასუფთავების ორგანიზაციაში მოსახლეობის უშუალო მონაწილეობას ბინათმფლობელთა ამხანაგობების სახით. ვფიქრობთ ეს უკანასკნელი იძლევა კარგ საშუალებას ქალაქში შენარჩუნდეს სისუფთავე.

პრობლემის განსაზღვრა

მუნიციპალური დასუფთავების სისტემაში ძირითადი პრობლემები შეიძლება შემდეგი ორი მიმართულებით ჩამოყალიბდეს:

ა) თბილისის არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა;

ბ) კორუფცია – ჩვენი აზრით კორუფციული მექნიზმები მუნიციპალური დასუფთავების სისტემაში ჯერ ისევ მრავლადაა შენარჩუნებული, ისე როგორც ეს იყო რამდენიმე წლის წინ;

ის, რომ ანტისანიტარია ქალაქის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა დასტურდება სტატისტიკური გამოკვლევების შედეგებით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს, რომ გამოკითხულთა 28.5% მიუთითებდა ანტისანიტარიაზე, როგორც ქალაქის მასშტაბით პირველხარისხოვან პრობლემაზე, რომელიც სიმძიმით მხოლოდ მცირედით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ კრიმინალურ სიტუაციას. მეორე რიგის პრობლემათაგან დასუფთავებას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, 19.4%.

ცხრილი №1.
პრობლემათა განაწილება სიმძიმის მიხედვით*ქალაქ თბილისში

	პირველადი პრობლემები			მეორადი პრობლემები		
	რესპოდენტთა მონაცემები		შემთხვევთა პროც-ენტული მაჩვენებ.	რესპოდენტთა მონაცემები		შემთხვევთა პროც-ენტული მაჩვენებ.
	რაოდენობა	%	%	რაოდენობა	%	%
წყალი და კანალიზაცია	179	11.9	22.8	92	7.9	11.7
სახლების გარეიერსახე	24	1.6	3.1	65	5.6	8.3
კრიმინალი	227	15.1	28.9	114	9.8	14.5
დასუფთავება	**224**	**14.9**	**28.5**	**153**	**13.1**	**19.4**
გარე განათება	56	3.7	7.1	99	8.5	12.6
საზოგ. ტრანსპორტი	98	6.5	12.5	70	6	8.9
კერძო ტრანსპორტი	23	1.5	2.9	65	5.6	8.3
ზოგადი გამწვანება	16	1.1	2	42	3.6	5.3
პარკების და სკვერების კეთილმოწყობა	28	1.9	3.6	58	5	7.4
სათამაშო მოედნების კეთილმოწყობა	49	3.2	6.2	50	4.3	6.4
მაწანწალა ცხოველები	128	8.5	16.3	67	5.8	8.5
მათხოვრები	98	6.5	12.5	81	7	10.3
უპატრონო ბავშვები	130	8.6	16.6	106	9.1	13.5
სანიაღვრე მეურნეობა	72	4.8	9.2	42	3.6	5.3
გზები	139	9.2	17.7	60	5.2	7.6
სხვა:	17	1.1	2.2	1	0.1	0.1
სულ:	1508	100	192.1	1165	100	148

* ჩამოთვლილი პრობლემური საკითხებიდან რესპონდენტს საშუალება ჰქონდა პირველხარისხოვნად/უმძიმესად მიეჩნია ერთდროულად რამდენიმე მათგანი.

სისტემაში კორუფციის ძირითად წყაროს წარმოადგენს შესასრულებელი სამუშაოების ხელოვნურად გაზრდილი ნორმები. არ არსებობს მუნიციპალური ნარჩენების დაგროვებისა და ზიდვის საშუალო მანძილების ნორმების დადგენის წესი, შესაბამისად არ გვაქვს მიუკერძოებელი (დაუინტერესებელი) ორგანიზაციის მიერ დადგენილი აღნიშნული ნორმები. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით გლდანიდან ნარჩენების პოლიგონამდე ზიდვის მანძილი 30 კილომეტრს შეადგენს, რაც ვფიქრობთ ძალიან გადაჭარბებულია. გლდანის ნაგავსაყრელი ამავე რაიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განსახლების ადგილიდან (გლდანისა და მუხიანის მასივები – რაიონის მოსახლეობის დაახლოებით 80%-ია) მხოლოდ 4-5 კილომეტრითაა დაცილებული. ანალოგიურად გაზრდილია ვაკიდან გლდანის პოლიგონამდე ნარჩენების ზიდვის მანძილი, 73კმ. ვფიქრობთ მსგავს შემთხვევებთან უნდა გვქონდეს საქმე ყველა სხვა დანარჩენ რაიონებში. ზიდვის მანძილებზე მიწერების მასშტაები იმდენად აშკარაა, რომ დიდი პროფესიონალიზმი არაა საჭირო ამის აღმოსაჩენად.

ოფიციალური დავალების შესაბამისად მაგისტრალების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იგვებოდეს დღეში ორჯერ. იმის გასაგებად თუ რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს ჩვენ ორ მაგისტრალზე (ვაჟა ფშაველასა და ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) გამზირებზე) ჩავატარეთ სპეციალური ვიდეომონიტორინგი. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ქუჩები იგვება დღეში მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად ისმის კითხვა თუ სად მიდის ქუჩების მეორედ დაგვაზე გამოყოფილი სახსრები. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩების არსებული მეთოდით, ცოცხით ორჯერ დაგვა ფაქტიურად იმთავითვე შეუძლებელი და აზრს მოკლებულია. გზების მოხვეტა ხელმეორედ შეუძლებელია, რადგან დილის 9-10 საათის (პირველი დაგვის) შემდეგ ქალაქში ინტენსიური სამანქანო მოძრაობაა და ამის გამო დაგვა შეუძლებელია, ამასთან თავად მეეზოვესაც ექმნება საფრთხე. ესეც რომ არ იყოს, უკონტროლოდ, ტროტუარის მიმდებარედ და ტროტუარებზე გაჩერებული მანქანები (ქაოტურად მოწყობილი

ავტოსადგომები) არ აძლევს მეეზოვეს საშუალებას დაასუფთაოს ქუჩა. რაც შეეხება ტროტუარებსა და გაზონებს, დღისით, როცა ხალხი მოძრაობს, მათი მეორედ დაგვა არამიზანშეწონილია, რადგან ცოცხით მოხვეტისას მტვერი ჰაერში იფანტება და იწვევს დისკომფორტს ფეხით მოსიარულეთათვის და ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს.

კორუფციის ერთ-ერთი წყაროა ასევე ბუნკერებისა და კონტეინერების დაცლის პერიოდულობა. ოფიცილური მონაცემებით კონტეინერები იცლება ყოველდღე, ხოლო ბუნკერები საშუალოდ 4-5 დღეში ერთხელ. გამოკითხულთა აზრით ხშირად ეს ნორმებიც ირღვევა. შესაბამისად, მიზნობრივად აუთვისებელი რჩება რეისზე გასასვლელი სპეცტექნიკის საწვავით გამართვისათვის გამოყოფილი თანხები.

გრაფიკი №1



*იმ 238 გამოკითხული ადამიანიდან, რომლებიც სარგებლობენ ბუნკერული სისტემით ნახევარზე მეტმა, 125 კაცმა გვიპასუხა, რომ ბუნკერები დადგენილი 4-5 დღიანი გრაფიკის ნაცვლად იცლებიან 2 კვირის და უფრო მეტი ინტერვალით.

*იმ 238 გამოკითხული ადამიანიდან, რომლებიც სარგებლობენ ბუნკერული სისტემით ნახევარზე მეტმა, 125 კაცმა გვიპასუხა, რომ

გრაფიკი №2



*იმ 394 გამოკითხულიდან, რომლებიც სარგებლობენ კონტეინერული სისტემით 29%-მა (115 კაცი) გვიპასუხა, რომ კონტეინერები იცლება 2 და მეტ დღეში ერთხელ.

სავარაუდოდ, სხვა ოფიციალურ ნორმებთან ერთად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვების წლიური ნორმაც ხელოვნურად უნდა ყოფილიყო გაზრდილი. თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი არ დადასტურდა. კვლევის შედეგების თანახმად ფაქტიური წლიური ნორმა (0.84მ^3) თითქმის იდენტურია ოფიციალური ნორმისა, რაც 0.8მ^3-ს შეადგენს. შესაბამისად, შანსი იმისა, რომ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს ნარჩენების გეგმიური მოცულობის გატანაზე გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივად ათვისების საშუალებას ნაკლებია.

პრობლემების გადაჭრის გზები

<u>ანტისანიტარია</u>

ზოგადად ანტისნიტარიას ორი ფაქტორი განაპირობებს, საზოგადოების ყოფითი კულტურა და ნარჩენების შეგროვების ორგანიზაცია. სამწუხაროდ პირველში ჩვენი მოსახლეობა მოიკოჭლებს. არა თუ ქუჩაში მოსიარულეები ყრიან ნაგავს ყოველ ფეხის ნაბიჯზე, არამედ ხშირად სახლიდან გამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც კი არ მიდის დანიშნულების ადგილამდე და იყრება შუა ქუჩაში, რომელსაც შემდეგ უპატრონო ცხოველები ფანტავენ. უდავოა, რომ თუ ამ მიმართულებით არ გამოსწორდა ვითარება ვერანაირი დასუფთავების სიტემა ვერ გვიშველის. თუმცა, აქვე ხაზგასმით დავძენთ, რომ შესაბამისი ყოფითი კულტურა მნიშვნელოვნადაა განპირობებული ნარჩენების შეგროვების მეთოდებისა და ორგანიზაციით. ხშირ შემთხვევაში ქუჩები არაა აღჭურვილი მცირე ზომის სანაგვე ყუთებით და ბუნებრივია გარეთ გამოსულს ვერ აიძულებ ნაგავი ატაროს სახლამდე. ასევე არაკომფორტულია მობინადრეთათვის საყოფაცხოვრებო ნაგავი ატარონ ხშირად შორ მანძილზე (იხილეთ გრაფიკი №3) განთავსებულ კონტეინერამდე. ეს განსკუთრებით რთულია მაღალ სართულებზე მცხოვრებთათვის, ხოლო ზამთრის პირობებში ამგვარი მომსახურებით სარგებლობა კიდევ უფრო არასასიამოვნო ხდება, რაც ვფიქრობთ პირდაპირპროპორციულად უნდა აისახებოდეს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე.

გრაფიკი №3



* იმ გამოკითხულთაგან, რომლებიც სარგებლობენ კონტეინერული სისტემით 54.51% (199კცას) უხდება ნაგვის 100 და მეტ მეტრზე ტარება.

როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში მაინც მივდივართ იქამდე, რომ ორგანიზაციული მხარეა ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას. ამჟამად თბილისში მოქმედებს დასუფთავების ორგანიზების შემდეგი ფორმები:

- <u>ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან</u> ნაგვის გატანა ხდება მათ მიერ სპეცავტომეურნეობებთან გაფორმებული კერძო ხელშეკრულებით;
- <u>მოსახლეობიდან</u> საყოფაცხოვრებო ნაგვის შეგროვება ხდება:
    - მაღალსართულიან კორპუსებში ჩაშენებული ნაგავშემკრები ბუნკერებით, რომელიც უნდა იცლებოდეს საშუალოდ 4-5 დღეში ერთხელ

და რომელსაც სისტემატიურად უნდა უტარდებოდეს დეზინფექცია;
- 0.5მ^3 და 1მ^3 კონტეინერებით, რომელიც უნდა იცლებოდეს ყოველდღე;
- ”ზარის სისტემის” მეშვეობით. ეს ხდება ძირითადად დაბალი განაშენიანების ზონებში, სადაც ნაგავშემკრები მანქანა რეკავს ზარს მაცხოვრებლების გაფრთხილების მიზნით გამოიტანონ ნაგავი. ნაგვის შეგროვების პერიოდულობა იცვლება ადგილიდან ადგილამდე;

- ქუჩების და შიდა კვარტალური ტერიტორიების დასუფთავება ხდება ცოცხით. ოფიციალურად ეს უნდა ხდებოდეს ყოველდღე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მაგისტრალების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იგვებოდეს დღეში ორჯერ.

როგორც ვხედავთ, ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან ნაგვის გატანა ხდება კერძო ხელშეკრულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ჩვენს ანგარიშში მას არ ვეხებით. ერთი შეიძლება ითქვას, რომ სხვა და სხვა სახის სამეწარმეო ნარჩენის გატანა, სანიტარული სტანდარტები და ზოგადად კერძო სახელშეკრულებო პირობები უნდა იყოს სახელმწიფო რეგულირების საგანი.

რაც შეეხება ანტისანიტარიას ქუჩებში, ეს მხოლოდ იმის გამო არაა, რომ ჩვენი ყოფითი კულტურის დონეა ძალიან დაბალი, ან ის რომ არ ხდება მათი დღეში ორჯერ დასუფთავება.

მნიშვნელოვანია ასევე დასუფთავების ხარისხი და მისი კონტროლი. აშკარაა, რომ ცოცხით დაგვის მეთოდი ვეღარ ამართლებს დღევანდელ მოთხოვნებს. შეუძლებელია დღეში რამდენიმე ასეული ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორიის ცოცხით დაგვა, ისიც ორჯერ. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები როდესაც მეეზოვე მოგროვილ ნაგავს მანქანაზე მოთავსების მაგივრად ყრის გაზონებს მიღმა (არსებობს შესაბამისი ვიდეომასალა). იმის მაგივრად, რომ წლების მანძილზე მეეზოვეთა ხელფასებზე დაიხარჯოს სახსრები, ტროტუარების მოსახვეტად ალბად ჯობია შეძენილ იქნას მცირე ზომის მექნიზირებული საშუალებები. კარგად გვესმის, რომ ეს ერთჯერადად შედარებით დიდ კაპიტალურ დანახარჯებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, მაგრამ

ვფიქრობთ, რომ პერსპექტივაში მიმდინარე ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს დღევანდელ ანალოგიურ დანახარჯებს და რაც მთავარია იქნება უფრო ეფექტური ვიდრე არის მეეზოვეთა ინსტიტუტი. რაც შეეხება დასუფთავების კონტროლს იგი შიდაუწყებრივია და შესაბამისად არაეფექტური. ქუჩების დასუფთავების მაკონტროლებლად ისევ კერძო ოპერატორები გვევლინებიან, რადგან არ არსებობს სხვა შესაბამისი სამსახური ან მექნიზმი. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩებში სისუფთავის ნორმების არარსებობის გამო ეფექტური კონტროლი საერთოდ შეუძლებელია. არავინ იცის რას ნიშნავს ან უნდა ნიშნავდეს ქუჩა იყოს სუფთა, რამდენ კვადრატულ მეტრზე რა სახის და ოდენობის ნაგვის ფრაქციებია მისაღები, რომ ქუჩას მიენიჭოს "სუფთის" კვალიფიკაცია. რაც დღეს თბილისისათვის შეიძლება სუფთად ჩაითვალოს ალბად მიუღებელი იქნებოდა ავსტრიის დედაქალაქ ვენისათვის. ნაგვის გამტან ოპერატორებს არ უნდა ვუკონტროლებდეთ დაგვის პროცესს ან განხორციელებული საქმიანობების მასშტაბს (როგორც არის დღევანდელი ოფიციალური პრაქტიკა), არამედ უნდა ვთხოვდეთ საბოლოო შედეგს, სისუფთავეს. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ სისუფთავის ნორმა. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ზოგადად თბილისში სასურველი სისუფთავის ნორმების მისაღწევად საკმარისი არ იქნება მხოლოდ ეფექტური დაგვა. საქმე იმაშია, რომ ჰაერში მტვრის შემცველობა ძალიან მაღალია და რაც არ უნდა ხშირად დავგავოთ მტვერს ბოლომდე ვერასდროს მოვსპობთ. ამ პრობლემის გადასაჭრელად ცალკე პროგრამაა შესამუშავებელი მთელი ქალაქისათვის.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ სისუფთავის ნორმები შეგვიძლია დავიხმაროთ უცხოური გამოცდილება ამ სფეროში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, ქალაქ სან ფრანცისკოში სამანქანო სავალ ნაწილებზე სისუფთავის შედმეგი კრიტერიუმები მოქმედებს. იმ შემთხვევაში თუ გზების პირებზე 100 ფუტ (30.48მ) მანძილზე ყრია ხუთი მცირე ზომის ნაგვის ფრაქცია, მაშინ სისუფთავე/დანაგვიანება ნორმის ფარგლებშია და ითვლება მისაღებად. თუ იმავე მანძილზე იმავე სახის ნაგვის ფრაქციების რაოდენობა 5-დან 15-მდე ფარგლებშია, მაშინ იგი ითვლება არადამაკმაყოფილებლად სუფთად, ხოლო 15-ის ზევით ითვლება ბინძურად (იხილეთ ქვევით მოცემული შესაბამისი ფოტო მასალა).

სუფთა **ბინძური**

ინგლისის ქალაქ ოლდჰემში სისუფთავის ნორმების დადგენისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ იმას თუ რამდენი ნაგავი ყრია ქუჩაში მოცემულ მომენტში, არამედ იმასაც თუ რამდენ ხანში უნდა იქნას იგი აღებული. აღსანიშნავია, რომ ეს დრო განსხვავდება ქალიქის ცენტრიდან მის მჭიდროდ და ნაკლებად დასახლებულ ადგილებამდე (იხილეთ ცხრილი №2).

ცხრილი №2
ოლდჰემის ქუჩებიდან ნაგვის გატანის სიხშირე ნაგვის ფრაქციების ოდენობების მიხედვით

დანაგვიანების ხარისხი	**ნაგვის გატანა ქალაქის ცენტრალური რაიონებიდან**	**ნაგვის გატანა მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან**	**ნაგვის გატანა ნაკლებად დასახლებული ადგილებიდან**
ნაკლებად ჭუჭყიანი (B)*	6 საათში	12 საათში	2 კვირაში
საკმაოდ ჭუჭყიანი (C)	3 საათში	6 საათში	12 საათში
ძალიან ჭუჭყიანი (D)	1 საათში	3 საათში	6 საათში

* B კატეგორია C კატეგორია D კატეგორია



ქუჩების არასათანადოდ დასუფთავების პარალელურად ანტისანიტარიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მეთოდების ნაკლოვანებანი. სწორედ ეს არის ჩვენი განსჯის ძირითადი საგანი.

ჩვენ არ შევეხებით ეგრეთ წოდებულ "ზარის მეთოდს", რადგან ეს უკანასკნელი არსებულთა შორის ყველაზე ნაკლებად პრობლემურია ანტისანიტარიის თვალსაზრისისთ. ამ დროს ნაგავი სახლიდან გამოტანის მომენტშივე ხვდება შემგროვებლის ხელში და შესაბამისად შანსი იმისა, რომ იგი ქუჩაში მოხვდება ძალიან ნაკლებია. ამასთანავე, ადგილები სადაც ეს სისტემა მოქმედებს (ძირითადად კერძო დასახლებები) ყველა ერიდება ნაგვის ცხვირწინ დაყრას და იძულებულია შეგროვებამდე შეინახოს იგი საკუთარ ტერიტორიაზე. ყველაზე მეტი ხარვეზები გააჩნიათ არსებულ კონტეინერულ და ბუნკერულ მომსახურებას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ (გრაფიკები №1 და №2), ხშირად სპეცავტომეურნეობები არ იცავენ ნარჩენების გატანის გრაფიკს. ასეთ შემთხვევებში, გადავსებული სანაგვე კონტეინერების ირგვლივ მიმოფანტულია ნაგავი, რაც ქმნის ანტისანიტარიულ მდგომარეობას და მნიშვნელოვნად აზარალებს ქალაქის იერსახეს. ბუნკერების შემთხვევაში, სადაც კონტეინერებთან შედარებით დაცლის პერიოდულობა რეალურად უფრო ხანგრძლივია, დღეობით დაგროვილი ნაგავი ლპება, დგას საშინელი სუნი და იქმნება ხელსაყრელი პირობები მღრღნელების გასამრავლებლად, რაც იწვევს მაცხოვრებლების სამართლიან უკმაყოფილებას. ამასთანავე ხაზგასასმელია როგორც კონტეინერის ისე ბუნკერების დასუფთავების ხარისხი. საუბარი აღარაა იმაზე თუ რამდენად ხშირად ხდება მათი დეზინფექცია. სპეციალურმა ვიდეოგადაღებებმა გვაჩვენა, რომ ფიზიკურად არც ერთი მათგანი არ სუფთავდება ბოლომდე. ძირში დარჩენილ ნაგავს

არასდროს ხვეტენ. დარჩენილი მასა მისი იქ მოხვედრიდან ბოლომდე ადგილზე ლპება და იწვევს საშინელ სუნს. სუნი განსაკუთრებით საგრძნობია მას შემდეგ, რაც სათავსოები იცლებიან და დიდი ხნის დაგროვილი ნეშომპალად ქცეული მასა ისევ აქტიურად განაგრძობს ლპობას. უმცა, ეს ყველაფერი ხელოვნურია და უფრო მნიშვნელოვანი ის სისტემური დეფექტებია, რომლებიც საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების ამ ორ მეთოდს ახასიათებს. ქვემოთ მოგვყავს მათი შედარებითი ანალიზი რის შემდეგაც საზოგადოებას გვინდა შევთავაზოთ ბუნკერული მომსახურების ისეთი ახლებური მეთოდი, რომელიც ვფიქრობთ არა მხოლოდ გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას, არამედ ასევე მნიშვნელოვნად შემაცირებს ხარჯებს.

არსებული კონტეინერული სისტემის ძირითადი უპირატესობანი:

- ნაგვის შეგროვების ბუნკერულ მეთოდთან შედარებით კონტეინერულ მეთოდს გააჩნია ორი სისტემური ხასიათის უპირატესობა. ერთი ის, რომ ბუნკერებისაგან განსხვავებით კონტეინერები იცლება ყოველდღე, რაც იდეაში ამცირებს ანტისანიტარიით გამოწვეულ მოსახლეობის დისკომფორტს (თუმცა, იმის გამო, რომ კონტეინერების უმრავლესობა არ არის დახურული და მაწანწალა ძაღლები ფანტავენ ნაგავს, რეალობა ხშირად საწინააღმდეგო ხასიათისაა). მეორე, ზოგადად კონტეინერის დაცლას სპეცავტოტექნიკით ესაჭიროება 2-3 წუთი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მუშახელისა და სპეცტექნიკის მწარმოებლურობას. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევებში კონტეინერების დაცლა ხდება ნიჩბებით მათი გადმოპირქვავების შემდეგ. ამ დროს მომსახურე პერსონალისა და მანქანის მწარმოებლობა იგივეა რაც ბუნკერების დაცლის შემთხვევაში.

არსებული კონტეინერული სისტემის ძირითადი ნაკლოვანებანი:

- მოსახლეობის მომსახურების დონის მხრივ კონტეინერული სისტემა ბუნკერულთან შედარებით არასახარბიელოა. ევროპული პრაქტიკისაგან განსხვავებით სადაც კონტეინერები სადარბაზოსთან ახლოსაა განთავსებული, თბილისის მოსახლეობა ხშირად იძულებულია ნარჩენები წაიღოს საცხოვ-

რებელი ადგილიდან 100-150 მეტრის დაშორებით, რაც გარკვეულად ურთულებს მათ ცხოვრების პირობებს, განსაკუთრებით მაღალი სართულების მობინადრეებს. ქალაქგეგმარებისას თბილისის უბნებში არ იყო გათვალისწინებული სპეციალური ადგილები სადაც განთავსდებოდა კონტეინერი, რომლთა დაცლას სპეცტექნიკა ადვილად მოახერხებდა. დღეს კონტეინერები დგას პირდაპირ მაგისტრალზე, ტროტუარზე, ან გაზონებს მიღმა.

- ეს სისტემა ასევე არასახარბიელოდ გამოიყურება ქუჩებში სისუფთავის შენარჩუნების კვალობაზე, რადგან ბუნკერული სისტემისაგან განსხვავებით ნაგავი გამოდის კორპუსის გარეთ. საქმე იმაშია, რომ მობინადრეს, რომელსაც კონტეინერამდე უხდება დიდი მანძილის გავლა, გააჩნია სრულიად ბუნებრივი მოტივაცია არ ატაროს ნაგავი შორ მანძილზე და დაყაროს იგი ქუჩაში. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენი ყოფითი კულტურის დონე არ შესაბამება კონტეინერული მომსახურების პირობებს. ამ მოსაზრებას ადასტურებს დროებითი/სპონტანური ნაგავსაყრელების დიდი რაოდენობით არსებობა და საერთოდ სანიტარული მდგომარეობა იმ რაიონებში სადაც კონტეინერული სისტემა გამოიყენება (იხილეთ გრაფიკი №4).
- კონტეინერების მართებული ექსპლუატაცია მოითხოვს მათ სისტემატიურ დეზინფექციას დაცლის შემდეგ, რაც გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული.
- იმ შემთხვევაში თუ თბილისი მთლიანად გადავა კონტეინერულ მომსახურებაზე, დიდი თანხები იქნება საჭირო, რადგან შესაძენია კონტეინერები და სპეცტექნიკა, რომელიც აღჭურვილი იქნება კონტეინერებიდან ნარჩენების ჩამტვირთი და ნაგვის დამწნეხი მოწყობილობებით.

არსებული ბუნკერული სისტემის ძირითადი უპირატესობანი:

- ბუნკერული სისტემის პირობებში მოსახლეობის მომსახურების დონე იზრდება, რადგან ამ დროს მობინადრე ნარჩენებს ყრის ახლოს, სადარბაზოში განთავსებულ ნაგავშემკრებ მილში.
- კონტეინერულ სისტემასთან შედარებით ბუნკერული სისტემის უპირატესობა აშკარაა ქუჩებში სისუფთავის

დაცვის უზრუნველყოფს თვალსაზრისითაც, რადგანაც მობინადრე არ არის მოტივირებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანოს საცხოვრებელი კორპუსის გარეთ და დააგდოს ნებისმიერ ადგილზე რასაც ხშირად ადგილი აქვს კონტეინერული სისტემის შემთხვევაში.

არსებული ბუნკერული სისტემის ძირითადი ნაკლოვანებანი:

- არსებული ბუნკერული სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაკლოვანებას წარმოადგენს მომსახურე პერსონალისა და მანქანის დაბალი მწარმოებლობის დონე. ბუნკერებიდან ნარჩენების გატანა ნაგავმზიდ მანქანებში ხორციელდება ნიჩბებით და შრომატევადია. ნაგავმზიდი მანქანების სამუშაო დროის 75 %-მდე მოდის ბუნკერებიდან ნაგვის გადმოტვირთვაზე. ნორმებით 1$მ^3$ მოცულობის ნარჩენების ნაგავმზიდ მანქანაზე განთავსებისათვის იხარჯება 1-1,5 საათი, მაშინ როდესაც სპეცტექნიკით თითქმის იგივე მოცულობის კონტეინერების დაცლისთვის 2-3 წუთია საჭირო, ანუ ნაგავმზიდი მანქანის მწარმოებლობა კონტეინურული სისტემის პირობებში თითქმის 30-ჯერ მეტია და შესაბამისად მცირდება ხარჯებიც.
- მსგავსად კონტეინერისა, ბუნკერსაც სჭიდება სისტემატიური დეზინფექცია რაც ასევე გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს.
- ბუნკერები იცლება გრაფიკის მიხედვით 4-5 დღეში ერთხელ. ამის გამო, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, იქმნება საშინელი ანტისანიარია.

გრაფიკი



<u>ბუნკერებიდან ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდი</u>

მოსახლეობისათვის მომსახურების დონის გაუარესების თავიდან აცილებისათვის ვფიქრობთ აუცილებელია ნაწილობრივ შეიცვალოს ნაგავ-შემკრები ბუნკერის გამოყენება. კერძოდ, ბუნკერში ჩაიდგას მარტივი კონსტრუქციის მოძრავი კონტეინერი, რომელშიც ჩაფენილია ნარჩენების მიმღები ერთჯერადი ტარა (პოლიეთილენის პარკი). ამ წინადადების რეალიზაციის შემთხვევაში ნაგავმზიდი მანქანა ჩერდება მაგისტრალზე (შესაბამისად მცირდება მანევრირებისათვის საჭირო საწვავის ხარჯები), მუშა ბუნკერიდან იღებს ნარჩენებით სავსე პოლიეთილენის პარკს (წონა 25-30 კგ) და 10-20 მეტრის მანძილზე მიაქვს მანქანამდე, კონტეინერში აფენს პოლიეთილენის ახალ პარკს. ბუნკერი იცლება ყოველდღიურად (იგი იძულებულია ყოველდღიურად გაიტანოს ნაგავი, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაუბრუნდეს ნიჩბებით დატვირთვის მეთოდს, რაც მისთვის არამომგებიანია). ასეთ პირობებში გამოირიცხება ნარჩენების ლპობა და სუნი და არ იქნება პირობები მღრღნელების გამრავლებისათვის. სამუშაო შედარებით პრესტიჟული ხდება, რადგან მუშას არ აქვს უშუალო შეხება ნარჩენებთან. ასევე არ არის საჭირო მანქანების უკუსვლით შესვლა ბუნკერამდე, ბუნკერების გამორეცხვა და დეზინფექცია. მნიშვნელოვნად მცირდება მანქანების დატვირთვის დრო. პოლიეთილენის პარკებში ყოველდღიურად მოგროვდება დაახლოებით 200 ლიტრამდე მოცულობის ნარჩენები, რომლის მანქანაზე გადატანას დასჭირდება მაქსიმუმ 3-4 წუთი, ანუ 1მ^3 დატვირთვის დრო შემცირდება 15-20 წუთამდე, არსებულთან შედარებით 4-5 ჯერ ნაკლები. ამასთან თუ ავამაღლებთ გაზისა და ზილის ტიპის ნაგავმზიდი მანქანების ძარის გვერდით კედლებს და მის ტევადობას გავზარდით თითქმის 1,5-1,8- ჯერ, ეს საშუალებას მოგვცემს გაცილებით ეფექტურად გამოვიყენოთ მათი ტვირთამწეობა და შესაბამისად 1,5-1,8-ჯერ შევამციროთ ნარჩენების ნაგავსაყრელამდე გასატანად საჭირო რეისების რაოდენობა. ხარჯები დაახლოებით იგივე იქნება, რაც კონტეინერული სისტემის პირობებში თუ კონტეინერებს განვათავსებთ თითოეულ სადარბაზოსთან, როგორც ეს ევროპის ქალაქებშია მიღებული.

რაც ყველაზე მთავარია, ამ სისტემით უქმდება ბუნკერების დაცლისათვის დაგენილი გრაფიკი. თვალსაჩი-

ნოებისათვის მოვიყვანთ ერთ მაგალითს. დავუშვათ, რომ ნაგვის გამტან ოპერატორ ფირმას, რომლის ავტო პარკი შედგება 20 სატვირთო მანქანისაგან, ევალება ქალაქის 100 ბუნკერის დასუფთავება, თითოეულისა ხუთდღიანი გრაფიკის დაცვით. შესაბამისად, თითო მანქანას დღეში უწევს 1 ბუნკერის დაცლა, რომლებშიც სადარბაზოში მოგროვილი ხუთი დღის ნარჩენია მოთავსებული. დავუშვათ, რომ ბუნკერში ყოველდღიურად გროვდება ერთი პირობითი ერთეული ნაგავი (არაა აქვს მნიშვნელობა ეს მოცულობაში იქნება გამოსახული თუ წონაში). შესაბამისად, იქ ხუთ დღეში დაგროვდება ხუთი ასეთი ერთეული ნაგავი, რომელიც გრაფიკით დადგენილ დღეს უნდა გაიტანოს მანქანამ. გამოდის, რომ თუ ამ მანქანის მოცულობა და ტვირთამწეობა საკმარისია ერთ ბუნკერში დაგროვილი ხუთი დღის ნაგვის გატანისათვის, მას შეუძლია ყოველდღიურად გაიტანოს ნაგავი იმ ხუთი ბუნკერიდან, რომელსაც ის ცლის ყოველ მეხუთე დღეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ასე გადაწყვეტა ბაზარზე კონკურენტულ გარემოს ქმნის. ნარჩენების გატანა შეეძლება ნებისმიერ ფირმას, რომელსაც გააჩნია სატვირთო ტრანსპორტი (აუცილებელი არ იქნება სპეციალური ნაგავმზიდი მანქანები, რომლებიც მონოპოლურ უფლებებს ანიჭებდა ამ ფირმებს). შეთავაზებული სისტემის რეალიზაცია გაცილებით ნაკლებ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვს ვიდრე რამდენიმე ათასი კონტეინერის და სპეცმანქანების შესყიდვა, ისე როგორც ესაა გათვალისწინებული ქალაქის მერიის ახალ ინიციატივაში. რაც მთავარია, შესაძლებელია არსებული საავტომობილო პარკის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნკერში ჩასადგამი მარტივი კონსტრუქციის მეტალისა თუ პლასტმასის მოძრავი კონტეინერის დამზადება შესაძლებელია ადგილზე, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის. ანალოგიურად შესაძლებელია ადგილზე ცელოფანის პარკების დამზადებაც.

რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთჯერადი ტარის (პოლიეთილენის პარკი) გამოყენება დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ჩვენი ვარაუდით ერთი ცალის ფასი 30-35 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს. მათი დამზადებისათვის სრულიად საკმარისია ბუნკერების გამორეცხვისა და დეზინფექციისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები. ამასთან, თუ ნაგვის გადამტვირთი სადგური დაიწყებს

ნარჩენების დახარისხებას, მაშინ შესაძლებელი გახდება მათი გარეცხვა და ვარგისი ნაწილის ხელმეორედ, ხოლო უვარგისის გადასამუშავებლად გამოყენება. შესაძლოა აგრეთვე პოლიეთილენის პარკების დამზადების ორგანიზება მეორადი ნედლეულით რაც გააიაფებს მის ღირებულებას.

უახლოეს მომავალში თუ გამოიძებნება ადგილები და საჭირო სახსრები ქალაქში ერთი ან ორი ნარჩენების გადამტვირთავი პუნქტის მოსაწყობად ისე, რომ ნარჩენების ზიდვის მანძილი საცხოვრებელი ადგილებიდან 10-15 კმ არ აღემატებოდეს, მაშინ ნარჩენების გატანის საერთო ხარჯები კიდევ უფრო შემცირდება (ასეთი გადამტვირთი პუნქტები დღეს ფუნქციონირებს ცალკეულ სპეცავტომეურნეობებში). პრესპექ-ტივაში გადამტვირთავ პუნქტებს ნარჩენების დახარისხების ფუნქციაც შეიძლება დაემატოს. მსგავსი სისტემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აგრეთვე დიდი ტევადობის მანქანების გამოყენების ეფექტურობას, რადგან სწორედ ამ უკანასკნელით მოხდება გადამტვირთავი სადგურიდან ნარჩენებიის გადატანა ნაგავსაყრელამდე.

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის მთავრობამ მიმდინარე წლის იანვრის თვეში ნარჩენების შეკრება-ტრანსპორტირებაზე გამოცხადებულ ტენდერში 2008 წლისათვის მოითხოვა ბუნკერების გაუქმება, (თავი „ნარჩენების შეგროვება“, პუნქტი 3.1. ქვეპუნქტი „ბ“), რაც ჩვენი მოსაზრებით მიუღებელია. მთლიანად კონტეინერულ სისტემაზე გადაყვანამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილება. გამოკვლევების შედეგები ადასტურებს, რომ ბუნკერები სარგებლობენ საკმაოდ დიდი პოპულარობით სხვა სისტემებთან შედარებით (იხილეთ გრაფიკი №5). ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ჩვენმა შეთავაზებამ ჰპოვა რეალიზაცია, ბუნკერული დაგროვების სისტემა მოსახლეობის უმეტესობისათვის მისაღები გახდება მომსახურეობის კომფორტულობის გამო. ოფიციალურად თბილისში 6 000 ბუნკერია, რომელიც 500 000-მდე მოსახლეს ემსახურება. ადვილი წარმოსადგენია თუ რამხელა ცვლილება შეიძლება მოჰყვეს ამდენი ადამიანის ეფექტურად მომსახურებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ნახევარი მილიონი ადამიანის საყოფაცხოვრებო ნაგავი აღარ გამოვა კორპუსის გარეთ განსხვავებით კონტეინერული მომსახურების შემთხვევისაგან.

გრაფიკი№5



ნარჩენების შეგროვების ყველაზე სასურველი სისტემებიიმ მოსახლეობას შორის, რომლებიც არ ცხოვრობ დაბალი განაშენიანების ზონაში

ორგანიზაციული პრობლემების გადაჭრის გზები

იმისათვის, რომ ქალაქში მართლაც გაუმჯობესდეს სანიტარიული მდგომარეობა არ იქნება საკმარისი მარტო ნარჩენების შეგროვების მეთოდებში კორექტივების შეტანა. გაცილებით მნიშვნელოვანია მათლიანად სისტემის მართვა. ტენდერის გამოცხადებამდე და საერთოდ სისტემის რეორგანიზაციამდე ალბად პირველ რიგში უნდა შემუშავებულიყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვების ნორმების განსაზღვრის მეთოდი, განსაზღვრულიყო მოსახვეტი ფართობების რეალური მოცულობა და ნარჩენების ზიდვის მანძილების ნორმები. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი მომსახურების მეტნაკლებად ზუსტი მოცულობის დადგენა და ტენდერში გამარჯვებული ფირმების მუშაობაც ღია და გამჭვირვალე გახდებოდა. რეალური ნორმების დადგენა საშუალებას მოგვცემდა აგრეთვე ზუსტად განგვესაზღვრა ტარიფები მომსახურების სხვადასხვა მეთოდებისათვის და საჭიროების შემთხვევაში საბიუჯეტო სუბსიდიები. სისტემაში კორფუციის საბოლოოდ აღმოფხვრისათვის სწორედ რეალური ნორმების დადგენაზე უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული აქცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ტენდერი ჩაიშალა, მაინც ხასგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სატენდერო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები ჩვენის მოსაზრებით ვერ უზრუნველყოფდა სანიტარული მდგომარეობის რადიკალურად

გაუმჯობესებას. ზოგადად სისტემის მუშაობის ეფექტურობა ძირითადად კონტროლზეა დამოკიდებული და სწორედ ეს უკანასკნელი არ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული სატენდერო პირობებში. მომხმარებელი მოსახლეობაა, იმ პირობებით კი მას არავითარი უფლებები არ გააჩნდა გარდა საჩივრის შეტანისა. საჩივრით მოსახლეობას თავად კერძო ფირმისთვის უნდა მიემართა, რომელიც ვალდებული იყო არაუმეტეს განცხადებიდან 12 საათისა მოეხსნა პრობლემა. იმ შემთხვევაში თუ პრობლემა არ მოიხსნებოდა პირობა ითვალისწინებდა შემდეგს (ტექნიკური დავალება, თავი საჩივრების მოგვარება, პუნქტი 3.8, ქვეპუნქტი ვ):

> "იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის ოფიციალური პირი ან მომხმარებელი განაცხადებს, რომ საჩივარი არ იქნა მოგვარებული მომხმარებლისათვის დამაკმაყოფილებელი ფორმით, მიმწოდებელი წარადგენს დეტალურ ანგარიშს, რომელშიც აღწერილი იქნება საჩივრის შინაარსი და მოგვარების შეთავაზებული ფორმა, ან ის ქმედებები რომელიც განხორციელდა საჩივრის მოგვარების მიზნით. თუ, შემსყიდველის აზრით, შეთავაზებული ან განხორციელებული ქმედებები არ არის საკმარისი საჩივრის დამაკმაყოფილებლად მოგვარებისათვის, შემსყიდველს, მისი დასაბუთებული გადაწყვეტილებით, შეუძლია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ისეთი პროცესის განხორციელება, რომ საჩივარი დამაკმაყოფილებელი ფორმით მოგვარდეს".

საქმე იმაშია, რომ არსად წერია იმ სპეციალური ოფიციალური სამსახურის შესახებ, რომელმაც თავის მხრივ უნდა მოახდინოს რეაგირება საჩივრებზე, რომლებიც უყურადღებოდ დარჩნენ ოპერატორის მხრიდან. მეტიც, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული იყო თავადვე ეწარმოებინა საჩივრეის წიგნი, რომელიც ყოველი კვარტალის ბოლოს უნდა წარედგინა ქალაქის მთავრობისათვის. სრულიად შესაძლებელი და ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ოპერატორი შეეცდებოდა ოფიციალურად რაც შეიძლება ნაკლები საჩივარი დაეფიქსირებინა წიგნში, რადგან თითო გადაცდომაზე მას ჯარიმები ერიცხებოდა.

რამდენადაც ვფლობთ ინფორმაციას, ამჟამად იქმნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის საქალაქო სამსახური, რომელსაც დაექვემდებარება 4 მუნიციპალური საწარმო ლოტების მიხედვით. მათ გადაეცემათ ახლად შეძენილი ტექნიკა და დაევალებათ ტერიტორიის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მაგისტრალების, ქუჩების,

შიდაკვარტალური გზების, ეზოების, ფერდობების დაგვა დასუფთავება. მაგისტრალები და ქუჩები აღიჭურვება სანაგვე ყუთებით, კონტეინერები განთავსდება საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ. მუნიციპალური საწარმოების მუშაობაზე და საერთოდ სანიტარულ მდგომარეობაზე კონტროლს განახორციელებს საქალაქო სამსახური. იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ნარჩენებს გადაყრიან ქუჩაში დაწესდება მაღალი საჯარიმო სანქციები. როგორც ვხედავთ, მართვის სისტემა იქნება მკაცრად ცენტრალიზებული, ხოლო ბაზარი მთლიანად მონოპოლიზებული. რაც შეეხება მართვას, იგი მოხდება ადმინისტრაციული მეთოდებით, რაც იდენტურია საბჭოთა პერიოდში მოქმედი მართვის სისტემისა.

შევიმუშავეთ იდეა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის უფრო ეფექტურად ჩართვას მართვის პროცესებში და შესაბამისად იძლევა სასურველი სანიტარიული მდგომარეობის შენარჩუნების უფრო რეალურ გარანტიებს. პირველ რიგში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელახლა გამოცხადდეს ცალკე ტენდერი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად. ტენდერის გამოცხადებამდე კი აუცილებელია საკრებულომ მიიღოს ერთ სულ მოსახლეზე ნარჩენების დაგროვების ნორმის განსაზღვრის წესი, მთავრობამ ამ წესის შესაბამისად დაადგინოს ეს ნორმები, განსაზღვროს თითოეული ლოტის მიხედვით ნარჩენების ზიდვის რეალური მანძილები, რაც საშუალებას მისცემს მთავრობას დაადგინოს მომსახურეობის რეალური მოცულობა და შესაბამისად საბიუჯეტო დოტაციის ოდენობა. გამარჯვებული ფირმები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კონტრაქტების მიხედვიით, რომელსაც გააფორმებენ მაღალი განაშენიანების ზონებში კორპუსის ამხანაგობებთან, ხოლო დაბალი განაშენიანების ზონებში ბინათმფლობელთა ასოციაციებთან. ხელშეკრულე-ბებით ტენდერში გამარჯვებული ფირმა ვალდებული იქნება ყოველდღიურად გაიტანოს ნარჩენები. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ფირმა დაჯარიმდება. ფირმის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში კორპუსების ამხანაგობების ან ბინათმფლობელთა ასოციაცების 20%-ის მოთხოვნით ტარდება ხელახალი ტენდერი. ამ შემთხვევაში პროცესის მართვა მარტივდება, რადგან შეთავაზებული მეთოდი ბაზარზე ქმნის კონკურენტულ გარემოს.

რაც შეეხება მაგისრტალების, ქუჩების, შიდაკვარტალური გზების და ეზოების დასუფთავებას, რომელიც მთლიანად ფინანსირდება საბიუჯეტო სახსრებით, სასურველია ასევე გამოცხადდეს ტენდერი. საკრებულომ და მთავრობამ ტენდერის ჩატარებამდე უნდა განსაზღვროს მაგისტრალებზე, ქუჩებზე, შიდაკვარტალურ გზებზე ნარჩენების დაგროვების ნორმები და ლოტების მიხედვით მათი ზიდვის მანძილები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემთხვევის ანალოგიურად. რაც მთავარია უნდა დადგინდეს სისუფთავის ნორმები. მომსახურეობის მოცულობისა და საბიუჯეტო სახსრების დადგენის შემდეგ გამოცხადებულ გრძელვადიან ტენდერში გამარჯვებული ფირმები თვითონ გადაწყვეტენ დასუფთავების რა მეთოდებს გამოიყენებენ (მეეზოვეები, მცირე მექანიზაცია და ა.შ.). კონტროლი ნორმების დაცვაზე შესაბამის საქალაქო სამსახურთან ერთად უნდა განახორციელოს კორპუსის ამხანაგობებმა და ბინათმფლობელთა ასოციაციებმა. მათი უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარიმო სანქციები ან საერთოდ ტენდერის გამოცხადება ახალი ოპერატორის შემოყვანის მიზნით.

დასკვნა

ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოსაზრებების გაზიარების შემთხვევაში სანიტარული სიტუაცია გაცილებით გაუმჯობესდება ვიდრე ეს არის დღეს ან იქნება იმ შემთხვევაში თუ ქალაქის დასუფთავებაზე მონოპოლიური უფლება ექნება სპეციალურ საქალაქო სამსახურს. იმის გამო, რომ საზოგადოებისათვის ეს სისტემა მთლიანად დახურული იქნება (ისე, როგორც ეს იყო დღემდე) პერსპექტივაში იგი აუცილებლად გახდება კორუპციული. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ საბინაო ამხანაგობები მიიღებენ უშუალო მონაწილეობას პროცესების მართვაში და კერძო ოპერატორი ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ მათ წინაშე (და არა ოფიციალურ სამსახურებთან, რაც წარმოქმნის კორუფციულ წყაროს), სანიტარული მდგომარეობა ქალაქში მნიშვნელოვნად გამოსწორედება. აქვე დავძენთ, რომ ხსენებული საბინაო ამხანაგობების ჩამოყალიბება შეიძლება სულაც არ იყოს იოლად მოსახერხებელი საქმე, რადგან ძალით ვერავის აიძულებ მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში. ეს ალბად

კარგად მოსაფიქრებელი საორგანიზაციო საქმეა. მოსახლეობას უნდა მივცეთ სტიმული თავად გახდეს ინიციატორი მთელი რიგი ცვლილებებისა არა მარტო ამ სფეროში, არამედ საერთოდ ნებისმიერი კომუნალური მომსახურების სფეროში. ასეთი სტიმული შეიძლება იყოს მერიის მხრიდან 90%-იანი ფინანსური წილობრივი მონაწილეობა იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელიც აწუხებს კონკრეტულ ამხანაგობას, უბანს. მისასალმებელია, რომ მსგავსი მექნიზმები თბილისში უკვე არსებობს, რაც ვფიქრობთ ძალიან დაეხმარება დედაქალაქის მასშტაბით ამ იდეის რეალიზაციას.

რაც შეეხება ბუნკერების ფუნქციონირების ახალ მეთოდს, ვფიქრობთ, რომ ესეც წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს როგორც დედაქალაქის სანიტარული იერსახის გამოსწორების, ისე მოსახლეობის მომსახურების მხრივ. ამ იდეის მთავარი დადებითი მხარე ისაა, რომ ხელს უწყობს კონკურენციის გააქტიურებას და შესაბამისად ბიზნესის განვითარებას ნარჩენების მართვის სფეროში, რაც ცხადია თავისთავად გულისხმობს მომსახურების მუდმივ დახვეწას.

ჩვენს თვითმიზანს არა წარმოადგენს არსებული სისტემის კრიტიკა. არამედ, გვურს რეალურად დავეხმაროდ ქალაქს განხილული პრობლემების მოგვარებაში. არც იმის უპირობო მტკიცება გვსურს, რომ მაინცა და მაინც ჩვენი იდეები შეიძლება იყოს შეუვალი კრიტიკისაგან. პირიქით, ჩვენ მოხარული ვიქნებით ვიმსჯელოთ ამ თემებზე ყველა დაინტერესებულ მხარესთან იმ მოტივით, რომ სისტემაში განხორციელდეს რეალური და ეფექტური ცვლილებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. თბილისის მერიის დასუფთავების საქალაქო სამსახურის დებულება;
2. შენიშვნები ქ. თბილისის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავეისა და მოსახლეობიდან მყარი საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და გატანაზე გამოცხადებული ტენდერის პირობებთან დაკავშირებით, 9 იანვარი, 2006. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური;
3. ბიულეტენი №93, ივნისი, 2005. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
4. ბიულეტენი №95, დეკემბერი, 2005. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

5. რა ჯდება ქალაქის სისუფთავე? (ბროშურა) – სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
6. Preparing a Waste Management Plan, May, 2003. European Topic Center on Waste and Material Flows;
7. Street Maintenance standards, May 4, 2005. San Francisco Department of Public Works;
8. The Oldham borough community litter plan 2002-2005. www.oldham.gov.uk/litterplan-pdf

Summary
Alexsandr Tabagari
Zviad Melkadze
Systemic shortfalls of collecting and disposal of solid municipal waste in Tbilisi

Presented article explores the systemic shortfalls of Tbilisi municipal cleaning system and suggests certain practical alternatives to improve it. The major target of the study is the organizational features of municipal solid waste collection and disposal.

The study is based on the official documentation and information gathered through the several months of fieldwork. The quality and scope of work of various specialized institutions, responsible for municipal cleaning, have been monitored. 800 Tbilisi residents have been interviewed regarding their attitudes towards domestic waste collection issues. And finally, foreign best practical experiences have been surveyed in order to work out some suggestions to the improvement of current cleanness level of the capital.

The outcome of the research is twofold: a) it is important to change the operational method of chute system, which is widely used in high store buildings to collect domestic solid waste. It will bring about significant affective changes in service level to about half the million of Tbilisi citizens; b) it will be affective as well if neighborhood associations will be formed in order to exercise control over private organizations in charge of waste collection and disposal. Such an institutional formation will be much more affective compared to municipal organs currently assuming same functions.

Резюме
Алексаидр Табагари

Звиад Мелкадзе

Системные изъяны в муниципальной системе сбора и вывоза твёрдых отходов в Тбилиси.

Данная статья представляет собой практическое исследование анализирующее системные изъяны в муниципальной системе очистки города и предлагает определенные практичные альтернативы по его улучшению. Главная цель иследований является организационные вопросы по управлению сбора и вывоза муниципальных твёрдых отходов.

Исследование базируется на официальной документации и информации собранных в ходе полевых работ в течении несколько месяцев. В ходе исследования также проводился мониторинг качества и масштаба работы спецавтохозяйства, ответственных за муниципальное очищение города от твёрдых отходов. Были опрошенны 800 жителей г. Тбилиси относительно их отношения к вопросам по сбору домашних отходов. В заключении также был тщательно изучен зарубежный опыт в сфере управления и контроля муниципальной системы очистки города для разработки некоторых предложений, советов по повышению степени текущей очистительной системы столицы.

Итог исследования важен по двум направлениям а) наиболее важны изменения в эксплуатационных методах бункерной системы сбора домашних твёрдых отходов, который широко употребляется в многоэтожных зданиях. Оно значительно повлияет на повышение степени сервиса свыше 500 000 жителей города; б) также окажется чрезмерно эфективным создание соседских товариществ для осуществления контроля частных организаций, ответственных за сбор и вывоз муниципальных твёрдых отходов. Такая институциональная формация окажется наиболее эфективным по сравнению с муниципальными органами, ныне выполняющими данные функции.

ირაკლი გურგენიძე

როსტომ-ხანის კომპრომისული სახელმწიფო: პარალელი დღევანდელობასთან

რამდენად არის აქტუალური ისტორიის გაკვეთილები თანამედროვე პოლიტიკური აზროვნებისათვის, იქიდან ჩანს, რომ დღესაც, საზოგადოების რეფორმაციის პროცესში, მწვავედ დგას ეროვნული, რელიგიური, კულტურული იდენტობის საკითხები. რაც შეეხება ადამიანებით ვაჭრობას, 21 საუკუნეშიც მნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემად რჩება ტრეფიკინგი, იარაღით ვაჭრობასა და ნარკობიზნესთან ერთად. გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის წინაშე მდგარი ჩვენი საზოგადოებისთვის, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება 17 საუკუნის ერთი პოლიტიკური რეფორმატორის პორტრეტის გახსენება.

ახალი ტიპის დუალისტური სახელმწიფო

17 საუკუნეში გამაჰმადიანებულმა ქართველმა მეფე როსტომ-ხანმა შექმნა ახალი ტიპის ქართულ-ირანული სახელმწიფო, რომელსაც მეცნიერები „კომპრომისულ" ან „ორსახოვან" სახელმწიფოს უწოდებენ. მან გაატარა რეფორმა და ჩამოაყალიბა პოლიტიკური სისტემა, რომელიც თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა შემობრუნებას ლიბერალური მმართველობისა და საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით. ლიბერალური პოლიტიკური დოქტრინის ნიშნები აშკარად ატყვია ამ რეფორმატორის პოლიტიკურ მოღვაწეობას. ესენია: ეკლესიის სახელმწიფო სტატუსის გაუქმება და გათანაბრება სხვა რელიგიებთან და კონფესიებთან ------ ისლამთან, იუდაიზმთან, კათოლიკობასთან, გრიგორიანელობასთან, ქალაქთა გაშენიანების ხელშეწყობა საბაზრო ეკონომიკის პრიორიტეტი, სავაჭრო კაპიტალის პროტექციონიზმი და, რაც მთავარია, რეფორმა საზოგადოებრივ ზნეობასა და მორალურ ფასეულობათა სისტემაში.

როსტომმა გადატრიალება მოახდინა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც მანამდე ეროვნულ-რელიგიურ საწყისებზე აგებული სისტემა იყო. 337 წლიდან მოყოლებული, ამ სისტემის ძირეული კომპონენტი იყო მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი და სპეციფიკური

ზნეობრივ-ეთიკური სისტემა. ყველა ამ ძირეულ პუნქტში როსტომ-ხანმა განახორციელა ღირებულებათა გადაფასება ე.წ კომპრომისული ვარიანტის მიმართულებით.
პოლიტიკური იდეა, რომლის რეალიზაციის მისია ამ მმართველმა იკისრა, შემდეგში მდგომარეობდა: ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ორი უკიდურესი პოლიტიკური პროექტი, რომელთაგან ერთი მიზნად ისახავდა ქართველთა სრულ ასიმილაციასა და ისლამიზაციას, არარეალური იყო, ისევე როგორც მისი ანტიპოდი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ტრადიციული ქრისტიანული სახელმწიფოს აღორძინებასა და თვით ისლამური იმპერიების ლიკვიდაციას დასავლეთისა და რუსეთის ქრისტიანული სახელმწიფოების დახმარებით.

როსტომ-ხანი ყველაზე უკეთ ჩასწვდა ამ ისტორიულ აუცილებლობას და „კომპრომისული იდეის" ხორცშესხმა დაისახა მიზნად. ამ იდეის აღსრულებისთვის მთელი ცხოვრება ემზადებოდა და როცა ამის რეალური საშუალება მიეცა, მეფობას მიაღწია. ის 67 წლის იყო და აბსოლუტურად მზად იყო მოქმედებისთვის. საკუთარი პოლიტიკური სისტემის შექმნას მან მეფობის 25 წელი მოანდომა და 92 წლის ასაკში ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. ის დაკრძალეს სპარსეთში, ისლამური რელიგიის წმინდა ქალაქ ყუმში.

ლომისა და მელიის ჰიბრიდი

როსტომი ქართლის გამაჰმადიანებული მეფე დავით მეცხრის (დაუდ-ხანის) უკანონო შვილი - „ხარჭის ნაშობი" იყო. იგი ისპაჰანში დაიბადა 1565 წელს. აღიზარდა ისლამურ მედრესაში. გაჭირვებული ემიგრანტული ოჯახიდან გამოსულმა ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა შაჰის კარზე. მიაღწია უმაღლეს სამხედრო და ადმინისტრაციულ თანამდებობებს. შაჰ-აბას I-მა დანიშნა თავისი გვარდიის სარდლად (ყულარაღასად), შემდეგში ისპაჰანის მოურავი გახდა. მონაწილეობდა მრავალ სამხედრო ექსპედიციაში. საქართველოს წინააღმდეგ თავი გამოიჩინა მარაბდის ბრძოლაში – რამდენჯერმე მისმა პირადმა მამაცობამ იხსნა ირანის კორპუსი სრული განადგურებისაგან. მან გაიარა შაჰ-აბას I-ის პოლიტიკური სკოლა, გახდა უმაღლესი დონის პოლიტიკოსი და მხედართმთავარი. შესანიშნავად დაეუფლა როგორც სამეფო სასახლის ინტრიგებს, ასევე ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მანიპულაციების მექანიზმებს. მემატიანის თქმით, იყო „საქმით ხვანჯიანი". „ხვანჯი" ინტრიგას ნიშნავს. თავისი პოლიტიკური მასწავლებლის, შაჰ-აბას I-ის მსგავსად, მელიის ეშმაკობა და ცბიერება შეუთავსა ლომის მტაცებლობასა და დაუნდობლობას.

1629 წელს გარდაიცვალა შაჰ-აბას I, რასაც სპარსეთში ძალაუფლებისთვის ბრძოლის განახლება მოჰყვა. ძირითადად ტახტისთვის იბრძოდა გამაჰმადიანებული ქართველების ორი

პარტია: ერთი როსტომ-ხანისა და მეორე – ირანის გარდაცვლილი პრემიერის, ალავერდი-ხან უნდილაძის შვილებისა, რომელთაც საკომანდო პოსტები ეკავათ ირანის პოლიტიკურ ელიტაში. თითოეულ პარტიას საკუთარი კანდიდატურის გაყვანა უნდოდა შაჰის ტახტზე. ამ ბრძოლაში როსტომის პარტიამ გაიმარჯვა. გაამეფეს შაჰ-აბას I-ის შვილიშვილი – შაჰ-სეფი, რომელიც როსტომის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. დამარცხებული უნდილაძე აზერბაიჯანში გაიქცა და პროვინციის მეამბოხე ლიდერი გახდა. მას შეუერთდა კახთა მეფე თეიმურაზ I, რომელსაც შაჰ-აბასთან და მის შთამომავლობასთან თავისი ანგარიშები ჰქონდა. დედა წამებით მოუკლეს, ხოლო შვილები დაუსაჭურისეს. შაჰ-სეფიმ მძევლებზე იძია შური: უნდილაძის ოჯახი ამოწყვიტა, შვილები დაუსაჭურისა. ამ ვითარებაში „გურჯისტანის ვალი" და ქართლის მეფე ხდება როსტომ-ხანი. ორსახა თანამდებობა საქმის „კომპრომისულ" არსს გამოხატავდა. „ვალი" ირანის მოხელეა, ხოლო „მეფეთ მეფე" ქართული სახელმწიფოს მეთაური. მაშასადამე, საქართველოს სამეფო ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობითა და „ვალის" ტიტულით.

„მელიისა და ლომის ჰიბრიდი" ორსახოვანი ხელისუფალი პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერების ყველა წესების დაცვით მოქმედებდა. მისი აგენტურული ქსელი ქართლში ადგილობრივ ფეოდალებსა და მოსახლეობასთან მოსამზადებელ სამუშაოს აწარმოებდა. ისპაჰანიდან როსტომმა წამოიყვანა გამაჰმადიანებული ქართული ემიგრაციის მრავალრიცხოვანი დასი, რომელიც უკვე შემოწმებული და გამოცდილი ჰყავდა პოლიტიკურ ბრძოლაში. შაჰმა მას გამოატანა საოკუპაციო კორპუსი ასევე გამაჰმადიანებული ქართველის – სააკაძის სარდლობით.

„აღაშენა სახლი ყიზილბაშური"

თბილისში შემოსვლისთანავე როსტომმა ციხე-სიმაგრეებში ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა და სამხედრო უსაფრთხოება უზრუნველყო. ადგილობრივმა საზოგადოებამ გაურკვეველი მოლოდინით მიიღო ახალი ხელისუფლება: „ქართველი თავადნი და აზნაურნი სრულად მიუვუდნენ და როსტომ მეფის ფეხს აკოცეს".

პირველი, რითაც დაიწყო რეფორმები, იყო მეფის ქორწინება. საიდუმლო საბჭოზე ყოფილა ქორწინების მიზანშეწონილობა განხილული და შაჰის მიერ სანქცირებული. 68 წლის როსტომმა ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის და – მარიამი. ამ ძლიერი, მტაცებელი ფეოდალის სახით პოლიტიკური დასაყრდენი მოიპოვა დასავლეთ საქართველოში. ლევან II-ს ძლიერი სამხედრო ძალა ჰყავდა და

შიშის ზარს სცემდა მეზობელი აფხაზეთის, გურუსა და იმერეთის სამეფო-სამთავროებს. ლევან II-მ ირანის ვასალიტეტი აღიარა და ფაქტობრივი პოლიტიკური ჰეგემონი გახდა ლიხს იქითა საქართველოში. როსტომმა თეიმურაზ I კახეთიდან გააძევა და კახეთის სამეფოც შემოიერთა. ამით პოლიტიკური გავლენა მთელ საქართველოზე გაავრცელა.

ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმა. ზოგიერთი ქართული უწყების სახელი ყიზილბაშურით შეიცვალა, ზოგი უწყება კი უცვლელად დატოვეს, მხოლოდ სპარსული სამოხელეო ტერმინოლოგია დაუწესეს. ასევე ხელუხლებელი დატოვეს პროვინციებში ქართული სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლები.

საკადრო პოლიტიკაში ყურადღება ირანიდან „ჩამოყოლილთა" დასზე გამახვილდა. ძველი რეჟიმის ყველა მოხელე შეცვალეს. „ჩამოყოლილებს" უბოძეს ან „დაუბრუნეს სამკვიდრო მამულები". ფაქტობრივად მთელი ადმინისტრაციული აპარატი ემიგრაციით დაკომპლექტდა.

ხელისუფლებამ დაიწყო საქალაქო ცხოვრებისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარების სტიმულირების პოლიტიკის გატარება. 1639 წლის ბრძანებულებით, მოაწესრიგეს საბაჟო სისტემა, შეკვეცეს კორუფცია, გამართეს საგზაო კომუნიკაციები და ხიდები. აშენდა ცნობილი წითელი ხიდი და ქარვასლა განჯის გზაზე.

ჩატარდა რელიგიური რეფორმაც. მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი გაუთანაბრდა სხვა რელიგიების სტატუსს. ღიად არ იდევნებოდა არც ერთი რელიგია. როსტომი მფარველობდა კათოლიკურ და გრიგორიანულ ეკლესიებს, რაც არსებითად უკავშირდებოდა სომხური სავაწრო კაპიტალის მფარველობას და ვატიკანისა და ირანის პოლიტიკურ შეთანხმებას. იგი ხელს არ უშლიდა მეუღლეს – მარიამ დედოფალს ეკლესიების შეკეთებასა და საეკლესიო ლიტერატურის გავრცელებაში. თან „გათიშე და იბატონეს", მოსყიდვისა და დაშინების მეთოდებსაც იყენებდა ეკლესიასთან ურთიერთობაში. სასტიკად სჯიდა არალოიალურ მღვდელ-მთავრებს, სამაგიეროდ, ჯამაგირს უნიშნავდა კონფორმისტ იერარქებს. როსტომმა სიკვდილით დასაჯა კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, რისი პრეცედენტიც მანამდე არ ყოფილა.

ხელისუფლებამ შეძლო რეფორმაციის უზრუნველყოფა მორალურ ღირებულებათა გადაფასების გზით. როსტომ-ხანის 25 წლიანი მმართველობის განმავლობაში სამეფო კარზე და მაღალ ფეოდალურ არისტოკრატიაში მაჰმადიანობა და ყიზილბაშური წეს-ჩვეულებები გავრცელდა. ახალი სასახლის კარზე მემატიანე ამბობს: „აღაშენა სახლი ყიზილბაშური".

ახალი ტიპის სახელმწიფოს მორალურმა რეფორმამ მოშალა ეროვნულ რელიგიური „ცხოვრების წესი": „განმრავლდა ტანთ-

ცმა ყიზილბაშურად... შემოიღო სმა-ჭამა, გამოჩენება და კეკლაობა და მოიქცენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა და განამრავლა სახლსა შინა მისსა სიძვა და არაწმინდება, ცოდვა იგი სოდო-გომორული და მეძავეობა და დედათა თანა აღრევა... და იყვნენ დღითი დღე განცხრომასა შინა... და ქართველთაცა ისწავლეს სმა-ჭამა ყიზილბაშური".

რა შედეგი გამოიღო ასეთმა „მორალურმა რევოლუციამ" – სულიერი საფუძვლების „ლიბერალიზაციის" ფასად მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკამ?

გენოფონდის ექსპორტიორი

„ორსახოვანი სახელმწიფო", შექმნილი კულტურული, ეროვნული, რელიგიური და მორალური იდენტურობის უგულებელყოფის საფუძველზე, გადაიქცა პოლიტიკურ და კომერციულ სისტემად, რომელმაც სტრატეგიულ ნედლეულად აქცია საკუთარი გენოფონდი, ტყვე-მონათა მსხვილი ექსპორტიორი გახდა. სწორედ ამ სისტემის ფუძემდებელი იყო როსტომ-ხანი, ლევან II დადიანთან ერთად. მანამდე ასეთი სისტემა საქართველოში არ არსებობდა.

მემატიანე წერს: „როსტომ გამოიყვანდა თავადთა და აზნაურთა შვილთა, ვაჟთა და ქალთა და წარუგზავნიდა ყაენს. ამის მხილველთა ქართველთა იწყეს იდუმალ ტყვის სყიდვა". ქართველ ტყვეებზე დიდი მოთხოვნილება იყო. ისინი უმაღლესი ხარისხის საქონლად ითვლებოდნენ. ჰეგელი, დარვინი და სხვა დიდი ევროპელი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ „სპარსელთა და ოსმალთა სისხლი გააკეთილშობილა ორი ერის – ქართველთა და ჩერქეზთა სისხლმა, რომელნიც სხვა ერებზე ლამაზები არიან". ჟან შარდენი წერს, რომ მარტო სამეგრელოდან ყოველწლიურად 3000 ტყვე გადიოდა. ოსმალო ვაჭრებს მოჰქონდათ ფული და საქონელი, სამაგიეროდ კი – ტყვეებს ითხოვდნენ. ამ ბიზნესში ჩაერთო სახელმწიფო, რომელიც ოფიციალური ხარკის სახით აგზავნიდა ცოცხალ საქონელს მეტროპოლიაში. ვაჭრობა ხდებოდა ფულადი ოპერაციით, ბარტერული გაცვლით, ფეშქაშით (ჩუქებით). მონების მოპოვება ხდებოდა გადასახადის, მოტაცების, სამხედრო ნადავლის, მძევლების გამოსყიდვის ფორმებით. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ თვით ეკლესიის ზოგიერთი იერარქიც კი ჩაუთრევიათ ამ საქმეში. მთელი აღმოსავლეთი გაივსო ქართველი მონებით. მათი შეძენა შეეძლოთ თავრიზში, სტამბოლში, ახალციხეში, ყარსში, ბაქოში, ერევანში... თითქმის ყველა შეძლებულ ოჯახს ქართველი გოგოები და ბიჭები შინაური პირუტყვის მდგომარეობაში ჰყავდა.

ტყვეებით ვაჭრობა როსტომისა და ლევან II-ის „სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკის" პრიორიტეტად იქცა. საქართველო „თეთრი მონების" (არაბულად მამელუქი) მთავარი ექსპორტიორი ქვეყანა გახდა.

მე-16 საუკუნეში დასავლურ სამყაროშიც ახალი ძალით იფეთქა მონებით ვაჭრობამ, რადგან კოლონიების ხელში ჩაგდების პროცესში დასჭირდათ დიდი რაოდენობით იაფი მუშახელი. აფრიკის კონტინენტიდან ამერიკაში 10 მლნ-მდე ზანგი მონა შეიყვანეს პლანტაციებში სამუშაოდ, უფრო მეტი კი გზაში დაიღუპა არაადამიანური პირობების გამო, მაგრამ მონობას არსად არ მიუღია ისეთი ამორალური და მძიმე ფორმა, როგორიც საქართველოში, რადგან აქ საწარმოო ძალად არ გამოიყენებოდა, გლეხური მეურნეობა მონური შრომით არ შეცვლილა. ქართველ მონებს იყენებდნენ ანთროპოლოგიური სელექციის მიზნით.

ნ. ბერძენიშვილი სწორად შენიშნავს: არც ერთ ომს, არც ერთ უცხო დამპყრობელს ხმლით იმდენი ზიანი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ „მშვიდობიან" ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას".

ამ სისტემამ საუკუნეზე მეტ ხანს იარსება, ვიდრე ქრისტიანმა მეფეებმა ერეკლემ და სოლომონმა არ მოშალეს იგი და ვიდრე საეკლესიო კრებამ არ გამოიტანა შესაბამისი განჩინება.

ჩემის აზრით საქართველოს, თუნდაც ნებისმიერი სხვა ქვეყნისა, რომელსაც ეროვნულობის შეგძნება გააჩნია, მისი პირდაპირი ბრძოლით საბოლოო დამარცხება ძალიან ძნელია. შეიძლება მან დათმოს ერთი ან ორი ბრძოლა, მაგრამ მთავარი მაინც სულიერი მდგომარეობის შენარჩუნებაა, რაც ქართველისათვის ყოველთვის იყო უფალი და სამშობლო ერთად. სწორედ როსტომ ხანის პერიოდში ვითარდებოდა მოვლენები, რომელიც ცოტა დიდხანს რომ გაგრძელებულიყო ალბათ სავალალო შედეგს მოუტანდა ქვეყანას. როსტომ ხანის მეფობის ეპოქას „ქართველების სულებისათვის ბრძოლას" დავარქმევდი. ყველაზე ეშმაკური კი ის იყო, რომ მიმდინარეობდა „მშვიდობიანი საბრძოლო ოპერაცია". როსტომ-ხანის 25 წლიანი მმართველობის პერიოდში არ გამართულა არც ერთი დიდი ბრძოლა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ პრევენციულ აქციებს სხვადასხვა ურჩი ქართველების მიმართ, რომლებიც ჩუმად ტარდებოდა როსტომის დამსჯელი რაზმების მიერ. სხვა შემთხვევაში კარგად იყენებდნენ „გათიშე და იბატონეს" პრინციპს. თავიდან როსრომმა თავის საწადელს მიაღწია თავად-აზნაურთა ფენაში: „აღაშენა სახლი ყიზილბაშური". კიდევ ერთი გამარჯვება ის იყო რომ მან ნაწილობრივ გადმოიბირა ეკლესიის წარმომადგენლები, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ მოსახლეობაზე.

ამ პერიოდის ნაწილობრივ დადებითად შეფასებაც შეიძლება, რადგან მთავარი მაინც მოსახლეობის გენოფონდის შენარჩუნება იყო. ჩემი ცხოვრების აქსიომა: „სანამ უკანასკნელი ქართველი არსებობს ამ სისხლით დამძიმებულ მიწაზე, მაშინ

მაინც არ არის დაკარგული ის, რასაც საქართველო ჰქვია და შეიძლება ბრძოლა. ქართველი ყოველთვის ვაჟას სიტყვების მოლოდინში იქნება: „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შედგომა!? ----- ეღირსებაო!"

Summary
Irakli Gurgenidze
The Compromising State of Rostom-Khan

The period of Rostom-khan reign "the Compromising State" is one of the most disputable episodes of Georgian history . On the one hand it was marked by the long-awaited peace and prosperity, on other hand by domination of the Persian values.

What moral dualism leads to? This issue has been urgent in all times and for all nations. What is the criterion of success, what is the price of the peace and prosperity, whether it is acceptable.

Georgia faces the very historical dilemma in nova days as well.

Резюме
Ираклий Гургенидзе
Компромисное государство Ростом-хана

Периёд правления Ростом-хана «Компромисное государство» один из найболее спорных епизодов исстории Грузий. С одной стороны он ознаменовался долгожданным миром и процветанием, с другой-же засилием персидских нравов.

К чему ведёт моралъный дуализм? Этот вопрос актуален во все времена и для всех народов. Что является критерием успеха, какова цена мира и процветания, приемлема ли она? Такова историческая дилема Грузии и по сей денъ.

რედკოლეგია

ნანა აკვლედიანი - ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, პროფესორი
მეუფე აბრაამი (გარმელია) -დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი
გიორგი ბადათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ოთარ ბარათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი
ვახტანგ გურული – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
შოთა დოღონაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის გამგე, პროფესორი
თეიმურაზ თოდუა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
როინ მეტრეველი - აკადემიკოსი
ქეთი ქოქრაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის პროფესორი
რუსუდან ქუთათელაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტა-რულ-ტექნიკური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ოთარ ქოჩორაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
მაკა ჩხეიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგე, პროფესორი

ავტორები

ნანა ციხისთავი – თბილისის
ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
როზა გაფრინდაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ასოცირებული პროფესორი
ია ხუბაშვილი - თბილისის
ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შოთა დოღონაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის პროფესორი

ქეთევან ირემაშვილი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

გიორგი მჭედლიშვილი – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მერაბ ვანიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ავთანდილ (ანზორ) ძამაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ასოცირებული პროფესორი

ოთარ ბაღათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის უფროსი მასწავლებელი

ნოდარ გულბანი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი

პაატა ნაცვლიშვილი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მარინა ლომიძე – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოთარ ქოჩორაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ბაღათურია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის ასოცირებული პროფესორი

ნატო გაგნიძე- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მაგისტრანტი

ალექსანდრე თაბაგარი- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის პედაგოგი

ზვიად მელქაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის მაგისტრანტი

ირაკლი გურგენიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის სპეციალობის 2005-2006 სასწ. წლის კურსდამთავრებული